









ნათელა ჯაბუა



ქრისტიანული ტაძრის
არქიტექტურული ტიპები
შეა საუკუნეების საქართველოში

ნათელა ჯაბუა

ქრისტიანული ტაძრის
არქიტექტურული ტიპები
შუა საუკუნეების საქართველოში



გამომცემლობა „მწიგნობარი“

თბილისი

2012

ნაშრომში განხილულია ქრისტიანული ტაძრის არქტიტექტურული ტიპები შეა საუკუნეების საქართველოში. წარმოჩენილია მათი ძირი-თაღი მახასიათებლები, ქვეტიპები და ცალკეული ძეგლების შესახებ არსებული მონაცემები. წარმოდგენილია უგუმბათო და გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ძირითადი არქიტექტურული ტიპების ტერიტო-რიული და ქრონოლოგიური გავრცელების ფარგლები; საეკლესიო ხუროთმოძღვრების არქიტექტურული ტიპთა სიმბოლური გააზრების, ტიპოლოგიური და არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის თავისებურებანი.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, სპეციალისტებისა და შეა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. ზაზა სხირტლაძე

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2012

© ნათელა ჯაბუა, 2012

ISBN 978-9941-424-62-5

შინაარსი

წინასიტყველია	5
წინაქრისტიანული საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი	7
საეკლესიო ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურის სიმბოლური გადაწყვეტის შესახებ	15
უგუმბათო არქიტექტურის ტიპები საქართველოში	21
სამნავიანი ბაზილიკა	22
სამეკლესიანი ბაზილიკა	41
ორნავიანი ეკლესია	56
დარბაზული ანუ ერთნავიანი ეკლესია	63
გუმბათიანი არქიტექტურის ტიპები საქართველოში	79
ტეტრაკონქი	82
თავისუფალი ჯვრის ტიპი	94
ჩახაზული ჯვრის ტიპი	104
ტრიკონქი	122
ჯუპელპალე ანუ გუმბათიანი დარბაზი	133
მრავალაფსიდიანი ტაძრები	142
დასკვნა	153
დამოწმებული ლიტერატურა	160
Summary	171

ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების და განვითარების პროცესში საეკლესიო ნაგებობის სხვადასხვა არქიტექტურული ტიპი ჩამოყალიბდა. თითოეული ტიპი არქიტექტურული სტრუქტურის სახასიათო ნიშნებით გამოირჩევა და თავისი ქრონოლოგიურ-ტერიტორიული გავრცელების არეალი გააჩნია. შეა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო არქიტექტურა ტიპთა სიმრავლით ხასიათდება, რაც მნიშვნელოვანი ადგილობრივი ხუროთმოძღვრული პოტენციალის არსებობას ადასტურებს.

საქართველო IV საუკუნეში გაქრისტიანდა და ადრექრიატიანულ სამყაროს ნაწილად იქცა. ამდენად ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირების, არქიტექტურული ტიპების ჩამოყალიბების და გავრცელების ყველა ეტაპზე მიმდინარე პროცესებში იყო ჩართული, რამაც ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიურ მრავალფეროვნებას დიდწილად შეუწყო ხელი. თუ ხელსაყრელი გეორაფიული მდებარეობა ქრისტიანულ ცენტრებთან კავშირის შესაძლებლობას ქმნიდა, საწყისი ეტაპიდანვე ქრისტიანულ სამყაროში ინტეგრირება სიახლეების, ახალი ინფორმაციის თანადროულად ათვისების შესაძლებლობას იძლეოდა. შეა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლების სიმრავლე და მათი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის დონე ამის ნათელი დადასტურებაა.

ნაშრომის მიზანია საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ჩასახვა-განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, საეკლესიო არქიტექტურის სპეციფიკის საკითხების, ასევე უგუმბათო და გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ძირითადი ტიპების გავრცელების,

მათი არქიტექტურულ-ტიპოლოგიური მახასიათებლების, სახეცვლის ფორმებისა და მიზეზების წარმოჩენა. ცალკეული ძეგლების შესახებ მონაცემები და მათი არქიტექტურული ტიპის სახეცვლის კონტექსტში განხილვა შეა საუკუნეების ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგიური ოავისებურებების უკეთ შესწავლისა და გააზრების საშუალებას იძლევა.

ჭირაპოლიტიკული საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოლიტიკა

შესაბამის საქართველოში ხუროთმოძღვრების და, კერძოდ, საეკლესიო არქიტექტურის განვითარება წინაქრისტიანულ ხანაში ფორმირებული ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის ბაზაზე განხორციელდა. ქრისტიანული ტაძრის აგების ოეგლამენტირებული მოთხოვნის პირობებში, ძირითადად, სწორედ ის განაპირობებდა საქართველოში საეკლესიო ხუროთმოძღვრების თავისებურებებს.

საზოგადოდ, არქიტექტურული პოტენციალის რაობას, ძირითადად, ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებები, ლანდშაფტის სპეციფიკა, ადგილობრივი სამშენებლო მასალების ნაირგვარობა, გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული კულტურული ურთიერთობების ინტენსივობა, ასევე სამშენებლო საქმის განვითარების დონე, აქ მცხოვრები ხალხის ფიქტურიპიპის ხასიათი და იდეოლოგია განსაზღვრავს. საგულისხმოა, რომ საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი და გეოპოლიტიკური მდებარეობა, სამშენებლო საქმის უძველესი დროიდან განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. ადგილობრივი ლანდშაფტური და კლიმატური პირობები ხელს უწყობდა უსსისებრი დროიდან მოსახლეობის არსებობას, მთ მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებას.

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრების მრავალ-ფეროვრება ახასიათებს. გვხვდება გაშლილი ვაკე-დაბლობი, ზღვის სანაპირო, მაღალმთანი რეგიონები, მრავალრიცხოვან მდინარეთა ხეობები, ჭაობიანი მხარეები, უწყლო უდაბნო თუ სხვა. ასეთი განსხვავებული გარემო ადამიანთა საქმიანობისათვის სხვადასხვა პირობებს, სხვადასხვა მცენარეული კულტურების თუ მესაქონლეობის დარგების განვითარებას, საშენი მასალის არსებობას განაპირობებდა. ეს თავის მხრივ ამა თუ იმ კუთხეში ერთმანეთისაგან განსხვავებული საცხოვრისების, არქიტექტურული ფორმების და სამშენებლო ხერხების ფორმირებას უწყობდა ხელს, რაც შესაბამისად მრავალფეროვანი ხუროთმოძღვრული ტრადიციების ჩამოყალიბებას განაპირობებდა.

ამავდროულად, საქართველოს ძველი ცივილიზაციის კერძოთ სიახლოვე მათთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას ქმნიდა, რაც სხვა კულტურულ სიახლეებთან ერთად არქიტექტურუ-

ღი თუ კონსტრუქციული მიღწევების თანადროულად შეთვისების და, შედეგად, ხუროთმოძღვრების განვითარების სტიმულირებას განაპირობებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული არქიტექტურული ძეგლების სიმრავლე და მათი ქრონოლოგიური პარამეტრები, დაწყებული ძვ.წ. V-IV ათასწლეულების უძველესი ნამოსახლარებიდან (მაგ.: შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა [საქართველოს არქოლოგია, II, 1992, 17-45]), ვიდრე წინარექტისტიანული ხანის ქალაქური ტიპის დასახლებამდე (მაგ.: მცხეთა, ვანი, უცლისციხე [აფაქიძე, 1963]) უტყუარად ადასტურებს ქრისტიანობის მიღების ხანისათვის სამშენებლო ხელოვნების მრავალათასწლიანი გამოცდილების არსებობას და საგულისხმო ფაქტობრივ მასალას წარმოადგენს არქიტექტურული მემკვიდრეობითობის თუ ინოვაციების გამოვლენის თვალისაზრისით.

ქრისტიანობამდელი ხანის საქართველოს ხუროთმოძღვრების შესახებ ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა მეტ-ნაკლები სისრულის ინფორმაციას გვაწვდის სამშენებლო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა სამშენებლო მასალა და მისი გამოყენების ხერხები, ნაგებობათა კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურებანი, ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ხასიათი.

საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობამდელი ხანის ძეგლების მონაცემები სამშენებლო მასალის შესახებ მრავალფეროვანია. უძველეს ნამოსახლარებში (ძვ.წ. V-IV ათასწ.) ნაგებობები ალიზით არის აგებული. ეს საშენი მასალა ათასწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა. თავდაპირველად დასტურდება მხოლოდ ალიზით ნაგები (მაგ.: შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა), შემდგომ ხის კარკასის (მაგ.: ქაცხელა) და ქვის საფუძველზე ამოვანილი კედლები (მაგ.: ამირანის გორა). ალიზს იყენებენ ძვ.წ. პირველ ათასწლეულშიც. მაგალითად ძვ.წ. IV-III სს-ის ციხია-გორაში 1,5 მეტრი სისქის ქვის კედლებს ალიზის წყობა აგრძელებს [ცქიტიშვილი, 2003:11-25]; ხოლო ძვ.წ. II-I სს-ის დედოფლის მინდორის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურით (ზომები: 50X50X15სმ) არის ნაგები [გაგოშიძე, 1981:102-116]. ალიზის გამოყენება მკვეთრად შემცირდა ძვ.წ. პირველი ათასწლეულის დასასრულს, რაც კირის დუღაბის გავრცელებას უკავშირდება.

საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთში, ხე ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა. ტყეებით მდიდარი მხარე სათანადო მასალის მოპოვების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. კოლხეთში ტყეების სიუხვეს და ხის ნაგებობების სიმრავლეს აღნიშნავენ ბერძენი და რომაელი ავტორებიც – ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ. ხით ნაგები სამოსახლოები აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს [გამყრელიძე, 2002:111-121]. აღსანიშნავია, რომ ხის ძელებით ნაგებ ეწ. “კოლხურ სახლს” საგანგებოდ ეხება რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი თავის ცნობილ ტრაქტატში “არქიტექტურის ათი წიგნი” (ვიტრუვიუს, II, I, 4), რაც კოლხეთში ხის ხუროთმოძღვრების თავისებური ნიმუშების არსებობას ადასტურებს.

რაც შეეხება ქვის მასალას, საქართველოში მისი ბუნებრივი რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. საშენ მასალად გამოიყენებოდა როგორც ვულკანური ქანები – ანდეზიტო-ბაზალტი, ასევე უფრო ადგილად დასამუშავებელი ქვიშაქვა, ტუფი და მათთან შედარებით მტკიცე კირქვა. აქტიურად იყენებდნენ რიყის ქვას.

ძვწ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე იგება მეგალითური ნაგებობები: მენკირები (წალკის, თეთრიწყაროს და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში) და დოლმენები (ძირითადად აფხაზეთში). ძვწ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ვგხვდება ეწ. ციკლოპური ანუ მშრალი წყობით ნაგები სასიმაგრო კედლები (მაგ.: ვრანლო –ძვწ. I ათასწ., ნორდევანი –ძვწ. I ათასწ.).

ძვწ. IV საუკუნიდან ვრცელდება ქვის მასალის კვადრებად გათლის ტექნიკა. ამგვარი კვადრები ეწყობა მშრალად, უხსნაროდ და გადამტულია ხის ან ლითონის ეწ. მერცხლის კუდის სახის პირონებით (მაგ.: არმაზციხე, გორი, წიწამური). გამოიყენება რუსტებიანი წყობა (მაგ.: ვანი, უფლისციხე, მცხეთა). კედლის ამოცვანისას დაცულია ჰილიზონტალური რიგები, თუმცა ისინი ხშირად არათანაბარი სიმაღლისაა. ნაგებობები იგებოდა როგორც მთლიანად ქვის კვადრებით, ასევე ქვის რიგებზე ალიზის აგურით.

ძვწ. I ათასწლეულის ბოლოდან კირის დუღაბის გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქვის არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით. საგულისხმოა სტრაბონის ცნობა – “იბერია

უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით, სოფლებით, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა... (სტრაბონი, XI,III,1,2) არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და დარისებრი კრამიტი ადასტურებს ამ ცნობის რეალობას. თავად კრამიტის ზომა (დაახ. 52-46X44--47) და სიმძიმე, მიუთითებს იმ ნაგებობათა სიმტკიცეს და მდგრადობაზე, რომელებიც ამგვარი კრამიტით იყო გადახურული.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე დასტურდება საქართველოში მრავალფეროვანი სამშენებლო მასალის გამოყენება, შესაბამისი ტექნიკური ხერხების და სამშენებლო საქმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის არსებობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ ძირითადად სამშენებლო მასალად ქვა გამოიყენა. თუმცა აღიზისა და ზის ნაგებობების მშენებლობისას დაგროვილმა მრავალმხრივმა გამოცდილებამ, უდაოდ, თავისი როლი შეასრულა კონსტრუქციული თუ მხატვრული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებული არქიტექტურული პოტენციალის რაობის წარმოსახენად, უდაოდ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტურული ოვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაგებობათა გეგმარებისა და კომპოზიციური გადაწყვეტის მთლიანი რეპერტუარის გამოვლენას. სამწუხაროდ, ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლების დაცულობის დონე, უმეტეს შემთხვევაში, არ იძლევა ნაგებობათა შესახებ სრულ ინფორმაციას. შესაბამისად, ნაგებობათა ფუნქციონალური იდენტიფიცირების და რეკონსტრუქციის ცდას, ხშირად, ჰიპოტეტური ხასიათი გააჩნია. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი ძეგლები, როგორიცაა ცახიაგრა-ძეწ. IV-IIIს [ცეკიტიშვილი, 2003:11-25], დედოფლის მინდორის სატაძრო კომპლექსი-ძვ.წ. II-IIს [გაგოშიძე, 1981:102-116], ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო ნაგებობა -ძვ.წ.II-I სს. [მათიაშვილი, 2005:44-45], არმაზციხის სვეტებიანი დარბაზი- ძვ.წ. I-ახ.წ. I სს [აფაქიძე, 1963:25-27], მცხეთის აკლდემა- I ს. [აფაქიძე, 1963:105-108], ბაგინეთის უქვსაფსიდიანი ნაგებობა- II-IIIIს [ნიკოლაშვილი, 1996:23-25], უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქის სამავაიანი ბაზილიკის თავდაპირველი წინარექრისტიანული ხანის საკულტო ნაგებობა [ხახუტაიშვილი, 1989].

ქრონლოგიური, ფუნქციონალური და სტილისტური სხვაობის მიუხედავად აღნიშნულ ძეგლებს არქიტექტურული გადაწყვეტის საერთო მახასიათებელი გააჩნია, რაც გეგმარებისა და შიდა სივრცის ცენტრულ გააზრებაში კლინიდება. ციხიაგორასა და დედოფლის მინდორის ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის ტაძრებში გამოყენებულად ეწ. კვადრატი კვადრატში კომპოზიციური სქემა. ოთხკუთხა გარშემოწერილობის ბაგინეთის მრავალაფსიდიან ნაგებობაში ექვსი ნახევარწრიული აფსიდა ცენტრთან მიმართებაში რადიალურად არის განლაგებული. ოთხი საყრდენი და კვადრატში მახლოვებული გეგმა გააჩნია ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასის სატაძრო ნაგებობის დარბაზს, ასევე უფლისციხის ბაზილიკის თავდაპირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობას. განსხვავებულია არმაზციხის ექვსივეტიანი დარბაზი. მას წაგრძელებული სწორგუთხედის მოყვანილობა აქვს, მაგრამ შესასვლელი გრძივი ფასადის შუა ნაწილშია გაჭრილი. ამგვარი გადაწყვეტა ინტერიერის აღქმისას არა სიგრძივი დერძის, არამედ ცენტრის ხაზგასმას ემსახურებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში უძველესი სამოსახლოებიდან დაწყებული გლეხური დარბაზით დამთავრებული საცხოვრისების გეგმის და შიდა სივრცის გააზრება, ძირითადად, ცენტრული გადაწყვეტის პრინციპს ემორჩილება, შეიძლება დაგასკვნათ, რომ აღნიშნული ძეგლები ეხმანება მრავალსაუკუნოვან ადგილობრივ ტრადიციას. შესაბამისად, ხუროთმოძღვრული ნაგებობის ამგვარი კომპოზიციური გააზრება წარმოადგენს ქრისტიანობის საწყისი პერიოდისათვის საქართველოს ხუროთმოძღვრების არქიტექტურული პოტენციალის რაობის ერთერთ არსებით ნიშანს, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართული საეკლესიო არქიტექტურის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებაზე.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქიტექტურული დეტალები. მათი ფორმის დახვეწილობა, პროპორციათა ურთიერთშეთანხმება, ორნამენტული რეპერტუარის მრავალფეროვნება და შესრულების ოსტატობა ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. არქეოლოგიური მასალა ნათელყოფს, რომ წინარეკრისტიანულ ხანაში საქართველოში კარგად ფლობდნენ მზიდი და ზიდული კონსტრუქციების და გადახურვის სხვადასხვა ხერხებს. განსაკუთრებული აღ-

ნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სრულად შემორჩენილია კამაროვანი გადახურვა მცხეთის აკლდამაში. შესაბამისად, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული გადახურვის ამგვარი წესი ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაშია დადასტურებული. ხუროთმოძღვრები იცნობდნენ როგორც ორდერული სისტემის პრინციპებს, ასევე აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო საყრდენთა ფორმებს. დადასტურებულია ღორიული (მაგ.: საირჩეს) იონური (მაგ.: სარკინეს), კორინთული (მაგ.: ვანის), ლოტოსის ფორმის შეგავსი (მაგ.: დედოფლის მინდორის), ორპროტომანი (მაგ.: ციხიაგორა) კაპიტელები, ე.წ. ზარისებური ბაზისები (მაგ.: შიომღვიმის). ასევე აღმოჩენილია სხვადასხვა ცხოველური, მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით გაფორმებული არქიტექტურული დეტალები, აკროტერიუმები (მაგ.: ვანში), პროფილირებული ლავგარდანი (მაგ.: ვანში), კესონებიანი ჭერი (უფლისციხეში) და სხვ. [ლეჟავა, 1979; ყიფიანი, 1987].

ეს მასალა უერადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისითაც, რომ ნათლად მეტყველებს მჭიდრო კულტურული კავშირების არსებობაზე წინარექრისტიანული ხანის დასავლური (ბერძნულ-რომაული) და აღმოსავლური (განსაკუთრებით ირანული) ცივილიზაციის ცენტრებთან. ამავდროულად, კაპიტელები და სხვა არქიტექტურული დეტალები ავლენს საკუთრივ ბერძნულ-რომაული თუ ირანული ნიმუშებისაგან განმასხვავებელ რიგ სტილისტურ ნიშნებს, რაც, უთუოდ, ადგილობრივი მხატვრული თავისებურებების გამოვლინებად უნდა შეფასდეს. საგულისხმოა, რომ დასავლური და აღმოსავლური გამოცდილების ცოდნა დასტურდება ნაგებობის კედლის წყობის სპეციფიკიც. საქართველოში გავრცელებული იყო როგორც ანტიკური სამყაროსათვის სახასიათო რუსტირებული წყობა, ასევე ქვევიდნ ზევით ქის კვადრების ზომის შემცირების წესი, რაც აღმოსავლური, განსაკუთრებით ძველი ირანული, ხუროთმოძღვრებისათვის იყო დამახასიათებელი (მაგ.: კიროსის აკლდამა) და ნაგებობის სიმაღლის ილუზორული გაზრდის ეფექტს ქმნიდა. კედლის წყობის ამგვარი გააზრების ტრადიცია გრძელდება შუა საუკუნეების ძეგლებშიც.

ამრიგად, საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საწყისი ეტაპისათვის არსებობდა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე არქიტექტურული პოტენციალი, რომლის რაობას სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობებდა მრავალფეროვანი სამშენებლო

მასალის და შესაბამისი სამშენებლო ხერხების ფლობის, ნაირგვარი კონსტრუქციული ფორმებისა და საშუალებების გამოყენების გამოცდილება; ნაგებობის კომპოზიციისა და შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე დაფუძნებული მდგრადი ტრადიცია; არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვანი მხატვრულ-სტილისტური რეპერტური. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსა ის ფაქტი, რომ საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოწინავე კულტურის ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გამომუშავდა არქიტექტურული, კონსტრუქციული თუ სტილისტური ინოვაციების თანადორულად შეთვისების და თავისებურად გააზრების გამოცდილება.

საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების ხანში ამგვარი სამშენებლო პოტენციალის არსებობამ ხუროთმოძვრების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა განაპირობა. საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებულმა ინოვაციების შეთვისების უნარმა ხელი შეუწყო ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნებთან სწრაფ ადაპტირებას. შედეგად უკვე V საუკუნეში აიგო არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ბოლნისს სიონის ბაზილიკა და გუმბათიანი არქიტექტურის ნიმუში — მანგლისის ტეტრაკონქი.

ადგილობრივმა ტრადიციებმა გავლენა იქონია ქრისტიანული ხუროთმოძვრების ტიპებისა და ფორმების გავრცელებაზე. ამგვარი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრება საქართველოში. აქ ბაზილიკისთვის სახასიათო ძლიერ წაგრძელებული გეგმარება და დასავლეთი შესასვლელის მნიშვნელოვნება კვადრატს მიახლოვებულმა გეგმარებამ და გრძივი ფასადების შესასვლელების პრიორიტეტულობამ შეცვალა, რაც საქართველოში შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე დაფუძნებული ტრადიციის ზეგავლენის შედეგია. მაგალითად, ბოლნისის სიონში ჩრდილოეთი და სამხრეთი შესასვლელები შიდა სივრცის აღქმისას დაახლოებით იმავე ეფექტს ქმნის, რაც არმაზცინის ექვსსვეტიან დარბაზში იყო განხილული. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის კომპოზიციისა და შიდა სივრცის ცენტრული გადაწყვეტის პრინციპზე დაფუძნებული მდგრადი ტრადიცია თავს იჩენს გუმბათა-ინი არქიტექტურის უმთავრეს ტიპებშიც, მაგალითად, ტეტრაკონქი

(მაგ.: მანგლისი, ნინოწმინდა, მცხეთის ჯვარი, ბანა), ჩახაზული ჯვრის ტიპში (მაგ.: წრომი, სამთავისი), მრავალფსიდიანი ტაძრებში (მაგ.: ბოჭორმა, კაცხი).

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არსობრივი პრინციპების შეცნობისა და გათავისების პროცესში ნათლად წარმოჩნდა მრავალფეროვანი სამშენებლო ხერხების, კონსტრუქციული თუ დეკორაციული საშუალებების გამოყენების გამოცდილების მნიშვნელობა, რამაც ხელი შეუწყო მრავალგვარი არქიტექტურული და მხატვრული ფორმების შექმნას და შემდგომ პერიოდებში სტილისტური ცლილებების სტიმულირებას კლასიკურიდან ცხოველხატულადე.

წინაქრისტიანულ ხანაში დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციის ცენტრებთან ურთიერთობების ბაზაზე შექმნილმა მრავალფეროვანმა მხატვრულ-სტილისტურმა რეპერტუარმა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში განსხვავებული დეკორატიული ფორმების გამოყენება განაპირობა. ამ პერიოდის ტაძრებში გვხვდება როგორც კლასიკური კაპიტელების, მარმარილოს ინკრუსტაციის, იატაკის მოზაიკის (მაგ.: ბიჭვინთა, ვაშნარი) მაგალითები, ასევე სასანური ირანის ხელოვნების გარკვეული გავლენით შექმნილი რელიეფური კომპოზიციები (მაგ.: ბოლნისის სიონი, ხაშმი). შემდგომ ეტაპზე წინარექრისტიანული კულტურული მემკვიდრეობითობის გავლენა შესუსტდა და ახალი მხატვრული ფორმების ჩამოყალიბება შეუსაუკუნეების ეპოქაში მიმდინარე მხატვრულ-სტილისტური პროცესების ზემოქმედებით განხორციელდა.

ამრიგად, წინარექრისტიანული საქართველოს არქიტექტურული პოტენციალის მრავალფეროვნებამ დიდწილად განსაზღვრა ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების გათავისების, არქიტექტურული და მხატვრული გადაწყვეტის თვითმყოფადობის ხასიათი.

საეკლესიო ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურის სიმბოლური გადაფყვეფის შესახებ

ქრისტიანული ეპისტოლა უპირველესად ქრისტიანთა შესაქრები ადგილია, სადაც საღმრთო ლიტურგია აღესრულება. ამ უმთავრესი ფუნქციის შესასრულებლად მის არქიტექტურულ სტრუქტურაში ორი არსებოთი ნაწილია – საკურთხეველი და დარბაზი მღოცველ-თათვის. საკურთხეველი ორი სახისაა – სწორკუთხა და აფსიდის ფორმის. დარბაზს მღოცველთათვის სხვადასხვა კომპოზიციური გა-დაწყვეტა შეიძლება ჰქონდეს, რაც შესაბამისად სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ფორმირებას განაპირობებს. ქრისტიანულ ტაძარში ამ არსებოთი ნაწილების გარდა საკურთხევლის გვერდით საგანგებო სათავსები, პასტოფორიუმებია – სამკეთლო და სადიაკვნე. ისნი მართლმადიდებელ ქრისტიანულ სამყაროში კანონიკურ ფორმას წარ-მოადგენს, თუმცა მათი არარსებობა დასაშვებია. პასტოფორიუმები პირველად V საუკუნეში გამოიყო სირიაში და შემდგომ გავრცელდა ქრისტიანულ სამყაროში [გოუ, 1961:142]. მათ შორის საქართველო-შიც (მაგ.: ბევრი შუამთის ბაზილიკა). თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სათავსების ფუნქციების თუ სახელწოდების ზუსტი დეფინიცია, სა-ვარაუდო, ბევრად გვიან განხორციელდა [დეკაუდრი, 1983]. საეკლე-სიონ ნაგებობებაში შეიძლება იყოს ასევე სხვადასხვა დანიშნულების მქონე ნაწილები - სანათლავი, ნართვები, პატრონიკე, სტოა, გალერეა, გარშემოსავლელი, კარიბჭე და სხვა.

ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში საეკლესიო ნაგებობას ღრმა საკრალური და სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ეკლესია, ის ად-გილია, სადაც თვით უფალ იესო ქრისტეს მიერ დადგენილი წმინდა საღმრთო საიდუმლონი აღესრულება, სადაც საღმრთო ლიტურგიის ღროს სულიწმიდის მოწოდებით პური და ღვინო ქრისტეს ჭეშმა-რიტ სხეულად და სისხლად გარდაარსდება. ამდენად, საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა განსაკუთრებული, საკრალური სივრცის შექ-მნის იდეას ემსახურება და ქრისტიანული რელიგიის დოგმატური მოთხოვნებით განისაზღვრება. სიმბოლური არსი, გარკვეულწილად, მის ფორმასა და გეგმაშიც ჰქონდებს ასახვას.

ადრექტისტიანულ ხანაში IV-V საუკუნეების წერილობითი წყაროების მიხედვით ეკლესია შედარებულია გემს (“წესი მოციქულთანი” [მანგო, 1972: 24]), ხოლო დიაკონები გემის გამცილებლებს, რომელიც ტაძარში შესულ მრევლს ეგებებიან (Testamentum Domini) [მანგო, 1972:25]. შესაბამისად, სიმბოლური მნიშვნელობით ტაძარი გემი-კიდობანი-ხომალდია მორწმუნეთა სულების ზეციურ სასუეფველში გადასასვლელად აგებული და სასულიერო პირი მრევლის წარმართველი ამ როულ გზაზე.

IV-V საუკუნეების წყაროების (“წესი მოციქულთანი” [მანგო, 1972:24], (Testamentum Domini) [მანგო, 1972:25] კესარიის ეპისკოპოს ევსების პანეგერიკი [ევსები, 1858:514-524]), მიხედვით წერილობით დასტურდება ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნა ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის შესახებ. საეკლესიო ნაგებობა მოიაზრება წაგრძელებული გეგმარების, სვეტებიან, უგუმბათო ნაგებობად. ნიშანდობლივა, რომ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ ნაგებობის ამგვარ გადაწყვეტას შესაბამება ადრექტისტიანული ხანის ფაქტობრივი მასალაც, რომელიც დიდწილად სწორედ ბაზილიკების სახით არის წარმოდგენილი.

წერილობით წყაროებში დადასტურებულია ნაგებობის ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ. განიმარტება საკურთხევლის მოწყობის წესი. კერძოდ, მისი მდგარეობა ტაძრის აღმოსავლეთით, იატაკიდნ სამი საფეხურით ამაღლება, ტრაპეზის ცენტრში განთავსება, სამღვდელოების ჩამოსაჯდომი რიგების მოწყობა, ფარდით ან ცხაურით გამოყოფა ტაძრის სივრციდან. განსაზღვრულია ტაძრის სხვადასხვა ნაწილის ფუნქცია და ადგილმდებარეობა: პასტოფორია - სამკვეთლო საკურთხევლის რომელიმე მხარეს, სადიაკვნე ტაძრის შესასვლელის მარჯვნივ, ხოლო სანათლავი ეზოშია. ტაძართან კათაკმეველთა სპეციალური სადგომი იმგვარად არის მოწყობილი (სავარაუდოდ ღიობებით დაკავშირებული), რომ აქ მყოფთ ფსალმუნების მოსმენის შესაძლებლობა ეძღვევათ. ტაძრის დასასვლელით პორტიკებიანი ოთხკუთხა ეზოა.

ტაძარში სამღვდელოების ადგილი საკურთხევლში, ფარდის მიღმა, წმინდათაწმინდას ახლოსაა (T.D.) და მათ შორის დაცულია იერარქია. ეპისკოპოსი შეაში ზის. მის მარჯვნივ უფრო ღირსეულნი და დამსახურებულნი არიან, ხოლო “ვინც იღვაწა ამქვეყნად, მაგ-

რამ „ზომიერად”, მარცხენა მხარეს სხედან. დიაკვნები ფეხზე დგანან. მლოცველები დამსახურების, სქესის და ასაკის მიხედვით საკურთხეველთან მიმართების და მარჯვენა მხარის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით იკავებენ ადგილს მათვის განკუთვნილ ადგილას.

ამრიგად, ამ პერიოდში ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი ნაწილების რეგლამენტაცია, მათი ფუნქცია, მლოცველთა განაწილების წესი მკაფიოდ არის განსაზღვრული. ამავე დროს გაცხადებულია საუფლო სახლის საკრალური დანიშნულების სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის მიხედვით ტაძრის შიდა ეზოში შესვლა ოთხი სახარების შეგონებაა, ტაძრის სამი კარი - წმინდა სამების აღიარება. თავად ტაძარი, საუფლო სახლი, მორწმუნეთა შესაკრები, კეთილი მწყემსის სამწყოს - ცხვრების სადგომია, სადაც ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩნილი. წმინდა ნათლობის საიდუმლო ოცდაერთი წინასწარმეტყველის და თორმეტი მოციქულის თანადგომით ხორციელდება, რაც სანათლავის ზომებშია გაცხადებული.

წერილობითი წყაროები ნათელყოფს, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების პირველ ეტაპზე, IV-V საუკუნეებში, ეკლესიის მოთხოვნა შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურულ ტიპს და ეკლესიის მიერ მის დაკანონებას განაპირობებს. სიტუაცია იცვლება VI საუკუნიდან, როდესაც იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქაში იგება მონუმენტური გუმბათიანი ნაგებობები, თუმცა ბაზილიკისათვის დამახასიათებელი წაგრძელებული გეგმარება და სამნაწილიანობა ძირითადად ძალაში რჩება (მაგ.: ეწ. გუმბათიანი ბაზილიკის ტიპის ძეგლები ბიზანტიაში). ამ დროიდანვე იწყება ტაძრის არქიტექტურულ სტრუქტურაში გუმბათის, როგორც შიდა სივრცის მთავარი მაორგანიზებელი ელემენტის ფორმირების პროცესი (VI საუკუნის რუსაფა, ქასრ-იბნ-ვარდანი; VII საუკუნისის დასასრულის ნიკეის მიმინდების, VIII საუკუნის მირას წმინდობიზის, IX საუკუნის ანკარის წმ. კლიმენტის ტაძრები). იკვეთება ტაძრის სტრუქტურის დაცვეწა-გამარტივების ტენდენცია, რომელიც კონსტანტინეპოლიში „ნეა“ ტაძრის აგებით სრულდება. ახალი ჩახაზული ჯვრის ტიპი შემგომში გაბატონებულ ადგილს იმკვიდრებს აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში.

გუმბათიანი არქიტექტურის პრიორიტეტული მნიშვნელობა, უთუოდ, განპირობებული იყო ეკლესიის მიერ ღვთის სახლის მშენებ-

ლობის ახლებური გააზრებით, რაზეც მაქსიმე აღმსარებლის (580-662წ) [ლოუ, 1995; კეკელიძე, 1961:14-54; ავერინცევი, 1989:36-59] და გერმანე კონსტანტინეპოლელის (634-733წ) [მანგო, 1972:141-143] ინტერპრეტაცია მეტყველებს. მათი თვალთახედვით ეკლესია ღვთის სახლია და განასახიერებს ზეციურ საუფლოს, კოსმოსს. მაქსიმე აღმსარებელთან ასევე ხილულ სამყროს და თვით ადამიანს, რომელიც საკარალური მნიშვნელობით მიკროკოსმოსს წარმოადგენს. პატრიარქ გერმანესთან ეკლესია განასახიერებს ქრისტეს ჯვარცმას, მის საულავს და აღდგომას; წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარ-მეტყველები და თვით მოციქულთა დაარსებულია; “მას უფრო მეტად ეთაყვანებიან ვიდრე მოსეს მოწმობის კიდობანს, რომელიც იყო მად-ლმოფენილი და წმიდათაწმიდა.”

ეკლესიის უმთავრესი წმინდა ადგილი, საკურთხეველი, მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით ადამიანის სულს, სამსხვერპლო ტრაპეზი – მის სულიერებას, ნაოსი სხეულს წარმოადგენს. გერმანეს მიხედვით საკურთხეველის აფსიდის კონქი განასახიერებს გამოქვაბულს, სადაც იშვა ქრისტე და იმავდროულად მაცხოვრის საფლავს – ანუ ქრის-ტეს ადამიანური ცხოვრების დასაბამსა და დასასრულს.

გერმანესთან საკურთხეველი ის წმინდა ადგილია, სადაც ქრის-ტე იყო დაკრძალული, “რომელზეც ძევს ჭეშმარიტი პური ზეციური, მისტიკური და უსისხლო მსხვერპლი ანუ ქრისტე...” ამავე დროს ეს საიდუმლი სერობის მაგიდა; “ტახტია, რომელზეც ღმერთი, ქრისტიანების მიერ ამაღლებული განისვენებს.” ამგვარად, ტრაპეზი ქრისტეს წმინდა მსხვერპლშეწირვის იდეას განასახიერებს. სამღ-ვდელოების ჩამოსაჯდომი ქვის რიგი ტახტია, რომელზეც ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად წანასწარმეტყველებს მეორედ მოსვლას და უკანას წელ სამჯავროს.

მაქსიმე აღმსარებელთან ეპისკოპოსის საკურთხეველში შებრძანება სიმბოლურად გაიაზრება ქრისტეს ზეცად ამაღლებად, ეკლესია-ში შებრძანება – ქრისტეს კაცად მოსვლად, აბბორი – სულის ღმერთთან შეერთებად. კარნიზი სამყაროს წმინდა წესრიგის სიმბოლო და ჯვარცმული ქრისტეს გამოხატულებაა. ამბორი წმინდა საფლავის ქვაა, რომელზეც იჯდა ქრისტეს აღდგომის მაუწყებელი ანგელოზი და მეტელსაცხებლე დედობს ამცნო ქრისტეს აღდგომა. ტაძრის გუმბათი ზეცას განასახიერებს და ზეციური საუფლოს სიმბოლოა.

ამრიგად, საეკლესიო ნაგებობის არქიტექტურული და სიმბოლური გააზრება IV-V საუკუნეებში საგრძნობლად განსხვავდება VII-VIII საუკუნეების ინტერპრეტაციისაგან. შუა ბიზანტიურ ხანაში კი, 1054 წელს კათოლიკურ სამყაროსგან გამიჯვნის შემდგომ, ძირითადად ფორმირდება ლიტურგიკული წესები და საეკლესიო ნაგებობის სიმბოლური გააზრების საკითხები. თუ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბების პირველ საუკუნეებში ის ძირითადად ტაძრის ცალკეულ ნაწილთა ფუნქციონალური დანიშნულების და მლოცველთა განაწილების რეგლამენტაციას ითვალისწინებს, ღვთის სახლს სამწყსოს სადგომად და ქრისტიანთა სულების სასუფეველში გადასასვლელ ხომალდად აღიქვამს; შემდგომ საუკუნეებში ეპოქის შესაბამის თეოლოგიურ ხედვას ასახავს და რთულ, მრავალსახოვნ ინტერპრეტაციას ეფუძნება. როგორც რ. კრაუთპაიმერი მიუთითებს, სრულად ეს სიმბოლიკა, უთუოდ, მხოლოდ მცირერიცხოვან განსწავლულ პირთათვის იყო გასაგები, მაგრამ ძირითადი არსი ყველასათვის ნათელი იყო [კრაუტპაიმერი, 1965:300].

IV-V საუკუნეებში სიმბოლური გააზრება ძირითადად საკრალური რიცხვების მნიშვნელობის განმარტებას ითვალისწინებს (სამი – სამების, ოთხი – ოთხი სახარების, თორმეტი – მოციქულთა და ოცდაერთი – წინასწარმეტყველთა რიცხვის მიხედვით). მაშინ, როდესაც მოგვიანებით, გუმბათიანი საეკლესიო ნაგებობა სიმბოლური მნიშვნელობით კოსმოსს, ხილულ სამყაროს, ღვთის ხატს განასახიერებს და წმინდა მსხვერპლ შეწირვის და ხსნის იდეას გამოხატავს. შესაბამისად, IV-V საუკუნეებში გავრცელებული ბაზილიკის ნაცვლად, რომელიც იმ პერიოდის მოთხოვნებს მიესადაგებოდა, ბიზანტიისა და აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა გუმბათიან არქიტექტურას ენიჭება. გუმბათით დაგვირგვინებული ერთიანი ხალვათი სივრცე, უდაოდ, ბალებდა ეკლესიის ახალი მოთხოვნის, ქრისტეს მსხვერპლ შეწირვის და ხსნის იდეით განმსჭვალული სამყაროს მთლიანობის განცდის შეგრძნებას.

ამრიგად, საქართველოში, სადაც საეკლესიო ხუროთმოძღვრების ფორმირება ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის გამოყენებით განხორციელდა, ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნების შესაბამისად ახალი იდეოლოგიური და მხატვრული

ამოცანები დაისახვა. გააზრებულ იქნა ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურის სიმბოლური გავების საკითხები. ადგილობრივმა ოსტატებმა გადაამუშავეს როგორც ძველი ხუროთმოძღვრული ტრადიციები, ასევე ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნებიდან მიიღეს და შეითვისეს არქიტექტურული სიახლეები. ყოველივე ამან ადრეული შუა საუკუნეების ხანიდანვე დასაბამი მისცა უგუმბათო თუ გუმბათიანი ხუროთმოძღვრების სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბებისა და გავრცელების პროცესს.

“გერმანიული არქიტექტურულ-მხატვრული სახეები საქართველოში

ხუროთმოძღვრული ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს კონკრეტული ისტორიული კონტექსტი, სოციალ-პოლიტიკური ვითარება, დამკვეთისა და ოსტატის მატერიალური თუ შემოქმედებითი შესაძლებლობები აპირობებს. შესაბამისად არის გადაწყვეტილი ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგალითად ნაგებობის სივრცული თუ გარე მასების განაწილება, ლანდშაფტის კავშირი და ფასადების პლასტიკური დამზუავება, ნაგებობის იერსახის თუ დეკორაციული მორითულობის ელემენტების მხატვრულ-სტილისტური გააჩნება. ნაგებობის ცალკეული ნაწილების ურთიერთშეთანხმებით ყალიბდება არქიტექტურული სტრუქტურის მთლიანობა. ხუროთმოძღვრული ძეგლების გარკვეულ ნაწილს მსგავსი ნიშან-თვისებები ეძებნება. მათი შესწავლა-წარმოჩენა ცალკეული ჯგუფების და ტიპების, ტიპოლოგიური ნიშნების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში განირჩევა რიგი არქიტექტურული ტიპები; თუმცა ბევრია ისეთი ძეგლიც, რომლებიც სხვადასხვა ტიპების სახასიათო ნიშნების სინთეზს ქმნის ან მკვეთრად ინდივიდუალური გადაწყვეტა გააჩნია. ასეთი მიღება განსაკუთრებით დამახასიათებელია ე.წ. გარდამავალი პერიოდის, VIII-X საუკუნის I ნახევრის ხუროთმოძღვრებისათვის, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი ძიებების სანადაც მოიხსენიებს.

საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საეკლესიო არქიტექტურის ორი თემა განვითარდა - უგუმბათო და გუმბათიანი. საქართველოში უგუმბათო ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლია შემორჩენილი, რომლებიც ძირითადად რამდენიმე არქიტექტურულ ტიპს მიეკუთვნება. ესაა-სამნავიანი ბაზილიკა, სამეკლესიანი ბაზილიკა, ორნავიანი ეკლესია და ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია.

სამნავიანი ბაზილიკა

ერთ-ერთი პირველი არქიტექტურული ტიპი, რომელიც ქრისტიანულმა ხუროთმოძღვრებამ საეკლესიო ნაგებობის მშენებლობისათვის გამოიყენა იყო ბაზილიკა. ის, როგორც ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებული ხუროთმოძღვრული ტიპი, მთელ ადრექტისტიანულ სამყაროში გავრცელდა და არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციებით განსხვავებულ ქვეყნებში სახეცვლილებები განიცადა. ამ პროცესში ორი ძროითადი რეგიონი იკვეთება — ერთის მხრივ კონსტანტინოპოლისა და ხმელთაშუა ზღვის ევროპული ნაწილის, მეორე მხრივ აღმოსავლეთის ქვეყნების სახით, რომლებსაც მიეკუთვნება საქართველოც. აღსანიშნავია, რომ გეგმარების თუ რომელიმე არქიტექტურული ფორმის გადაწყვეტის თვალსაზრისით ცალკეულ ქვეყნებში ქრისტიანული ბაზილიკის თავისებური ვარიანტები დამუშავდა. ასე მაგალითად, ექსონართექსი და დასავლეთი ფასადის ორგოშვანი მოტივი სირიაში, სამურას მსგავსი გეგმარების საკურთხეველი ეგვიპტეში, სამეცნიეროი ბაზილიკები საქართველოში, ე.წ. ლატიტუდინალური ტაძრები სირიასა და მესოპოტამიაში.

ტერმინი ბაზილიკა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბაზილევ-სის ანუ მეფის სახლს. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანი მოღვაწეები მისი ეტიმოლოგიის თავისებურ განმარტებას იძლევიან. VII საუკუნის მოღვაწე ისიდორე ისპალინელი თხზულებაში “საწყისების და ეტიმოლოგის შესახებ” განმარტავს, რომ ბაზილიკებს უწოდებენ ტაძრებს, რადგან აქ მსხვერპლს სწირავენ ყველას მეუფეს — ღმერთს. ამავე განმარტებას იზიარებენ შემდგომ საუკუნეებში გალფრედ სტრაბონი (IXს), ვინსენტი ბოვედან და დიურანტი (XIII) [პოკროვსკი, 1880:3].

ბაზილიკას არქიტექტურული ტიპის არსებითი მახასიათებელია საყრდენების ლუწი რიგის მეშვეობით ნავებად დაყოფილი მლოცველთა დარბაზი. გამოიყენება ნავების პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების, მათი გადახურვის, საყრდენების ფორმისა და ურთიერთდაკავშირების სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა ინტერიერის ნავებად დაყოფის პრინციპი ყველა ბაზილიკაში დაცულია. ამრიგად, სამნავიანი ბაზილიკა საყრდენების საშუალებით ნავებად დაყოფილი გეგმაში წაგრძელებული, სწორკუთხა ფორმის ნაგებობაა. შუა ნავი გვერდითებზე მაღალი და განიერია. საყრდენები ერთმანეთს უკავშირდება


თაღების საშუალებით ან გამოყენებულია არქიტრავული სისტემა. ნაგებობის აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდაა, რომელიც გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი ან შვერილი ფორმისაა. ფართოდ გავრცელებულია ე.წ. სამნაწილიანი საკურთხეველი – აფსიდა და გვერდითი სათავსები, პასტოფორიუმები. ბაზილიკის გეგმაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, მიმართული საკურთხევლისაკენ. ამ ტიპის ნაგებობაში ყველა არქიტექტურული ელემენტი საკურთხეველთან მიმართებაში გაიაზრება და მისი მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება.

ბაზილიკის ნავების გადახურვა შეიძლება იყოს კამაროვანი ან ხის კონსტრუქციებით შესრულებული. შეუ ნავს ექსტერიერში უმეტესად დამოუკიდებელი ორფერდა სახურავი აქვს, ხოლო გვერდითებს ცალფერდა. ასეთ შემთხვევაში ნაგებობას გააჩნია ე.წ. ბაზილიკური ჭრილი და ექსტერიერში სახასიათო სილუეტი. ბაზილიკური ჭრილის ნაგებობებში შეუ ნავის კედლებში სარკმლების მოთავსების შესაძლებლობა იქმნება. ეს არსებითად განსაზღვრავს ოოგორც ინტერიერის განათების ინტენსივობას, ასევე შიდა სივრცის ხასიათს. გვხვდება სამი ნავის ერთიანი ორფერდა სახურავით გადახურვის მაგალითებიც. ამგვარი ნაგებობები განსხვავებულია ოოგორც ექსტერიერის, ასევე ინტერიერის გადაწყვეტის და განათების მხრივ. ბაზილიკის დასავლეთ ნაწილში გვხვდება ნართექსი.

პირველი ქრისტიანული ბაზილიკები აიგო რომესა და კონსტანტინებოლში, სადაც მათი მშენებლობა კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირდება. ქრისტიანობის აღიარების შემდგომ ეს არქიტექტურული ტიპი საქართველოშიც გავრცელდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ის შემოტანილ ტიპად არის აღიარებული [ჩუბინაშბილი, 1936:23-24], რაზეც წერილობითი წყაროებიც მიუთითებს. IV საუკუნეში მირიან მეფის დროს კონსტატინეპოლიდან რელიქვიების ჩამოტანისა და ეკლესიების ასაგებად ხუროთმოძღვართა ჩამოსვლაზე მიუთითებს მოქცევათ ქართლისაის შემდეგი მონაკვეთი - “წარმოგზავნეს მღვდელნი მრავალნი და ხურონი ფრიად მრავალნი, რამეთუ კონსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა ეკლესია”. [ქართლის ცხოვრება, 2008: 132]. საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა განვითარების თავისებური გზა განვლო და ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების შესაბამისად ცვლილებები განიცადა.


საქართველოში 70-მდე სამნავიანი ბაზილიკაა ცნობილი [ჯა-ბუა, 2009]. თავდაპირველად მიმოვიზილავთ მონაცემებს სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის რამდენიმე ძეგლის შესახებ, ნოლო შემდგომ საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არსებობის სამი ეტაპისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

ბოლნისის სიონი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნი-
ციპალიტეტში, ბოლნისიდან 8 კილომეტრში. საქართველოს ტერი-
ტორიაზე დაცული უძველესი ასომთავ-
რული წარწერის მიხედვით თარიღდება



478-493 წლებით [ჩუბინაშვილი, 1940]. ამჟამად რესტავრირებულია. ნაგებია
კარგად გათლილი მომწვანო ფერის
ბოლნური ტუფის კვადრებით. წარმო-
ადგენს სწორკუთხა გეგმარების ნაგე-
ბობას შევრილი ნახევარწრიული აფსი-
დით, დაყოფილს ხუთი წყვილი ჯვრუ-
ლი საყრდენით სამ ნავად. ნაგებობას ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე

ღია გალერეა მიუყვება, ხოლო სამხრეთით, აღმოსავლეთ მონაკეთში
ორაფისიდიანი სანათლავია. მის დასავლეთით გალერეა. ბაზილიკა-
ში შესავლელებია გრძივ ფასადებში, ორი ჩრდილოეთი და ერთი
სამხრეთი მხრიდან. დასავლეთი კარი გვიანი ხანისაა. ექსტერიერში
სამიერე ნავი ორკალთა სახურავს ქვეშ არის მოქცეული, რაც XVII
საუკუნის რემონტს უკავშირდება. გალერეებს დამოუკიდებელი ცალ-
ფერდა გადახურვა აქვს. ბოლნისის სიონში აფსიდისპირა და სანათ-
ლავის სვეტისთავები გეომეტრიული, მცენარეული და ცხოველური
მოტივებით არის შემქული.




ვაშნარის ბაზილიკა მდებარეობს გუ-
რიაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ციხისფერდის მახლობლად, ძვე-
ლი ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე. აღ-
მოჩენილია არქეოლოგიური გათხრების
შედეგად და ცუდად არის შემორჩენი-
ლი. თარიღდება VI საუკუნის პირველი
ნახევრით [გობეგვიშვილი, 1952:154-155;
სადრაძე, 2003]. საშენ მასალად გამოყე-
ნებულია ქვა და აგური. გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებო-

ბას აღმოსავლეთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით. შიდა სივრცე სამი წყვილი საყრდენით დაყოფილი იყო სამ ნავად. დასავლეთით ძლებარეობდა განივი ნავი, რომელიც შუა ნავისაგან ორი საყრდენით იყო გამიჯნული. შესაბამისად, შექმნილი იყო არქიტექტურული კომპოზიცია, რომელშიც შუა ნავს სამი მხრით ნავები შემოუყვებოდა. ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ შესარეს ძლებარეობდა სწორკუთხა სათავსი, რომელიც სანათლავად არის მიჩნეული. ცუდი დაცულობის გამო სივრცის გააზრების და გადაზურვის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არის. აღსანიშნავია, რომ ძეგლში დადასტურებულია მარმარილოს ფილები. ასევე გამოვლინდა მარმარილოს კარნიზის ფრაგმენტები, თეთრი მარმარილოს მცირე დიამეტრის სვეტის ღეროს ფრაგმენტი, ქვიშაქვის სვეტისთავის ფრაგმენტი იონური კოლუმნით, ქვიშაქვის სვეტისთავი აკანთის ფოთლებით, კოლუმნით და გრეხილი მოტივით. ეს დეტალები მიუთითებს, რომ ინტერიერი მდიდრულად იყო მორთული.


სეფიოთის ეკლესია მდებარეოს სამეგრელოში აბაშის მუნიციპალიტეტში, აბაშიდან 10 კილომეტრის დაშორებით. აგებულია V საუკუნის II ნახევარში [ზაქარაია, კაპანაძე, 1991:198]. გარკვეული ცვლილებებით მოაღწია. ნაგებია ქვითა და აგურით. ნაწილობრივ გამოყენებულია opus mixtum წყობა. ნაგებობა გეგმაში კვადრატს მიახლოებული ფორმისაა ნახევარწრიულად შვერილი აფსიდით. შიდა სივრცე სამი წყვილი კვადრატული საყრდენით სამ ნავად იყოფა. აღსანიშნავია, რომ გვერდითი ნავები ორსართულიანია. შესასვლელი სამი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდანაა. გრძივ კედლებში ორ-ორი კარია გაჭრილი. გარედან შუა ნავს ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა გადაზურვა აქვს. აღსანიშნავია, რომ სეფიოთში შემორჩენილია ბერძნული წარწერები [ყაუხჩიშვილი, 1951:89-91].

ანჩისხატი მდებარეობს თბილისის ძეგლ უბანში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აგებულია VI საუკუნის დასაწყისში დაჩი უჯარმელის მიერ, რაზეც მიუთითებს დასავლეთ ფასადზე არსებული წარწერა [გვერდწითელი, 2001]. ნაგებია თლილი ქვის კვადრებით. XVII საუკუნის რემონტის ფენა აგურითა შესრულებული. წარმოადგენს




წაგრძელებული გეგმარების ნაგებობას ჩახაზული აფსიდითა და პასტოფორიუმებით. სამკვეთლო გეგმის ჩრდილოეთ მხარეს მცირედ

შვერილია. XX საუკუნის რესტავრაციის დროს დადგინდა, რომ თავდაპირველად შიდა სივრცე სამი წყვილი გეგმაში ჯვრისებრი საყრდენით საბნაგად იყოფოდა. დღეს XVII საუკუნის ორი წყვილი წრიული საყრდენია.




აფსიდას, ისევე როგორც აღმოსავლეთის თავდაპირველი ხანის სარკმელებს, ნალისებური მოხაზულობა აქვს. ნაგებობაში სამი ლუნეტიანი კარია სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდან. ექსტერიერში შუა ნაგებ დამოუკიდებელი ორფერდა, ხოლო გვერდითებს ცალფერდა გადახურვა აქვს. დასავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე ჯვრის ამაღლების რელიეფია შემორჩენილი, რომლის გვერდით ასომთავრული წარწერაა. ნაგებობის სამხრეთით მინაშენის კვალია დადასტურებული.

ურბნისის ტაძარი მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელიდან 10 კილომეტრის დაშორებით ამავე სახელწოდების სოფელში. აგებულია VI საუკუნეში [ზაქარაია, 1965: 86-127]. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. აგურის მასალა XVII საუკუნის რემონტის ფენაშია გამოყენებული. წარმოადგენს ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხა გეგმარების ნაგებობას სამნაწილიანი საკურთხევლით. შიდა სივრცე ოთხი წყვილი გეგმაში ჯვრული საყრდენით სამ ნავად არის დაყოფილი. ტაძარს ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი შესასვლელები აქვს. მინაშენები ჰქონდა სამი მხრიდან, რომელთა ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა. დეკორატიული მორთულობა არ არის. ექსტერიერში მკვეთრად იკვეთება მაღალი შუა ნავისა და გვერდითი ნავებით შექმნილი ე.წ. ბაზილიკური ჭრილის სილუეტი.




ბის ნაგებობას სამნაწილიანი საკურთხევლით. შიდა სივრცე ოთხი წყვილი გეგმაში ჯვრული საყრდენით სამ ნავად არის დაყოფილი. ტაძარს ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი შესასვლელები აქვს. მინაშენები ჰქონდა სამი მხრიდან, რომელთა ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა. დეკორატიული მორთულობა არ არის. ექსტერიერში მკვეთრად იკვეთება მაღალი შუა ნავისა და გვერდითი ნავებით შექმნილი ე.წ. ბაზილიკური ჭრილის სილუეტი.

ზედაზენის ეკლესია მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, საგურამოს მთის ქედზე, ასურელ მამა ოთანე ზედაზნელის დაარსებულ მონასტერში. თარიღდება VIII საუკუნის II ნახევარით და მასში ჩართულია ოთანე ზედაზნელის საფლავზე აგებული VI საუკუნის მცირე სამლოცველო [ჩუბინაშვილი, 1959, 97-109]. მშენებლობისას ოთხი სახის მასალა გამოყენებული – რიყის ქვა, შირიმი, ფლეთილი ქვა და აგური. წარმოადგენს არასწორი კვადრატის ფორმის ნაგებობას დაყოფილს ორი წყვილი საყრდენით სამ ნავად. აღმოსავლეთით გეგმაში ჩახაზული აფსიდაა. ჩრდილოეთი ნავი აღმოსავლეთით ამაღლებულია და აფსიდიანი დაბოლოება აქვს. აქ ზედაზნელის საფლავია მოწყობილი, ხოლო ნავის შუა მონაკვეთში წმინდა ჭაა. სამხრეთი ნავის აღმოსავლეთით სწორკუთხა პასტოფორიუმია. ამ მხრიდან არის ტაძრის შესასვლელი, რომლის წინ IX საუკუნის გეგმაში კვადრატული, თაღებით გახსნილი კარიბჭეა. მის თავზე სამრეკლო ფანჩატურია. მეორე, დასავლეთის კარი გვიანი ხანისაა. აღსანიშნავია, ზედაზნის შიდა კედლების დეკორატიული თაღებით შექმობის ხერხი. ექსტერიერში ნაგებობა სადაა. ყურადღებას იქცევს სამრეკლოიანი კარიბჭე.




აკურას ტაძარი მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, თელავიდან 12 კილომეტრში მდებარე მამადავითის მონასტერში, რომლის დაარსება ილარიონ ქართველის სახელს უკავშირდება. აგებულია 855 წელს [ჩუბინაშვილი, 1959, 110-123]. ნაგებია კახეთისათვის სახასიათო შერეული მასალით. გამოყენებულია რიყის ქვა, შირიმი და აგური. წარმოადგენს კვადრატს მიახლოებული გეგმარების ნაგებობას თავისებური არქიტექტურული გადაწყვეტით. აღმოსავლეთით ნალისებური საკურთხევლის აფსიდაა, რომლის კედლებში ორი დიდი, ნახევარწრიული და ორიც მცირე სწორკუთხა ნიშია. მის გეგრდებზე ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხა სათავსებია. დარბაზში მხოლოდ ერთი საყრდენია, რომელიც შუა ნავს სამხრეთი ნავისგან გამოყოფს. ჩრდილოეთი ნავი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. ის ორსართულიანია და მეორე სართულზე სამალავი აქვს. პირველი სართულის დონეზე კედლით



ორ ტოლ ნაწილად იყოფა, რის შედეგად ღრმა უბეები გამოიყოფა. კიდურა აღმოსავლეთი მონაკვეთი პასტოფორიუმს უკავშირდება გა-სავლელით, ხოლო დასავლეთი მონაკვეთის აღმოსავლეთ კედელში მცირე ნახევარწრიული ნიშაა. ტაძარში შესასვლელია სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან. აღსანიშნავია აგურის დეკორაციული წყობით ამოყვანილი პილასტრებითა და თაღებით გაფორმების შეატვრული ხერხი, რომელიც გამოიყენება ინტერიერში სვეტისა და პასტოფორიუმების კედლების შესამკობად. აკურას ტაძრის გარე მასები სადაა. მიუხედავად ამისა აქაც გზვდებით შეატვრული გაფორმების გა-მორჩეულ ხერხს, კერძოდ, აღმოსავლეთი ფასადის ზედა მონაკვეთის მოხატულობას სოლარულ თემაზე, რომელმაც სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებული სახით მოაღწია.

თოხთაეკლესია მდებარეობს ისტორიულ ტაოში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, სოფელ დორთ კილი-




სესგან რვა კილომეტრში. აგე-ბულია X საუკუნის II ნახევარ-ში [ბერიძე, 1981: 43-45, 163-164; ჯობაძე, 2006: 181-194]. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვად-რებით. გეგმაში წაგრძელებუ-ლი სწორკუთხედის ფორმისაა აღმოსავლეთით სამნაწილიანი

საკურთხევლით. აფსიდა ნახევარწრიულია, პასტოფორიუმები ორ-სართულიანი. შიდა სიგრცე ოთხი წყვილი საყრდენით სამ ნავად იყოფა. ამასთან საყრდენებს შორის თაღები განსხვავებული ზომისაა. კიდურა აღმოსავლეთი ყველაზე ვიწროა, მომდევნო ყველაზე განიერი, ხოლო დანარჩენი დასავლეთი სამი წყვილი ტოლია. შუა ნავის და-სავლეთ მონაკვეთში პატრინიკე იყო მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ ოთხთა ეკლესიის კედლებს თაღები ამკობს როგორც ინტერიერში ასევე ექსტერიერში. ოთხივე ფასადზე თაღები ნაგებობის გარე მასე-ბის აზიდულ პროპორციებს კიდევ უფრო დახვეწილ იქნის ანიჭებს. საყურადღებოა მრავალრიცხოვანი სარკმელების (68) გამოყენების ფაქტი, რაც არ არის დამახასიათებელი ქართული ბაზილიკებისათ-ვის. ექსტერიერში რიგი სარკმელებისა თავსართებითაა შემკული.

საქართველოში სამნავიანი ბაზილიკების მშენებლობის პირველი ეტაპი V, VI საუკუნეებსა და VII საუკუნის I ნახევარს მოიცავს და


თანხვდება ქართული ხუროთმოძღვრების ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს. ამ დროს აგებულია ჩვენთვის ცნობილი 35 ძეგლი. ეს ბაზილიკები მდებარეობს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. პირველი ეტაპის სამნავიანი ბაზილიკების დიდი ნაწილი ძალზე ცუდად არის შემორჩენილი, ზოგიერთი გადაკეთებულია. ამდენად, მთელ რიგ ძეგლებში ნაგებობის შესახებ სრული წარმოდგენის შექმნა მნელია. არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს პირველი ეტაპის ბაზილიკებში რამდენიმე ჯგუფი გმირვყოთ.

პირველი ეტაპის ერთგვარ საწყის საფეხურს წარმოადგენს V საუკუნის ორი ძეგლი – ძველი შუამთა და მატანის ცხრაკარა. ეს ბაზილიკები მომცრო ზომისაა და თავისებური გადაწყვეტით ხასიათდება. უმთავრესია ცენტრულობის პრინციპის დომინირება, რაც მიიღწევა ნაგებობის პროპორციული თანაფარდობით (სიგრძე-სიგანის შეფარდების სიმცირე), არქიტექტურულ სტრუქტურაში დასავლეთი ნავის არსებობით და მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენის გამოყენებით. სამნავიანი ბაზილიკისათვის ტრადიციული სამი ნავის გარდა დასავლეთი ნავის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამგვარ კომპოზიციურ სქემას, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს საქართველოში დადასტურებულ ქრისტიანობამდელი ხანის ცენტრული გეგმარების ნაგებობებთან (მაგ.: ციხიაგორა, დედოფლის მინდორი), უნდა უკავშირდებოდეს გარშემოსავლელის წარმოშობა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო ბაზილიკებში და გვხვდება სამნავიან ბაზილიკებშიც. ძველი შუამთისა და მატანის ცხრაკარას გეგმისა და ინტერიერის გადაწყვეტის ძირითადი თავისებურებანი განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომელიც საქართველოს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს შორის წარმოიშვა. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლები პირველი ეტაპის საწყისი პერიოდის შემდგომ ძეგლებში უფრო ნათლად წარმოჩნდა. თუმცა ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციამ გარკვეულად მაინც იჩინა თავი, ხოლო მეორე ეტაპის ბაზილიკებში მკაფიო გამოვლინება ჰპოვა.



სამნავიანი ბაზილიკისათვის გამოყენებით სამნავიანი ბაზილიკებისათვის გადაწყვეტის ძირითადი თავისებურებანი განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომელიც საქართველოს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს შორის წარმოიშვა. ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მახასიათებლები პირველი ეტაპის საწყისი პერიოდის შემდგომ ძეგლებში უფრო ნათლად წარმოჩნდა. თუმცა ცენტრულობისაკენ სწრაფვის ტენდენციამ გარკვეულად მაინც იჩინა თავი, ხოლო მეორე ეტაპის ბაზილიკებში მკაფიო გამოვლინება ჰპოვა.

მატანის ცხრაკარა ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი გა-
რემოების გამო.



ეს ძეგლი პასტოფორიის მქონე (გამოყოფილია
ჩრდილოეთი სათავსი) უადრესი ბაზილი-
კაა. ამრიგად, ძველი შუამთისა და მატანის
ბაზილიკების მნიშვნელობას განსაზღვრავს
არა მხოლოდ მათი სიძველე (Vს.), არა-
მედ არქიტექტურული გადაწყვეტის თავი-
სებურება. მატანის ცხრაკარაში და ძველი
შუამთის ბაზილიკაში განირჩევა როგორც
ბაზილიკისათვის დამახასიათებელი ნიშნე-
ბი (სამი ნავი, მათი პროპორციული თანაფარდობა, ნავების საყრდე-
ნებით გამიჯვნა, ე.წ. ბაზილიკური ჭრილის არსებობა, ასევე ამ არ-
ქიტექტურული ტიპისათვის უცხო ტენდენციები (სიგრძივი ღერძის
სიმოკლე, ცენტრულობის პრინციპი). ამას გარდა აქ გამოიკვეთა
ისეთი კომპოზიციური სქემა, რომელმაც შემდგომში ქართულ არქი-
ტექტურაში ფართოდ გავრცელებული გარშემოსავლელის წარმოშო-
ბა განაპირობა.

სამნავიანი ბაზილიკების პირველი ეტაპის საწყისი პერიოდის
ძეგლების შემდგომ ჯგუფს ქმნის თავისი მასშტაბით და არქი-
ტექტურული ღირებულებით გამორჩეული ე.წ. დიდი ბაზილიკების
ჯგუფის [ჩუბინაშვილი, 1936, 32-50] ძეგლები: ბოლნისის სიონი, წყა-
როსთავი, უბნისი, ხაშმი, ანჩისხატი, კონდოლი, ნატკორა, ხირსა, გაზი-
სუბანი. თავისი პარამეტრებით ამ ჯგუფს უახლოვდება ნასტაკისის
ბაზილიკა, რომლის მხოლოდ გეგმა იკითხება, სვეტიცხოველის გორ-
გასლისეული და, სავარაუდოდ, წილგანის ბაზილიკები. ამ ძეგლებში
სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მთავარი კონცეფცია
უკვე ნათლად არის გამოკვეთილი. ნაგებობებში ხაზგასმულია დასავ-
ლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექ-
ტურული ფორმების განმეორებით მიღწეული რიტმი განსაზღვრავს.
ნათლად განირჩევა შიდა სივრცის მთავარი და დაქვემდებარებული
ნაწილები, რომელთა ურთიერთდამოკიდებულება ჰქარმონიული წო-
ნასწორობის პრინციპს ეფუძნება. სამწუხაროდ, ამ ძეგლების დიდი
ნაწილის ცუდი დაცულობის ან საფუძვლიანი გადაკეთების გამო,
ძნელია მათი თავდაპირველი სახის სრულად აღდგენა. რაც მკვლე-
ვართა შორის ცალკეული ძეგლების შესახებ აზრთა სხვადასხვაობას
წარმოშობს. მაგალითად, ბოლნისის სიონის გადახურვის შესახებ

ორი საპირისპირო აზრია გამოთქმული. როგორც ცნობილია, ბოლნისის სიონის გადახურვა XVII საუკუნის რემონტის ხანისაა და სამი ნავი ორკალთა სახურავის ქვეშ არის მოქცეული. გ. ჩუბინაშვილის აზრით [ჩუბინაშვილი, 1940: 148] XVII საუკუნეში განმეორებულია ძეგლის თავდაპირველი გადახურვის ფორმა და გამოთქმულია ვარაუდი ორკალთა გადახურვის არსებობის შესახებ ასევე ურბნისის, ხაშმის და ანჩისხატის ბაზილიკებში. ამ მოსაზრებას იზიარებს ვ. ცინცაძეც [ცინცაძე, 1969], რომელიც ორკალთა გადახურვას V საუკუნის სვეტიცხოვლის ბაზილიკაშიც გარაუდობს [ცინცაძე, 1987: 15-25]. საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს ბოლნისის სიონის და ანჩისხატის ბაზილიკების სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელი რ. გვერდწითელი. იგი ძეგლებზე მუშაობის და პარალელურ მასალასთან შეჯერების საფუძველზე ასაბუთებს ამ ბაზილიკებში ოთხკალთა გადახურვის არსებობას [გვერდწითელი, 1969]. ძეგლების ნატურაში კვლევის პროცესში მოპოვებული მასალის გაანალიზების საფუძველზე დამყარებული რ. გვერდწითელის მოსაზრება, უთუოდ, ანგარიშგასაწევია. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ისეთი ძველი ტრადიციების ქვეყნაში, როგორც საქართველოა, სავსებით შესაძლებელია ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთ ქვეყნებში გაგრცელებული არქაული სახესხვაობის, ორკალთა გადახურვის მქონე ბაზილიკის, არსებობა.

როგორც აღვნიშნეთ, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლები გამოირჩევა დიდი ზომით და ამ არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი ნათლად გამოვლენილი ნიშნებით. უმთავრესია დასავლეთ-აღმოსავლეთი დერის ხაზგამბა, რაც ნაგებობის პროპორციული განაწილებით და საყრდენების სიმრავლით მიიღწევა (მაქსიმუმი 5წყ). იმ ძეგლებში, სადაც საყრდენების რაოდენობა ნაკლებია, გრძივი ღერძის პროორიტეტი თაღების ზომის გაზრდით არის შენარჩუნებული. საყრდენი და თაღი ქმნის ერთიან მოდულს, რომლის განმეორებადი გამოყენებით ყალიბდება ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა.

ე.წ. დიდი ბაზილიკების გეგმა და სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა პროპორციულობისა და არქიტექტურული ნაწილების ურთიერთშეთანხმების პრინციპზეა აგებული. თავისი ზომითა და მდებარეობით გამოირჩევა საკურთხევლის აფსიდისაკენ მიმართული მთავარი შუა ნავი. გვერდითი ნავები დაქვემდებარებულ როლს ას-

რულებს, თუმცა მათი პროპორციები და არქიტექტურული გადაწყვეტა ნაგებობის საერთო წყობაში დამოუკიდებელი მნიშვნელობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ამდენად, ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების მხატვრულ-არქიტექტურული სახე თანაბრად არის გამოვლენილი და ინტერიერის საერთო გადაწყვეტას მათი ორგანული კავშირი განსაზღვრავს. ამ ნაგებობებში იქნება ერთიანი, ხალვათი სივრცე. არქიტექტურული ფორმების პროპორციები, საყრდენების რიგი, ზოგ შემთხვევაში საყრდენის ფორმა (ჯვრული, T-ს ფორმის), მასების კერტიკალურ განვითარებას უწყობს ხელს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინტერიერში სივრცის შეგრძნებას.

მთებედავად იმისა, რომ ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლების გეგმარება, სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტა (ინტერიერი და ექსტერიერი) არქიტექტურული ტიპის ძირითად მოთხოვნებს პასუხობს, ცენტრულობის ტენდენცია ზოგ შემთხვევაში გარკვეულ-წილად მანიც კლინდება. ეს უპირველეს ყოვლისა შესასვლელების პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხს ეხება. საზოგადოდ, ბაზილიკაში მთავარი შესასვლელი დასავლეთის მხრიდან არის და ინტერიერის აღქმის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. რაც შეხება ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებს (ბოლნისის სიონი, ხაშმი), აქ უპირატესობა გრძივი ფასადის შესასვლელს ენიჭება. ეს არღვევს არქიტექტურული ტიპის ლოგიკურ სქემას და მასში სივრცის აღქმის სრულიად განსხვავებული, ცენტრული კომპოზიციისათვის დამახასიათებელი ელემენტი შემოაქს. ამდენად, ამ ძეგლებში ხუროთმოძღვრული ფორმები მთლიანად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის შესატყვისა, მაგრამ მათი აღქმა ცენტრული ნაგებობის პრინციპით ხორციელდება.

საქართველოს ბაზილიკების პირველი ეტაპის ამ ჯგუფის ძეგლების, ისევე როგორც საწყისი პერიოდის ბაზილიკების, მხატვრულ-დეკორაციული გადაწყვეტა, ძირითადად, სისადავით ხასიათდება. გასათვალისწინებელია, რომ უმეტესი ძეგლები კახეთში მდგბარობის, ხოლო ამ რეგიონის არქიტექტურულ ძეგლებს მორთულობა არ ახასიათებს. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში გამორჩეულია ბოლნისის სიონის და ხაშმის რელიეფები. მხატვრული და იკონოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ბოლნისის სიონის სვეტისთავები.

ქრონლოგიურად და ნაგებობათა მასშტაბით ეწ. დიდი ბაზი-ლიკების ჯგუფის ძეგლებს უახლოვდება დასავლეთ საქართველოს ბაზილიკები [ზაქარაია, 1983; ლექვინაძე, 1973], რომელთაც რიგი თა-ვისებურებანი ახასიათებს. ეს ბაზილიკებია: ბიჭვინტა, ნოქალაქევი, სეფიეთი, ალაპაძე, ციხისძირი, განთიადი, ვაშნარი, ნოქალაქევის ორ-მოცმოწამეთა, ცამში. აღნიშნული ძეგლები ცუდად არის შემორჩენი-ლი. უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ გეგმა იკითხება და ამიტომ რიგი საკითხების კვლევა ფაქტიურად შეუძლებელია.

დასავლეთ საქართველოში თლილი ქვით ნაგები ძეგლების გარდა გახვდება კედლის წყობაში ქვისა და აგურის რიგების მონაცელება – ეწ. opus mixtum წყობა, რაც ბიზანტიური არქიტექტურის გავ-ლენაზე მიუთითებს. აქ შვერილაფსიდანი ძეგლებია გავრცელებული, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში რამდენიმე გამონაკლე-სის გარდა გეგმის სწორკითხედში ჩაწერილი აფსიდებია. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში პასტოფორიუმები არ არის (გამონაკლე-სია ნოქალაქევის ორმოცმოწამეთა, რომელიც გუმბათიანად არის გა-დაკეთებული). შვერილაფსიდანი გეგმარება და პასტოფორიუმების უქონლობა აფსიდის წინ ბეგმის არარსებობას განაპირობებს.

საინტერესოა. რომ ბიჭვინტის, ნოქალაქევის, განთიადის ვაშნარის ბაზილიკებში სანათლავის ნაშთებია დადასტურებული. ამ ძეგლებში, ისევე როგორც ბოლნისის სიონში, სანათლავის არსებობას ქრონო-ლოგიური ფაქტორიც განსაზღვრავს, რადგან VI საუკუნიდან ტაძარ-ში მისი ცალკე გამოყოფის საჭიროება აღარ იყო. [ბერიძე, 1974: 27].

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების დიდი ნაწილი წაგრძე-ლებული გეგმარების, მრავალსაყრდენიანი (მაქსიმუმი 5წყ.), მასშტა-ბური ნაგებობებია. რიგ ძეგლებს დასავლეთით ნარტექსი აქვს. ამ ძეგლების შუა ნავის გვერდითებთან შეფარდება სჭარბობს აღმოსავ-ლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბამის მონაცემს. დასავლეთ საქართველოს ძეგლების შუა ნავის სიგანე (გამონაკლისია ალაპაძე) ასევე აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკების შესაბა-მის მონაცემს. ეს გარემოება სხვა ფაქტორებთან ერთად (მაგ.: საყ-რდენებად კოლონის გამოყენება), უთუოდ, გასათვალისწინებელია ამ ბაზილიკების გადახურვის რეკონსტრუქციის დროს. სავარაუდო კა-მარების გარდა ზის ძელოვანი გადახურვის არსებობა.

დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების ცუდი დაცულობის გამო ინტერიერის სივრცითი ორგანიზაციის საკითხის გარკვევა მნელია.

ერთადერთი მეტ-ნაკლებად უკეთ შემორჩენილი ძეგლი სეფიეთის ბაზილიკაა. მისი გვერდითი ნავები ორსართულიანია და ამ ნიშნით მკეთრად გამოირჩევა სხვა ქართული ბაზილიკებისაგან


მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებში სხვადასხვა სახის მორთულობის ელემენტების ფრაგმენტებია და-დასტურებული – კლასილური კაპიტელები, იატაკის მოზაიკა, მარ-მარილოს ინკრუსტაცია, რაც ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

დასავლეთ საქართველოს ძეგლებში პასტოფორიუმების, პილასტ-რების უქონლობა, სანათლავის მოწყობა გარკვეულწილად მათ ადრე-ულ თარიღს უკავშირდება. რაც შეეხება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბაზილიკებს შორის აღნიშნულ ზოგიერთ განსხვავებას, ეს გავლენის სხვადასხვა სფეროს არსებობით უნდა აიხსნას. დასავ-ლეთ საქართველოს ბაზილიკებში ე.წ. opus mixtum წყობის, შვერი-ლი აფსიდის, ნარტექსის, ინტერიერის მორთულობის მრავალფეროვა-ნი საშუალებების, კლასიკური კაპიტელების გამოყენება ბიზანტიური არქიტექტურის გავლენაზე მოუთოებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გამოიყოს რიგი ძეგლები (ბიჭვინტა, ციხისმირი, ვაშნარი), რომლებშიც ბიზანტიური გავლენა უფრი თვალსაჩინო და არსებითია; რაც, უთუოდ, სხვა ფაქტორებთან ერთად შავიზღვისპი-რა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სიძლიერით უნდა აიხსნას.

აღმოსავლეთ საქართველოს ბაზილიკები მეტ სიახლოეს აღმო-სავლეთ ქრისტიანული სამყაროს, კერძოდ, სირიის, სომხეთის ძეგლებ-თან ამჟღავნებს, ვიდრე ბაზანტიის ხუროთმოძღვრულ ნიმუშებთან. აღასანიშნავია, რომ ცალკეულ შემთხვევაში (მაგ.: ბოლნისის სიონის სვეტისთავები) სასანური ირანის ხელოვნების ერთგვარი გავლენაც აღინიშნება.

ამრიგად, ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის გააზრება აღ-მოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მსგავსი მასშტაბისა და პროპორციების ნაგებობების სახით განხორციელდა. რაც შეეხება განსხვავების არსებობას, ეს სხვადასხვა კულტურული კავშირების არსებობით განპირობებული საქართველოს ხუროთმოძღვრების მრა-ვალმხრივობის გამოხატულებად გვესახება.

ქრონლოგიურად პირველი ეტაპს განეკუთვნება აგრეთვე უფლისციზის ბაზილიკა, რომელიც კლდეში ნაკვეთი ძეგლია და ამდენად გამოირჩევა სხვა ბაზილიკებისაგან. მის არქიტექტურულ სახეს უპირატესად სწორედ სამშენებლო სპეციფიკა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით [სახუტაიშვილი, 1989: 38-39; სანიკოძე, 1987; ხიმშავიშვილი, 1988; ყიფანი, 1990; გაგოშიძე, 1983: 5-6], ის თავ-დაპირველად წარმართულ ტაძარს წარმოადგენდა და ქრისტიანულ ეკლესიად VI საუკუნეში გადაკეთდა.



საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მეორე ეტაპი მოიცავს VIII, IX და IX-X საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებს და ქრონლოგიურად თანხვდება ქართული არქიტექტურის ე.წ. გარდამავალ ხანას. ამ ეტაპის ძეგლებია -ზედაზენი, ალვანი, თიანეთის სიონი, რევაზაშენი, ქვაბისხევი, აკურა, ბოდბე, უალეთი, ყაზბეგის ახალციხე, ყველაანთუბანი, ხევის სიონი, მოსაბრუნის, კორინთას, ლოპოტის ხევის, ესბეგის, პარეხთას, ქობთავის ბაზილიკები.

ქართულ ხურითმოძღვრებაში გარდამავალი ხანა საინტერესო, ძიებებით აღსავსე პერიოდია. ამ დროს მრავლად იგება თავისებური, ორიგინალური გადაწყვეტით გამორჩეული ძეგლები. აღსანიშნავია, რომ ეპოქის ეს ნიშანი გარკვეული და სამნავიანი ბაზილიკის ტიპ-ზეც ვრცელდება. ამ პერიოდის რიგ ბაზილიკებში აღინიშნება ისეთი არქიტექტურული ფორმები და კომპოზიციური სქემები, რომლებსაც პარალელი არ ეგბნება. ამდენად მეორე ეტაპის სამნავიან ბაზილიკებში ძეგლთა ცალკეული ჯგუფების გამოყოფა არ ხერხდება. ამასთან ნათლად იკვეთება საერთო ნიშან-თვისებები, რაც ამ ეტაპის ძეგლების არქიტექტურული სახის განმსაზღვრელად გვევლინება.

მეორე ეტაპის სამნავიანი ბაზილიკების უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს გრძივი ღერძის დამოკლება და გეგმის კვადრტთან მიახლოვება; შესაბამისად საყრდენების რიცხვის შემცირება ორ და ზოგიერთ შემთხვევაში (რევაზაშენი, ქვაბისხევი, აკურა) ერთ წყვილამდე. სამი ან მეტი წყვილი საერთოდ არ გვხვდება. ამდენად ამ პერიოდის ბაზილიკები სიგრძე-სიგანის პროპორციული თანაფარ-

დობით სრულიად აღარ შეესაბამება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მოთხოვნებს და ცენტრული ნაგებობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენს. ინტერიერში აღარ ხორციელდება საყრდენისა და თაღის განმეორებით შექმნილი რიტმული მონაცემება, რაც ასე და-მახასიათებელია ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისათვის. შეა და გვერდითი ნავების გამზიჯნავი საყრდენების სიმცირის გამო იკვეთება მათი ერთიან სივრცედ ჩამოყალიბების ტენდენცია. თუ გავითვალის-წინებთ, რომ ნაგებობაში მთავარი შესავლელი უმეტესად სამხრეთი მხრიდან არის და ინტერიერის აღქმაც შესაბამისად ხორციელდება, ნათელი ხდება, რომ მეორე ეტაპის ძეგლების ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა ფაქტობრივად ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძირითადი ნიშნების უგულებელყოფის შედეგია.

როგორც პირველი ეტაპის ძეგლების განხილვამ ცხადყო, ცენტრულობის ტენდენციის ნიშნები ადრეული ხანის ძეგლებშიც აღინიშნებოდა, მაგრამ მეორე ეტაპის ბაზილიკებში ამგვარი მიღვომა ნათლად გამოიკვეთა. შედეგად შეიქმნა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი ცენტრული ნაგებობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. მეორე ეტაპის ბაზილიკა აღარ არის წაგრძელებული გეგმარების, საყრდენების რამდენიმე წყვილის მქონე ნაგებობა, სადაც ინტერიერის მხატვრულ სახეს არქიტექტურული ფორმების (საყრდენი, თაღი) მრავალჯერადი მონაცემების პრინციპი განსაზღვრავს. ამ ძეგლებს ახასიათებს კვადრატს მიახლოვებული გეგმა, საყრდენების მინიმალური როდენობა, ერთიანი, ნაკლებად დანაწევრებული სივრცე. მეორე ეტაპის ძეგლები სარკმელების რაოდენობის სიმცირის მიუხედავად მირითადად საკმაოდ კარგად განათებულია (გამონაკლისია ქობთავი), რაც განპირობებულია შედარებით მომცრო ზომის ნაგებობათა კვადრატს მიახლოვებული გეგმარებით, როცა ოთხი მხრით, კედლის ზედა ნაწილში განლაგებული სარკმელებიდან შემოსული სინათლის სხივი ცენტრში იყრის თავს. როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპის რიგ ბაზილიკებში ვლინდება მხოლოდ ერთი კონკრეტული ძეგლისთვის დამახასიათებელი თავისებურება, რისი მაგალითია ზედაზნის და აკურას ბაზილიკები.

ამრიგად, მეორე ეტაპის სამნავიან ბაზილიკებში ნათლად არის გამოვლენილი ცენტრულ კომპოზიციასთან დაახლოვების და საკუთრივ ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის რიგი მახასიათებლების უარყოფის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქის ბაზილიკები თა-

ვისი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით და მნიშვნელობით ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ვერ უტოლდება პირველი ეტაპის ძეგლებს, მაგრამ აღნიშნული თავისებურებების გამო სამნავი-ანი ბაზილიკის ტიპის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების მესამე ეტაპს განეკუთვნება X და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლები – ვერე, ოთხთაეკლესია, პარხალი, ურთა, სანაგირე, კვირიკექტმინდა. X საუკუნეს განეკუთვნება ასევე ზედა ომოგვის [გვერდზითელი, 1947] და სვეტის [ხოშტარია, 1994] ბაზილიკები. ამ ეტაპის მნიშვნელობის განმსაზღვრელია ისეთი ძეგლები, როგორიცაა ოთხთაეკლესია და პარხალი. მათთან გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს, ოუმცა სრულიად განსხვავებული გეგმისაა სანაგირეს ბაზილიკა. რაც შეეხება ურთას ბაზილიკას, ის ძლიერ გადაკეთებულია. ვერე რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. კვირიკექტმინდა, რომელიც რაჭაში მდებარეობს, აღსანიშნავია იმით, რომ დასავლეთ საქართველოში VI საუკუნის შედგომ აგებულ სამნავიანი ბაზილიკის ნიმუშს წარმოადგენს.

საქართველოს სამნავიანი ბაზილიკების ბოლო, მესამე ეტაპის მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლები ოთხთაეკლესია და პარხალი თავისი მასშტაბით და არქიტექტურული ღირებულებით ისევე მნიშვნელოვანია ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის, როგორც ადრეული ბაზილიკები. ამ ძეგლებში მეორე ეტაპის ნიმუშებისაგან განსხვავებით ნათლად არის გამოვლენილი არქიტექტურული ტიპის სახასიათო ნიშნები – გრძივი ღერძი, საყრდენების რამდენიმე, ამ შემთხვევაში ოთხი წყვილი. ამდენად, ეს ნაგებობები ზომით და სიგრძე-სიგანის პროპორციებით ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯვეფის ძეგლებს მოგვაცონებს, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით მათგან განსხვავებულ არქიტექტურულ სახეს ქმნის.

მესამე ეტაპის ამ ძეგლებს და პირველი ეტაპის ბაზილიკებს შორის ძირითადი განსხვავება საყრდენების განაწილების პრინციპ-შია. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯვეფის ძეგლებში საყრდენებს შორის მნიშვნელო და თაღების სიმაღლე თანაბარია. ასეთი გადაწყვეტა ტრადიციულია სამნავიანი ბაზილიკას არქიტექტურული ტიპისათვის და მისი არქიტექტონიკის განმსაზღვრელია. რაც შეეხება ოთხთაეკლესიასა და პარხალს, აქ კიდურა აღმოსავლეთი თაღები ზომით ბევრად მცირეა დანარჩენებზე, ხოლო მისი მომდევნო თაღი ერთნახევარჯერ მეტი სიგანისაა დასავლეთის თანაბარი ზომის თაღებზე. ამას გარ-

და ოთხაეკლესიაში განსხვავებულია თაღების სიმაღლეც, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მატულობს. საყრდენების და თაღების ასეთი განაწილება ინტერიერში სრულიად განსხვავებულ სურათს ქმნის და აფსიდის წინა სივრცის განსაკუთრებულ ხაზგასმას ემსახურება. ამგვარი გადაწყვეტა თავისთავად გუმბათიანი ნაგებობის სტრუქტურას ეხმიანება და მისი გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ ეპოქაში წამყვან თემას გუმბათიანი არქიტექტურა წარმოადგენს. განსხვავება აღინიშნება თაღების ფორმაშიც. ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფის ძეგლებში ნალისებური და ნახევარწრიული თაღებია. ოთხთაეკლესიასა და პარხალში ეპოქისათვის დამახასიათებელი შეისრული ფორმაა გამოყენებული, რაც ამ ძეგლებში ისედაც მაღალი პროპორციების არქიტექტურულ ფორმების ვერტიკალურ მიმართულებას აძლიერებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბაზილიკების ერთ-ერთი მახასიათებელი ექსტერიერისა და ინტერიერში არქიტექტურული ფორმებისა და მასების ზეაწეული პროპორციებია.

პირველი ეტაპის ძეგლებისაგან განსხვავებით ოთხთაეკლესიასა და პარხალში პატრონიკეა მოწყობილი, რაც საქართველოს ბაზილიკებისათვის არ არის დამახასიათებელი და გუმბათიან ნაგებობებში გვხვდება. პასტოფორმიუმებსაც გართულებული ფორმა აქვს. ისინი ორ ნაწილადაა გაყოფილი და თავისებური ფორმის ნიშები აქვთ.


მესამე ეტაპის ამ ძეგლებში მრავალრიცხოვნი სარკმლები ორ და სამ რიგად არის განლაგებული. შესაბამისად შიდა სივრცე ინტენსიურად ნათდება. განათების სისტემის ამგვარი გადაწყვეტა სხვა ბაზილიკებისათვის დამახასიათებებლი არ არის.

ოთხთაეკლესიასა და პარხალში დეკორაციული თაღები ამკობს როგორც ფასადებს, ასევე ინტერიერს. საგულისხმოა, რომ თაღედი, რომელიც პირველად თელოვანის VIII-IX საუკუნეების ეკლესიის გუმბათის ყელზე იყო გამოყენებული [ცინცაძე, 1959], ნაგებობის ფასადებზე პირველად X საუკუნის ოშეში, ოთხთაეკლესიასა და პარხალში გვხვდება. საყოველთაოდ ცნობილია თუ რა დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თაღებს ფასადების გაფორმებისას მოძღვნო საუკუნეების არქიტექტურაში. ამდენად, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ფასადების თაღედით მორთვის სისტემა ქართულ ხუროთმოძღვრებაში

ოშეკთან ერთად სწორედ სამნავიან ბაზილიკებში, ოთხთაეკლესიასა და პარხალში, იქნა შემუშავებული.

ამრიგად, მესამე ეტაპის ძეგლები ოთხთაეკლესია და პარხალი საქართველოში ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოადგენს. მათი არქიტექტურული სახის თავისებურებას განსაზღვრავს ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები და გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა გეგმარებასა თუ შიდა სივრცის გააზრებაში.

მესამე ეტაპის მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია **სანაგირეს ბაზილიკა**. მის გეგმაში დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ნათლად არის გამოვლენილი მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი წყვილი საყრდენია გამოყენებული. სანაგირეს ბაზილიკის თავისებურებას აპირობებს საყრდენების იმგვარი განლაგება, რომ აღმოსავლეთი წყვილი თაღი ორჯერ სჭარბობს დასავლეთისას. შედეგად ინტერიერში იქმნება ბაზილიკისათვის უჩვეულო თანაფარდობა.



აფსიდის წინა, გეგმით კვადრატს მიახლოვებული საყრდენებამდე მოქცეული არ ე გუმბათიანი ნაგებობის გუმბათქვეშა სივრცის ასოციაციას ბადებს. ამ მსგავსებას აძლიერებს დასავლეთით, ნარტექსის თავზე, პატრონიკეს არსებობა, რომელიც ასევე არა ბაზილიკების, არა-მედ გუმბათიანი ტაძრებისთვის არის დამახასიათებებლი.

მესამე ეტაპის აღნიშნულ ძეგლებთან შედარებით მომცრო ზომისაა ურთას და ვერეს ბაზილიკები, თუმცა დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ნათლად იკვეთება. საყრდენების რაოდენობა ურთაში სამი, ვერეში ორი წყვილია. ყურადღებას იმსახურებს ვერეს ბაზილიკაში გვერდითი ნაგების კამარების შეუნავის პერპენდიკულარულად განაწილების წესი, რაც ჯვარგუმბათიან ტაძარებში მკლავების ცენტრალური სივრცისეკნ მიმართებას მოგვავრნებს. ინტერიერის მორთულობაში გარკვეული მხატვრული აქცენტები (წრიული ვარდულები ურთას კაპიტელებზე, გეომეტრიულ ხაზულებიანი რვაწახნაგა კაპიტელები ვერეში), ძეგლების კომპოზიციური გადაწყვეტა ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების შესატყვისია და საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მესამე ეტაპისათვის დამახასიათებელ იერსახეს ქმნის.

ამრიგად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის მესამე ეტაპი ხასიათდება ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ძირითადი ნიშნების (წაგრძელებული გეგმარება, საყრდენების რამდენიმე რიგი) ხელახალი წარმოჩენით. იმავდროულად რიგი არქიტექტურული ფორმების და კომპოზიციური სქემების თავისებურებაში ვლინდება თანადროული ეპოქის, ასევე გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა.

XI საუკუნის შემდგომ საქართველოში იგება ცალკეული ძეგლები, რომლებიც უკვე არის გული არქიტექტურული სქემების მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მხატვრულ დონეზე განხორციელების შედეგს წარმოადგენს და სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თვისობრივად ახალ ეტაპს აღარ ქმნის.

ამგვარად, საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის არსებობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ძირითადად V საუკუნიდან XI საუკუნის დასაწყისმდე პერიოდს მოიცავს. შემდგომ საუკუნეებში მხოლოდ რამდენიმე ძეგლია აგებული. სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი, რომელსაც ნათლად ჩამოყალიბებული კომპოზიციური წყობა ახასიათებს, არსებით სტრუქტურულ გვლილებებს არ განიცდის. შესაბამისად, ქვეტიპები არ გამოიყოფა, თუმცა საქართველოში მისი არსებობის თვითონეულ ეტაპზე გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სამივე ეტაპი წარმოაჩენს ადგილობრივი ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო ცენტრული კომპოზიციის აშკარა გავლენას, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული სიძლიერით თუ სახით ვლინდება და საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის თავისებურებათა განმსაზღვრელ არსებით ფაქტორად გვევლინება.

სამეცნიერო ბაზილიკა


საქართველოში შემუშავდა უგუმბათო არქიტექტურის ორიგინა-ლური ტიპი, რომელიც პირველად გ. ჩუბინაშვილმა შეისწავლა და სამეცნიერო ბაზილიკა უწოდა [ჩუბინაშვილი, 1970:104-108]. ამ ტიპის ნაგებობა გარევნულად სამნავიანი ბაზილიკის მსგავსია, მაგრამ ინტერიერი სრულიად განსხვავებული აქვს. ნავები ერთმანეთის-გან გამიჯნულია არა საყრდენების, არამედ კედლების საშუალებით და სამი იზოლირებული ნაწილია გამოყოფილი. ამგვარი გადაწყვეტის, შესაბამისად, სამეცნიერო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის წარმოშობას გჩუბინაშვილი ლიტურგიკულ აუცილებლობას უკავშირებს [ჩუბინაშვილი, 1959:141,156].

სამეცნიერო ბაზილიკები ძირითადად VI-X საუკუნეებშია აგებული. ისინი შენდება, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთში შემორჩენილია VI საუკუნის ძველი გაგრის და აბანტას, VI-VII სს-ის მიუსერას, გარდამავალი ეპოქის ქიან-აბას სამეცნიერო ბაზილიკები [რჩეულიშვილი, 1978]). განსაკუთრებით ბევრი ძეგლია აგებული კახეთში. სამეცნიერო ბაზილიკები უმეტესად მასშტაბურობით გამოირჩევა, რაც გეგმარების სპეციფიკით არის განპირობებული [ჩუბინაშვილი, 1959:142-43]. ამასთან, შუა, ცენტრალური ეკლესია (ნავი) სიგანითა და სიმაღლით ყოველთვის სჭარბობს გვერდითებს.

სამეცნიერო ბაზილიკის არქიტექტურულმა ტიპმა არსებობის მანძილზე ძირული ცვლილებები განიცადა. გამოიყოფა სამი ძირითადი ეტაპი: 1. V-VI საუკუნეებით დათარიღებული და VI საუკუნის ძეგლები; 2. VI-VII საუკუნეების ძეგლები; 3. VIII-IX-X საუკუნეების ძეგლები. ცალკეული სამეცნიერო ბაზილიკები გვხვდება XIII-XIV საუკუნეებშიც (მაგ.: კუმისის ტაძარი, სოფ. ბედიანის ეკლესია მდინარე ხრამის ხეობაში), რაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს რ. მეფისაშვილი [მეფისაშვილი, 1977:12], ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ერთგვარ რეტროსპექტიულ მოვლენად უნდა აღვიქვათ.

საქართველოში რამდენიმე ათეული სამეცნიერო ბაზილიკაა შემორჩენილი. მიმოვიზილავთ მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ნიმუშს.


ქვემო-ბოლნისი, იგივე ბოლნის-ქაფანაქჩის ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ბოლნისიდან 7 კი-



ლომეტრის დაშორებით. V-VI საუკუნეებს მიე-
კუთვნება [ჩუბინაშვილი, 1970:104-107]. ძლიერ
დაზიანებული სახით მოაღწია. ჩამოქცეულია კა-
მარები. მონგრულია ჩრდილოეთი და დასავლეთი
ნაწილი. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრე-
ბით. გეგმით კვადრატს მიახლოვებული ნაგებობა
გრძივი კედლებით სამად არის დანაწევრულებული.
თითოეული ნავი-ეკლესია აღმოსავლეთით აფსი-

დით ბოლოვდება. შეა ნავი-ეკლესია გვერდითებზე განიერი და მაღა-
ლია. მისი აფსიდა გარედან ხუთწახნაგა შევრილს ქმნის. სამხრეთი
ნავი-ეკლესია ფასადის მხარეს გახსნილი იყო სამი თაღით, რომელთა
შორის წრიული ბურჯები იდგა. სამხრეთი შეა ნაწილს ორი კარით
უკავშირდება. შესასვლელების თავზე რელიეფური კომპოზიციებია.
დასავლეთი კარის თავზე ღვთისმშობლის, ხოლო მეორე კარის თავ-
ზე მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციაა გამოსახული. ჩრდილო-
ეთ ნაწილში გასასვლელი მხოლოდ ცენტრალური ნავ-ეკლესიდან
არის. ნაგებობის გარე ფასადები სადაა. გამოირჩევა აღმოსავლეთი
ფასადი შევრილი აფსიდით. უთუოდ, საინტერესო მხატვრული გა-
მომსახველობა ექნებოდა სამხრეთ ფასადის თაღებს.

ვანათის ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის მუ-
ნიციპალიტეტში, ქვემო ბოლნისისა და ხატისსოფლის დასახლებე-




ბის მოშორებით. აგებულია V-VI საუკუნეებში
[ბერიძე, 1974: 93-94]. ნანგრევების სახით შე-
მორჩა. ნაგები იყო თლილი ქვით. გეგმაში კვად-
რატს მიახლოვებული ფორმა აქვს. მისი სამი
ნავი-ეკლესია კედლებითაა გამოჯნული. სამოვეს
აღმოსავლეთით აფსიდა აქვს, რომელთაგან შეა
ფასადზე ნახევარწრიულად შევრილია. შეა ნა-
ვი უფრო განიერია. ის ჩრდილოეთ ნავს ერთი, ხოლო სამხრეთს
ორი კარით უკავშირდება. ტაძარში შესასვლელი მხოლოდ სამხრე-
თი მხრიდანაა და სამთაღიან კომპოზიციას ქმნიდა.


კონდამიანი მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის
სოფელ კისიხევთან, მისგან 6-8 კილომეტრის დაშორებით ტყეში
არსებულ მონასტერში, მდინარე კისისხევის მარცხნა მაღალ ნაპირ-

ზე. ეკლესია წმინდანების კოზმასა და დამიანეს სახელობისაა და კონდამიანად მოიხსენიებენ. მიეკუთვნება VI საუკუნეს [ჩუბინაშვილი, 1959, 150-153]. საქმაოდ დაზინებული სახით მოაღწია. აგებულია კარგად შერჩული რიყის მსხილი ქვებით. კუთხეებისა და წირთხლები-სათვის ნახმარია შირიმი.

ოდნავ წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმის ნაგებობა კედლებით სამ ნაწილად არის დაყოფილი. შუა ნავი-ეკლესია განიერი, მაღალი და საგრძნობლად გრძელია გვერდითებზე, რადგან საკურთხევლის გვერდით მოზრდილი უაფსიდო სწორკუთხა სათავსებია მოწყობილი. შესაბამისად ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავი-ეკლესია მოკლეა. ისინი ერთი კარით უკავშირდება სათავსებს, ხოლო მეორე კარით ცენტრალურ სივრცეს. სამხრეთი ნავი-ეკლესია გარეთ სამი, ხოლო ჩრდილოეთი ორი თაღით იხსნება. კამარების გამბრჯენი თაღები იმპოსტებზეა დაფუძნებული. გარე ფასადები სადაა. შუა მაღალი და გვერდითი ნავ-ეკლესიების უფრო დაბალი მოცულობითი ფორმები აყალიბებენ ნაგებობის გარეგნულ იერსახეს.




საბუეს წმინდა შიოს ეკლესია მდებარეობს კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში. მიეკუთვნება VI საუკუნეს [ჩუბინაშვილი, 1959, 154-156]. დაზიანებული სახით მოაღწია. აგებულია რიყის ქვით. აგური შეკეთების ნანისაა. წარმოადგენს წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმის ნაგებობას. შუა ნავი-ეკლესია უფრო განიერი და მაღალია. აღმოსავლეთით გეგმაში ჩახაზული ნალისებური აფსიდა აქვს. მისი კონქის თაღიც ნალისებური იყო, მაგრამ შეკეთებისას ფორმა შეცვლილი აქვს. შუა ნავი-ეკლესია აფსიდისპირა კარით სამკვეთლოს უკავშირდება. ცენტრალურ სივრცეს სამი მხრით გარშემოსავლელი, ანუ ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი ნავი ეკვრის. კარით ის მხოლოდ სამხრეთ და დასავლეთ ნაწილს უკავშირდება. სამხრეთი მონაკვეთი ნაგებობის მთელ სიგრძეზეა და აღმოსავლეთით აფსიდით მთავრდება. ჩრდილოეთი ნავი (ეკლესია)



მოკლეა, რადგან მის აღმოსავლეთით სამკვეთლოა. დასავლეთი სამაგი თაღედით არის გახსნილი, რომელთა შორის სწორკუთხა ბურჯებია. კამარების გამბრჯენი თაღები იმპოსტებზეა დაფუძნებული.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთი ფასადზე თაღედი არა სიმეტრიულად ფასადის ცენტრში, არამედ ჩრდილოეთი არის გადაწეული, რაც ყრუ ჩრდილოეთი ნავის განათების შესაძლებლობას იძლევა. სადა ფასადებზე ყურადღებას იქცევს ასევე სამხრეთი ფასადის ორი სარკმლიდან აღმოსავლეთი, რომელის თავზე შემორჩენილია ასომთავრული ასოების ფრაგმენტები და თაღოვანი ლილვი ჯვარით.

ზეგანის “ყველაწმინდა” მდებარეობს კახეთში, გურჯანის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად ტყეში არსებულ სამონასტრო კომპლექსში, რომელშიც რამდენიმე ეკლესია და სხვა ნაგებობების ნაშთებია შემორჩენილი. განეკუთვნება VI-VII საუკუნეებს [ჩუბინაშვილი, 1959. 164-176].




ნაგებია რიყის ქვით, ხოლო კუთხები, პილასტრების იმპოსტები, ღიადების წირთხლები შირიმით არის ამოვგანილი. ქვის ფილებია გამოყენებული ლავგარდანისთვის. გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხებს ჩახაზული ნალისებური აფსიდით. შუა ნავი (ეკლესია) განიერი და საგრძნობლად მაღალია გვერდითებზე. ის საკურთხევლის გვერდებზე არსებულ სწორკუთხა პასტოფორიუმებს ბემის კედლებში გაჭრილი თითო კარით უკავშირდება. ასევე კარებებია გარშემოსავლელის სამხრეთ და დასავლეთ მონაკვეთებში. დასავლეთ ნავს გააჩნია მეორე სართული – ქორო, რომელიც ორი ნალისებურთალიანი ღიადით არის გახსნილი შუა ნავში. ჩრდილოეთი ნავი შუა ნავ-ეკლესიასთან არ არის დაკავშირებული. ის კარით სამკვეთლოს უერთდება. ამ ნავს (ეკლესიას) აქვს ორმალიანი შესასვლელი შუაში წრიული ბურჯით. ამას გარდა მის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთში დაბალი, სწორკუთხა კარია. დასავლეთით ასევე ორმალიანი შესასვლელია, ხოლო სამხრეთით სამმალიანი, ორი წრიული ბურჯით. კამარების გამბრჯენი თაღები იმპოსტებზეა დაფუძნებული. აღსანიშნავია, რომ ინტერიერში ქვის ჩამოსაჯდომი შემოუყვება არა მხოლოდ აფსიდას, არამედ შუა ნავის (ეკლესიის) კედლებს, ასევე ჩრდილოეთი ნავის (ეკლესიის) სამხრეთ კედელს.

ნაგებობის გარე ფასადები სადაა. ყურადღებას იქცევს შუა ნავის მაღალი პროპორციები და შესასვლელის თაღებიანი მოტივი სამ ფასადზე. აღსანიშნავია, გარშემოსასვლელის დასავლეთი ორსართულიანი მონაკვეთის გადაწყვეტა, რომელიც გვერდითებზე მაღალია და განსხვავებულ მოცულობით ფორმას ქმნის.

ნეკრესის სამეცნიერო ბაზილიკა მდებარეობს კახეთში, ევარელის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდის მახლობლად მთის ფერდობზე გაშენებულ სამონასტრო კომპლექსში, რომელშიც კიდევ ორი ეკლესია, ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლე, კოშკი და სხვა ნაგებობებია შემორჩენილი. აგებულია VII საუკუნის დასაწყისში [ჩუბინაშვილი, 1959, 173-176].

ნაგებია ფლეთილი ქვით და შირიმით. გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობაა ჩახაზული ნალისე-




—

ბური აფსიდით. საკურთხეველი ბეტის კედლებში არსებული კარებებით უკავშირდება სწორკუთხა პასტოფორიუმებს, რომლებსაც ღრმა სწორკუთხა ნიშები აქვს. ცენტრალური სივრცე სამი კარით გარშემოსასვლელის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ მონაკვეთებს უერთდება. ჩრდილოეთ და სამხრეთ ნავებს (ეკლესიებს) აღმოსავლეთით აფსიდები, ხოლო გარე კედლებში ორთაღიანი შესასვლელები აქვს შუაში წრიული ბურჯით. დასავლეთ ნავის (ეკლესიის) დასავლეთი კედლის ცენტრში თაღოვანი კარია.

ბაზილიკის ფასადები სადაა. აღმოსავლეთ ფასადზე მოყვითალო ფერის შირიმითი ოდნავ ნალისებური მოხაზულობის დეკორატიული თაღია, ხოლო დასავლეთ ფასადზე ამავე ქვაში თაღოვან ფორმაში ჯვარია ამოგვეთილი. ყურადღებას იქცევს შუა ნავის (ეკლესიის) და გარშემოსასვლელის მოცულობითი ფორმების ურთიერთმიმართება და გრძივ ფასადებზე ორმაღიანი შესასვლელების მოტივი.

ვაჩნაძიანის ყველაწმინდას მონასტრის სამეცნიერო ბაზილიკა მდებარეობს კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანიდან 8 კილომეტრის დაშორებით. ტყეში გაშენებულ მონასტერში მის გარდა შემორჩენილია გუმბათიანი ტაძარი, სატრაპეზო და სხვა შენობების ნანგრევები. მიეკუთვნება VI-VII საუკუნეებს [ჩუბინაშვილი, 1959, 181-184]. აგებულია რიყის ქვით, შირიმით და

აგურით. ნაგებობა ძლიერ დაზიანებული სახითაა მოღწეული. მისი დასავლეთი ნაწილი ჩამოზვავებულმა მიწამ ჩაიტანა. როგორც




ფრაგმენტულად შემორჩენილი აღმოსავლეთი მონაკვეთის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ეს იყო საკმაოდ დიდი ნაგებობა, რომელსაც მთელი რიგი თავისებურებანი ვამორჩევს. ცენტრალური ნაწილს ქმნიდა საკურთხევლის ნალისებური აფსიდა და მის გვერდით სწორკუთხა სათავსები, რომელსაც არა მხოლოდ ნავებთან დამაკავშირებელი კარებები ჰქონდა, არამედ აღმოსავლეთის. ორივე სათავსში აღმოსავლეთი კარის თავზე სარტყელიცაა გაჭრილი. საინტერესოა ასევე ამ ოთახების გადახურვა, რომელსაც პირამიდის მაგვარად ოთხი და-ფერდებით შედგენილი ფორმა ჰქონდა.

ცენტრალური სამნაწილიანი სტრუქტურის ორივე მხარეს არის თანადორული მინაშენები, რაც ნაგებობას ხუთნაწილიან კონფიგურაციას სძენს. განირჩევა ჩრდილო-აღმოსავლეთი სწორკუთხა სათავსი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აფსიდიანი სათავსი. ამ უკანასკნელს აღმოსავლეთიდან ღრმა სწორკუთხა თაღლოვანი ექსცედრა აქვს. სათავს სამხრეთიდან განიერი შესასვლელი ჰქონდა. კიდურა ჩრდილოეთი და სამხრეთი სათავსების დასავლეთით ნაგებობა კიდევ გრძელდებოდა. ჩრდილოეთით დანგრუელ მონაკვეთს აფსიდალური დაბოლოება, ხოლო სამხრეთით სწორი კედელი ჰქონდა.

მიუხედავად შემორჩენილი მონაცემები სიმრირისა ნათელია, რომ ვჩნაამიანის ყველაწმინდას მონასტრის სამეცნიერო ბაზილიკა მასშტაბური და არქიტექტურული გადაწყვეტით გამორჩეული ძეგლი იყო.


ფოთოლეონის ეკლესია მდგრარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის სამხრეთით 5 კილომეტრში მთის ოდნავ გავაკებულ ფერდზე ფოთოლეოთად წოდებულ ტყეში მდებარე სამონასტერო კომპლექსში. განეკუთვნება IX საუკუნეს [ხოშტარია, 1985, 70-82]. ძლიერ დაზიანებულია. ნაგებია მოვარდისფრო-მოყავისფრო ტონის უხეშად დამუშავებული ქვის კვადრებით. გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას ჩახაზული საკურთხევლისა და გვერდითა აფსიდებით. ცენტრალური სივრცე, რომელიც აფსიდისაგან X საუკუნის მაღალმხატვრული კანკელით (დღეს ეროვ-

ნულ მუზეუმშია დაცული) იყო გამიჯნული, პილასტრების წყვილით ორ თანაბარ მონაკვეთად იყოფა. ცენტრალური სივრცე სამხრეთი და დასავლეთი კარტბებით გარშემოსავლელს, ხოლო ჩრდილოეთის კარით ძლიერ წაგრძელებული ფორმის აფსიდიან სამკეთლოს უკავშირდება. ეს სათავსი მეორე კარით გარშემოსავლელში იხსნება. თავად გარშემოსასვლელს ორი, სამხრეთი და დასავლეთი შესასვლელი გააჩნია. საგულისხმოა, რომ გარშემოსავლელის დასავლეთი მონაკვეთი შუა ნავის (ეკლესიის) კედლების გაგრძელებაზე გვერდითი არებისაგან თაღებით არის გამოყოფილი. ექსტერიერში იკვეთება გარშემოსასვლელზე საკმაოდ მაღალი შუა ნავის მოცულობა. ფასადები შეუმკობელია. ერთადერთი დეკორაციული ელემენტი იყო საკურთხევლის აფსიდის ორქანობიანი თავსართი, რომელიც აღარ შემორჩა.



საგულისხმოა, რომ ფოთოლეთის ტაძარში უფრო ადრეული ზანის სამკელესიანი ბაზილიკებისათვის სახასიათო ორ ან სამმალიანი შესასვლელების ნაცვლად კარტბებია გამოყენებული, რაც გვერდითი ნავ-ეკლესიების სტრუქტურას მსგავსებას ამცირებს და ზრდის არქიტექტურულ კომპოზიციაში მათ დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

ჩითახევის ეკლესია მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ამავე სახელობის სეობაში, ქალაქ ბორჯომიდან თხუთმეტიოდე კილომეტრში მდებარე მონასტერში, რომელსაც მწვნე მონასტერში, უწოდებენ. აგებულია IX საუკუნეში [ხოშტარია, 1983, 141-157] ძეგლი რესტავრირებულია. ნაგებია სხვადასხვაზომის უხეშად დამუშავებული ქვებით, რომლებიც საპირე წყობას ქმნიან. ნაგებობის დაგეგმარებაში ძირითადია ყველაზე განიერი და მაღალი მთავარი ნავი (ეკლესია), რომელსაც აღმოსავლეთით გეგმის სწორულებულში ჩახაზული საკურთხევლის აფსიდა აქვს. ნავი (ეკლესია) პილასტრების ორი წყვილით სამ მონაკვეთად




არის დაყოფილი. უბები საკმაოდ ღრმაა. კედლებზე სამხრეთით ნა-
ხევარწრიული დეკორაციული თაღებია, ხოლო ჩრდილოეთით წყვი-
ლადი. ცენტრალური სივრცე თითო კარით სამხრეთ და დასავლეთ
ნავში იხსნება. კიდევ ერთი, ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ
ნაკვეთში გაჭრილი, კარი წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის
აფსიდიან სამკვეთლოში იხსნება. სამხრეთი და დასავლეთი ნავების
შესაყაზე ორმალიანი თაღებია შუაში მასიური წრიული სკეტით.
სამხრეთი ნავი (ეკლესია) აღმოსავლეთით აფსიდით ბოლოვდება. ამ
მხარეს მთავრი, ორმალიანი შესასვლელი იყო მოწყობილი. მის წინ
კარიბჭეა, რომელიც უფრო მოგვანო ხანის უნდა იყოს. ტაძარში
მეორე შესასვლელი დასავლეთ მხარესაა. ეს კარი შუა ნავის კარის
საპირისპიროდ არის გაჭრილი. ეკლესიის ჩრდილოეთი ფრთა სამი
ნაწილისაგან შესდგება. აღმოსავლეთით სამკვეთლოა, მის დასავლე-
თით უფრო განიერი სწორკუთხა ფორმის სათავსია დამოუკიდებელი
შესასვლელით. კიდევ უფრო დასავლეთით უსისტემო წყობით ნაგები
ირეგულარული ფორმის სათავსია დამოუკიდებელი შესასვლელით.
აღმოსავლეთ ფასადზე ნათლად განირჩევა ჩრდილოეთი ნაწილის
გამმიჯნავი სამშენებლო ნაკერი, თუმცა ეს არა ქრონოლოგიური
ინტერვალის, არამედ ორი, ურთიერთმომდევნო სამშენებლო ეტაპის
არსებობაზე მიუთითებს [წოშტარია, 1983, 147].

ექსტერიერში მკვეთრად გამოიყოფა სავრმნობლად მაღალი შუა
და დაბალი გვერდითი ნავების მოცულობები. სამხრეთი ოდნავ უფ-
რო მაღალია ჩრდილოეთისაზე, რომელიც თავისმხრივ სამი განსხ-
ვავებული მოცულობითი ფორმისაგან შესდგება. ტაძრის ფასადები
მოკლებულია ყოველგვარ დეკორს და ასკეტური სისადავით ხასი-
ათდება.

ჩითახევის სამეცნიერო ბაზილიკა თავისებური გეგმარებით
იქცევს ყურადღებას. საინტერესოა სამხრეთი და დასავლეთი ნავების
მიჯნაზე ორმალიანი თაღების გამოყენება, ასევე ჩრდილოეთი ნაწი-
ლის რამდენიმე სათავსის სახით გადაწყვეტა, რაც, უთუოდ, ამ მო-
ნასტრის გარკვეული ფუნქციური საჭიროებით იყო განპირობებული.

ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს
შიდა ქართლში, ცხინვალიდან 10 კილომეტრის დაშორებით, პატა-
რა ლიახვის ხეობაში მდებარე სოფელ ერედვში ძველი გალავნით
შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. სამხრეთი შესასვლელის ბურჯ-
ზე შემორჩენილი წარწერის მიხედვით თეოდორე თაფლაიძის მიერ


მის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 906 წელს [მეფისაშვილი, 1955:101-136]. შემორჩენილია მეტ-ნაკლები ცვლილებებით. ნაგებია კარგად გათლილი ტუფით, რომელიც გამოყენებულია ფასადებსა და კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი დეტალებისთვის. წყობაში ასევე გვხვდება უხეშად დამუშავებული ქვა. წარმოადგენს სწორკუთხა გეგმარების ნაგებობას, რომელშიც აუსიღიან ცენტრალურ სივრცეს აქვს არა მხოლოდ სამშენებლივი გარშემოსავლელი, არამედ გრძელი მინაშენი აღმოსავლეთით. თავად ცენტრალური ნავი (ეკლესია) საფეხურებიანი პილასტრების ერთი წყვილით ორ ტოლ ნაწილად იყოფა. ღრმა უბეჭიში კედლებზე დეკორაციული თაღებია. ცენტრალური სივრცე ჩრდილოეთი კარით სამკვეთლოს, ხოლო სამხრეთი და დასავლეთი კარებებით გარშემოსავლელს უკავშირდება. თავად გარშემოსავლელი ჩრდილოეთ მხარეს უფრო მოკლეა, დასავლეთით გარე კედელში მხოლოდ სარკმელი აქვს. ტაძარში ორმალიანი შესასვლელი სამხრეთ მონაკვეთშია. გარშემოსავლელის სამხრეთი ნაწილი კარით აღმოსავლეთ გრძივ სათავეს უკავშირდება.



დეკორაციული მორთულობა ამკობს როგორც ტაძრის ინტერიერს, ასევე ფასადებზე დადებს. გამოყენებულია რელიეფური წრეების მოტივი, გამოსახულია ჯვარი წრეში და აყვავებული ჯვარი. აღსანიშნავია წარწერიანი სვეტის მორთულობა ორნამენტირებული ზოლით და კაპიტელით, რომელსაც შესხლისტებური ფორმები ამკობს. ექსტერიერში ოთხი მხრივ დაბალი გარშემოსავლელის ცენტრში შეუნავი მოცულობითი ფორმა იკვეთება. ერედვის ტაძარში განსაკუთრებულ ყურადღებას აღმოსავლეთი მინაშენი იქცევს, რომელსაც პარალელი არ ეძებნება. ამ მინაშენის შესასვლელის წინ კედელზე გამოკვეთილია ჯვარი წარწერით, რომელშიც თეოდორეა მოხსენიებული.

ჭერების კათედრალი მდებარეობს კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე, დღევანდელი სოფელ ჭერების განაპირას საეპისკოპოსო სასახლის, გალავნის და სხვა ნაგრევების გვერდით. განეკუთვნება X-XI საუკუნეებს [ჩუბინაშვილი, 1959, 190-193]. ნანგრევების სახით არის მოღწეული.

ნაგებია თლილი და რიყის ქვით. გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებით აღმშენებელთა მატერიალური რესურსების შეზღუდულობის გამო



თავდაპირუელად აიგო ცენტრალური სივრცე ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით. ეს ნაწილი დიდწილად თლილი ქვით აშენდა და როგორც ჩანს ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა გარშემოსავლელის აგებაც, რაც უკვე რიყის ქვით განხორციელდა. ნაგების კამაროვანი გადახურვისთვის ცენტ-

რალური სივრცის გარე კედლებზე ჰილასტრებზე დაფუძნებული სპეციალური თაღედი აიგო. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი ნავი (ეკლესია) დასავლეთისაზე საგრძნობლად ვიწროა და აღმოსავლეთით აფსიდიანი სათავსები აქვს. ეს აფსიდები განსხვავებით საკურთხევლის აფსიდისგან, რომელიც ნალისებურია, ნახევარწრიული ფორმისაა. აღსანიშნავია, ისიც, რომ სამხრეთ კედელს ირეგულარული მოხაზულობა აქვს. ნაგებობაში შესასვლელი სამი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან იყო. ცუდი დაცულობის გამო მნელია გარე მასებზე და მხატვრულ გაფორმებაზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა ნანგრევების სახით შემორჩა მნახელზე მისი მასშტაბი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. ფასადები, სავარაუდოდ, სადა იყო. ჩრდილოეთი კედლზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, რომელზეც კათალიკოზი მელქისედეკის სახელი იკითხება.

სამეკლესიიანი ძეგლების მცირე ნაწილის მიმოხილვაც ცხადყობს, რომ ამ არქიტექტურულმა ტიპმა დროთა ვითარებაში არსებითი ცვლილებები განიცადა. ამ სახეცვლის უკეთ გასაზრებლად განვიხილოთ თითოეული ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

პირველი ეტაპის ძეგლებში გამოირჩევა სამეკლესიიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბების საწყისი პერიოდის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ქვემო-ბოლნისი და ვანათი. ამ ძეგლებში ნათლად არის გამოვლენილი სამი თანაბარი სიგრძის დამტუკიდებელი ნაწილის ისეთი თანაფარდობა, რაც ტერმინ “სამეკლესიიან ბაზილიკას” შეესატყვისება. თითოეული ეტაპისა (ნავი) აღმოსავლეთ მხარეს აფსიდით ბოლოვდება. ამასთან, სამხრეთი ეკლესია

(ნავი) თაღებითაა გახსნილი და ტაძარში შესასვლელი მხოლოდ ამ მხრიდან არის. ქვემო-ბოლნისში და ვანათში, ისევე როგორც კარდანახის საბაწმინდაში, პასტოფორიუმები არ არის. შემდგომში სამეცნიერო სიახლის განვითარებით საბურჯი საბურჯი სამკარიანი ვაზისუბანთან), ხოლო მოგვიანებით სამხრეთი სათავსიც (კონდამიანი, ქასური გიორგი საგურამოსთან, წმინდა სტეფანეს სახელობის ტაძარი იყალთოში, წმინდა ევსტატეს სახელობის ტაძარი ბოლნის-ხევში) გამოიყო. საგულისხმოა, რომ პასტოფორიუმები კარის საშუალებით უმეტესად არა გვერდით, არამედ ცენტრალურ ეკლესიას (ნავს) უკავშირდება. ამდენად ისინი მხოლოდ ცენტრალური ეკლესის (ნავის) საკურთხევლთან კავშირში გაიაზრება. აღსანიშნავია, ისიც რომ სამხრეთ სათავსში სარკმელი უმეტესად არ არის გაჭრილი, რაც სამეცნიერო ბაზილიკის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

პასტოფორიუმების გამოყოფამ ძირეული ცვლილებები შეიტანა სამეცნიერო ბაზილიკის გეგმაში. თუ ადრეულ ძეგლებში სამი ეკლესია (ნავი) სიგრძეში ტოლი იყო, სათავსების არსებობამ გვერდითი ეკლესიები (ნავები) საგრძნობლად დაამოკლა (რუსპირი, კონდამიანი, წმინდა სტაფანეს სახელობის ტაძარი იყალთოში, ქასური გიორგი საგურამოსთან, წმინდა ევსტატეს სახელობის ტაძარი ბოლნის-ხევში). ნაგებობის ასეთმა გეგმამ შემდგომში ლოგიკური განვითარება პპოვა და გვერდითი ეკლესიები (ნავები) დასავლეთი ნავის საშუალებით ერთმანეთს შეუერთდა (წმინდა შიოს სახელობის ეკლესია საბურჯი, ველისციხე, სამკარიანი ვაზისუბანთან). ამგვარად ჩამოყალიბდა გარშემოსავლელის მოტივი, რომლის მხატვრული გამომსახველობა უფრო სრულად მეორე ეტაპის ძეგლებში გამოვლინდა.

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო ბაზილიკებში დასავლეთი ნავი პირველად კარდანახის საბაწმინდას ბაზილიკაში გვხვდება, მაგრამ აქ მხოლოდ პატრონიკეს ქვეშ არსებული პირველი სივრცედ აღიქმება. როგორც გ.ჩუბინაშვილი [ჩუბინაშვილი, 1959:164] აღნიშნავს, კარდანახის ბაზილიკაში არ არის დანახული და გააზრებული ის შესაძლებლობები, რაც დასავლეთის დერუფანს გარშემოსასვლელად გადაქცევს.

ამგვარად, სამეცნიერო ბაზილიკების მშენებლობის პირველ ეტაპზევე გამოვლინდა ამ არქიტექტურული ტიპის გეგმარების სა-

ერთო პრინციპები. შემუშავდა ისეთი მოტივები, როგორიცაა გარშე-მოსავლელი, ორ-სამ თაღედიანი შესასვლელი, უსარკმელო სამხრეთი პასტოფორიუმი.

მეორე ეტაპის სამეცნიერო ბაზილიკები (ნეკრესი, ზეგანი, ამი-დასტური ვაჩნაძიანთან, ნათლისმცემელი საბუჟში, ვაჩნაძიანის ყვე-ლაწმინდას მონასტრის ბაზილიკა) მაღალმხატვრული ძეგლებია. ამ ნაგებობებში წინა პერიოდში შემუშავებული არქიტექტურული ფორმების შემდგომი განვითარება და სრულყოფა მოხდა. შედეგად, კომპლექსიციურად დახვეწილი და არქიტექტურულად კარგად გააზ-რებული სტრუქტურა ჩამოყალიბდა. ნათლად გამოიკვეთა მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილები. ამ ძეგლებში უგულებელყოფილია ადრუელი სამეცნიერო ბაზილიკებისათვის დამახასიათებელი მეტ-ნაკლებად თანაბარი მნიშვნელობის სამ ნაწილად (ეკლესიად) და-ნაწევრების პრინციპი, რაც ასუსტებდა ნაგებობის არქიტექტურულ მთლიანობას, თუმცა თავისთავად სამეცნიერო ბაზილიკის წარმომ-შობ ფაქტორს წარმოადგენდა. მეორე ეტაპის ძეგლებში იკვეთება შეა ეკლესის (ნავის) მნიშვნელობა. ის გამორჩეულია როგორც ზომებით, ასევე მდებარეობით. მას უკავშირდება ბაზილიკის ყველა ნაწილი – ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი ნავები, პასტოფორი-უმები. გვერდითი ეკლესიები (ნავები) ფაქტობრივად მთავარ, შეა ეკლესიას (ნავს) დაქვემდებარებული გარშემოსავლელის უზუქციას ასრულებს.

მესამე ეტაპი სამეცნიერო ბაზილიკების მშენებლობის ინტენ-სივობით ხასიათდება. შესაბამისად იზრდება მათი გავრცელების არეალი. გრძელდება ბაზილიკების მშენებლობა კახეთში (ჭერემის კათედრალი, ლელიანი, წმინდა გიორგი საფარისა წინანდალში [ჩუ-ბინაშვილი, 19 59:188-19 3]) და ქართლში (უფლისციხე [თაყაიშვი-ლი, 19 24 :64], ზემო ბორცური [მეფისაშვილი, 19 77:12], ერევანი [მეფი-საშვილი, 19 55:101-136], ბერის საყდარი [მეფისაშვილი, 19 71:9 1-110]. იგება ბაზილიკები შიდა ქართლის მთიან მხარე ისტორიულ კუდარო-ში (ნადარბაზევი, კასაგინა, კვაისის-ჯვარი [მეფისაშვილი 19 72:141-161], თიანეთში (ცხვარიჭამია [მეფისაშვილი, 19 83:5-13]), ბორჯომის ხეობაში (ნეძვი, ფოთოლეთი, ჩითაზევი, ლიკანი, გუჯრისხევი, მიწის საყდარი, ტაძრისი, სანარია [მეფისაშვილი, 19 63: 232-249; ხოშტა-რია, 19 83:141-157; ხოშტარია, 19 85:70-82; ხოშტარია, 19 86:135-155; ხოშტარია, 19 87]). მესამე ეტაპის სამეცნიერო ბაზილიკები ცალ-

ეფულ შემთხვევაში შთამბეჭდავ მასშტაბს აღწევს. ამასთან, კოდევ უფრო ფართოდ გავრცელდა სამშრივი გარშემოსავლელის მოტივი და ცენტრალურმა ეკლესიამ (ნაგძა), როგორც შიდა სივრცის მაორგანიზებელმა ერთეულმა, მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ამავდროულად, იმ ძეგლებში რომლებშიც ორ ან სამთაღიანი შესასვლელი არ გამოიყენება, გარკვეულწილად გაიზარდა გვერდითა ნავ-ეკლესიების დამოუკიდებლობის ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ ამ ხანის ძეგლებში შუა ეკლესიის (ნავის) კედლებზე პილასტრები გამოიყენება, რაც შიდა სივრცის რიტმულ დანაწევრებას განაპირობებს (ნეძვი, ერედვი, ბერის საყდარი, ტაძრისი). თაღები შიდა კედლებზე ადრეულ ძეგლებშიც გვხვდება (რუსპირის წმინდა თევდორე), მაგრამ აქ განსხვავებული კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მესამე ეტაპის ძეგლებში ნათლად ივრმნობა ფუნქციონალური საკითხების გადაჭრის ცდელობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებულად გაიაზრება და ნაგებობათა გეგმარების თუ სივრცობრივი გადაწყვეტის მრავალგვარობას განაპირობებს. სტილისტური თვალსაზრისით ამ პერიოდში კლასიკურ წონასწორობას ფერწერული ეფექტების ძიება ცვლის [მეფისაშვილი, 1977:4].

საქართველოს ხუროთმოძღვრების ამ თავისებური არქიტექტურული ტიპის, სამეცნიეროანი ბაზილიკის, ფორმირების საკითხი, უდაოდ, იწვევს დიდ ინტერესს. როგორც აღვნიშნეთ, გ. ჩუბინაშვილმა მისი წარმოშობა ლიტურგიკულ აუცილებლობას დაუკავშირა. კერძოდ, დღის განმავლობაში სამჯერ წირვის ჩატარებისთვის საჭირო პირობად სამი საკურთხევლის, შესაბამისად, “სამო ეკლესიის” არსებობა მითნაია. ამ მოთხოვნის უნივერსალური ხასიათის გამო, უთუოდ ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი განხორციელება მხოლოდ ერთი არქიტექტურული ტიპის ძეგლებში მომხდარიყო. საქართველოში სამეცნიეროანი ბაზილიკის არსებობას ზოგი მკვლევარი [ალექსიძე, 1968: 262-26; სილაგაძე, 2001:144-156] VI- VII საუკუნეების ისტორიულ ვითარების გათვალისწინებით სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა (დიოციზიტების, მონოციზიტების და, შესაძლოა, ნესტორიანელების) სავარაუდოდ ერთ ტაძარში ღვთისმსახურების ჩატარებით ხსნის. გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც [მაგ.: ბადჭტიუბნერი, 1984:77-81], რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საკითხი საბოლოოდ დადგენილი არ არის.

სამეცნიერო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის ფორმირების საკითხთან დაკავშირებით, უთუოდ, საინტერესოა IV-V საუკუნეების დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ქრისტიანული ტაძრის მოწყობის შესახებ ეკლესის მოთხოვნების გააზრება [ჯაბუა, 2003:280-285]. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს კათაკმეველთა და განკიცხულთათვის ცალკე სათავსების გამოყოფის მოთხოვნა. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით მლოცველთა დარბაზის მიმართ ეს სადგომები იმგვარად უნდა იყოს განლაგებული, რომ ამ კატეგორიის პირებს, რომლებსაც არ აქვთ საღვთო ლიტურგიაში მონაწილეობის უფლება, ღვთისმსახურების მოსმენის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ზემოთქმულის გათვალისწინებით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ადრეული სამეცნიერო ბაზილიკები ამ მოთხოვნის კარნახით აიგო. ეკლესიის მლოცველთა დარბაზის გვერდით განთავსდა ორი სადგომი, რომლებიც მისგან კედლით გაიმიჯვნა. ფაქტია, რომ არქიტექტორის ამოცანა იზოლირებული სადგომების შექმნა იყო, რაც, თავისთვისად, ეკლესიაში მყოფთა გამიჯვნის სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საგულისხმოა, რომ სუფთა სახით ამგვარი სამნაწილიანი სტრუქტურა ერთეული გამონაკლისის გარდა მხოლოდ საწყისს პერიოდში გვხვდება, ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში ქრისტიანობის საბოლოო დამკვიდრების შემდგომ, როდესაც, ალბათ, უფრო ნაკლები იყო ზრდასრულ ახალმონათლულთა რიცხვი და ეკლესიებში სანათლავისთვის ცალკე სათავსის გამოყოფაც თითქმის აღარ გვხვდება, სამეცნიერო ბაზილიკებმაც სახე იცვალა და გვერდითმა სადგომებმა გარშემოსავლელის ფორმა მიიღო. აღსანიშნავია, რომ საკითხის ამგვარ გაებას ეხმანება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებაც [კაპანაძე, 2002:43-56], სადაც მამაკაცების, ქალების და ყრმათა შორის დიფერენცირების მოთხოვნაა წარმოჩნდილი.

სამეცნიერო ბაზილიკის არქიტექტურული ტიპის სტრუქტურაში მლოცველთა დარბაზს რომ მხოლოდ ცენტრალური ეკლესია (ნავი) წარმოადგენს, ტიპის ევოლუციაც ნათელყოფს. ამ პროცესში ცენტრალური ეკლესია (ნავი) ნათლად გამოკვეთილ სახეს იღებს და ნაგებობის სხვა ნაწილებს იქვემდებარებს. განსაკუთრებით საყურადღებოა პასტოფოლიუმების ცენტრალურ დარბაზთან დაკავშირება. ამგვარად სამეცნიერო ბაზილიკებში ისეთი პარმონიული ურთიერთშეთანხმება ყალიბდება, რაც მეორე ეტაპის არქიტექტურული

ღირებულებით გამორჩეულ ძეგლებს ახასიათებს. არქიტექტურულ სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოფა მთავარი – ცენტრალური სივრცე, მღვეველთა დარბაზი საკუთხევლის აფსიდით და მას დაქვემდებარებული ნაწილები – პასტოფორიუმები, გარშემოსავლელი.

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს სამეცნიერო ბაზილიკის წარმოშობის მიზეზების შესახებ და ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. თუმცა არავინ დავობს იმასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო ბაზილიკის, როგორც არქიტექტურული ტიპის სტრუქტურა სამნავიან ბაზილიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ამდენად, სამნავიანი ბაზილიკამ, რომელიც საქართველოში გაქრისტიანების შემდგომ ფართოდ გავრცელდა, სათავე ახალი ტიპის ფორმირებასაც დაუდო. სამნავიან ბაზილიკაში არსებული ზოგიერთი არქიტექტურული მოტივი (გარშემოსავლელი, ინტერიერის რიტმული დანაწევრება) სამეცნიერო ბაზილიკაში შემოქმედდებითად იქნა დამუშავებული და მისი არქიტექტურული სახის განმსაზღვრელი გახდა. თავის მხრივ სამეცნიერო ბაზილიკაში გამოყენებული არქიტექტურული ფორმები (ორ-სამ მალიანი შესასვლელი) სამნავიან ბაზილიკებშიც გავრცელდა.

ამრიგად, საქართველოში ჩამოყალიბდა უგუმბათო ხუროთმოძღვრების ორიგინალური არქიტექტურული ტიპი – სამეცნიერო ბაზილიკა, რომლის ფორმირება საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის გავრცელების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამ ტიპიმა განვითარების სამი ეტაპი განვლო, რამაც სტრუქტურის ტრანსფორმაცია განაპირობა. არსებითი იყო მეორე ეტაპის ცვლილებები. შედეგად შეიძლება განვასხავოთ ორი ძირითადი ქვეტიპი: 1. სამნაწილიანი ქვეტიპი, რომლის ყველაზე კარგი ნიმუში ქვემო ბოლნისი და ვანათია. 2. გარშემოსავლელიანი ქვეტიპი, სადაც გამოკვეთილია ცენტრალური სივრცე და სამშერივი გარშემოსავლელი. ამასთან, არის ძეგლების ჯგუფი, რომელიც ამ ორი ქვეტიპის შუალედურ ვარიანტებს ქმნის.


ორნავიანი ეკლესია

შეა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრებაში უგუმბათო არქიტექტურის კიდევ ერთი ტიპია შესწავლილი, რომელსაც ორნავიან ეკლესიად მოიხსენიებენ. დღემდე შემორჩენილი და სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული დაახლოებით ორი ათეული ძეგლი [ელიზბარაშვილი, 1983; ელიზბარაშვილი, 1986; ელიზბარაშვილი, 1993; ელიზბარაშვილი, 1994; გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი, 1959:71-79, 91-94; საყვარელიძე, 1972:25-30; გომელაური, 1982; გაბაშვილი, 1985; მიქელაძე, 1963; წერეთელი, 1990].

ორნავიანი ეკლესია წარმოადგენს სწორკუთხა გეგმარების ნაგებობას, რომელიც საყრდენის საშუალებით ორ არათანაბარ ნაწილად არის დაყოფილი. შესაბამისად გააჩნია აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდის მქონე დიდი ნავი და მეორე, მცირე ნავი. შეიძლება იყოს ერთი პასტოფორია და სტოა.

ორნავიანი ეკლესიების გავრცელების არეალი საქმაოდ დიდია. ისინი შემორჩენილია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (შალაური, ნალიანთკარი, ბაიხო, ბზიანა, ქოჩალო, ახმეტის ლვოაება, ქვემო წერაქვი), ასევე სამხრეთ (ლართა, ქილდა, ზედა ვარძია) და დასავლეთ საქართველოში (ტაბაკინი, მღვიმევი, ვანის წმინდა გიორგი, ბზიანა). მათი შშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები რამდენიმე საუკუნეს მოიცავს. უადრესი ძეგლები (შალაური, ქოჩალო, ბალიანთკარი, ბაიხო) VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება და ამ ტიპის ძეგლების შშენებლობა XI საუკუნემდე მოძინარეობს. შემდგომი პერიოდის მხოლოდ ორი ძეგლია ცნობილი, კერძოდ, XIII საუკუნის ქვემო წერაქვი და მღვიმევი.


თავდაპირველად მოკლედ განვიხილავთ რამდენიმე ნიმუშს, შემდგომ კი წარმოვაჩენთ ამ არქიტექტურული ტიპის არსებით ნიშნებს და ორნავიანი ეკლესიის ორი განსხვავებული ქვეტიპის მახასიათებლებს.



შალაურის ეკლესია მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, თელავიდან ორიოდე კილომეტრში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. აგებულია VI საუკუნის I ნახევარში [ელიზბარაშვილი, 1994]. ნაგებია რიყის ქვით და შირიმით.

წარმოადგენს სწორკუთხა ფორმის ნაგებობას, რომელიც ერთი საყრდენით ორ ნავად არის გაყოფილი. ამათგან ჩრდილოეთის ბევრად მცირეა. მთავარი ნავის აღმოსავლეთით საკურთხევლის ნალისებური აფსიდაა, ხოლო ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთით სამკვეთლოა, რომელიც ამ ნავს კარით უკავშირდება. ტაძარში შესასვლელი მხოლოდ სამხრეთი მხრიდან არის მოწყობილი.


ბათქოს სამების ეკლესია მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოდან ორნახევარ კილომეტრში, ნასოფლარზე. აგებულია VII საუკუნეში [ჩუბინაშვილი, 1959, 91-94; ელიზარაშვილი, 1994]. ნაგებია მოზრდილი ზომის რიყის ქვებით და შირიმით. გეგმაში კვადრატს მიახლოვებული სწორკუთხედის ფორმისაა. შედგება სამი ნავისაგან. აქედან ცენტრალური და ჩრდილოეთი ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთი საყრდენით, ხოლო სამხრეთი იზოლირებულია კედლით. ის შეუ ნავს მხოლოდ კარით უკავშირდება და დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. ეკლესიის ძირითად სივრცეში შესასვლელიც დასავლეთი მხრიდან არის მოწყობილი. ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთით სწორკუთხა სამკვეთლოა.



ბზიანას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აგებულია VIII საუკუნეში [ელიზარაშვილი, 1983]. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით და შირიმით. სწორკუთხა გეგმარების ნაგებობის შიდა სივრცე ერთი საყრდენით ორ ნავად იყოფა. მთავარ ნავს აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდა აქვს. მომცრო ჩრდილოეთის ნავის აღმოსავლეთით სამკვეთლოა, რომელიც შალაურისგან განსხვავებით არა ამ ნავში, არამედ აფსიდისწინა სივრცეში იხსნება. ტაძარში ორი შესასვლელია. დასავლეთის კარი ფასადის ცენტრიდან ოდნავ სამხრეთით არის გაჭრილი მთავარ ნავში, ხოლო მეორე, ჩრდილოეთის კარი გვერდით ნავში იხსნება.




დართას ეკლესია მდებარეობს მესხეთ-ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში. თარიღდება IX საუკუნით [თაყაიშვილი, 1924,



ტაბ, 8, 9; ელიზარაშვილი, 1994]. ნაგებია თლილი ქვის კვადრებით. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა. შიდა სივრცე ერთი საყრდენით ორ არა-თანაბარი ზომის ნავად იყოფა. უკვე განხილული ძეგლებისაგან განსხვავებით, აქ მცირე ზომის ნავი და მის აღმოსავლეთით მდებარე სათავის არა ჩრდილოეთით, არამედ სამხრეთით მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ ნაგებობაში ერთადერთი შესასვლელი სამხრეთი ნავში საყრდენის პირდაპირ არის გაჭრილი.

ახმეტის ღვთაება მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ცენტრიდან ნახევარ კილომეტრში, სოფ-



ლის სასაფლაოზე. განეკუთვნება IX-X საუკუნებს [ჩუბინაშვილი, 1959, 71-79]. ნაგებია რიყის ქვითა და შირიმით. კვადრატს მიახლოვებული გეგმარების ნაგებობაა, რომელსაც დასავლეთიდან გრძელი ნავი აქვს მიშენებული. მისი კამაროვანი გადახურვისთვის შიდა კედლებზე პილასტრებია აგებული. საგულისხმოა, რომ დასავლეთ ნავში შესასვლელები ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს არის გაჭრილი.

ნაგებობის ძირითადი ნაწილი სამანაწილიანია. მთავარი და ჩრდილოეთი ნავი ერთი საყდენით არის გამოყნული. ჩრდილოეთი ნავი კარით სამკვეთლოს უერთდება. მთავარი ნავის სამხრეთით კედლით გამოყოფილი გრძელი ნავია, რომელსაც ორმალიანი შესასვლელი აქვს და ამიტომ სტოას ჩამოჰგავს. ის ერთი გასასვლელით დასავლეთ ნავს, მეორით კი ცენტრალურ სივრცეს უკავშირდება. აღსანიშნავია მისი გადახურვა, რომელიც სამი გამბრჯენი თაღით ოთხ მონაკვეთად იყოფა. აქედან კიდურა დასასვლელი და აღმოსავლეთი მონაკვეთები შესაბამისად ჯერული და გლუვი გუმბათოვანი თაღებითაა გადახურული.




გნის წმინდა გიორგის ეკლესია მდებარეობს იმერეთში, ხარაგოულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანში. აგებულია X საუკუნეში [ელიზარაშვილი, 1994, 12-13]. ნაგებია თლილი ქვით.

წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას, რომელიც ერთი საყრდენით ორ ნავად იყოფა. ჩრდილოეთი სამჯერ უფრო ვიწროა მთავარ ნავზე და ინტერიერში მის ერთგვარ დანამატად აღიქმება. ამ მხარეს სათავსი არ არის გამოყოფილი. ნაგებობას დასავლეთით მოელ სიგრძეზე განიერი მინაშენი აქვს. შესასვლელი სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან არის მოწყობილი.

ზედა ვარძია მდებარეობს სამცხე-ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვარძიის ჩრდილო-დასავლეთით 3 კილომეტრში, მაღალი მთის ფერდობზე. განეკუთვნება X-XI საუკუნეებს [ელიზბარაშვილი, 1994, 13]. ნაგებია თლილი ქვით. კვადრატს მიახლოვებული გეგმის ნაგებობაა, რომლის მთავარი ნავი უკვე განხილული ძეგლებისაგან განსხვავებით მომცრო ჩრდილოეთი ნავისაგან ორი საყრდენით არის გამოყოფილი. მათ კაპიტელებს სხვადასხვა ორნამენტული მოტივი ამკობს. სამკვეთლო კარით გვერდით ნავს უკავშირდება. მის თავზე სამალავია მოწყობილი. საკურთხევლის აფსიდის სამხრეთ კედელში გეგმაში წრიული ფორმის მოზრდილი ნიშაა, რომელ-საც სარკმელი ანათებს. ძირითადი ნავი სამხრეთი კარით სტოას უკავშირდება, რომელსაც აღმოსავლეთით აფსიდა აქვს და ფასადის მხარეს სამმალიანი შესასვლელი გააჩნია. როგორც ამ არქიტექტურული ტიპის მკლევარი ირ. ელიზბარაშვილი მოუთითებს, ზედა ვარძიის ტაძარი მრავალი ნიშნით იქცევს ყურადრებას და უმრავლესი ორნავიანი ეკლესიებისაგან იმპოზანტურობითა თუ შესრულების არტისტიზმით გამოირჩევა [ელიზბარაშვილი, 1994, 13].

როგორც განხილული ძეგლების მიმოხილვაც ცხადყოფს ორნავიან ეკლესიების არქიტექტურული ტიპის არსებით მახასიათებელს შიდა სივრცის საყრდენის მეშვეობით ორ არათანაბარ ერთეულად დაყოფის წესი წარმოადგენს. გეგმარების და შიდა სივრცის დანაწილების მიხედვით ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. პირველია ორნაწილიანი სტრუქტურის მქონე ძეგლები, სადაც ნაგებობაში საყრდენებით გამიჯნული ორი ნავია. მთავარი ნავი შედარებით დიდი ზომისაა, ხოლო მომცრო გვერდით ნავი შეიძლება იყოს როგორც ჩრდილოეთ (შალაური, ბალიანთკარი, ბზიანა, ქილდა, ვანის წმინდა გი-



სტოა

ორგი, მღვიმევი), ასევე სამხრეთ შხარეს (ობოლეთი, დანკალი, ვანის ბზიანი). მეორე ჯგუფის ძეგლები სამნაწილიანი სტრუქტურისაა. მთავარი და გვერდითი ნავის გარდა სამხრეთით ნაგებობის მთელ სიგრძეზე სტოა (ტაბაკინი, ახმეტა, ქოჩალო, ზედა ვარძია) ან იზოლირებული ნავია (ბაიხო).

ორნავიანი ეკლესიები მომცრო ზომის, გეგმის სტორკუთხედში ჩაწერილი აფსიდის მქონე ნაგებობებია. შვერილი აფსიდა მხოლოდ მღვიმევშია. პირველი ჯგუფის ძეგლები წაგრძელებული სტორკუთხედის ფორმისაა, ხოლო მეორე ჯგუფის – გეგმაში კგადრატს უახლოვდება.

ორნავიან ეკლესიებში მთავარი და გვერდითი ნავი ერთმანეთი-საგად მხოლოდ ერთი საყრდენით გამოიყოფა. გამონაკლისია ზედა ვარძია და ნების საზიანა”, სადაც ორი საყრდენია გამოყენებული. მთავარი ნავი ზომით ყოველთვის სჭარბობს გვერდითას, რომელიც შიდა სივრცის ორგანიზებაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. სარკმლების განლაგება, შესაბამისად ინტერიერის განათების ხასიათი, მთავარი ნავის მნიშვნელობის წარმოჩენას ემსახურება. ნავებს კამაროვანი გადახურვა აქვს. პირველი ჯგუფის რამდენიმე ძეგლსა და მეორე ჯგუფის ძეგლებში გამბრჯენი თაღები პილასტრებს ეყრდნობა; სხვა შემთხვევაში კონსოლებზეა დაფუძნებული. პილასტრის გამოყენება ანაწერებს კედლის სიბრტყეს, თავისებურ გამოშსახველობას ანიჭებს და შიდა სივრცის არქიტექტურული სახის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად გვევლინება. ამ მხრივ საყურადღებოა ახმეტის ღვთაებას ეკლესია, სადაც მთავარი ნავის კედლებზე დეკორაციული თაღებია გამოყენებული. საერთოდ, ორნავიანი ეკლესიების ინტერიერი სისადავით გამოიჩევა (გამონაკლისია დავათი, ზედა ვარძია).

ორნავიან ეკლესიებში გეგმარების სპეციფიკა ერთი პასტოფორუმის მოწყობის შესაძლებლობას იძლევა. უმეტეს შემთხვევაში სათავსი საკურთხევლის ჩრდილოეთ შხარეს არის (შალაური, ბალიანთვარი, ბზიანა, ბაიხო, ახმეტა, ქოჩალო, ზედა ვარძია, მღვიმევი), იშვიათად სამხრეთით (ღართა). რიგ ძეგლებში სათავსი საერთოდ არ არის. პასტოფორუმი უმეტესად სტორკუთხა გეგმისაა. აფსიდა აქვს ტაბაკინის, დართას და მღვიმევის სათავსებს. შესასვლელი ძირითადად გვერდითი ნავიდან არის (შალაური, ბაიხო, ქოჩალო, ახმეტა),

ზოგჯერ კარი საკურთხევლის წინამდებარე სივრცეში იხსნება (ბზიანა, დართა). ტაბაკინსა და მღვიმეში კი ჩრდილოეთი სათავსი დაკავშირებულია ორგორუ საკურთხეველთან, ასევეც გვერდით ნავთან.

ორნავიან ეკლესიაში ტაძარში შესასვლელი მოთავსებულია სამხრეთ და დასავლეთ, იშვიათად ჩრდილოეთ მხარეს (ტაბაკინი, ბზიანა). პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება. საყურადღებოა, რომ მეორე ჯგუფის ძეგლებში სამხრეთ სტოაში ორ ან სამთაღიანი შესასვლელია.

ექსტრიერში თითოეულ ნავს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს. პირველი ჯგუფის ძეგლებში სამფერდა, ხოლო მეორე ჯგუფის ძეგლებში ოთხფერდა გადახურვა გამოიყენება. გამონაკლისია ორფერდა სახურავი ზედა გარძიაში, სადაც ასეთი გადაწყვეტა სამაღლავების არსებობამ განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ ორნავიანი ეკლესიების, ისევე ორგორუ უგუმბათო არქიტექტურის ტიპების, სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების შენებლობა დაახლოებით თანადროულად მიმდინარეობდა. ამ ტიპის ძეგლებისათვის დამახასიათებელია სწორკუთხა გეგმა. უფრო მეტად გავრცელებულია გეგმაში ჩაწერილი აფსიდები. ისევე როგორც უმეტესი შვერილაფთვისი სამნავიანი ბაზილიკა, ასევე შვერილი აფსიდის მქონე ორნავიანი ეკლესიაც (მღვიმევი) დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. ორნავიანი ეკლესიების მეორე ჯგუფის ძეგლები ნაგებობის კონფიგურაციის მხრივ თანადროულ სამნავიან ბაზილიკებთან მსგავსებას ამჟღავნებს. ისინი კვადრატს მიახლოებული გეგმისაა. არსებითია, აგრეთვე, მათი სამაწილიანობის გათვალისწინება. საგულისხმოა, რომ შიდა სივრცის ნავებად დაყოფებული ტიპის ძეგლებში საყრდენების საშუალებით ხორციელდება. ამასთან გამოიყოფა მთავარი და დაქვემდებარებული სივრცეები. ორგორუ სამნავიანი ბაზილიკის, ასევე ორნავიანი ეკლესიის არქიტექტურული სტრუქტურის ფარგლებში აღინიშნება ნავთა ურთიერთიმიარობის დროისმიერი ცვლილებები. ორივე ტიპის ძეგლებში გამოიყნება პილასტრი. ინტერიერი სადაა. უმეტეს ნაგებობებში პრიორიტეტი სამხრეთ შესასვლელს ენიჭება.

სამნავიანი ბაზილიკები და ორნავიანი ეკლესიები მსგავსების მიუხედავად სრულიად განსხვავებული არქიტექტონიკის ნაეგბობებია. პირველ შემთხვევაში გეგმა და სივრცული გადაწყვეტა არქიტექტურული ფორმების გაწონასტორების და პარმონიულობის პრინციპზე

აგებული. ნაგებობაში არსებული მთავარი და დაქვემდებარებული ნაწილების ურთიერთმიმართება ერთიანი სივრცის შექმნას ემსახურება. საპირისპიროდ, ორნავიან ეკლესიაში ასიმეტრიულობის პრინციპია გადამწყვეტი, რაც კარგად იკითხება როგორც გეგმის (ერთი გვერდითი ნავი, ერთი პასტოფორიუმი), ასევე სივრციობივ-მოცულობით გადამწყვეტაში. გვერდითი ნავი ამ ძეგლებში დამატებით სივრცედ აღიქმება.

აღსანიშნავია, რომ ორნავიან ეკლესიებს გარკვეული საერთო ნიშნები სამეკლესიან ბაზილიკასთან ექვნება. ორნავიან ეკლესიებში ფართოდ არის გავრცელებული ორ-სამ თაღიანი შესასვლელი, რომელიც სამეკლესიანი ბაზილიკებისათვის არის დამახასიათებელი. ისევე, როგორც ბევრ სამეკლესიან ბაზილიკში, ორნავიან ეკლესიებშიც შხოლოდ ჩრდილოეთი სათავსია გამოყოფილი. პასტოფორიუმის საკურთხეველთან კარით დაკავშირების წესი ორივე ტიპის ძეგლებში გვხვდება. სამეკლესიან ბაზილიკებსა და ორნავიან ეკლესიებში პასტოფორიუმი უმეტესად უაფსიდოა.


ამრიგად, ნაგებობის არქიტექტონიკის მხრივ ორნავიანი ეკლესიები საგრძნობლად განსხვავდება საქართველოს უგუმბათო არქიტექტურის ტიპებისაგან. ამ ტიპისთვის დამახასიათებელი ნაგებობის შიდა სივრცისა და გარე მასების ასიმეტრიული გააზრების პრინციპი უცხოა სამნავიანი თუ სამეკლესიანი ბაზილიკებისათვის და, საზოგადოდ, სხვა არქიტექტურული ტიპებისათვის.

დარბაზული ანუ ერთნავიანი ეკლესია

უგუმბათო არქიტექტურის ყველაზე მარტივი ტიპი, ერთნავიანი ანუ დარბაზული ეკლესია ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული ტიპია. ის საქართველოშიც შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების ისტორიის ყველა ეტაპზე შენდება [ჩუბინაშვილი, 1970:173-177, 279-288; შერლინგი, 1948:11-122; შერლინგი, 1955:139-168; ნ.ჩუბინაშვილი, 1976; ნ.ჩუბინაშვილი, 1987:57-74; ნ.ჩუბინაშვილი, შერლინგი, 1948:47-54; ნ.ჩუბინაშვილი, 1988; ანდღულაძე, 1969:44-52; ბერიძ ე, 1942:41-48, 77-132; თაყაიშვილი, 1960; რჩეულიშვილი, 1948, 27-38; რჩეულიშვილი, 1963:167-182; ცინცაძე, 1963:57-106; დოლიძე, 1987, 26-56; ვაჩინიშვილი, 1997; ჯავახეთი, I, 2000, შიდა ქართლი, I, 2002, სილაგაძე, 2011 და სხვ.].

გვმისა და არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის სიმარტივემ ერთნავიანი ეკლესის ხუროთმოძღვრული ტიპის ფართო გავრცელება განაპირობა. საქართველოში დარბაზული ეკლესიები ყველაზე მრავალრიცხოვანია. მათი გავრცელების არეალი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ისინი შენდება როგორც ბარში, ასევე მთიან რეგიონებში. მაგალითად, სვანეთში დარბაზული ეკლესია საეკლესიო ნაგებობის ერთადერთი ტიპია [დოლიძე, 1987:31]. შემორჩენილ დარბაზულ ნაგებობებში განიჩევა როგორც ცალგაული მაღალმხატვრული ნიმუშები, ასევე რიგითი ნაგებობები. ამჯერად მოკლედ მიმოვიზილავთ სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის განსხვავებული გეგმარების რამდენიმე ნიმუშს.


ბიჭვინთის ერთნავიანი ეკლესია IV საუკუნის პირველ მესამედშია აგებული აფხაზეთში. ის შესაძლოა 325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილე ეპისკოპოს სტრატოპოლის რეზიდენცია იყო [ციციშვილი, 1977:გვ. 100]. ეს ტაძარი IV საუკუნეშივე დაინგრა, სავარაუდოდ, დაიწვა კიდეც, რადგან არქიოლოგიური გათხრების დროს აღრიცხულია დანახშირებული ფენა. მის ადგილას შემდგომ სამნავიანი ბაზილიკა აშენდა. ბიჭვინთის დარბაზული ეკლესის სამშენებლო მასალად ქვის კვადრებია გამოყენებული. შემორჩენილი მონაცემების მიხედვით წარმოადგენდა



წაგრძელებული გეგმარების შენობას, რომელსაც აღმოსავლეთით ნა-
ხევარწრიული შვერილი აფსიდა გააჩნდა.

ნოქალაქევის დარბაზული ეკლესია მდებარეობს სამეგრელოში,
სენაკის მუნიციპალიტეტში, ძველ ნაქალაქარ ნოქალაქევის ტერი-
ტორიაზე. აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრე-
ბის შედეგად ნოქალაქევის ორმოცმეტამეტას
ეკლესის სამხრეთით. მისი აგების საგარა-
უდო თარიღია V-VI საუკუნეები [ზაქარაია,
1987, გვ.47-86]. შემორჩენილია საძირკველი
და კედლების ფრაგმენტები. აფსიდის მქონე

სწორკუთხა ნაგებობაა. პასტოფორიები არ არის. აღსანიშნავია, რომ
სამხრეთ კედლები აღმოჩენილია კერამიკული მილი, რაც იმაზე მი-
უთითებს, რომ აქ სანათლავი ემბაზი იყო განთავსებული.


მოსაბრუნის დარბაზული ეკლესია შიდა ქართლში, ახალგორი-
დან 2-3 კოლომეტრის დაშორებით. აგებულია VI-VII საუკუნეებ-
ში [მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975, 13-14]. ნაწილობრივ დაზიანებულია,
 განსაკუთრებით სამხრეთი და დასავლეთი მხარე.
ეკლესია ნაგებია თანაბარი ზომის რიყის ქვე-
ბით, რომლებიც წყობის პორიზონტალურ რი-
გებს ქმნის.

ეკლესია გეგმაში წაგრძელებული ფორმის
ნაგებობაა ჩახაზული ნალისებური აფსიდით, რო-
მელსაც ქვის წრიული ჩამოსაჯდომი შემოუყვება. აფსიდაში ნიშები
არ არის. ეკლესიას პასტოფორიუმები არ გააჩნია. გაჭრილია თითო
სარკმელი აღმოსავლეთით (აფსიდის) და სამხრეთით. დასავლეთი
და სამხრეთი შესასვლელები იხსნება პორტიკებში, რომლებიც ერთ-
მანეთისაგან კედლითაა გამიჯნული. სამხრეთ პორტიკს ორთაღიანი
შესასვლელი აქვს შუაში წრიული ბურჯით, ხოლო დასავლეთისას
მხოლოდ კარი. ნაგებობა გამოირჩევა მაღალი პროპორციებით. ექ-
სტრიუერში ორგალთა სახურავი, ხოლო პორტიკებს დამოუკიდებე-
ლი ცალფერდა სახურავები აქვს. დეკორატიული მორთულობა არ
არის. ფასადების მხატვრულ იერსახეს რიყის ქვების მოწესრიგებუ-
ლი წყობა და მოცულობითი ფორმების ურთიერთშეთანხმება ქმნის.

ყვარშა მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალი-
ტეტში. აგებულია VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე [ნ.ჩუბინაშვილი,


1976, 39-43]. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. საკმაოდ არის დაზიანებული, შემოცლილია პერანგის დიდი ნაწილი.

ყვარშა სწორკუთხა გეგმარების ნაგებობაა ჩახაზული აფსიდით, რომელიც აღმოსავლეთ ფასადზე ნიშებით გამოიყოფა. ინტერიერში აფსიდას ნიშები არ აქვს. საკუთრივ მღლოცველთა დარბაზი წაგრძელებული გეგმარებისაა. გრძივი კედლების ცენტრში პილასტრებია, რომლებიც გამბრჯენ თაღს იჭერს. საკუთრისებელის ჩრდილოეთ მხარეს აფსიდიანი სამკვეთლოა, რომელიც კარის საშუალებით აფსიდის წინა არეს უკავშირდება. ეკლესიის სამხრეთით სტოა უნდა ყოფილიყო. მისი მხოლოდ აღმოსავლეთი აფსიდაა შემორჩენილი. ნაგებობის დასავლეთით დადასტურებული ნაშთები იმაზე მიუთითებს, რომ სტოას გაგრძელებაზე დასავლეთი მინაშენი იყო.



ექსტრიერში ნაგებობის პირვანდელი სახის აღდგენა ჭირს, რადგენ სამხრეთი და დასავლეთი მინაშენები მორღვეულია. მღლოცლებითა დარბაზს ორგალთა სახურავი ექნებოდა, ხოლო მინაშენებს ცალფერდა. ფასადებს შორის გამოირჩევა აღმოსავლეთი ფასადი, რომელზეც ორი სამკუთხა ნიშაა. ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს სამკვეთლო სწორკუთხა მოცულობით ფორმას ქმნის.


ქუსირეთის დარბაზული ეკლესია მდებარეობს შიდა ქართლის მოიან რეგიონში სოფლის განაპირას. აგებულია VIII-IX საუკუნეებში [მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975, 30-33]. მოღწეულია ნანგრევების სახით. ძირითადად შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთი და ნაწილობრივ დასავლეთი კედლები. ნაგებია ქვის კვადრებით.



გეგმაში წაგრძელებულ სწორკუთხა დარბაზს აღმოსავლეთით შვერილი მრავალწახნაგა აფსიდით. სამი მხრით გარშემოსავლელი შემოუყვება, რომლის ფრაგმენტებია შემორჩენილი. თავად დარბაზი წაგრძელებული ფორმისაა და პილასტრების ერთი წყვილით გრძლივი კედლები ორ მონაკვეთად იყოფა. პილასტრებია ასევე დასავლეთი შესასვლელის ორივე მხარეს. ისინი ერთმანეთს ოდნავ ტეხილი თაღებით უკავშირდება, რაც ინტერიერის თავისებურ მხატვრულ გადაწყვეტას ქმნის. ეკლესიას პასტოფორიუმები არ აქვს. ასევე არ არის ნიშები აფსიდაში.

ეკლესიაში შემორჩენილია მხოლოდ საკურთხევლის სარკმელი, რომელიც ორიგინალურად არის გადაწყვეტილი. ინტერიერის მხრიდან დიდი თაღოვანი ფორმაა, რომელშიც შეწყვილებული ორი ღიობია. მათ ისეთივე ტეხილი (ისრულის მსგავსი) ფორმა აქვთ, როგორც თაღებს კედლებზე. დარბაზში შესასვლელი სამი მხრიდან გარშემოსასვლელის სამივე ნაწილში ისნება. თავად გარშემოსასვლელს კი ორი შესასვლელი უნდა ჰქონდა დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან, ამათგან სამხრეთით ორთაღიანი. მორთულობის და ექსტერიერის გადაწყვეტის შესახებ ცუდი დაცულობის გამო მონაცემები მწირია.


აჩაბეთის წმინდა ესტატეს სახელობის ეკლესია მდებარეობს შიდა ქართლის მთიან რეგიონში სოფლის განაპირას. აგებულია VIII-



IX საუკუნეებში [მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975, 104-106]. შემორჩენილია დაზიანებული სახით. ნაგებია რიყის ქვით და ტუფით.

სწორკუთხა გეგმარების ნაგებობა გამორჩეულია იმით, რომ აღმოსავლეთით სწორკუთხა საკურთხევლი გააჩნია. კონქი ორი ტრომპის საშუალებით ამოდის. საკურთხევლის წინ ორი შვერილი პილასტრია, რომლებზეც სატრიუმფო თაღია დაფუძნებული. საკურთხევლის სამხრეთ კედელში მცირე სწორკუთხა ნიშაა. პასტოფორიუმები არ არის. ნათღება ეკლესია სამი, აღმოსავლეთი, სამხრეთი და დასავლეთი, სარკმელის საშუალებით. შესასვლელი მხოლოდ სამხრეთი მხრიდანაა. გარედან ეკლესიას ორფერდა სახურავი ჰქონდა. აღმოსავლეთ ფასადზე სარგმლის თავზე წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარია. მის მარცხნივ ცხოვრების ხის გამოსახულების ფრაგმენტები და რამდენიმე ასომთავრული ასო განიჩრჩევა. ნაგებობას სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან ჰქონდა მინაშენები, რომელთა მხოლოდ ნაშთები შემორჩა. სამხრეთით ორნაწილიანი შესასვლელი უნდა ყოფილიყო შუაში წრიული ბურჯით.

მაჩხანის ეკლესია მდებარეობს თბილისის ახლოს, დიღომის ხეობაში, სოფელ წოდორეთის მახლობლად. აგებულია IX საუკუნის



შუა ხანებში [ჩუბინაშვილი, 1970, 173-177]. აქვს სამშენებლო წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ვინე ემირი პომად კიტრისძე. შემორჩენილია დაზიანებული სახით. ნაგებია შირიმის კვადრებით.


ნახმარია რიყის ქვაც. წყობაში პორიზონტალური რიგები არ არის დაცული.

გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედს ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდით. ორი მცირე სწორკუთხა ნიშა მოთავსებულია აფსიდის კედლებში. პასტოფორიუმები არ არის. ტაძარი ნათდება ორი, აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკმელით. შესასვლელი ერთია სამხრეთი მხრიდან. დარბაზის გრძივ კედლებში სადა პილასტრებია, რომლებსაც გამბრჯენი თაღი ეფუძნება. გარედან ორფერდა სახურავია. ფასადებზე უსისტემოდ გაბნეულია რამდენიმე რელიეფური ქვა ხელის მტევნის, ჯვრების გამოსახულებით. კარნიზის მცირე თაღედის მწკრივი ამშვენებს. ასომთავრული წარწერებია სამხრეთი კარის და აღმოსავლეთი სარკმლის თავზე. აღსანიშნავია, რომ პირველ მათგანში ქართული ასოების ცენტრში არაბული ტექსტია.


ქერთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს შიდა ქართლში. მდინარე ლიახვის ხეობაში ცხინვალის მახლობლად. აგებულია IX-X საუკუნეებში [მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975, 44-56]. ნაწილობრივ დაზიანებულია, განსაკუთრებით გარშემოსავლელი. ნაგებია ქვის კვადრებით.

სწორკუთხა ნაგებობას აქვს გეგმაში ჩაწერილი ნახევარწრიული აფსიდა, რომელსაც კედლებში ორი სხვადსხვა ზომის ნიშა გააჩნია. პასტოფორიუმები არ არის. ტაძარს ოთხი სარკმელი ანათებს, თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ, ორი სამხრეთი მხრიდან. შესასვლელი სამია: ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი. ამასთან, ჩრდილოეთი კარი აღმოსავლეთითაა გადაწეული და აფსიდის წინ იხსნება, რაც ხშირად გვხვდება საეკლესიო ნაგებობებში. დარბაზის გრძივი კედლების ცენტრში ორსაფეხურიანი პილასტრებია, რომლებიც გამრჯენ თაღს იჭერს. გადახურვა კამაროვნია. ექსტერიერში ორფერდა სახურავია. შეთეთრების მიუხედავად ფასადებზე განირჩევა ჯვრებისა და ფიგურალური კომპოზიციების ფრაგმენტები (სამხრეთ ფასადზე). სარკმელებს მოჩუქურთმებული თავსართები აქვს.

ფერუაშნის ეკლესია მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ჩილდირის ტბის მახლობლად. აგებულია X საუკუნის ბოლო მე-




ოთხედში [ბერიძე, 1981, 168-169; ნ.ჩუბინაშვილი, 1976, 56-58]. დაზიანებული სახით შემორჩა. აგებულია თლილი ქვით. ტაძარი გეგმაში



სწორკუთხა ფორმის ნაგებობაა ჩახაზული აფსიდით. საკურთხევლის ორივე მხარეს მცირე უაფსიდო პასტოფორიუმებია. ამ სათავსებში შესავლელი უშუალოდ აფსიდის კედლებშია გაჭრილი. ბემა არ არის. ნაგებობის სამხრეთით მთელ სიგრძეზე ეკვდერია აღმოსავლეთით აფსიდით. ინტერიერში დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რომელთა შორის დეკორატიული თაღედია. პილასტრის კაპიტელები ორნამენტული მოტივებითაა შექული. სარკმლები შემორჩენილია აღმოსავლეთ (საკურთხევლის, პასტოფორიუმების, ეკვდერის) და დასავლეთ მხარეს. შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდანაა. ეკვდერის და უშუალოდ დარბაზის კარუბი ერთმანეთის პირდაპირაა გაჭრილი. აღმოსავლეთ ფასადზე გეგმაში სამკუთხა ორი ნიშაა. ფერწაშენის ტაძარში ყველაზე მნიშვნელოვანია პასტოფორიუმების მოწყობის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ X-XI საუკუნეებში ამგვარი გადაწყვეტა სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგალითად ოთხთაეკლესიის, პარხალის იოანე ნათლისმცემლის, ზემო ყარაბულახის დარბაზულ ეკლესიებში [ნ.ჩუბინაშვილი, 1976, 57].

დოლოთის ცხრაკარა მდებარეობს შიდა ქართლში, ცხინვალიდან 8 კილომეტრში, მდინარე ფრონეს ხეობაში, სოფლიდან დაშორებით,



მთის ფერდზე. თარიღდება X-XI საუკუნის და-საწყისთ [მეფისაშვილი. ცინცაძე 1975, 58-64]. ნაგერევების სახით მოაღწია. ნაგებია კარგად გათლილი კვადრუბით. წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას სამხრივი გარშემოსავლელით, რომელიც X საუკუნის ტაძარს XI საუკუნის დასაწყისში მიაშენეს. თავად დარბაზული სივრცე და საკურთხევლის აფსიდა გეგმის სწორგუთხედშია მოქცეული. ჩრდილოეთი კარი სამკვეთლოში იხსნება, რომელსაც წაგრძელებული ფორმა, აფსიდა და დასავლეთით გარშემოსავლელთან დამაკავშირებელი კარი აქვს. დასავლეთი და სამხრეთი კარებები გადის გარშემოსავლელში, რომლის სამხრეთი მონაკვეთის აღმოსავლეთი ნაწილი აფსიდიან სათავსოს წარმოადგენს.

გარშემოსავლელის კამაროვანი გადახურვის გამბრჯენი თაღები სპე-ციალურად აგებულ შვერილებს ეფუძნებოდა. ტაძარში შესასვლელი ორია – დასავლეთით კარია, სამხრეთით ორმალიანი ღიადია შუაში სვეტით.

დოდოთის ტაძარი გამოიჩინა წარწერების სიუხვით. სამხრე-თი კარის ტიმპანზე მოხსენიებულია ეკლესიის ამგები ივნე ტბე-ლი. ძეგლზე ასევე დადასტურებულია მდიდრული დეკორაციული მორთულობა, რომელშიც მცენარეული მოტივები დახვეწილად არის შერწყმული გეომეტრიულ ფორმებთან.

დარკვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს ჭიათურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ამავე სახელწოდების სო-ფელში. აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე, რასაც ადასტურებს სამხრეთი ფასადის წარწე-რა [შმერლინგი, 1963, 183-196]. შემორჩენილია დაზიანებული სახით. მონგრეულია ჩრდილოეთი სათავი. ნაგებია თლილი ქვის მომცრო ზომის კვადრებით. გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას ჩახაზული აფსიდით. ჩრდილოეთით ჰქონდა სამკეთლო. დასავლეთ და სამხრეთ მხარეს მინაშენები ძეგ-ლის აგების მომდევნო ხანისაა. აფსიდას არ აქვს ბერა, არც ნიშები. დარბაზის სიგრძივ კედლებზე თითო პილასტრია, რომელსაც გამბრ-ჯენი თაღი ეყრდნობა. გადახურვა კამაროვანია.




ტაძარს სამი სარკმელი ანათებს (აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამ-ხრეთი). აღსანიშნავია აღმოსავლეთი სარკმლის ფორმა, რომელიც ორნაწილიანია, შუაში მცირე სვეტით. შესასვლელი სამი, სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდანაა. ეს უკანასკნელი უფრო მომ-ცრო ზომისაა და როგორც ჩანს ჩრდილოეთ სათავსში გამავალ კარს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ ფასადზე გამოირჩევა სარკმელი თავისი ფორმითა და გაფორმებით. შეწყვილებულ სარკმელებს ორთაღოვანი სათაური ამკობს. შუაში ტოლმელავა ჯვარია გამოსახული. თვით მცირე სვეტი წრეში ჩასმული ჯვრებითაა შემკული. სამხრეთი ფა-სადი უფრო მდიდრულადა მორთული. ძირითადად აქცენტირებუ-ლია ღიობები. კარის არქიტრავზე ტალღოვანი ფორმაა გამოსახული, რომლის ორივე მხარეს ჯვრებია. ფასადზე ასიმეტრიულად სამი რე-ლიეფიანი ქვაა ჩასმული (ჯვრები, “სოლომონის ბეჭედი”). სარკმლის მოჩარჩოება დაბალ რელიეფშია შესრულებული. მის ორივე მხარეს

ასიმეტრიულად დეკორატიული კვადრატი და წრეა გამოსახული. დასავლეთ ფასადზე მორთულობა ძირითადად კედლის ზედა ნაწილშია კონცენტრირებული. ამდენად შესასვლელის თავზე არქიტრავი საღაა. სარკმელს მდიდრული მოჩარჩოება ამჟობს. ჩრდილოეთი ფასადი მორთულობას მოკლებულია.

აღსანიშნავია ორნაწილიანი სარკმლის ფორმა და ორნამენტული გაფორმება, რომელიც თავისი გრაფიკულ-სიბრტყობრივი ხასიათით უახლოვდება X საუკუნის დასასრულის და XI საუკუნის დასაწყისის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა კაცი, სავანე, ეზვევი [შმერლინგი, 1963, 183-196].

ხცისის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია მდებარეობს ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლ ხცისიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით შემაღლებულ ადგილზე. აგებულია 1002 წელს. აღმოსავლეთი ფასადის წარწერაში მოხსენიებულია მეფე ბაგრატ III-ის და დედოფალ გურანდუხტის დაახლოებებული პირი ანანია მთავარეპისკოპოსი [შმერლინგი, 1955, 139-168]. ტაძარი თლილი ქვით არის ნაგები. ტაძარზე 2008 წლისთვის დასრულდა სარესტავრაციო სამუშაოები.




ხცისის ტაძარი წარმოადგენს დარბაზულ ეკლესიას ჩახაზული აფსიდით, ჩრდილოეთი და სამხრეთი მინაშენებით. ჩრდილოეთი მინაშენი უფრო მოკლეა და გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობა აქვს. გადახურულია ორ გამბჯენ თაღზე დაფუძნებული კამარით. სავარაუდოდ ეს სათავსო სამკვეთლოს ფუნქციას ასრულებდა. მის დასავლეთით უფრო გვიანი მინაშენიც არსებობდა. სამხრეთი ეკვდერი მთელ სიგრძეზეა. მის აღმოსავლეთ მოხავეთში გეგმაში კვადრატული აფსიდიანი სათავსია გამოყოფილი. შესასვლელი თაღოვნის უნდა ყოფილიყო. თავად დარბაზი წაგრძელებული გეგმარებისაა. საკურთხევლის აფსიდაში თოხი ნახევარწრიული ნიშაა. გრძივ კედლებზე ორ-ორი მასიური პილასტრია, რომელთა შორის ერთგვარი უბეებია. დარბაზში კარი სამია. აქედან ჩრდილოეთი სამრეკლოში გადის, ხოლო სამხრეთი ეკვდერში.

აღმოსავლეთ ფასადზე სამი თაღით შექმნილი კომპოზიციაა. სარკმლის მოჩარჩოება და სამი რელიეფური ჯვარი ასიმეტრიულადაა განლაგებული, რაც ცხოველხატული სტილის დამახასიათებელ

მიდგომას აკლენს. ამავე ფასადზეა ორი გრიფონისა და ორი ცხოველის გამოსახულებები, რომლებიც ერთმანეთის პირისპირაა განლაგებული. დასავლეთ ფასადზე ასევე სამი თაღია. განაპირა თაღები განსხვავებული ზომისაა. შესაბამისი მდიდრულად ორნამენტირებული სარკმელია. პილასტრების ბაზებზე გამოსახულია ლომი და ირემი, ასევე გველეშაბი და ჯიწვი.

ხცისის ტაძარი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით (ორ-ორი ღრმა ნიშა აფსიდაში, პილასტრებით შექმნილი უბები, სამკვეთლოს მოწყობა) და განსაკუთრებით დეკორატიული მორთულობის სიუხვით იქცევს ფურადებას.

წეროვანის სამების ეკლესია მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ველის სამხრეთით, ამავე სახელწოდების სოფელში. აგებულია XI საუკუნის I მესამედში [ნ.ჩუბინაშვილი, 1976]. ნაწილობრივი დაზიანებებით შემორჩა. ნაგებია თლილი ქვით. ეს არის სწორკუთხა გეგმარების ნაგებობა უბემო აფსიდით. პასტოფორიუმები არ აქვს. აფსიდის კედლებში ორი ნიშაა. დარბაზის გრძივ კედლებში თითო პილასტრია.




ინტერიერს ოთხი სარკმელი ანათებს. აღმოსავლეთი და დასავლეთი მხრიდან თითო, სამხრეთიდან ორი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ჩრდილოეთი, აფსიდასთან ახლოს გაჭრილი, კარი ამოშენებულია.

აღმოსავლეთ ფასადს განიერი თაღი შემოუყვება, რომელშიც მოქცეულია ორი ნიშა და მათ შორის მდებარე სარკმელი სწორკუთხა მოჩარჩოებით. დასავლეთი ფასადის ზედა მონაკვეთის ცენტრში თაღია, რომლის თაგზეც რელიეფური ჯვარია. თაღის შიდა ველზე სარკმელია გაჭრილი. თაღის შემომწერი ლილვები პორიზონტალურად იშლება საპირისპირო მიმართულებით კედლის კიდეებამდე და შემდეგ ქვევით ეშვება. ჩრდილოეთი და სამხრეთი ფასადები ოთხ-ოთხი თაღითაა გაფორმეული.

წეროვანის ეკლესიაში ყურადღებას იმსახურებს აღმოსავლეთ ფასადზე ნიშების და ოთხივე ფასადზე დეკორატიული თაღების მოტივის გამოყენება. განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთი ფასადის გადაწყვეტა.


სავანეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს იმერეთში, ყვირილას ხეობაში, საჩხერედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ექვთი, კილომეტრის დაშორებით. აგბულია 1046 წელს [ბერიძე, 1942, 77-132]. ნაწილობრივი დაზიანებებით შემორჩა. ნაგებია თლილი ქვის კვადრებით. წარმოადგენს გეგმაში სწორკუთხა ნაგებობას ჩაწერილი აფსიდით და სამხრეთ მხარეს მთელ სიგრძეზე მინაშენით, რომელიც ტაძრის შემდეგ XI საუკუნეშივე ააგეს. საკურთხევლის აფსიდას ბერა და პასტოფორიუმები არ აქვს. მის კედლებში ორი მაღალი, გეგმაში ნახევარწრიული ნიშაა, რომლებსაც მცირე თაღჩები აქვს. აფსიდის წინ სამშალიანი კანკელია. დარბაზის გრძივ კედლებში მდებარე ორ-ორ პილასტრს გამბრჯები თარები ეფუძნება. პილასტრებს შორის კედლებზე თანაბარი ზომის დეკორაციული თაღებია, სამ-სამი თითო მხარეს. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში ღრმა სწორკუთხა ნიშაა. ჭადარი ზუთი სარკმლით ნათდება. თითო აღმოსავლეთ და დასავლეთ, სამი სამხრეთ მხარესაა. შესასვლელია სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან. სამხრეთის კარი მინაშენში გადის, რომელიც საქალებო უნდა იყოს. მასაც კამაროვანი გადახურვა გააჩნია, რომელიც სამ-სამ პილასტრს ეფუძნება. აღმოსავლეთით აფსიდა არ არის. განიერი თაღოვნი შესასვლელი სამხრეთი ფასადის დასავლეთ მონაკვეთშია მოწყობილი.



აღმოსავლეთ ფასადზე სამი თაღის კომპოზიციაა, რომელთაგან შუა მაღალია. მის მიერ შემოსაზღვრული კედლის სიბრტყის ზე-და ნაწილში რელიეფური ჯვარია. მის ქვევით, ცენტრში თაღოვანი სათაურით და ორი გარდულით გაფორმებული სარკმელია. თაღები ლილვებითაა შედგენილი და დეკორაციული ელემენტებით შემჯული კაბიტელები და ბაზისები გააჩნია. თაღებს ზევით კეთან რელიეფური ვარდულია. ამ ფასადზე, ისევე როგორც ტაძრის სხვა კედლებზე ლაგარდანი მცნარეული მოტივებითაა გაფორმებული. დასავლეთ ფასადსაც სამმაგი თაღედი ამკობს. შუა თაღში დეკორაციული მოჩარჩოების და სათაურის მქონე სარკმელი, ასევე მდიდრულ პორტალიანი შესასვლელია. კეთან ლომის რელიეფური გამოსახულებაა. სამხრეთ ფასადზე დასავლეთის მსგავსად გაფორმებული სარკმლები იქცევს ყურადღებას. ჩრდილოეთი ფასადი სადაა.

სავანეს ტაძარში ყურადღებას იქცევს სამხრეთი მინაშენი და ფასადების მდიდრული მორთულობა.


მაღალაპანთ ეკლესია მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხის მახლობლად, მდინარე კავთურას მარცხნა ნაპირზე. აგებულია XII საუკუნის დასასრულს [ბერიძე, 1959, 205-220]. აღნიშნება მცირე დაზიანებები. აგებულია თლილი ქვით. სწორკუთხა გეგმარების ნაეგბობას სამხრეთით მთელ სიგრძეზე მთულება ეკვდერი. საკურთხევლის აფსიდა გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი. მის შიდა კედელში ერთი ღრმა, ნახევარწრიული ნიშა და ორი მცირე თახჩა. ბერა და პასტოფორიუმები არ არის. დარბაზის გრძივ კედლებზე მსოლოდ ერთი წყვილი პილასტრია, რომელსაც გამბრჯენი თაღი ეფუძნება. ინტერიერი ოთხი, აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო, სამხრეთით ორი სარკმლით ნათლება. წაგრძელებული ფორმის კამაროვანი გადახურვის მქონე ეკვდერს აღმოსავლეთით აფსიდა აქვს. ტაძრის შესასვლელის წინ დარბაზის კარია გაჭრილი.



აღმოსავლეთ ფასადზე სამთალოვანი კომპოზიციაა. კიდურა მხარები ძირს ლილვების კონად ეშვება. შუა თაღში მდიდრული ჩუქურთმით შემკული სარკმელია. გარშემოყოლილი ლილვები შუაში ერთმანეთს უერთდება შემდეგ კი ქვემოთ ეშვება და ცენტრალურ ღერძს ქმნის. ფასადის ზედა მონაკვეთი ორფერდა გადახურვის მოჩუქურთმებული ლავგარდანის და პორიზონტალური დეკორაციული ზოლით სამკუთხედს ქმნის. ზედა კესში მოჩუქურთმებული წრიული სარკმელია. მის ქვემოთ ორ ფილაზე ასომთავრული წარწერა და წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული. ეკვდერის აღმოსავლეთ კედლებზე სარკმლის მოჩარჩოება საკურთხევლის სარკმლის მსგავსია, თუმცა უფრო დამჯდარი პროპორციები აქვს. დასავლეთ ფასადზეც სამმაგი თაღედია შუაში სარკმლით. თაღედი აღმოსავლეთთან შედარებით ბევრად მაღალია. სამხრეთ ფასადზე მთავარი კორპუსის გვერდით ცალქანობიანი ეკვდერი ქმნის დამატებით მოცულობას, რომელშიც შესასვლელი ორგალთა გადახურვით არის აქცენტირებული. ფასადის დეკორაციულ გადაწყვეტას თაღედი და დიადების მოჩარჩოება ქმნის. ჩრდილოეთი ფასადი სადაა. მას, მხოლოდ ტაძრის მოჩუქურთმებული ლავგარდანი ამკობს.

მაღალაანთ ეკლესია გამოირჩევა მაღალი პროპორციებით. აღ-სანიშნავია სამხრეთი ეკვდერის შესასვლელის აქცენტირების წესი, თაღებით და მაღალი დონის ჩუქურთმით გაფორმებული ფასადები.

გუდარეხის ტაძარი მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყა-როს მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციული ცენტრიდან ჩრდილოე-




თით 7-8 კილომეტრის დაშორებით არსებულ სამონასტრო კომპლექსში. გალავნის შიგნით ეკლესიის გარდა შემორჩენილია 1272 წელს აგებული საქართველოში უძველესი სამრეკ-ლო და სასახლის ნაგრევები. ტაძარი აგებულია რუსუდანის მეფობის დროს (1222-1245). წარწერაში მოხსენიებულია ხუროთ-მოძღვარი ჭიჭაპორიძე [ნ.ჩუბინაშვილი, 1987, 57-74]. ეკლესიამ გარკვეული დაზიანებებით მოაღწია. მონგრეულია სამხრეთი პორტიკი. ნაგებია თლილი ქვით. გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას ჩახაზული აფსიდით. ჩრდილოეთით წაგრძელებული, აფსიდიანი მინაშენი აქვს, სამხრეთით პორტიკი. აფსიდის კედელში ორი ღრმა ირეგულარული ფორმის ნიშაა. ბერა და პასტოფორიუმები არ არის. შემორჩენილია თავდაპირველი კანკელი. დარბაზის გრძივ კედლებში ორ-ორი პილასტრია. მათზე გამბრჯენი თაღებია დაფუძნებული. ტაძარი საკმაო კარგად ნათდება. აღმოსავლეთით და დასავლეთით სამ-სამი სარკმელია. შესასვლელი სამხრეთიდანაა. მის მოპირდაპირედ არსებული კარი ჩრდილოეთ სათავსში გადის.

აღმოსავლეთ ფასადზე კუწუბებით და კოპებით მორთული ორი ღრმა ნიშაა, ხოლო ცენტრში ჯვრის, სარკმლის მოჩარჩოებით, კოპით და ორი რომბით შედგენილი მთავარი ღრერძის მოტივია წარმოდგენილი. დასავლეთი ფასადი უფრო საღაა. სამხრეთით პორტიკი მორდვეულია და სახეშეცვლილია. ჩრდილოეთი მინაშენი დამოუკიდებელ მოცულობით ფორმას ქმნის.

გუდარეხის ეკლესიაში საგულისხმოა ჩრდილოეთი სათავსისა და სამხრეთი პორტიკის არსებობა. გამოირჩევა ფასადების გაფორმება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიცია, რომელშიც გუმბათიანი არქიტექტურის, კერძოდ, სამთავისის, იკორთასა თუ ქვათახევისთვის, სახასიათო მთავარი ღრერძის მოტივი, დარბაზული ეკლესის სპეციფიკას არის მისადაგებული.

სხალტბის “კვირაცხოველი” მდგბარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანის ველის სამხრეთით, მთის ფერდზე. საამშენებლო მხედრული წარწერის მიხედვით აგებულია 1667 წელს სახლთუხუცეს შიოს შვილის, ივანე ზედგენიძის მიერ [ბერიძე, 1994, 43-45]. კარგად არის შემორჩენილი. ნაგებია ქართული აგურით. სტოაში აგურის რიგს ენაცვლება დუღაბის სქელი ფენა, რაც წყობას თავისებურ იერს ანიჭებს. გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას ჩაწერილი აფსიდით. პასტოფორიუმები არ არის. აფსიდაში ორი სწორკუთხა ნიშა. გრძივი კედლები აგურისავე პილასტრებით ორ თანაბარ მონაკვეთად იყოფა. კამარა, ისევე როგორც თაღები მცირედ შეისრულია. ინტერიერი ნათლება ორი, აღმოსავლეთი და დასავლეთი სარკმელებით. ერთი შესასვლელია სამხრეთიდან, რომელიც სტოაში გადის.



თავად სტოა ტაძრის მთელ სიგრძეზეა. ის ლია ტიპისაა, ოთხი შეისრული თაღი და სამი რვაწახნაგა ბურჯი გააჩნია. კიდურა და-სავლეთი თაღი დანარჩენებზე განიერია. ამ ხერხით ხაზგასმულია ის, რომ ტაძარში შესასვლელი მის გასწრივ მდგბარეობს. აღსანიშნავია, რომ ბურჯების კიდეებსა და თაღებს რელიფებით შემკული ქვის ლილვები შემოუყება. მათ ამ ეპოქისათვის სახასიათო ერთგვაროვნება ახასიათებს, თუმცა უდაოდ რიგინი ისტატის ნახელავია. ნაგებობის ყველა ფასადი სადაა, მხოლოდ სამხრეთი ფასადი გამოირჩევა. ამ შარეს სტოა ქმნის როგორც თაღებით გახსნილ დამატებით მოცულობით ფორმას, ასევე თავისებური წყობითა და დეკორით გაფორმებულ ფასადს.

განხილული ძეგლების მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ დარბაზულ ეკლესიას მარტივი გეგმარება გააჩნია. ეს არის წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნაგებობა, რომლის არქიტექტურულ სტრუქტურას ქმნის საკურთხევლის აფსიდა და დარბაზი მლოცველთათვის. პასტოფორიუმები უმეტეს შემთხვევაში არ არის. გეგმარების თვალსაზრისით მრავალგვარ გადაწყვეტას დამატებითი ნაწილების არსებობა განაპირობებს. ძირითადად შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი: 1. მარტივი ტიპის დარბაზული ეკლესია დამატებითი სადგომების გარეშე. 2. დარბაზული ეკლესია სამხრეთი სტო-

ით. 3. დარბაზული ეკლესია სამხრეთი და დასავლეთი სტოებით. 4. დარბაზული ეკლესია სამშერივი გარშემოსავლელით. 5. დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი სათავსით და სამხრეთი სტოით.

დარბაზულ ეკლესიებში, უმეტესად, გეგმის სწორკუთხედში ჩა-
ხაზული საკურთხევლის აფსიდაა. შვერილი აფსიდები ნაკლებად
გვხვდება და უფრო ხშირად დასავლეთ საქართველოს ძეგლებშია.
ვინაიდან პასტოფორიუმები ძირითადად არ არის, გავრცელებულია
საკურთხევლის აფსიდაში ღრმა ნიშების მოწყობის წესი (მაგ.: სა-
ორბისი, ხცისი, მაღალაანთეკლესია, გუდარეხი, სავანე, დაბა და სხვ.).
გამოიყენება კამაროვანი გადახურვა. ექსტერიერში ორფერდა სახუ-
რავია. დამატებითი სათავსების არსებობის შემთხვევაში, მათ დამოუ-
კიდებელი სახურავი აქვს.

დარბაზული ეკლესიის ინტერიერის გადაწყვეტისას არსებითია
ის, რომ მლოცველთა დარბაზი დაუნაწევრებელ, ერთიან სივრცეს
ქმნის, რომელიც ზოგიერთ ძეგლში შთამბეჭდავ მასშტაბს აღწევს
(მაგ.: მაღალაანთეკლესია, ხცისი). IX-X საუკუნეებიდან ფართოდ
გამოიყენება გამბრჯენი თაღების პილასტრებზე დაყრდნობის წესი.
აღსანიშნავია, რომ პილასტრები ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად მა-
სიურია, რომ მათ შორის ეწ. უბები წარმოიქმნება. ასეთ შემთხ-
ვევაში ხდება არა მხოლოდ კედლის სიბრტყის დანაწევრება, არა-
მედ ინტერიერის თავისებური სივრცობრივ-მოცულობით ორგანიზება
(ხცისი, გუდარეხი).

დარბაზული ეკლესიების სიმრავლის, გავრცელების ქრონოლო-
გიური და ტერიტორიული საზღვრების სიდიდის, ძეგლების ძალზე
განსხვავებული არქიტექტურული ღირებულების გამო ცალკეული
არქიტექტურული ფორმების და ტენდენციების წარმოჩენა როგორია.
მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე
გავამახვილოთ ყურადღება. ასე მაგალითად, დარბაზულ ეკლესიებში
შესასვლელი ძირითადად ერთი ან ორი მხრიდან ეწყობა. ამასთან,
პრიორიტეტი სამხრეთის შესასვლელს ენიჭება. ამ მხარეს სტოას
ზოგჯერ ორ-სამ თაღიანი შესასვლელი აქვს. დარბაზულ ეკლესიებ-
ში სარკმლების რიცხვი, უმეტესად, მცირეა, მაგრამ ისინი დაუნაწევ-
რებელ სივრცეს ანათებს, რაც შემოსული სინათლის ინტენსივობის
მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. თუმცა გვხვდება
სუსტად განათებული ნაგებობებიც. დარბაზული ეკლესიების ინტე-
რიერს ძირითადად სისადავე ახასიათებს, მაგრამ რიგ შემთხვევებში

დეკორაციული მორთულობა გამოიყენება. დარბაზული ეკლესიების ძალზე მცირე ნაწილის მოკლე მიმოხილვაც ცხადყობს, რომ თითო-ეული ნაგებობა მეტ-ნაკლებად ასახავს, როგორც რეგიონის, ასევე ეპოქისათვის სახასიათო ნიშნებს. ამაზე მეტყველებს ინტერიერის სივრცული გააზრება, ნაგებობის პროპორციები თუ დეკორატიული მორთულობის ელემენტები.

დარბაზული ეკლესიის და სხვა უგუმბათო არქიტექტურული ტიპების მთავარი საერთო ნიშანი გუმბათის არქონა და არქიტექტურული სტრუქტურის ამის შესაბამისად გააზრების წესია. არქიტექტურული ტიპის კონცეპტუალური გაგების თვალსაზრისით ამ ძეგლებში ყველა არქიტექტურული ფორმა საკურთხევლთან მიმართებაში აღიქმება და გარკვეულწილად მას ექვემდებარება. შიდა სივრცის გადაწყვეტისას ერთიანობის პრინციპია მთავარი. თუმცა მისი მიღწევა განსხვავებულად, დარბაზულ ეკლესიაში მარტივი, ხოლო სამნავიან და სამეკლესიან ბაზილიკებსა თუ ორნავიან ეკლესიაში უფრო რთული კომპოზიციური გადაწყვეტით ხორციელდება.

გეგმის სწორკუთხედში ჩახაზული აფსიდის უფრო მეტად გავრცელება, კამაროვანი გადახურვა, სამხრეთის შესასვლელის პრიორიტეტული მნიშვნელობა ის ნიშნებია, რომელიც ამ ტიპებს ახასიათებს. ამასთან დარბაზული ეკლესიების ინტერიერში პილასტრების გამოყენება თავისი მხატვრული გადაწყვეტით სამნავიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელ შიდა სივრცის რიტმული დანაწევრების წესს ენათესავება. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი მინაშენების მქონე დარბაზულ ეკლესიებში ექსტერიერში იქმნება სამნაწილიანი მოცულობითი ფორმა, რაც ამ ქვეტიპის ნიმუშების სხვა უგუმბათო ტიპების ნიმუშებთან ვიზუალურ მსგავსებას განაპირობებს.

დარბაზულ ეკლესიაში ქვეტიპების სიმრავლის მიზეზი ამ ტიპის სიმარტივეა. მცირე მასტებაბის გამო ვერ ხერხდება საეკლესიო ნაგებობისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხის გადაწყვეტა. კერძოდ, დარბაზული ეკლესიაში უმეტესად არის შეზღუდული ფართობი, არ არის პასტოფორიუმები, ვერ იქმნება მრევლის დანაწევრების სათანადო პირობები. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევებში ამ პროდლემების მოგვარების სურვილი რაიმე სახის მინაშენის და ახალი

კონფიგურაციის შექმნას განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ მინაშე-ნები ხშირად ძეგლის თანადროულია, ზოგჯერ კი, საჭიროებისამებრ, შემდგომ ეპოქებში იგება.

ამრიგად, დარბაზული ეკლესია უგუმბათო არქიტექტურის ტიპებს შორის სტრუქტურული სიმარტივით გამოირჩევა, რაც თავის მხრივ ამ ტიპის ნაირსახეობების სიმრავლეს განაპირობებს.

გუმბათიანი არქიტექტურის ტიპები საქართველოში

ქრისტიანული აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრებაში გუმბათიანი ტაძრების აქტიური მშენებლობა VI საუკუნიდან იწყება და მაღე გუმბათიანი არქიტექტურა წამყვან ადგილს იმკვიდრებს. ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესების პარალელურად გუმბათიანი თემა ვითარდება საქართველოშიც, სადაც მისი ჩამოყალიბება ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო ტრადიციების საფუძველზე მოხდა. გუმბათიანი არქიტექტურის ფორმირებამ ახალი ამოცანები დააყენა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წინაშე. როული არქიტექტურულ-კონსტრუქციული პრობლემების გადაწყვეტის გარდა, რაც მირითადად გუმბათოვანი გადახურვის განხორციელებას უკავშირდება, დაისვა და გადაწყდა ნაგებობათა სიმბოლური გააზრების საკითხებიც. არქიტექტურისთვის სახასიათო ნათელი და მკაფიო ხერხით მოხდა ქრისტიანული იდეის წარმოჩენა. გეგმარების საფუძვლად მთელ რიგ გუმბათიან არქიტექტურულ ტიპებს სახეობრივად მარტივი, ამავდროულად ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო - ჯვარი დაედო.

ჯვარი კონსტანტინე დიდის სანაში, ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების და საბოლოო დაკანონების პერიოდიდან, ქრისტიანული რწმენის ყოვლისმომცველ სიმბოლოდ იქცა. IV საუკუნის მოღვაწე ეფრემ ასური განმარტავს “ჯუარი არს საცონი ქრისტიანთათ, ჯუარი აღდგომა არს მკვდართათ, ჯუარი სინათლე არს მწუხარეთათ... საფუძველი ეკლესიისა”. [ეფრემ ასური, 1955:219.] VI საუკუნის თხზულებაში აღექსანდრე კვიპრელი აღწერს ბრძოლის წინ ჯვრის ხილვის სასწაულით შთაგონებულ კონსტანტინე დიდის წარგზავნილ დედოფალ ელენეს მიერ ცხოველმჟღველი ჯვარის მიკვლევის ისტორიას და მიუთითებს, რომ კონსტანტინე დიდმა “..ბრძანა დღესასწაულის დაწესებად პოვნისათვის პატიოსანისა ჯუარისა” [აღექსანდრე კვიპრელი, 1957:69]. IV საუკუნეშივე საქართველოში წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგების და ქართლის მოქცევის ისტორიას უკავშირდება სამი ჯვარის აღმართვა. “ითხოვეს ხე ებისკოპოსმან და ნინო, რაითა შექმნან ჯუარი... და უბრძანა ხუროთა მოკურთად ნისაი მის და შექმნეს სახე პატიოსნისა ჯუარისა.” [მოქცევაი ქართლისა, 1964:86] ამდენად, საქართველოში მაცხოვრის ვნებისა და

ძლევის სიმბოლო, ჯვარი, იმთავითვე ქრისტიანობის აღიარების და დამკვიდრების სიმბოლოდ იყო აღქმული.

ჯვარია საქართველოს გუშბათიანი ხუროთმოძღვრების ისეთი არქიტექტურული ტიპების გეგმარების და სივრცული გადაწყვეტის საფუძველი როგორიცაა ტეტრაკონქი, თავისუფალი ჯვარი, ჩახაზული ჯვრის ტიპი და ტრიკონქი, რომლებსაც შესაბამისად ჯვარგუმბათოვან ტაძრებადაც მოიხსენიებენ. ამ ტაძრებში ჯვრის მკლავებით შექმნილ ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატზე გუმბათია ამოყვანილი. საეკლესიო ნაგებობის გეგმასა და სივრცეში ჯვრის, კვადრატისა და წრის თანაზიარობა გარკვეულ სიმბოლურ დატვირთვას იძნის.

ჯვარი, ქრისტეს მსხვერპლშეწირვის და აღდგომის სიმბოლო, ნაგებობის გეგმისა და სივრცული გადაწყვეტის საფუძველია. ცენტრში კვადრატი, ოთხი გვერდით - ოთხივ მხარეს, შესაბამისად მიწას და ამქვეყნიურ ყოფიერებას გამოსახავს. აღსანიშნავია, რომ აზრის დასაბუთებისას გ. ჯვერგიუსონი [ჯვერგიუსონი, 1973, 153] მიიჩნევს, რომ სიმბოლურად კვადრატის ამქვეყნიურ ყოფასთან იგივეობის დამადასტურებელია ცოცხალ პირთა სწორგუთხა შარავანდედით გამოსახვის წესიც. კვადრატის თავზე ნაგებობის დამაგირგვინებელი გუმბათის ფუძით შექმნილი წრე, მარადიულობის, უსასრულობის და ზეციური სამყაროს სიმბოლოა [ჯვერგიუსონი, 1973, 153]. ნიშანდობლივია, რომ ადრექრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული გუმბათიანი არქიტექტურის ამ სიმბოლურ კონცეფციას შეესატყვისება მოგვიანებით შემუშავებული ტაძრის მოხატვის სქემაში გუმბათის ფუძესთან, კვადრატიდან წრეზე გადასვლის ზღვარზე, აფრებში, ქვეყნის ოთხივ მხარეს ქრისტიანული მოძღვრების გამავრცელებელი ოთხი მახარებლების გამოსახვის წესი.

ამგვარად, საეკლესიო ნაგებობის საკრალურ სივრცეში ნიშანთა სისტემის მეტვებით გაცხადდა ეკლესის არსიბრივი მიზანი წარმართოს მორწმუნები უფლის სწავლითა და მოძღვრებით ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რათა პპოვონ მათ ჭეშმარიტი გზა უფლისა და საუკუნო ცხოვრებისა.

საქართველოში ჯვარგუმბათოვანი არქიტექტურული ტიპების (თავისუფალი ჯვრის ტიპი, ტეტრაკონქი, ჩახაზული ჯვრის ტიპი, ტრიკონქი) გარდა გავრცელებულია კუპელჰალეს და მრავალაფსილიანი ტიპის ტაძრები. ამ უკანასკნელის სიმბოლური გააზრების შესახებ გარკვეული მოსაზრება შეიძლება გამოითქვას, რასაც ამ ტიპის განხილვისას შევხებით. რაც შეეხება გუმბათიან დაბაზს,

სავარაუდოდ, ისევე როგორც ბაზილიკა თუ დარბაზული ეკლესია, გემ-კიდობანად იყო გააზრებული.

გუმბათიანი ნაგებობის შენებლობისას უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ-კონსტრუქციულ საკითხს გუმბათის ამოყვანის და ნაგებობის კორპუსთან მიბმის პრობლემა წარმოადგენს. დიდწილად სწორედ ის განსაზღვრავს არქიტექტურული ტიპის ხუროთმოძღვრულ მახასიათებელს. სხვადასხვა არქიტექტურული ტიპი ამ პრობლემის გადაწყვეტის განსხვავებულ მიღვომას იყენებს და ცალკეული ტიპის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებებიც დიდწილად ამ საკითხს უკავშირდება.

როგორც ფაქტობრივი მასალა ადასტურებს საქართველოში გავრცელებულია გუმბათის აფსიდებსა და მკლავების შესაყარზე თუ თავისუფლად მდგარ საყრდენებზე დაფუძნების წესი. აღსანიშნავია, რომ საყრდენების გამოყენება ის ხერხია, რომელმაც ძირეულად შეცვალა არქიტექტურული სტრუქტურის კონსტრუქციული აგების პრინციპი და სრულიად ახალი შესაძებლობები შექმნა ფართობის გაზრდის თუ განსხვავებული კომპოზიციური სქემების დამუშავების თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია, რომ ოთხ საყრდენზე ტრომპების საშუალებით ამოსული გუმბათის თემა სასანურ ირანში ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში დამუშავდა. ამდენად, სავარაუდოა, რომ ამგვარი სამშენებლო გამოცდილება საქართველოსთვისაც ნაცნობი იყო, რაც ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტისას იქნა გამოყენებული.


გუმბათიანი არქიტექტურის ტიპების მიმოხილვა თითოეული მათგანის სახასიათო ნიშნების თუ სახესხვაობების წარმოჩენის და ტიპოლოგიური პრობლემატიკის უკეთ გააზრების საშუალებას იძლევა.

ტეტრაკონქი

ტეტრაკონქი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპია, რომლის გეგმის საფუძველს აფსიდებით შედგენილი ჯვარი წარმოადგენს. საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში ტეტრაკონქის არქიტექტურული ტიპი V-VI საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საქართველოში ტეტრაკონქის ტიპის ტაძრების სამი ძირითადი ქვეტიპი განირჩევა: 1. მარტივი ტაძის ტეტრაკონქი 2. კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქი 3. მონუმენტური წრიულგარშემოსასვლელიანი ტეტრაკონქი.


თითოეული ქვეტიპის ძეგლების მიმოხილვა საშუალებას მოგვცემს გამოვალინოთ ტეტრაკონქის თავისებურებანი, მისი სახეცვლის ხასიათი და ქრონოლოგიურ-ტერიტორიალური გავრცელების არეალი.

მარტივი ტიპის ტეტრაკონქის უადრესი ნიშანია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე V საუკუნის მანგლისის ტაძარი [დვალი, 1974], რომელიც დღევანდელი მონაცემებით



საქართველოში აგებული პირველი გუმბათიანი ეკლესიაა. მოგვიანებით, კერძოდ XI საუკუნეში, ეკლესია საფუძვლიანად გადაკეთდა. თავდაპირველი ნაგებობა წარმოადგენდა რვაკუთხედში მოქცეულ მარტივ ტეტრაკონქს. შემორჩენილია ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი აფსიდები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთი აფსიდის კედლის სისქეში მცირე ზომის ორი აფსიდალური ნიშა-სათავსია. სავარაუდოდ, ამგვარი ნიშა-სათავსები აღმოსავლეთ მხარესაც იყო განლაგებული.


V-VI საუკუნეთა მიჯნით თარიღდება დასავლეთ საქართველოში, მარტივის მუნიციპალიტეტში არქეოლოგიური გათხრების შედეგად



აღმოჩენილი ნოჯიხევის ტაძარი [ზაქარაია, კაპანაძე, 1981:236-241]. მისი კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი და ამდენად მხოლოდ გეგმა იკითხება. ოთხი აფსიდა გარედან ოთხ არასრულ ნახევარწრეს ქმნის, რომელთა მიჯნაზე მცირე მომრგვალებული შვერილება.


მარტივი ტიპის ტეტრაკონქის ნიმუშია კახეთში, ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდებარე VI საუკუნის ძველი გავაზი [ჩუბინაშვილი, 1959:216-224].

აյ ნალისებური ფორმის ოთხი აფსიდა ექსტრერიტშიც ნახევარწრიულ მოხაზულობას იმეორებს. ტაძარს თავდაპირველად არანაორი დამატებითი სათავეს არ ჰქონდა. გარშემოსავლელი ძეგლის აგების შემდგომი ხანისაა. ძველი გავაზის ფორმებს იმეორებდა VI საუკუნის დავით გარეჯელის ეკლესია თბილისში, რომელიც დღევანდელი ქაშვეთის ტაძრის ადგილზე იდგა. მის საფუძველზე 1754 წელს ამავე ტიპის ტაძარი აიგო, რომელიც ასევე არ შემორჩა [გერსამია, 1984: 145].




—

კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში მდებარე ძველი შუამთის მონასტრის VII საუკუნის მცირე გუმბათიანი ეკლესია [ჩუბინაშვილი, 1959:251-255] მინიატურულ ნაგებობას წარმოადგენს. ინტერიერში ოთხ აფსიდას შორის გეგმაში წრის ფორმის ნიშებია მოთავსებული. მათ გარე მასებში ტაძრის კუთხები შეესაბამება, ხოლო აფსიდებს სამწახნაგა ფორმა. ამდენად, ექსტერიერსში სწორხაზოვანი ფორმებია გამოყენებული.



—


მარტივი ტეტრაკონქის ტიპს უახლოვდება კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის ყველაწმინდას ეკლესია, რომელიც VI-VII საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს [ჩუბინაშვილი, 1959:255-258]. ნაგებობის ოთხი კონქიდან აღმოსავლეთი და დასავლეთი გეგმაში აფსიდალური მოხაზულობისაა, ხოლო ჩრდილოეთი და სამხრეთი სწორკუთხა. სწორედ ეს ნიშანი განსაზღვრავს ამ ძეგლის ძირითად თავისებურებას. ექსტერიერში კისისხევის ყველაწმინდა ასევე ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. ჯვრის მკლავები ხუთწახნაგა ფორმისაა, მხოლოდ დასავლეთისაა სწორკუთხა. მკლავებს შორის შეწეული კუთხები ნახევარკოლონებითაა გაფორმებული.




—

თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია ტეტრაკონქის რამდენიმე ტაძარი: სუბექჩი, მუხლაჯიგილისი, ბობისგერი, კინეპოსი, რომელიც მარტივ ტიპს უახლოვდება.

სუხბერი ისტორიულ ტაოში, იშხანთან ახლოს მდებარეობს და V-VIსაუკუნებით თარიღდება [ბერიძე, 1981:173] წარმოადგენს




ოთხაფსიდიან კომპოზიციას, სადაც აფსიდები გარე მასებში მომრგვალებული ფორმით იკითხება. გამონაკლისია დასავლეთი მხარე. აქ აფსიდის წინ სწორკუთხა სივრცეა, რომელიც ექსტერიერში იყი-ვე ფორმას იმურებს. ამდენად, ტაძრის საერთო გადაწყვეტაში დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი ბევრად სჭარბობს ჩრდილოეთ-სამხრეთისას.



ტაოში, ოთხთაეკლესიის მახლობლად მდებარე მუხლაჯიღილისის (თარიღი არ არის განსაზღვრული) [ბერიძე, 1981:157] ეკლესიაში ოთხი აფსიდა თავისუფალი ჯვრის ტიპისათვის დამახასიათებელ მოხაზულობაში იწერება. ამასთან საკურთხევლის ჩრდილოეთით მცირე აფსიდიანი სათავსია გამოყოფილი, რომელიც კარით ჩრდილოეთ აფსიდას უკავშირდება. მხოლოდ ერთი სათავსის არსებობა ნაგებობის გეგმას ასიმეტრიულობას სძენს.


კინეპოსის ტაოში მდებარე ტაძარს ვ. ბერიძე გარდამავალ ხანას, კერძოდ IX, უკიდურეს შემთხვევაში X საუკუნეს მიაკუთვნებს.




[ბერიძე, 1981:153]. ეს ნაგებობა გეგმით მუხლაჯიღილისის ეკლესიას უახლოვდება, მაგრამ აქ ორივე პასტოფორია გამოყოფილი. ამდენად, გარშემოწერილობა ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის შსგავსია. ამასთან, აღმოსავლეთი აფსიდა, რომელსაც ბემა აქვს, ფასადზე მცირე შეკრილს ქმნის. ამ ძეგლში ყურადღებას იქცევს გუმბათის ყელის სარკმლები. ისინი თაღოვანი და წრიული ფორმისაა, და მონაცემლებითაა განლაგებული.

ბობისგერის ტაძარი ისტორიულ პროვინცია ოლთისში მდებარეობს. ის X საუკუნის I ნახევარით არის დათარიღდებული [ბერიძე, 1981:139]. ნაგებობას თავისებური გეგმარება გამოარჩევს. ძირითად სივრცეს ქმნის კვადრატი, რომლის გვერდების ცენტრალურ ნაწილში აფსიდებია მოთავსებული. სწორედ ამ ოთხი აფსიდის არსებობით უახლოვდება მარტივი ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებს, მაგრამ თავისი არქიტექტონიკით, კონსტრუქციული გადაწყვეტით სრულიად განს-

ხვავებულია. გუმბათი ეყრდნობა არა აფსიდის შვერილებს, არამედ ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენს. ამასთან მარტივი ზოგადაკონქებისათვის დამახასიათებელი ცენტრული გადაწყვეტის ნაცვლად დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი სჭარბობს ჩრდილო-სამხრეთისას, რაც კინებოს შეგავსად საკურთხევლის წინ ბემს არსებობითაა განპირობებული. ტაძრის გარე მასები სწორკუთხოვანია. აღსანიშნავია, რომ ისე-ვე როგორც კინებოსში, აქაც გუმბათის ყელზე წრიული სარკმელებია მოთავსებული.



ქვეტრას ციხის ეკლესია მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ილტოს მარჯვენა ნაპირზე, აღმინისტრაციული ცენტრიდან 12 კმ-ში, ისტორიული ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე. ტაძარი X საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება [წუბინაშვილი, 1959:411-416]. თავისი გეგმარებით გარკვეულწილად უახლოვდება ძველი შუამთის მცირე ტაძრის კომპოზიციას. აქაც ოთხ აფსიდას შორის კუთხის ნიშებია მოთავსებული, მაგრამ აღნიშნული ტაძრისაგან განსხვავდებით აფსიდების წინ ბემბია, რაც საგრძნობლად ცვლის შიდა სივრცის ხასიათს. აღმოსავლეთი და დასავლეთი ბემები უფრო დიდი ზომისაა. ამიტომ აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძის პრიორიტეტი თვალსაჩინოა. ექსტერიერში აფსიდებს ხუთწახნაგა, ხოლო ნიშებს ნახევარწრიული მოხაზულობა შეესაბამება.



მარტივი ტეტრაკონქის ქვეტიპის ძეგლების გარე მასების გადაწყვეტის მხრივ რამდენიმე სახესხვაობა იკვეთება:

1. ძეგლთა ჯგუფი, სადაც ექსტერიერში ოთხი აფსიდა ნახევარწრიული მოხაზულობისაა (ძველი გავაზი, ქაშვეთი, ნაწილობრივ სუხბეჩი).

2. ძეგლთა ჯგუფი, სადაც ექსტერიერში აფსიდები სამ ან ხუთახნავონი ფორმით გამოდის (ძველი შუამთა, კისისხევი, კვეტერა).

3. ექსტერიერში ნაგებობა რვაწახნაგა გეგმარებისაა (მანგლისი).

4. ექსტერიერში იქმნება თავისუფალი (მუხლაჯიგილისი, ბობის-გერი), ან ნახევრადთავისუფალი ჯვრის მოხაზულობა (კინებოსი).


ამრიგად, მარტივი ტიპის ტეტრაკონქების ზოგადი მიმოხილვა ცხადყოფს, რომ საქართველოში ტეტრაკონქის ეს ქვეტიპი V-X

საუკუნეებში გეხვდება და გავრცელებულია, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ადრეული ძეგლები უფრო მარტივი სტრუქტურისაა - ოთხი აფსიდა და მათ მიჯნაზე არსებულ შვერილებზე დაფუძნებული გუმბათი. რაც შეეხება ნაგებობის ოთხ კუთხეში წრის 3/4 ფორმის ნიშების მოტივს ძველ შეამთასა და კვეტერაში, ეს, უთუოდ, კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის გავლენის შედეგია. რადგან ისნი ამ ქვეტიპის შექმნის შემდეგ აიგო. კერძოდ, ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსში მარტივი ტიპის ტეტრაკონქი კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის გვერდით მოგვიანებით აშენდა.

საქართველოში ტეტრაკონქის უაღრეს ნიმუშებში, მარტივი ტიპის ტეტრაკონქებში, არ არის გადაწყვეტილი ფართობის გაზრდის და პასტოფორიუმების მოწყობის პრობლემა. შესაბამისად ტიპის შემდგომი განვითარება ამ საკითხების მოგვარების გზით წარიმართა. ქვეტიპის ფარგლებში პასტოფორიუმის მოწყობას უკავშირდება მოგვიანო ხანის ძეგლებში (მუზლაჯილისი, კინგბოსი) გართულებული ვარიანტების შექმნა. ამას გარდა ჩნდება ბერა (ბობისგერი, კინგბოსი, კვეტერა), რაც ცვლის შიდა სივრცის ხასიათს და აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძის გამოკვეთას ემსახურება. თავისი კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტით გამორჩეულია ბობისგერის ტაძარი. X საუკუნის ამ ნაგებობაში გუმბათის თავისუფალად მდგარ საყრდენებზე დაყრდნობა და აფსიდების თავისებური განლაგება პრინციპულად განსხვავებულ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას ქმნის.


მარტივი ტიპის ძეგლებში, რომლებიც ძირითადად მომცრო ზომის ნაგებობებია, ოთხი აფსიდის შვერილთა მიჯნაზე დაფუძნებული გუმბათის კომპოზიციამ, შეზღუდა უფრო დიდი მაშტაბის ნაგებობის აგების შესაძლებლობა. ეს პრობლემა, ისევე როგორც პასტოფორიუმების მოწყობა, კუთხოსოთახებიანი ქვეტიპის ფორმირების ერთგვარ სტიმულად იქცა. ახალი ქვეტიპის ჩამოყალიბება ოთხაფსიდიან კომპოზიციაში სტრუქტურული ცვლილების შედეგად განხორციელდა. საყურადღებოა, რომ ამ ცვლილების საწყისის მოძიება ჯერ კოდევ მანგლისის ტაძარში შეიძლება. ახალი ქვეტიპის არსებითი მახასიათებლის - ოთხი კუთხის თახის - ერთგვარ პროტიპს მანგლისის ტაძრის კედლების სისქეში მოქცეული ოთხი ნიშა-სათავსი წარმოადგნეს.

საქართველოში ტეტრაკონქის მეორე ქვეტიპის, ეწ. კუთხისოთა-ხებიანი ტეტრაკონქის, ჩამოყალიბების საწყისი საფეხურია კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მდებარე VII საუკუნის ნინოწმინდის კათედრალი [ჩუბინაშვილი, 1959:232-245]. ამ საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობაში ფართობის გაზრდას ხუროთმოძღვარმა მარტივი ტიპის ტეტრაკონქებში არსებული კონსტრუქციული და კოპლზიციური მიდგომის ცვლილებით მიაღწია. ოუ მარტივ ტიპის ტეტრაკონქებში გუმბათი აფსიდების შესაყარზე ოთხ შევრილს ეყრდნობა, აქ აფსიდები, ერთ-მანეთს არის დაშორებული და, შესაბა-მისად, გუმბათი რვა შევრილს ეფუძნება. ამას გარდა, აფსიდების დაშორება და ბეტის გამოყენება მათ შორის არსებულ მონაკვეთში სათავსების განთავსების სა-შუალებას იძლევა. ნინოწმინდაში მათ ორაფსიდიანი კვადრატის ფორმა აქვთ.



ამგვარად, ნინოწმინდის კათედრალის ხუროთმოძღვარმა შესძლო რო-გორც გუმბათის დიამეტრის გაზრდის და დიდი ზომის ნაგებობის აგების, ასევე სათავსების მოწყობის საკითხის გადაწყვეტა. ამ ძეგ-ლში სახეზეა ქვეტიპისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშა-ნი – აფსიდებს შორის არსებული ოთხი სათავსი, თუმცა ქვეტიპის შემდგომი ნიმუშებისაგან განსხვავებით ნაგებობა უმეტესი მარტივი ტიპის ძეგლების მსგავსად ინარჩუნებს ნაგებობის ცენტრიდან აფ-სიდების თანაბარი ზომით დაშორების პრინციპს და ექსტერიერში ნახევარწრიულ გადაწყვეტას. გამოიყენებოდა საკურთხევლის აფსიდა, რომელსაც გარედან ხუთწახნაგა მოხაზულობა გააჩნია.

კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის სრულყოფილად ჩამოყალიბებული სახე შეიქმნა ქართული ხუ-როთმოძღვრების ეწ. კლასიკური ხანის ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორიცაა მცხეთის ჯვარის ტა-მარი (586/7-604/5წწ) [ჩუბინაშვილი. 1948]. აქ ნინოწმინდისგან განსხვავებულმა, პრიციპულად ახალმა მიდგომამ განსაზღვრა, როგორც გეგმარების, ასევე ექსტერიერის და შიდა სივ-



რცის გადაწყვეტის ხასიათი. უმთავრესი სიახლე ოთხივე აფსიდის გეგმის სწორკუთხედში მოქცევის წესია, რაც დამატებითი ფართობის შექმნის და კუთხის ოთახების მოწყობის საშუალებას იძლევა.

მცხეთის ჯვრის გეგმა წარმოადგენს სწორკუთხედში მოქცეულ ოთხ აფსიდას კუთხის ოთახებით, რომლებიც ცენტრალურ, გუმბათქვეშა კვადრატს წრის 3/4 ნიშტბით უკავშირდება. ნაგებობაში გამოკვეთილია დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძი, რაც საკურთხევლის და დასავლეთი აფსიდების წინ ბემების არსებობით არის განპირობებული. ნინოწმინდის მსგავსად აქაც რვა საყრდენი და, შესაბამისად, რვა თაღია. თუმცა მცხეთის ჯვრის ხუროთმოძღვარის ნოვატორულმა მიღებობამ არა მხოლოდ ფართობის გაზრდა და სათავსების მოწყობა უზრუნველყო, არამედ გააძლიერა ნაგებობის კონსტრუქციული ძლიერადობა, შედა სივრცის ფორმათა მრავალფეროვნება და პარმონიული ერთიანობა.


ფასადებზე აფსიდები მცირე სამწახნაგა შვერილს ქმნის, რასაც მის გერღლებზე შეწეული სიბრტყეები, ერთგვარი ნიშები, უფრო გამოკვეთილ იერს აძლევს. გეგმის სწორკუთხა მოხაზულობით შექმნილი საფასადო კედელის ამგვარი გადაწყვეტით, გუმბათის რვაწახნაგა ყელთან ურთიერთკავშირით, მიიღწევა გარე მასების პლასტიკური გააზრების ისეთი მაღალი დონე, რაც ზემოთ განხილულ არც ერთ ტაძარში არ იყო შესაძლებელი. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ფასადთა შემცულობაში კარგად გააზრებულად ჩართულია შესრულების ოსტატობის დონით გამორჩეული რელიეფური კომპოზიციები. ამ მხრივ აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადის სამნაწილიანი კომპოზიცია ტაძრის მაშნებელ ერისმთავართა გამოსახულებებით.

მცხეთის ჯვრის ტაძარი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში ითვლება ისეთი არქიტეტურული ამოცანების მაღალმხატვრულ დონეზე გადაწყვეტის კლასიკურ ნიშულად, როგორიცაა გარემოსთან კავშირი, შედა სივრცის და ფასადების გადაწყვეტა, ინტერიერის და ექსტერიერის ურთიერთშეთანხმება, ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც იმ ძეგლთა რიგს განეკუთხება, სადაც კონკრეტული ტიპის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ მხატვრული შესაძლებლობები მაქსიმალურად არის გამოვლენილი.

ტეტრაკონქის ტიპის მცხეთის ჯვარში შემუშავებული სახე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელდა. ქართლში აიგო ატენის სიონი, სამეგრელოში მარტვილის ტაძარი და კახეთში ძველი

შუამთის მონასტრის დიდი ტაძარი. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტაძრები მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლების სახელით მოიხსენიება. სხვადასხვა არქიტექტურულ-მხატვრული ტრადიციების მქონე რეგიონებში აგებული ეს ნაგებობები განსხვავდება მასშტაბით, ცალკეული არქიტექტურული ფორმებისა თუ დეტალების გადაწყვეტისა და ურთიერთშეთანხმების ხასათით, თუმცა ტიპიკოლოგიურ საკითხებში სხვაობა არ აღინიშნება. კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის ის სახე, რომელიც მცხეთის ჯვარში შემუშავდა არსობრივ ცვლილებას არ განიცდის. შესაბამისად, ამ ძეგლების სახით ქართულ ხუროთმოძღვრებაში შეიქმნა კუთხისოთახებიანი ქვეტიპი, რომელიც ტეტრაკონქის ტიპის კარგად გააზრებულ არქიტექტურულ ვარიანტს წარმოადგენს.

საქართველოში ამ ქვეტიპს განეკუთხება კიდევ ერთი ძეგლი ჩამხუსი, რომელიც ისტორიულ პროვინცია ტაოში, თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ექ. თაყაიშვილის აზრით VIII-IX საუკუნეებში, ხოლო ვ. ბერიძის მოსაზრებით VII- VIII საუკუნეებში აგებული [ბერიძე, 1981:185] და ეწ. გარდამავალ ხანას განეკუთვნება. ჩამხუსის გეგმა რამდნადმე განსხვავდება მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებისაგან და გარკვეულ მსგავსებას ნინოწმინდის კათედრალთან ამჟღავნებს. აქაც ნინოწმინდის დარად აფსიდები ცენტრიდან თანაბარი მანძილით არის დაშორებული, რაც კომპოზიციური გადაწყვეტის ცენტრულობას უსვამს ხაზს. შესაბამისად არც



დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის გამოკვეთა არ ხდება. გეგმის გარშემოწერილობაც არა სწორკუთხა, არამედ წახნაგოვანი ფორმებითაა შედგენილი. გეგმარების სპეციფიკიდან გამომდინარე სათავეებს არა სწორკუთხა, არამედ ირეგულარული, მორბგვალებული ფორმა აქვს. ნინოწმინდისგან განსხვავებით ისინი გუმბათქვეშა სივრცეს ნახევარწრიული ფორმის ნიშებით უკავშირდება, რაც, უთუოდ, მცხეთის ჯვრის ტაძრის კომპოზიციის გარკვეულ გავლენაზე მიუთითებს.


ამრიგად საქართველოში კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის ქვეტიპის ძეგლები VI-დან VIII-IX საუკუნეებამდე პერიოდში იგება. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ცალკეული ნიმუშები გვხვდება დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის ქვეტიპის ჩამოყალიბებულ სახეს ქმნის ეწ. მცხეთის ჯვარი ტიპის ძეგლები. ამ ჯგუფის ძეგლებს ქრისტიანული

ურად წინ უსწრებს და მარტივიდან კუთხისოთახებიან ტეტრაკონქს შორის ერთგვარ გარდამავალ ძეგლს წარმოადგენს ნინოწმინდის კათედრალი. აქ პირველად ჩნდება ქვეტიპის მთავარი მახასიათებელი – ოთხი სათავსი. ამასთან, გუმბათის რვა საყრდენზე დაფუძნების პრინციპის გამოყენებით წყდება ნაგებობის ზომების გაზრდის პრობლემა. მცხეთის ჯვარში კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის იდეა საბოლოო არქიტექტურულ-მხატვრულ გადააწყვეტას აღწევს, რაც გეგმის სწორკუთხედში მოქცევით და ნაგებობის ცალკეული ნაწილების ორგანული ურთიერთკავშირის ფორმირებით მიიღწევა. ამ ქვეტიპის ქრონოლოგიურად ბოლო ძეგლი ჩამხუსის ტაძარია, რომლის გადაწყვეტაში ძველი მოტივების დაბრუნების ტენდენცია იჩენს თავს.

საქართველოში ტეტრაკონქის მესამე ქვეტიპს წარმოადგენს წრიულგარშემოსავლელანი ტეტრაკონქი. ამ ქვეტიპს განეკუთვნება ისტორიულ ტაოში მდებარე VII საუკუნის ძეგლები იშხანი და ბანა. იშხანი არაბების შემოსევის დროს დაინგრა, IX საუკუნის 20-30-იან წლებში, X და XI საუკუნის პირველ ნახევარში რამდენიმე საფუძვლანი გადაკეთება განიცადა. თავდაპირველი ნაგებობიდან შემორჩა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდა რვა სვეტიანი თაღნარით. რაც შეეხება ბანას, ძლიერი დაზიანების მიუხედავად, მის შესახებ არსებული მონაცემები იძლევა ძეგლის ტიპოლოგიური მახასითებლების წარმოჩენის შესაძლებლობას.

ბანა მონუმენტური, წრიული გეგმარების ნაგებობაა, რომლის ცენტრალურ ბირთვეს ოთხი თანაბარი ზომის აფსიდით შედგენილი გუმბათით დაგვირგვინებული კომპოზიცია ქმნის [მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989]. აფსიდების ქვედა ნაწილს აღმოსავლეთით ექვს,

ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს ოთხ-ოთხ კოლონაზე დაფუძნებული თაღნარის სახე ჰქონდა. ამგვარი გადაწყვეტა კაპიტელების პლასტიკური დამუშავებით შექმნილი მხატვრული ეფექტის და თავად ამ არქიტექტურული მოტივის გამომსახველობის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იძლეოდა ცენტრალური სივრცის წრიულ



გალერეასთან დაკავშირების და ნაგებობის ამ ორი ნაწილის ერთ მთლიანობად აღქმის საშუალებას.

ბანას ტაძარში მასიური გუმბათის კონსტრუქციულ მდგრადობას განაპირობებდა ე.წ. ოთხი კოშკურა სტრუქტურა, რომლებიც ოთხი სათავისის ბაზაზე იყო აგებული. ეს კვადრატული ფორმის აფსიდიანი სათავისები ტეტრაკონქის აფსიდების ღრმა ბეჭების მომიჯნავე არე-ებში იყო განლაგებული. შესაბამისად, მონუმენტური ტეტრაკონქის მშენებლობისას ხუროთმოძვარმა გამოიყენა ოთხსათავსიანი ტეტ-რაკონქის სქემა, რითაც გუმბათის გამბრჯენი ძალების დაბალანსების მყარი სისტემა შექმნა. საგულისხმოა, რომ სომხეთში ამავე ეპოქაში აგებული ზვარტნოცის ტაძრის კომპოზიცია მარტივი ტეტრაკონქის გეგმის საფუძველზე განხორციელდა, რამაც კონსტრუქციული პრობ-ლემების ნაკლებ ეფექტური გადაწყვეტა განაპირობა. შესაბამისად ზვარტნოცის ტაძარი აგებიდან რამდენიმე ათეულ წელში დაინგრა, ხოლო ბანამ XIX საუკუნის შუა სანებამდე მეტ-ნაკლებად მოაღწია, ვიდრე თურქებმა რუსეთ-თურქეთის ომის დროს ციხე-სიმაგრედ არ გადააკეთეს. აღსანიშნავია, რომ ტეტრაკონქი სომხეთში საქართვე-ლოს მსგავსად გავრცელებული ტიპია. აქ მარტივი (მაგ.: ცრევზი, არზნი), კუთხისოთახებიანი (მაგ.: ავანი, რიფსიმე, სისიანი, ტარგმან-ჩაც-ვანქი) [ჩუბინაშვილი, 1967; ასრატიანი, 1985] და წრიულგარ-შემოსასვლელიანი (ზვარტნოცი, გავიგაშვინი) ტეტრაკონქების გარდა გვხვდება ე.წ. მასტარას ტიპის ძეგლები, რომლებშიც მართალია ოთხი აფსიდაა, მაგრამ კონსტრუქციული გადაწყვეტის პრინციპი სრულდად განსხვავდებულია [ხალახაჩიანი, 1960; იაკობსონი, 1950]. ამ ტიპის ნაგებობის ძირითად ბირთვს ქმნის კვადრატი, რომელზეც ამოღის მასიური გუმბათი, ხოლო აფსიდები კვადრატის გარეთ არის გასული და შესაბამისად აღარ ასრულებს იმ როლს, რაც ჩვეულებ-რივ ტეტრაკონქებში ჰქონდა დაკისრებული.

თუ კუთხისოთახებიან ტეტრაკონქში ფართობის გაზრდის და სათავების მოწყობის საკითხი გეგმის სწორკუთხედში მოქცევის გზით განხორციელდა, ტეტრაკონქის მონუმენტური ვარიანტის შე-მუშავების ამოცანა წრიული გეგმარებით გადაწყდა. შედეგად, წრიულგარშემოსავლელიან ქვეტიპში აღსდგა მარტივი ტეტრაკონქის-თვის დამახასიათებელი არქიტექტურული ნაწილების ცენტრიდან თანაბარზომიერი დაშორების პრინციპი. ამასთან, გართულდა არქი-

ტექტურული სტრუქტურა, გაიმიჯნა რა ორი სივრცული ერთეული - გუმბათქვეშა ოთხაფსიდიანი კომპოზიცია და წრიული გარშემოსავლელი.

ამრიგად, საქართველოში ტეტრაკონქის ტიპის ძეგლები იგება V საუკუნიდან X საუკუნის მეორე ნახევრამდე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ადრეტუასაუკუნეებისა და გარდამავალ ეპოქაში. შესაბამისად, ამ ძეგლებს სტილისტური თვალსაზრისით აღნიშნული ეპოქებისათვის დამახსიათებელი ნიშნები და მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებანი ახასიათებს. საყურადღებოა, რომ საქართველოში აგებული V საუკუნის პირველი გუმბათიანი ტაძარი სწორედ ტეტრაკონქის ტიპს განეკუთვნება. ტეტრაკონქების აქტიური მშენებლობის ხანა VI-VII საუკუნეებია, ამ ეპოქას განეკუთვნება არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ისეთი ძეგლები, როგორიცაა მცხეთის ჯვარი და ბანას ტაძარი.

ტეტრაკონქის ტიპის ძეგლები აგებულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ, დღეს თურქთის ტერიტორიაზე მდებარე, რეგიონებში. აღმოსავლეთ საქართველოში ქართლში მდებარეობს მანგლისი, დღეს არარსებული დაგით გარეჯელის ტაძარი თბილისში, მცხეთის ჯვარი და ატენის სიონი, კახეთში – ძველი გავაზი, შუამთის დიდი და მცირე ტაძრები, კისისხევის ყველაწმინდა, კვეტერას ციხის ეკლესია, ნინოწმინდა; დასავლეთ საქართველოშია ნოვიხევი და მარტვილი; თურქთის ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთისათვის - სუხბეჩი, მუხლავიგილისი, კინეპოსი, ბობისგერი, ჩამჩუსი, იშხანი, ბანა. ამდენად, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებისაგან განსხვავებით, ეს ტიპი ნაკლებად არის გავრცელებული დასავლეთ საქართველოში.

ამ ტიპის ფორმირების პირველ ეტაპზე იგება მარტივი ქვეტიპის ტეტრაკონქები, რომელთა მშენებლობა X საუკუნის მეორე ნახევრამდე გრძელდება. მარტივი ქვეტიპის ძეგლების გეგმა ოთხი აფსიდის კომპოზიციით არის შედენილი. ამ ქვეტიპის ფარგლებში განხორციელდა პასტორორიუმების მოწყობის მცდელობა მუხლავიგილისში ერთი, ხოლო კინეპოსში ორი სათავსის გამოყოფით. VI საუკუნის ბოლოსთვის ტეტრაკონქის ტიპის კარდინალური ცვლილება მოხდა ნინოწმინდის კათედრალში, რამაც დიდი ზომის ნაგებობის აგების და ოთხი სათავსის მოწყობის შესაძლებლობა შექმნა. ამ ტენდენციამ შემდგომი განვითარება, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრი-

სით სრულყოფილი გადაწყვეტა პპოვა მცხეთის ჯვრის ტაძარში, რაც ახალი ქვეტიპის, კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის შექმნის საფუძველი გახდა. ახალი მიღვომა ითვალისწინებდა ოთხაფსიდიანი კომპოზიციის სწორკუთხედში მოქცევას, რამაც სრულიად განსხვავებული ტიპოლოგიური, ინტერიერის სივრცული და ფასადების მხატვრული გადაწყვეტის შესაძლებლობები წარმოაჩინა. კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის ქვეტიპი შეიქმნა VI –VII საუკუნეთა მიჯნაზე აგებულ მცხეთის ჯვარში, გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში VII საუკუნეთა პირველ ნახევარში ანუ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ეწ. კლასიკურ ხანაში. ამ ქვეტიპის კიდევ ერთი, გარკვეულწილად სახეცვლილი ნიმუში, ჩამხუსის ტაძარი აიგო მოგვიანებით, გარდამავალ ხანაში. VII საუკუნეშივე ჩამოყალიბდა ტეტრაკონქის კიდევ ერთი ქვეტიპი, მონუმენტური წრიულგარშემოსავლელიანი ტეტრაკონქი. ტაოში აგებულ ამ ქვეტიპის ორ ძეგლში, იშხანსა და ბანაში, დაისვა და გადაწყდა მაშტაბური ტეტრაკონქის აგების ამოცანა, რაც ოთხსათავსიანი ტეტრაკონქის კომპოზიციის წრიულ გეგმაში მოქცევის გზით განხორციელდა.

ამრიგად, ტეტრაკონქი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული არქიტექტურული ტიპია. ქართული და სომხური ძეგლები ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებენ, მაგრამ შიდა სივრცის ორგანიზების თუ ფასადების პლასტიკური დამუშავების და მხატვრული გააზრების თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულ მიღვომას ავლენენ.

თავისუფალი ჯვრის ტიპი


თავისუფალი ჯვრის ტიპი ადრექტისტიანულ ხანაში ფორმირებული ტიპია, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ქრისტიანულ სამყაროს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. მის საფუძველს ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი სიმბოლო ჯვარი წარმოადგენს. არქიტექტურული ტიპის ძირითადი მახასიათებელი გეგმის ჯვრული გარშემოწერილობაა, რაც მის სახელწოდებაშიც აისახა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრული კონციგურაცია სხვა ტიპის ძეგლებშიც გვხვდება მაგალითად ტრიკონქის (ბაზჩალო-ყიშლა, ურაველი, ოშკი), ტეტრაკონქის (მუხლაჯიგილისი), მრავალაფისიდანი (კუმურდო) ტიპის ტაძრებში. ამდენად, ამ ნიშანთან ერთად თავისუფალი ჯვრის ტიპისათვის არსებითია შიდა სივრცის ასევე ჯვრის ფორმით გადაწყვეტა საკურთხევლის აფსიდისა და სამი სწორკუთხა მკლავით, რომელთა გადაკვეთაზე გუმბათია აღმართული. შედეგად, სტრუქტურის მთავარი (გუმბათი, საკურთხეველის აფსიდა) და დაჭვემდებარებული (სამი მკლავი) ნაწილების ურთიერთშეთანხმება ლიტურგიკულ და არქიტექტურულ ლოგიკას ექვემდებარება. თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძარს პასტოფორიუმები არ გააჩნია. ამ სათავსების არსებობის შემთხვევაში იქმნება განსხვავებული ვარიანტი - ე.წ. ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპი.

საქართველოში ამ ტიპის ფორმირება ჯერ კიდევ V საუკუნეში იწყება. ამ ხანას განეკუთვნება ზეგანის მონასტრის წმინდა მარინას ეკლესია, რომელსაც ჯვრული გეგმარება და მკლავების გადაკვეთაზე გუმბათი გააჩნია. ამ სახასიათო ნიშნების არსებობის მიუხედავად ნაგებობის გადაწყვეტა და არქიტექტურული ფორმები ჯერ კიდევ არ შეესაბამება ტიპის არქიტექტურულ სახეს. მაგალითად, გარე მასებში ორკალთა გადახურვის მქონე ორი მოცულობითი სიგრძივი ერთეულის გადაკვეთაზე არსებული გუმბათი ექსტერიერში არ არის გამოკვეთილი, რაც ძეგლს უჩვეულო იერს ანიჭებს.

თავისუფალ ჯვრის ტიპის ძეგლები საქართველოში საკმაოდ

მრავალრიცხოვნია. ამდენად მოკლედ მიმოვიზილავთ სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე ნიმუშს.



ერალდაანთ-საყდარი მდებარეობს კახეთში, ახმეტის მუნიციპალიტეტში, ახმეტიდან 4 კმ-ში. თარიღდება V-VI საუკუნეებით [ჩუბინაშვილი,



1970:45-50]. გუმბათი დროთა განმავლობაში ჩამოიქცა. დღეს რესტავრირებულია. ნაგებია რიყის ქვით. წყობაში გამოყენებულია კირქვაც. ჯვრული გეგმარება აქვს. აღმოსავლეთით მცირე ბემიანი აფსიდაა. მის კედლებში ორი სიმეტრიულად განლაგებული ნიშაა. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა და დაახლოებით თანაბარი სიგრძე გააჩნია. ამათგან, ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებს აღმოსავლეთ მხარეს აფსიდები აქვს. ამიტომ ისინი გარე მასებში დასავლეთისაზე ოდნავ განიერია. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა ტრომპებით ხორციელდება. ყელი რვაწახნაგაა, ოთხი მცირე ზომის სარკმლით. ტაძარში კიდევ სამი სარკმელი და ერთი შესასვლელია სამხრეთი მხრიდან. ფასადები სადაა. სამხრეთი ფასადის კებზე ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა. მარტივი, ქუსლიანი წარბი ამკობს სარკმლებსა და შესასვლელს.


იდლეთის “ნათლისმცემელი” მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, მდინარე კავთურას ნაპირზე, სოფლის განაპირას. აგბულია VI საუკუნის პირველ ნახევარში. მოგვიანო ხანაში მიშნებული აქვს სწორკუთხა სათავსი, სავარაუდოდ საქალები [ცინცაძე, 1950: 3-10]. ნაწილობრივ დაზიანებულია. ნაგებია უხეშად თლილი ქვებით. გუმბათის ყელზე მწვანე ფერის ქვა არის გამოყენებული. გეგმაში მარტივი თანაბარმკლავიანი ჯვრის ფორმა აქვს, აღმოსავლეთით აფსიდით და სამი სწორკუთხა მკლავით. აფსიდაში ორი მცირე სწორკუთხა ნიშაა. გუმბათი ტრომპებზეა ამოყვანილი. შიგნით რვაწახნაგაა, ხოლო გარედან კუთხებჩამოთლილი კუბია. გუმბათზე ოთხი, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს თითო სარკმელია. ერთი შესასვლელია დასავლეთიდან. ფასადები სადაა. დეკორაციული მორთულობის ელემენტი მხოლოდ გუმბათის ყელის წახნაგებზე გამოსახული სამი ჯვრია.

შომღვიმის მონასტრის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია მდებარეობს ქართლში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მცხეთიდან 7 კმ-ში. აგბულია VI საუკუნის 50-60-იან წლებში [ჩუბინაშვილი გ. 1970:53-64]. საქმაოდ კარგად შემორჩა. ნაგებია ფლეთილი ქვით. ნაგებობის 3/4-ის მიწაში მდებარეობს, რაც მონასტრის დამაარსებელი, წმინ-



და შიოს სურვილით იყო განპირობებული. მის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს სხვადასხვა დროის ნაგებობების რთული სისტემაა შექმნილი. აქვეა თავად წმინდა შიოს განსასვენებელი. ეკლესია გეგმაში ჯვრული მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით აფსიდაა, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავი საგრძნობლად მოკლეა დასავლეთისაზე. ცენტრალური კვადრატი გადახურულია რვანაწილიანი შეკრული კამარით, რომლის ფუძედ ორ რიგად განლაგებული ოთხოთხი თაღია გამოყენებული. გუმბათის ყელში ოთხი, აფსიდასა და სამხრეთ მკლავში თითო სარკმელია. შესასვლელი დასავლეთიდან არის. მიწის ზედაპირს ზევით მოქცეული ეკლესიის ფასადები სადაა.

სამწევრისის ტაძარი მდებარეობს ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელიდან 3-4-ქმ-ის დაშორებით, მდინარეების მტკვრისა და ძამის წყალგამყოფ სერზე. თარიღდება




VII საუკუნის I მესამედით [ჩუბინაშვილი გ. 1970:116-124]. 1940 წლის მიბისძვრის დროს დანგრული 1950-იან წლებში აღადგინეს. ჰქონდა მინაშენი სამხრეთი ფასადის მთელ სიგრძეზე. ნაგებია ქვიშაქვის თლილი კვადრებით. გეგმაში ჯვრული მოხაზულობისაა, აღმოსავლეთ-დასავლეთ ღრეულზე მცირედ დაგრძელებულია. ინტერიერში აღმოსავლეთით უბემო

აფსიდაა. გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხორციელდება ტრომპების საშუალებით, რომლებიც ყელის ზედა ნაწილში, სარკმლების დონეზე განლაგებული. თავად გუმბათის თაღზე რელიეფური ჯვარია. ზეაწეული პროპორციებით გამორჩეული შიდა სივრცე ნათელება გუმბათის ოთხი და ჩრდილოეთის გარდა სამი მხრით არსებული სარკმლებით. შესასვლელი ერთია, სამხრეთიდან. გარე მასები გაწონასწორებული, ფასადები სადაა. ყურადღებას იქცევს ლავგარდნისა და ლიობების თავსართების გაფორმება თაღოვანი მოტივით. აღმოსავლეთ სარკმელთან განსხვავებული, სტილიზებული რქების მოტივი, ხოლო შესასვლელის თავზე ჯვარია გამოსახული.


ატენის მცირე ტაძარი მდებარეობს ქართლში, გორის მუნიციპალიტეტში, ცენტრიდან ათიოდე კილომეტრში, მდინარე ტანას ხეობაში, გზის პირას. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით. X საუკუნის II ნახევარში რატ ლიპარიტის ძე ერისთავის მიერ ხელახლა აღაშენეს. ამ დროისაა კედლების ზედა ნაწილის მოპირკეთება და ჩუქურ-

თმებით შემკული წარწერებიანი ქვები დასავლეთი და სამხრეთი შე-სასვლელების თავზე [რჩეულიშვილი 1942: 31-40]. საკმაოდ კარგად შემორჩა. ნაგებია რიყის ქვით. მეორე სამშენებლო ფენაში გამოყენებულია მომწვანო ფერის კარგად გათლილი კვადრები. გეგმაში ჯვრული ფორმისაა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ მხარეს ორგუ-ლარული მოხაზულობა აქვს. კერძოდ, გვერდებს არათანაბარი სიგრძე და შესაბამისად არასწორი დახრილობა აქვს მთლიანი კორპუსის მიმართ. ინტერიერში აღმო-სავლეთ აფსიდას ჩრდილოეთ კედელში მცირე ნიშა აქვს. ჩრდილო-ეთი და სამხრეთი მკლავი ტოლია, ხოლო დასავლეთი მათზე ოდნავ გრძელი. გუმბათი ტრომპებით არის ამოკვანილი. მის ყელში ოთხი, მკლავებშიც თითო სარკმელია. შესასვლელი სამხრეთი და დასავ-ლეთი მხრიდან არის. ფასადები სადაა. აღმოსავლეთ სარკმელს თავ-სართი ამკიბს. განირჩევა X საუკუნის ფენა.



ენი-რაბათის ეკლესია მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ კლარჯეთში, მდინარე არტანუჯისწყლის მარჯვენა ნა-პირზე, არტანუჯის სამხრეთით 18 კმ-ში.


აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე [ზოშტარია, 2004; ჯობაძე, 2006:90-96]. დაზიანებული სახით მოაღწია. სამხრეთით გვიანი სანის მინაშენი მდებარეობდა. ნა-გებია თლილი ქვით. ინტერიერში უხეშად დამუშავებულ ქვას რიყის ქვა ენაცვლება. წარმოადგენს ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობას ანუ გააჩნია სამ-ნაწილიანი საკურთხეველი. შესაბამისად



გარე მასებში ჩრდილოეთი, სამხრეთი მკლავები და საკურთხევლის აფსიდა პასტოფორიუმებით ერთიან სწორკუთხა მოხაზულობის მო-ცულობით ფორმას, ხოლო დასავლეთი მკლავი დამოუკიდებელ ერ-თულს ქმნის. ინტერიერში აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდაა მცირე ბემით. მის გვერდით მდებარე კვადრატულ პასტოფორიუმებს აფსიდები აქვს. სათავსები კარით ჩრდილოეთ და სამხრეთ მკლავებს უკავშირდება. ეს მკლავები დასავლეთისაზე საგრძნობლად მოკლეა. ამ უკანასკნელის კედლები ერთი წყვილი საფეხურიანი პილას-ტრით ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. გუმბათქვეშა კვადრატიდან


წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხორციელდება, რომლებსაც X საუკუნეში გავრცელებული დეკორაციული ტრომპის მოტივი ამ-კობს. ინტერიერში თაღედით გაფორმებულ გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია გაჭრილი. შესასვლელებია თითოეულ მკლავში ჩრდი-ლოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან. ამას გარდა, დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელში მეოთხე კარია გაჭრილი. ექსტერიერში ჩუქურთმებით არის მორთული სარკმლების მოჩარჩოება. აღმოსავ-ლეთ ფასადზეც ოთხი სამკუთხა ნიშაა. განსაკუთრებით გამოიჩი-გა გუმბათის ყელი, რომელიც შეწყვილებული ლილვებით შედგე-ნილი ოცდაოთხი თაღით არის შემკული. ამათგან თორმეტ თაღში სამკუთხა ნიშებია, რომელთა შუქ-ჩრდილი თავისებურ მხატვრულ ეფექტს ქმინის.

ექექას ტაძარი მდებარეობდა თურქეთში, ისტორიულ პროვინცია ტაოში, თორთუმის ხეობის ზემო წელში. XX საუკუნეში მეჩეთის



აგების მიზნით გაანადგურეს. თარიღდება X საუკუნის II ნახევარით [ბერიძე ვ. 1981, 191-192]. აგებული იყო კარგად გათლილი ქვის კვადრუბით. წარმოადგენდა ნახევრადთავისუ-ფალი ჯვრის ტიპის ნაგებობას. საკურთხევ-ლის გვერდით აფსიდიანი პასტოფორიუმები იყო. ენი-რაბათისგან განსხვავებით დასავლე-თი მკლავი ჩრდილოეთ-სამხრეთისაზე მოკ-ლე იყო. ერთი შესასვლელი გაჭრილი იყო


ამ მკლავის ჩრდილოეთ კედელში, ხოლო მეორე სამხრეთ მკლავში. რვაწახნაგა გუმბათი აფრებზე ამოდიოდა, რომლებსაც დეკორატუ-ლი ტრომპები აქობდა. ექსტერიერში ყურადღებას იქცევდა კედლის უზადო წყობა, ღიადების თავსართები, აღმოსავლეთი ორი ნიშის მა-რაოსებური გაფორმება, გუმბათის თაღედი.



თრიალეთის ახალქალაქის წმინდა გი-ორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაშ-ბაშში, წალკიდან 2,5 კმ-ში. სამხრეთ შე-სასვლელი თავზე და აღმოსავლეთი სარკ-მლის მოჩარჩოებაში ჩართულ ლაპიდარულ წარწერებში აღმშენებლად მოხსენიებუ-ლია რატი ერისთავ-ერისთავი. თარიღდება


X-XI სს-ის მიჯნით [რჩეულიშვილი, 1971: 111-130]. აქვს გვიანი მინაშენი სამხრეთი მხრიდან. დაზიანებული სახით შემორჩა, ჩამოქცეულია გუმბათი. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. გეგმაში წარმოადგენს ჯვარს, რომლის ოთხივე მკლავი სწორკუთხაა. ამათგან დასავლეთი სიგრძეში სჭარბობს დანარჩენების. გუმბათი ტრომპა-აფ-რებზე იყო ამოკვნილი. ფასადების იერსახეს განაპირობებს კარგად გათლილი ქვის წყობა და ცალკეული მორთულობის ელემენტები. გამოირჩევა აღმოსავლეთი სარკმლის სწორკუთხა და სამხრეთი წრიული სარკმლის მზესუმზირის ყვავილისებრი მოჩარჩინება ორ მხარეს ჯვრებით. ასევე ფურადღებას იქცევს მკლავების გადაკვეთაზე არსებული ტრომპების რელიეფური მორთულობა.

ქუდურის საყდარი მდგბარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, მდინარე თურდოს ზემო წელში, დასახლებული ადგილიდან მოშორებით. შემორჩა ნანგრევების სახით. თარიღდება XI საუკუნით. ჩრდილოეთ სათავსში დაცული წარწერის მიხედვით 1587 წელს ხელახლა აღუშენებიათ [ჩუბინაშვილი, 1959:407-411]. გეგმაში წარმოადგენს ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლს. ინტერიერში აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდაა ბემით. მის გვერდით კვადრატული პასტოფორიუმებია აფსიდებით. ისინი გვერდით მკლავებში იხსნება. სამკვეთლოს აქვს მეორე, საკურთხევლთან დამაკავშირებელი გასასვლელი. ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავი ტოლია. დასავლეთის მათ ოდნავ სჭარბობს და მცირე პილასტრების წყვილით ორად არის დანაწევრებული. გუმბათი კედლების კუთხეებს შეზღდილ საყდენებს ეუფრინებოდა. შესასვლელი ტაბარში სამი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან არის. აღმოსავლეთ ფასადზე ორი სწორკუთხა ნიშაა.



ივის ტაბარი მდგბარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მდინარე თეძამის შენაკად შაბრჯულას ხეობაში. აგებულია XI საუკუნეში. სამხრეთ-დასავლეთ ნიშასთან არსებულ ასომთავრულ წარწერაში ტაბრის ქტიოტორი მამათმთავარი არსენია მოხსენიებული [შმერლინგი, 1971:163-192]. რესტავრაცია XX ჩაუტარდა, თუმცა დაზიანებების გამო მისი რეაბილიტაცია ახლაც მიმდინარეობს. ჰქონდა გვიანი მინაშენი დასავლეთი მხრიდან. ნაგებია კარგად გათლილი ქვის კვად-

რებით. ინტერიერში გამოყენებულია ფლეთილი ქვა. ნახევრადთავი-სუფალი ტიპის ტაძარია. აღმოსავლეთით საკურთხევლის აფსიდაა




ღრმა ბემით. აფსიდის კედლებში ორი ღრმა ნიშაა. მის გვერდით წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის სათავ-სებია, რომლებიც გვერდით მკლავებში იხსნება. ეს მკლავები ტოლია, ხოლო დასავლეთისა სიგრძეში უთანაბრდება, თუმცა საგრძნობლად ვიწროა. გუმბათ-ქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა

აფრების საშუალებით ხორციელდება. გუმბათის ყელს მასიური კარ-ნიზი შემოუყვება. კედლები დეკორაციული თაღებითაა გაფორმებული. ეს არქიტექტურული ელემენტები გარკვეულწილად განაპირო-ბებს ინტერიერის არქიტექტურული გადაწყვეტის ხასიათს. შესასვ-ლელი ორია, დასავლეთ და სამხრეთ მკლავში.

ფასადები მდიდრულად არის მორთული. აღმოსავლეთ ფასადს ორი ნიშა ანაწევრებს. ყურადღებას იქცევს საკურთხევლის სარკ-მლის გაფორმება, რომლის მოჩარჩოებას ქვევით ღერძი ჩამოუყვება ორივე მხარეს განთავსებული რომბებით. თაღები ამჟოს ფასადებ-სა და გუმბათის ექვსსარკმლიან ყელს. სარკმელების მოჩარჩოე-ბაში მრავალფეროვანი ორნამენტული მოტივებია გამოყენებული. ყურადღებას იქცევს ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი კუთხეების გაფორმება დიაგონალური გადახურვით, კუწუბებით, მო-ჩუქურთმებული ნიშა-სახატეებით.

ტყეირის ეკლესია მდებარეობს სამეგრელოში, აბაშის მუნიციპა-ლიტეტში, მდინარე რიონის შენაკად ნოღელას ნაპირზე. თარიღდება




XV საუკუნის დასაწყისით. შემოჩენილი წარწერის მიხედვით ხელახლა აღუმნები-ათ XV საუკუნის დასასრულს ჭელიძეე-ბის გვარის წარმომადგენლებს. დასავლეთი კარიბჭე მიაშენეს XVI-XVII საუკუნეებში, ხოლო ჩრდილოეთი ეკვდერი XVII საუკუ-ნეში [ზაქარაია, 1966:177-201]. ნაგებობის თავდაპირველი სამშენებლო ფენა კარგად გათლილი ქვის კვადრუბითაა ამოყვანილი, ხოლო მომდევნო ფენაში აგურია გამოყე-

ნებული. ნაგებობას ჯვრული გეგმა აქვს. ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მკლავი დაახლოებით ტოლია, ხოლო აღმოსავლეთის ოდნავ გრძელია. ინტერიერში ამ მხარეს უბემო აფსიდაა. გუმბათი მეორე სამშენებლო პერიოდს განეკუთვნება და ცილინდრული ფორმა აქვს. შესასვლელი ორია სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან. ფასადებს ეტყობა გადაკეთების კვალი. თავდაპირველი მორთულობის ელემენტები, ორნამეტტული და ცხოველური მოტივებიანი ქვები ადგილმონაცვლებულია.

ქორეთის-უბნის ეკლესია მდებარეობს გურიაში, მდინარე რიონის მარცხნიანი ნაპირზე, ლანჩჩუთის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის აღმოსავლეთ მხარეს.


თარიღდება XV საუკუნის დასასრულით [ზაქარაია, 1966:177-201]. დაზიანებული სახით შემორჩა. დასავლეთით აქვს მინაშენი. კედლები სამი მეტრის სიმაღლეზე ქვით არის ნაგები, ხოლო ზევით აგურით.



ჯვრული გეგმისაა. ოთხივე მკლავი და-ახლოებით ტოლია და არასწორი სწორ-

კუთხა მოხაზულობა აქვს. ეს ინტერიერშიც იგრძნობა. ტაძარში ორი შესასვლელია სამხრეთ და დასავლეთ მხარეს. ცილინდრულ გუმბათში ოთხი სარკმელია გაჭრილი. ფასადები სადაა. აღმოსავლეთი სარკმლის გვერდით ცხოველის გამოსახულება, ხოლო დასავლეთი სარკმლის თავზე რელიეფური ჯვარია.

ზედა საქარის “გულანდიანი” მდებარეობს იმერეთში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის მახლობლად. თარიღდება XVI საუკუნით [ბერიძე, 1994:165-166]. კარგად არის დაცული. ნაგებია თლილი ქვით. ჯვრული გეგმა აქვს. სამი მლავი დაახლოებით ტოლია, ხოლო აღმოსავლეთის ოდნავ გრძელი. ინტერიერში ბემიანი ავსიდის კედლებში ორი მცირე ნიშაა. გუმბათის ყელზე სარკმელებს ლილვებშემოვლებული თაღოვანი საპირეები უვლის გარს. საინტერესოა, რომ იმერეთშივე, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საგანეში მდებარეოს ამ ძეგლის მსგავსი ტაძარი ე.წ. “გორგისეული”.



ქეგლების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ჯვრის ტიპის გავრცელების გეოგრაფიული არეალი მოიცავს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის ნიმუშები, შემორჩენილი თურქეთის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ქრონოლოგიურ მონაცემს, აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ჯვრის ტიპი საქართველოში გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი აღრეული ტიპია. მისი ფორმირება უკვე V საუკუნეში იწყება ისეთ ძეგლში, როგორიცაა ზეგანის მონასტრის წმინდა მარინას ეკლესია. საყურადღებოა, რომ მანგლისის ტეტრაკონქთან ერთად ეს ტაძარი უადრესი გუმბათიანი ტაძარია საქართველოში.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრებს აქტიურად აგებენ VI საუკუნიდან. ეს პროცესი გრძელდება XI საუკუნის ჩათვლით. გვიან შეასაუკუნეებში ისევ იწყება ძევლი ტიპების, მათ შორის თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობების, შენებლობა. XV საუკუნიდან გვხვდება ძეგლები როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრები ძირითადად მომცრო ზომის ნაგებობებია. ამას მისი არქიტექტურული სტრუქტურის თავისებურება განაპირობებს. კერძოდ, ჯვრული კონფიგურაცია და გუმბათის მკლავების გადაკეთაზე ამოყვანის წესი ზღუდავს ფართობის გაზრდის და პასტოფორიუმების მოწყობის შესაძლებლობას. ეს გარკვეული ცვლილებების განხორციელების სტიმული ხდება. როგორც ფაქტობრივი მონაცემების განხილვა გვიჩვენებს მარტივი ოთხმკლავიანი სტრუქტურის შეცვლა აღმოსავლეთით ბემის და პასტოფორიუმების მოწყობის, ხოლო დასავლეთით მკლავის დაგრძელების და პილასტრების მეშვეობით მისი დანაწევრების გზით განხორციელდა. თუ ბემა და დასავლეთი ნავის სახეცვლა არ იწვევს ტიპოლოგიურ ცვლილებას, პასტოფორიუმების მოწყობა ცვლის ნაგებობის კონფიგურაციას. შესაბამისად, აღარ იქმნება ჯვრული გარშემოწერილობა - ტიპის არსობრივი მახასიათებელი, რაც ახალი ქვეტიპის, ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის ფორმირებას განაპირობებს. ამ შემთხვევაში იქმნება აფსიდით, პასტოფორიუმებით, ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავით შექმნილი ერთიანი, სწორკუთხა გეგმარების ძირითადი კორპუსი თავზე გუმბათით და დასავლეთი მკლავით შედგენილი მოცულობითი ერთეული.

ამრიგად, საქართველოში ორი სახესხვაობა არსებობს – თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპი. უადრესი ნიმუშები თავისუფალი ჯვრის ტიპს განეკუთვნება, X საუკუნიდან იგება ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლებიც.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლებში განირჩევა ძეგლები, რომლებსაც ყველა მკლავი ტოლი აქვს, რაც ნაგებობას ცენტრულობას სძენს (მაგ.: ერალაანთ საყდარი, იდლეთი. ქორეთის-უბანი და სხვ.). არის ძეგლები, რომლებშიც დასავლეთი მკლავი მცირედ (მაგ.: საგრწევრისი, ატენის მცირე ტაბარი, თრიალეთის აზალქალაქი) ან საგრძნობლად (მაგ.: შიომღვიმე, აწყურის “თეთრი გიორგი”-X-XIIIსს, ზემგირი-X-XIIIსს) სჭარბობს დანარჩენ მკლავებს, რაც დასავლეთაღმოსავლეთი ღერძის გამოკვეთას ემსახურება. დასავლეთი მკლავის გადაწყვეტის მხრივ განირჩევა ნახევრადთავისუფალი ტიპის ძეგლებიც. არის ნაგებობები, რომლებშიც ეს მკლავი შედარებით მოკლე და დაუნაწევრებელია (მაგ.: ექექი, იკვი,). სხვა ძეგლებში დასავლეთის ნავის კედლებზე პილასტრებია, რაც მკლავის გარკვეული რიტმული დანაწევრების მსატვრულ ეფექტს ქმნის (მაგ: ენი-რაბათი, კუნძურის საყდარი, ჩანგლი-XIIს).

ამრიგად, თავისუფალი ჯვრის ტიპი საქართველოში გუმბათიანი არქიტექტურის ერთ-ერთი უაღრესი ტიპია, რომლის არქიტექტურული სტრუქტურა კომპოზიციის სიცხადით, ფორმათა დაკონურობით გამოირჩევა და ორ სახესხვაობას ქმნის.

ჩახაზული ჯვრის ტიპი


ცალკეული არქიტექტურული ტიპის რაობა და შესაბამისი სახელწოდება, როგორც წესი, ნათლად არის განსაზღვრული. ასე მაგალითად, ტერმინი ბაზილიკა, ტეტრაკონქი, ტრიქონქი, კუპელჰალე კონკრეტული არქიტექტურული სტრუქტურის და მასასიათებლების მქონე ნაგებობების მიმართ გამოიყენება. ოუმცა არსებობს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული არქიტექტურული ტიპი, სახსიათო ნიშნებით, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება. კერძოდ, გამოიყენება ტერმინები cross in square ანუ ჯვარი კვადრატში [ჰამილტონი, 1956; დევისი, 1952], “quincunk”, რაც აღნიშნავს ოთხნაწილიან კვადრატს ცენტრში მეხუთე ნაწილით [კრაუთჰაიმერი, 1986], ასევე croix inscrite, იგივე ჩახაზული ჯვარი [ბრუნოვი, 1935; როდლე, 1994], რომელიც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც დამკვიდრდა. სხვადასხვა სახელწოდების მიუხედავად სპეციალისტები ერთსადამავე არქიტექტურულ ტიპს განიხილავენ, რომელსაც სამი არსებითი მახასიათებელი გააჩნია. ესაა:

1. ყელიანი გუმბათი, დაფუძნებული თავისუფლად მდგარ ოთხ საყრდენს ან ორ საყრდენსა და საკურთხევლის აფსიდის შვერილებები.
2. გუმბათქვეშა კვადრატიდან ჯვრულად განლაგებული ოთხი მკლავი, რომლებიც აღიქმება როგორც შიდა სივრცეში, ასევე გარე მასების გადაწყვეტაში.
3. ნაგებობის სწორკუთხა კონფიგურაცია.

საქართველოში ჩახაზული ჯვრის ტიპი გუმბათიანი არქიტექტურის წამყვანი ტიპია და მრავალრიცხოვანი ძეგლებით არის წარმოადგენილი. ამდენად, ჩენე მოკლედ მიმოვიზილავთ სხვადასხვა პერიოდსა და რეგიონში აგებული მიშვნელოვანი ნიმუშების მხოლოდ ნაწილს.

წრომის ტაძარი ჩახაზული ჯვრის ტიპის უადრესი ნიმუშია საქართველოში, რომელიც მდებარეობს ქართლში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ხაშურის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურ გომიდან 3 კილომეტრში, სოფლის შუაგულში. აგებულია ქართლის ერისთავ სტეფანოზ II-ის მიერ 626-634 წლებში [ჩუბინაშვილი, 1969]. ნაგებია კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით. 1940 წლის მიწისძვრის დროს დანგრევის შემდეგ ეტაპობრივად აღადგინეს.

გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხა ნაგებობას აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით. გუმბათი ეფუძნება ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენს. ნაგებობის და-სავლეთით ნარტექსია, ხოლო მის მეორე სართულზე პატრონიკება მოწყობილი. ნაგებობის კონფიგურაციაში იკვეთება ცენტრალური კვადრატი, მის აღმოსავლეთით და დასავლეთით უფრო განიერი ნაწილები, რომლებიც გრძივი ფასადების კიდეებში სწორკუთხა შვერილებს ქმნის. ტაძრის ფასადები კლასიკური ხანისათვის სახასიათო თავშეკავებული მიღობით და ჰარმონიული წონასწორობით ხასიათდება. აღმოსავლეთ მხარეს ყურადღებას იქცევს საკურთხევლის სარკმლის გვერდით არსებული ორი ღრმა ნიშა. გრძივი კედლები ერთმანეთის იდენტურად არის გადაწყვეტილი. ისევე როგორც დასავლეთის, ასევე ამ ფასადების კომპოზიციური განაწილების ძირითად ელემენტებს კარისა და სარკმლების ღიობები წარმოადგენს.




წრომის ტაძარი ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამორჩეული ძეგლია არა მხოლოდ თავისი არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულებით, არამედ იმ სიახლეებით, რაც საქართველოს ხუროთმოძღვრებაში პირველად სწორედ ამ ძეგლში განხორციელდა. ოთხ საყრდენზე დაყრდნობილი გუმბათი, გუმბათების კვადრატიდან წრეზე გადასვლისას ტრომბ-აფერების გამოყენება, აღმოსავლეთ ფასადზე ორი ნიშის მოტივი, რომელსაც ფასადის მხატვრული გააზრების გარდა კონსტრუქციული, კედლის მასივის განტვრთვის ფუნქციაც გააჩნია, შედა სივრცის დასავლეთ მონაკვეთში პატრონიკებს მოწყობა, წრიული ფორმის სარკმლის გამოყენება – ყველა ეს არქიტექტურული გადაწყვეტა თუ ფორმა საქართველოში პირველად წრომის ტაძარში გვხვდება. ამ ნოვაციების განხორციელება და ის ფაქტი, რომ წრომი გუმბათიანი არქიტექტურის ყველაზე გავრცელებული ტიპის პირველი ძეგლია საქართველოში, ცხადია, განუზიმლად ზრდის მის მნიშვნელობას ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

სამშვილდის სიონი მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ძირინარეების ჭივჭავსა და ხრამს შორის არსებულ კონცხზე, ნაქალაქარ სამშვილდის ტერიტორიაზე. წარწერის მიხედვით თარიღდება 759-777 წლებით [ნ.ჩუბინაშვილი, 1969]. ნანგრევე-

ბის სახით მოაღწია. აგებულია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. თავისი გადაწყვეტით ენათესავება წრომის ტაძარს, თუმცა უფრო როთული დაგეგმარება ახასიათებს. ძირითადი სივრცე წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლით. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენს ეყრდნობოდა. ჩრდილოეთით გრძელი სათავსი, სამხრეთით კი გალერეა იყო სამალიანი შესასვლელით. ტაძრის ამ ნაწილების აღმოსავლეთით აფსიდიანი სწორკუთხა ეპგ-დერები მდებარეობდა. ტაძარში სამი შესასვლელი იყო ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან. აღმოსავლეთ ფასადზე წრომის მსგავსად ნიშებია, თუმცა აქ ორის ნაცვლად მათი რაოდენობა ოთხია. ამავე მხარეს მთელ სიგრძეზე ამოკევთილ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი, ასევე მაშნებელნი, ქართლის პიტახშთა შთამომავლნი ვინმე ვარაზბაკური და იოვანე. სამშენებლის სიონში წრომის ტაძრის კლასიკური წონასწორობა ფორმათა და ცალკეულ ნაწილთა ურთიერთმიმართების კუთხით გარკვეულად სახეშეცვლილია, რაც ახალი, გარდამაყალი ეპოქის სულისკვეთებას ეხმანება.


ბარცანას ტაძარი მდებარეობს კახეთში, ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდადან 3-4 კმ-ის დაშორებით ტყეში. ნანგრევების სახით მოაღწია. ნაგებია რიყის ქვითა და შირიმით. თარიღდება



VIII-IX საუკუნეებით [ჩუბინაშვილი, 1959: 349-354]. კვადრატს მიახლოებებული გეგმარების ნაგებობაა აღმოსავლეთით ბეჭიანი, ოდნავ ნალისებური მოხაზულობის აფსიდით და სწორკუთხა პასტოფორიუმებით. ეს სათავსები კარით ძირითად სივრცეში იხსნება. გუმბათი ეყრდნობოდა აფსიდის შვერილებს და ორ თავისუფლად მდგარ საყრდენს. ჩუ-

ბინაშვილის აზრით სავარაუდოდ რგაწახნაგა გუმბათის ყელი ტრომპზე იყო ამოყვანილი [ჩუბინაშვილი, 1959: 352]. ტაძარში არსებული ორი, დასავლეთი და სამხრეთი შესასვლელის წინ გეგმაში კვადრატული, სამმხრივ თაღებით გახსნილი კარიბჭე იყო. ნაგებობის ექსტერიერი სისადაცით ხასიათდება.

იყალთოს ფერისცვალების სახელობის ეკლესია “ღვთაება” მდებარეობს კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, აღმინისტრაციული ცენტრიდან ჩრდილოეთით 7 კილომეტრ-ში მდებარე ასურელ მამა ზენონის მიერ დაარსებულ სამონასტრო კომპლექსში. აქ არსებულ სამ ეკლესიას შორის მთავარია და აგებულია VIII-IX საუკუნეებში [ჩუბინაშვილი, 1959: 339-349]. მრავალჯერ გადაკეთებული ტაძარი ნაგებია რიყის ქვით და შირიმით. მოგვიანო ხანის 12 სარგმლიანი მაღალყელიანი გუმბათი აგურისაა. ნაგებობა სწორკუთხა ფორმისაა. აღმოსავლეთით ბემიანი ნალისებური მოხაზულობის საკურთხევლის აფსიდაა. მის გვერდით სწორკუთხა პასტოფორიუმებია, რომლებიც კარგებით ძირითად სივრცეში იხსნება. სამკვეთლო მეორე გასასვლელით საკურთხეველთან არის დაკავშირებული. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენზეა დაფუძნებული. გუმბათქვეშა კვადრატულიან წრეზე გადასვლა აფრების მეშვეობით ხორციელდება. ძირითადი სივრცის დასავლეთით თანადროული, თაღებით სამ მონაკვეთად დაყოფილი ნარტექსია, რომლის მეორე სართულზე მონასტრის წინამდგარის სამყოფელია გამართული. ტაძარში შესასვლელი სამი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდანაა. თითოეულ კარის წინ კარიბჭეა აგებული. ფასადები სადაა. ყურადღებას იპყრობს აგურით შესრულებული გუმბათის ყელის მორთულობის მარტივი ელემენტები.




ოზანის ამაღლების ტაძარი, ბარცანასა და იყალთოს მსგავსად, კახეთის ხუროთმოძღვრების ნიმუშია. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლიდან 2-3 კმ-ის დაშორებით ტყეში. თარიღდება IX საუკუნით [ჩუბინაშვილი, 1959: 354-363]. აგურით არის ნაგები, რაც მას გამოარჩევს თავისი ეპოქის ძეგლებისაგან.

ოზანის ამაღლების ტაძარი, ბარცანასა და იყალთოს მსგავსად, კახეთის ხუროთმოძღვრების ნიმუშია. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლიდან 2-3 კმ-ის დაშორებით ტყეში. თარიღდება IX საუკუნით [ჩუბინაშვილი, 1959: 354-363]. აგურით არის ნაგები, რაც მას გამოარჩევს თავისი ეპოქის ძეგლებისაგან.

აღსანიშნავია ისიც, რომ გადახურულია მოჭიქული კრამიტით, რომელიც ისევე როგორც ინტერიერში შემორჩენილი მოხატულობა XII-XIII საუკუნეების ხანისაა. გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებულ სწორკუთხედს. აღმოსავლეთით ღრმა ბერდის მქონე საკურთხევლის აფსიდაა. მის წინ ძველი, რელიეფური მორთულობით შეძული კანკელია. სწორკუთხა პასტოფორიუმებს აფსიდები აქვს. ამ სათავსებში შესასვლელი ძირითადი სივრციდან არის.


სამკვეთლო მეორე კარით საკურთხეველს უკავშირდება. სათავსებს მეორე სართულზე სამალავები გააჩნია. გუმბათი ამოცვანისას ტრომპების ორი რიგი გამოიყენება. გუმბათის აფსიდის შვერილებსა და ორ თავისუფლად მდგარ სარყდენს ეფუძნება. ნაგებობის დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან ეტაპობრივად აიგო მინაშენები, რომლებშიც შესასვლელების მონაკვეთი ორკალთა გადახურვითაა გამოკვეთილი. ტაძარში კარი ჩრდილოეთი მხრიდანაც არის. აგურის წყობიანი ფასადები სადაა. აღმოსავლეთ ფასადზე გამოირჩევა სამი აფსიდის ნახევარწრიული შვერილი, რომელთაგან ცენტრალურში სამი სარკმელია გაჭრილი. გუმბათის წრიულ ყელზე სწორკუთხა მოჩარჩოებულ არეში მოქცეულ რვა სარკმელს თაღნარი ამკობს. ამდენად, ოზანი გამორჩეულია როგორც საშენი მასალით, ასევე გუმბათზე თაღედით, რომელიც თელოვანის ჯვარპატიოსანის შემდგომ ერთ-ერთ ადრეული ნიმუშია.



ბზიფის ეკლესია მდებარეობს აფხაზეთში, მედინარე ბზიფის მარჯვენა ნაპირზე ამავე სახელწოდების სოფელში არსებულ არქიტექტურულ კომპლექსში, რომელშიც შედის გალავნით შემოზღუდული ციხე და ორი ტაძარი. შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სახით. თარიღდება IX ს-ის მეორე ნახევარით [რჩეულიშვილი, 1988: 6-30]. მკვიდრად იყო ნაგები და თლილი ქვით მოპირკეთებული კედლები ჰქონდა. ნაგებობა სწორკუთხა გეგ-


მარებისაა აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდით. საკურთხევლის აფსიდას ხუთწახნაგა, ხოლო გვერდითა სათავსებს სამწახნაგა შვერილის ფორმა აქვს. აღსანიშნავია, რომ ინტერიერში აფსიდისპირა სათავსები გახსნილია და ამავდროულად გასასვლელით საკურთხევლის უკავშირდება. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ საყრდენს ეფუძნებოდა. ნაგებობას სამი შესასვლელი აქვს ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან, რომელთა წინ კარიბჭებია. ფასადებზე კარ-სარკმელები თავსართებითა შემცული.

ანაკოფის სიმონ კანანელის სახელობის ეკლესია მდებარეობს აფხაზეთში, ახალ ათონში, ზღვიდან ნახევარ კილომეტრში, მდინარე ფსირცხას ხეობაში. მის უკან, კლდის თავზე ანაკოფის ციხე-სიმაგრის ნანგრევებია. ძეგლი თარიღდება IX-X საუკუნეებით, თუმცა მის თანამედროვე იერს XIX საუკუნის რემონტი განსაზღვრავს [რჩეულიშვილი, 1988: 31-36]. ნაგებია თლილი ქვით. ბზიფის მსგავსად სწორკუთხა გეგმისაა აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდით. საკურთხევლის აფსიდა აქაც ხუთწახნაგაა, თუმცა გვერდითი აფსიდები მისგან განსხვავებით ნახევარწრიულია. საგულისხმოა, რომ ინტერიერში სამივე აფსიდა მკვეთრად გამოხატული ნალისებური მოხაზულობისაა. პასოფორიუმები აქაც კედლით არ არის გამიჯნული და გასასვლელებით დაკავშირებულია საკურთხეველთან. 1882 წელს ამოყვანილი გუმბათი ეფუძნება ოთხ ჯვრული ფორმის საყრდენს. ბზიფისგან განსხვავებით ანაკოფის ტაძარს დასავლეთით ნარტექსი გააჩნია, რომელიც გამბრჯენი თაღების და დასავლეთი კედლის პილასტრების ბერებით სამ ნაწილად არის დანაწევრებული. მასში კარი სამი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სახრეთი მხრიდან არის გაჭრილი. ტაძარს კიდევ აქვს გრძივი ფასადების ცენტრში არსებული შესასვლელები. ნაგებობის ექსტერიერის ხასიათს აყალიბებს თლილი ქვის თანაბარზომიერი წყობა, ასევე მაღალყელიანი გუმბათის და კორპუსის პროპორციული დამოკიდებულება. დეკორატიულ აქცენტს ქმნის აღმოსავლეთი სარკმლების თავსართი.



ლიხნეს ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, გუდაუთის ჩრდილოეთი, ზღვიდან 4-5 კმ-ში. თარიღდება X საუკუნით [რჩეულიშვილი,


1988: 36-45]. ნაგებია მოყვითალო ფორმულით ქვით. გეგმაში წარგ-ძელებული სწორკუთხა ფორმისაა. აღმოსავლეთით სამი შევრილი, ნახევარწრიული ფორმის აფსიდაა. ინტერიერში მათ ბზიფის მსგავ-



სად ნალისებური ფორმა აქვს. გვერ-დითი სათავსები გახსნილია. გუმბათი ეფუძნება ჯვრული ფორმის ოთხ საყ-რდენს და აფრებითაა ამოყვანილი. და-სავლეთით ნარტექსია, რომლის მეორე სართულზე ქოროა. ბზიფისაგან განს-ხვავებით, ანაკლეასა და, განსაკუთრე-ბით, ლიხნეს შიდა ფორმები აზიდული პროპორციებით ხასიათდება. ნაგებობის

სამი, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი შესასვლელის წინ კა-რიბჭეა აღმართული. ექსტერიერი სისადავით გამოირჩევა. ყველაზე გამოშვასახველი აღმოსავლეთი ფასადია შევრილი ფორმებით. არქი-ტექტურულ სახეს ძირითადად აყალიბებს რვაწახნაგა და რვასარკ-მლიანი ვიწროყელიანი გუმბათის ერთგვარი კონტრასტი ნაგებობის კორპუსთან, რომელიც მაღალი პროპორციების ერთიან მოცულობას ქმნის.

მოქვის ტაძარი მდებარეობს აფხაზეთში, ოჩამჩირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 20 კმ-ის დაშორებით, მდინარეების დაბის-წყლისა



და მოქვის-წყლის შესაყარ-თან. “ქართლის ცხოვრება-ში” დაცული ცნობის მიხედ-ვით აგებულია ლეონ აფხაზ-თა მეფის მიერ (957-967) როგორც საეპისკოპოზო კა-თედრა [რჩეულიშვილი, 1988: 46-66]. შემორჩა მეტ-ნაკლე-ბი ცვლილებებით. აგებულია თლილი ქვით. წარმოადგენს


სწორკუთხა გეგმარების მასშტაბურ ნაგებობას აღმოსავლეთით სა-მი შევრილი აფსიდით, რომელთაგან ცენტრალური უფრო მკვეთრად შევრილი და ხუთწახნაგა, ხოლო გვერდითები ნახევარწრიულია. ისევე როგორც აფხაზეთის უკვე განხილულ ტაძრებში, პასტოფო-რიუმები გახსნილია და საკურთხეველსაც უკავშირდება გასასვლე-

ლებით. გუმბათი ჯვრული ფორმის ოთხ საყრდენს ეფუძნება. მის დასავლეთით საყრდენების წყვილი სივრცეს სამ ნავად ჰყოფს. ნაგებობის ცენტრალურ არქს სამი მხრით შემოუყვება ორსართულიანი გარშემოსავლელი, რომლის მეორე სართული ერთიანი ქოროა, ხოლო პირველი სართულის დონეზე ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს სამ-სამი კაპელაა მოწყობილი. კიდურა აღმოსავლეთი კაპელები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. მათ აღმოსავლეთით კედელში აფსიდალურად ამოკვეთილი ნიშები გააჩნია. ეს, სავარაუდოდ, მათ პასტოფორიუმად ან გარკვეული ლიტურგიული წესების ჩასატარებელ სათავსად გამოყენებაზე მიუთითებს [რჩეულიშვილი, 1988:53]. დანარჩენი ორ-ორი კაპელა დასავლეთ მონაკვეთებშია, ხოლო შუა ნაწილი ძირითად სივრცეში თაღებით არის გახსნილი.

მოქვის ტაძარი გეგმაზე ხუთნავიანი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ რეალურად ორსართულიან გარშემოსასვლელს შორის მოქცეულ სამნაწილიან სტრუქტურას წარმოადგენს. საკმაოდ რთული ინტერიერის ხასიათს არქიტეტურული ფორმების რიტმი და დინამიურობა განსაზღვრავს. ექსტერიერში ნაგებობა ბევრად მონოლითურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მხატვრულ სახეს აყალიბებს თლილი ქვის უზადო წყობის კედელი ორ რიგად განლაგებული სარკმლებით, ასევე მასიური კორპუსის და თორმეტსარკმლიანი გუმბათის ურთიერთშეთანხმება.


აფხაზეთის აღნიშნულ ძეგლებში ბზიფის ტაძარი უფრო მარტივია და დამჯდარი პროპორციები გააჩნია. ანაკლია და, განსაკუთებით, ლიხნე აზიდული ფორმებით ხასიათდება, ხოლო დასავლეთით ნარტექსი მათი გეგმის გართულებას განაპირობებს. რაც შეეხება მოქვის ტაძარს, ის თავისი მასტებით, ფორმათა მრავალფეროვნებით და დიდებულებით აფხაზეთის და, ზოგადად, ქართული ხუროთმოძღვრების, გამორჩეული ნიმუშია.

სანდოას ეკლესია მდებარეობს თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიულ პროვინცია კლარჯეთში, მდ. იმირხევის მარჯვენა ნაპირზე, ხუთიოდე კილომეტრით მაღლა ციცაბო კლდოვან ფერდზე გაშენებული წმინდა გიორგის სახელობის მონასტერის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სახით. ჩამოექცა გუმბათის დი-



დი ნაწილიც. აქ გრიგოლ ხანძთელის თავდაპირველად აგებული ხის ტაძრის შემდგომ 896 წელს აშოტ კუხის დროს დაწყებული მშენებლობა გაგრძელდა და ძეგლმა საბოლოო სახე აშოტ ერისთავის ძმიშვილ გურგენის დროს (918-941წწ) მიიღო. გიორგი მერჩულების ცნობით ხუროთმოძღვარი იყო ამონა [ბერიძე, 1981: 179-182; ჯობაძე, 2006: 39-55]. ეკლესია ნაგებია თლილი ქვით. გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა. საკურთხევლის აფსიდას ღრმა ბემა აქვს. პასტოფორიუმები უაფსიდოა და ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმა აქვს. ისინი კარგებით მხოლოდ ცენტრალურ სივრცეს უკავშირდება. გუმბათი აფსიდის შეერილებს და ორ საყრდენს ეყრდნობა. ამ საყრდენების დასავლეთით კიდევ ერთი წყვილია, რაც ტაძრის დასავლეთ მონაკვეთს სამად ანაწევრებს. შესასვლელი ორია სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს. აღსანიშნავია, რომ ისინი არა ფასადის ცენტრში, არამედ დასავლეთით არის გაჭრილი. ექსტერიერის გადაწყვეტაში ყურადღებას იქცევდა გუმბათი თავისი ქლფისებური გადაწყვეტით, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. გუმბათის თორმეტწახნაგა ყელზე ოთხი სარკმელი და თორმეტი თაღი იყო, რომლებიც შეწყვილებულ ნახევარსვეტებს ეფუძნებოდა. ნაწილობრივ შემორჩენილ ნახევარსვეტებს სტილიზებული კაპიტელები ამკობს. აღსანიშნავია, რომ კარგად განირჩევა კედლის წყობის განსხვავება კორპუსსა და გუმბათს შორის. კედლები უხეშად დამუშავებული, ხოლო გუმბათის ყელი სუფთად გათლილი ქვით არის ამოყვანილი, რაც თავისებურ მხატვრულ ეფექტს ქმნის.

სამთავისის ტაძარი მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში, მდინარე ლეჩურის მარცხნა ნაპირზე.




შემორჩენილია გარკვეული ცვლილებებით. ძლიერი დაზიანების გამო XV საუკუნეში თავიდან აიწყო დასავლეთი, ნაწილობრივ გრძივი ფასადები. ამ ხანას განეკუთვნება გუმბათიც. აღმოსავლეთი ფასადის წარწერის მიხედვით სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონ ძე ვაჩე ყანჩაელის მიერ აგებულია 1030 წელს [ზაქარაია, 1975: 9-46].

სწორკუთხა გეგმის ნაგებობას აღმოსავლეთით ბემიანი საკურთხევლი აქვს. მის გვერდით აფსიდანი პასტოფორიუმებია. მათ მეორე სართულზე სამალავებია მოწყობილი. გუმბათი ეყრდნობა ოთხ

საყრდენს, რომელთაგან აღმოსავლეთი წყვილი შერწყმულია საკურთხევლის კედლებთან. ტაძარში შესასვლელი სამი მხრიდანაა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კარი გრძივი კედლების დასავლეთ მონაკვეთშია გაჭრილი. გადაკეთების გამო ნაგებობის ფასადები შეცვლილია. თავდაპირველი სახე შეინარჩუნა აღმოსავლეთის ფასადმა, რომელიც თავისი კომპოზიციური დაზვეწილობით გამორჩეულია ქართულ წუროთმოძღვრებაში. ორი სამკუთხა ნიშა, ხუთი თაღი და ჯვრის, კოპის, სარკმლის მოჩარჩოებისა და ორი რომბით შედგენილი მთავარი ღერძის მოტივი ამ ფასადზე კარგად გააზრებულ და დაზვეწილ კომპოზიციას ქმნის.

მცხეთაში მდებარე **სამთავროს** ტაძარი აგებულია XI საუკუნის პირველ ნახევარში [ზაქარაია, 1975: 47-65]. საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი, თუმცა ცამეტწახნაგა გუმბათის ყელი XIII-XIV საუკუნეებშია აღდგენილი. ნაგებია თლილი ქვით. სწორკუთხა გეგმარების სამნაწილანი საკურთხევლის მქონე ნაგებობაში გუმბათი არა ოთხ საყრდენს, არამედ აფსიდის შვერილებს და ორ თავისუფლად მდგარ საყრდენს ეფუძნება. ჩახაზული ჯვრის ტიპის ეს ლაკონური ვარიანტი სამთავროს შემდგომ საბოლოოდ დამკვიდრდა ქართულ წუროთმოძღვრებაში.




პასტოფორიუმები ორსართულინანია. ტაძარში შესასვლელი სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან არის. სამხრეთით წაგრძელებული ფორმის, ოთხ არათანაბარ მონაკვეთად დანაწევრებული სტოა-კარიბჭეა აღმოსავლეთით აფსიდით, ხოლო დასავლეთით კვადრატული გეგმის კარიბჭეა. საინტერესოა ძეგლის ფასადების გადაწყვეტა. საგულისხმოა, რომ მდიდრული დეკორაციული მორთულობა გამოიარჩევს არა აღმოსავლეთ ფასადის ორი ნიშითა და ხუთი თაღით შექმნილ კომპოზიციას, არამედ შეწყვილებული სარკმლების გაფორმებას გრძივ ფასადებზე. ამასთან, განათების სპეციული კის გათვალისწინებით შესრულების განსხვავებული მიღეომაა გამოყენებული თითოეულ შემთხვევაში. ჩრდილოეთ მხარეს მკვეთრად ჩაკვეთილი ბრტყელზედაპირიანი ჩუქურთმა, ხოლო სამხრეთით ამოზნექილ ზედაპირზე ნატიფი და დახვეწილი მორთულობის ელემენტებია.

ქართული წუროთმოძღვრების ისტორიაში სამთავროს და სამ-

თავისის ტაძრებში ჩამოყალიბდა ჩახაზული ჯვრის ტიპის ახალი, უფრო ლაკონური ვარიანტი, რომელშიც აფეშიც ამოყვანილი გუმბათი აფსიდის შვერილებსა და ორ თავისუფლად მდგარ საყრდენს ეფუძნება. მას ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის სახელი-თაც მოიხსენიებენ [ზაქარაია, 1975]. XI-XII საუკუნეების გელათის, თიღვას და იკორთას ტაძრებთან ერთად სამთავრო და სამთავრი ცენტრალურ-გუმბათოვანი ძეგლების პირველ ეტაპს ქმნის, რომელიც ცხოველხატული ეპოქის სტილისტიკით გამოირჩევა. ეს კარგად ვლინდება ფასადების გადაწყვეტაში, მდიდრული დეკორაციული მორთულობის შესრულების ოსტატობაში თუ შიდა სივრცის აღქმაში. მაგალითად, გრძივი ფასადების კარის დასავლეთით გაჭრის ხერხი შემსვლელს არქიტექტურული ფორმების სხვადასხვა რაკურსში აღქმის საშუალებას აძლევს.

ბეთანიას ეკლესია თბილისიდან 18 კმ-ში, მდინარე ვერეს ხეობაში, დასახლებული ადგილიდან მოშორებით მდებარეობს. აგებულია




XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე [ზაქარაია, 1990: 57-71]. შემორჩენილია მეტნაკლები ცვლილებებით. ნაგებია თლილი ქვით. ტიპოლოგიური თვალსაზრისით იმეორებს სამთავროში ფორმირებულ სტრუქტურას. საგულისხმოა, რომ სამხრეთი შესასვლელი აქაც დასავლეთით არის გაჭრილი და მის წინ სტოა-კარიბჭეა, თუმცა ის სამთავროსაგან გან-

სხვავებით სამ ნაწილიანია და აღმოსავლეთით აფსიდა არ აქვს. წინა ეტაპის ძეგლებისაგან განსხვავებით ბეთანიაში თაღედი აღარ გამოიყენება. აღმოსავლეთი ფასადზე აქცენტირებულია ორი სამკუთხა ნიშა და სარკმლების მოჩარჩოება. დანარჩენი ფასადების მთავრი დეკორაციულ ელემენტს შეწყვილებული სარკმლების და მათ ზევით წრიული სარკმლის მოჩარჩოება ქმნის. სამხრეთ ფასადზე ახალი სქემაა შედგენილი სარკმლებისა და ჯვარის საშუალებით, რომლებიც ერთიან მხატვრულ სახეს ქმნის. თორმეტსარკმლიანი გუმბათის მაღალი ყელი გაფორმებულია თაღნარით და უსვადაა მორთული ჩუქურთმით.

ქვათახვის ეკლესია მდებარეობს ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტში, მდინარე კავთურას სათავესთან კავთისხევის მახლობლად.


XII-XIII საუკუნების მიჯნის ეს ძეგლი [ზაქარაია, 1990: 72-88] შემორჩენილია მეტ-ნაკლები ცვლილებებით. XVII საუკუნეშია აგებული დასავლეთის კარიბჭე. ტაძარი მოპირკეთებულია მოყვითალო კირქვის კვადრებით. ქვათახევის ტაძრის არქიტექტურული სტრუქტურა ბეთანიის მსგავსია. სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთთან აქაც სტოა-კარიბჭეა, რომელიც ორ ნაწილად არის გააზრებული. ეკლესიის ინტერიერში ყურადღებას იქცევს თაღების მკვეთრად გამოხატული ისრული ფორმა, რაც შიდა სივრცეს ზესწრაფულობას მატებს. სახასიათოა ასევე დაკიდული თაღნარი სამხრეთი კედელზე. ფასადებზე შეწყვილებული და წრიული სარტყების, ასევე ჯვრის საშუალებით შედგენილი კომპოზიცია გამოყენებული. გამორჩეულია აღმოსავლეთი ფასადი, სადაც სამთავისში ფორმირებული მთავარი ღრების მოტივია წამყვანი. თორმეტსარკმლიანი გუმბათის ჩუქურთმა, ისევე როგორც საერთოდ ქვათახევის დეკორაციული მორთულობა დახვეწილი ფორმებით და ოსტატობის მაღალი დონით გამოირჩევა.



ბეთანია-ქვათახევის ჯგუფს განეკუთვნება XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დასაწყისის ძეგლები (მაგ.: ფიტარეთი, წულრუღაშენი, ყინწვისი, ტიმოთესუბანი, ახტალა), რომლებსაც ასევე ლაკონური არქიტექტურული სტრუქტურა გააჩნიათ. საერთო სტილისტური მიღების მიუხედავად თითოეულ ნაგებობაში განსხვავებულია პროპორციები, გუმბათისა და კორპუსის ურთიერთშეთანხმება. ზოგ შემთხვევაში ინტერიერში ჰატრონიკეა მოწყობილი (მაგ.: წულრუღაშენი, ყინწვისი). ფასადების შესამკობად ძეგლებში გამოყენებულია დეკორაციული მოტივების და სქემების მრავალფროვანი რეპერტუარი. შესაბამისად, სამშენებლო, არქიტექტურულ-მხატვრული გამოშვახველობის და დეკორაციული მორთულობის დონე ამ ძეგლში მაღალია. ამ მხრივ ცალკე დგას ყინწვისის და ტიმოთესუბნის ეკლესიები, რომლებშიც საშენ მასალად აგურის გამოყენება იმთავითვე გამორიცხავს ჩუქურთმის არსებობას და ექსტერიერის განსხვავებულ მხატვრულ იერსახეს განაპირობებს.

საფარას წმინდა საბას სახელობის ეკლესია მდებარეობს მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ახალციხიდან სამხრეთ-აღმო-


სავლეთით ათიოდე კილომეტრში სოფელ ღრელთან, სამცხის ათაბაგ ჯაყელთა ისტორიულ რეზიდენციაში. საფარის არქიტექტურულ ან-სამბლში შემაგალ რამდენიმე საერო და საკულტო ნაგებობას შორის



XIII საუკუნის დასასრულს აგებული წმ. საბას ეკლესია მთავარია. დასავლეთ კარიბჭეს წარწერის მიხედვით მისი ხუროთმოძვარია ფარეზასძე [ბერიძე, 1955. 27-87]. ტაძარი მეტ-ნაკლები ცელილებებით შემორჩა. თლილი ქვით ნაგები ეკლესია ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპისთვის ჩვეული გეგმარებისაა. აფხისდიანი პასოფორიუმები ორსართულიანია. სამკვეთლო კარით საკურთხეველს უკავშირდება. სადიაკვნეს ქვეშ კამაროვანი გადახურვის მქონე, დიდი ლოდებისაგან ნაგები კრიპტაა. დასავლეთით გერედითი მონაკვეთების თავზე დაბალი პატრონიკებია. ტაძრის სამხრეთით კვადრატული, ხოლო დასავლეთით მოგრძო, ოთხნაწილიანი გახსნილი კარიბჭეა. ტაძარს სამხრეთ-დასავლეთით ძველი, დარბაზული, მიძინების სახელობის ეკლესია ესაზღვრება, რომელთანაც სპეციალურად გაჭრილი გასასვლელითაა დაკავშირებული.

საფარას წმინდა საბას ეკლესის ადგილმდებარების სპეციფიკიდან გამომდინარე მისი ფასადების სრულფასოვნად აღქმა გამნელებულია. ეს ეხება განსაკუთრებით აღმოსავლეთ მხარეს, რომელიც ქარაფს გადაჰყურებს. საინტერესოა, რომ ნაგებობის ამ ფასადის შუა ნაწილი დახლოებით ერთი მეტრით სწორკუთხა ფორმით შევრილია. მთავარი დეკორაციული დატემორთვა ცენტრალურ ფართო მოჩარჩოების მქონე სარგმელს აქვს. სხვა მცირე ზომის სარკმლები ლილვებითაა აქცენტირებული. დასავლეთით ასევე სარკმლის მოჩარჩოება იქცევს ყურადღებას. თუმცა ძირითად მხატვრული ეფექტს კარიბჭეს თაღების ჩუქურმა, კაპიტელებზე ფრინველების (დედალმამალი ბარტყით, არწივი ცხოველით კლანჭებში) გამოსახულები ქმნის. გრძივ ფასადებზეც შემკულობით გამოირჩევა სარკმელი, რომელსაც თავზე რელიეფური ჯვარია მოცემული. ტაძრის გუმბათი თექვსმეტწახნაგაა, თაღნარით და ჩუქურთმით მორთული. სულ რვა სარკმელია გაჭრილი. ცრუ სარკმელებს თავზე რელიეფური კოპები ამკობს.

გერგეტის სამება მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდინარე თერგის ხეობაში, სოფელ გერგეტის თავზე. მყინვარწვერის ფონზე მთის წერზე აღმართული ეკლესია სამრეკლოსთან ერთად ლანდშაფტთან შერწყმის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. ხევის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესია აგებულია XIV საუკუნეში თლიილი ქვით [სანიკოძე, 1975]. საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი. გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა. აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხეველია. პასტოფორიუმები უფრისიდოა. მათ მეორე სართულზე სამავალებია. აღსანიშნავია, რომ ტაძარი სამალავების სიმრავლით გამოირჩევა. ისინი ნაგებობის თითქმის ყველა მონაკვეთის თაგზეა მოწყობილი, რაც, უთუოდ, ამ რეგიონის სპეციფიკით, განსაკუთრებით მომზდურთა სიმრავლით, უნდა აიხსნას. გუმბათს ელიფსური მოხაზულობა აქვს, ხოლო გუმბათქვეშა საყრდენებიდან დასავლეთის კედელზე გადამავალი თაღები პარალელური არ არის. ისინი დასავლეთისკენ ვიწროვდება. ამგვარი ფორმები ინტერიერს უჩვეულო იერს ანიჭებს. შიდა სივრცეში ყურადღებას იქცევს ასევე პროფილირებული სარტყელი, რომელიც შიდა კედლებს კონქის საფუძვლის დონეზე გასდევს. ტაძარში შესასვლელი დასავლეთი და სამხრეთი მხრიდანაა. ამ უკანასკნელის წინ კვადრატული კარიბჭეა აღმართული.




ექსტერიერში ტაძრის აღმისას მთავარ როლს, ცხადია, ადგილ-მდებარეობა თამაშობს. თავად ფასადები ოდნავ მოუხეშავა. თითო-ეულ მხარეს სხვადასხვა ზომის და ფორმის ჯვარია გამოსახული. განიერი და დაბალი გუმბათი ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. მისი ყელი ათწანიანგოვნია. თითოეულ წახნაგზე ცალკე ლილვებით შედგენილი თაღია შუაში ჩუქურომებით. სულ ხუთი სარკმელია გაჭრილი.

საფარა და გერგეტი, ასევე ზარზმის და ცაიშის ეკლესიები ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის მესამე ეტაპს მიეკუთვნება. XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის ეს ძეგლები ტიპოლოგიური თვალსაზრისით სიახლით არ გამოირჩევა, თუმცა არქიტექტურულ-შეატვრული გადაწყვეტის თავისებურება ახასითებს. მათი პროპორციები უფრო დამჯდარია, რაც გუმბათისა და კორპუსის შეფარდებაშიც ვლინდება. ფასადების მორთულობის

ხასიათი წინა ეპოქებთან შედარებით თავშეკავებულია. გაფორმების სქემაში მთავარია ჯვრის მოტივი. ჩუქურთმა ამკობს ძირითადად ღიაღების მოჩარჩოებას.


გრემის მთავარანგელოზის ტაძარი მდებარეობს ყვარლის მუნი-

ციპალიტეტში, შეა საუკუნეების კახეთის ისტორიულ დედაქალაქ გრემში. აღმართულია ბორცვზე, რომელიც ნა-



ქალაქარს თავზე დაჰყურებს, გაბატონებულია გარემოზე და მიმდებარე ნაგებობებთან ერთად შთამბეჭდავ არქიტექტურულ ანსამბლს ქმნის. მისი მშენებლობა ლევან კახთა მეფის ბრძანებით დაიწყო და დასრულდა 1565წელს [წებინაშვილი, 1959: 440-454]. შემორჩნილია მეტ- ნაკლები ცვლილებებით. ნაგებია აგურით. გეგმით ტიპიური ცენტ- რალურ-გუმბათოვანი ტაძარია სამი მხრით შესასვლელით. ნაგებობა ყურადღებას იქცევს აზიდული პროპორციებით და განსაკუთრებით მაღალყელიანი რეაწახნაგა გუმბათით. ფორმათა ამგვარი ურთიერთ- შეთანხმება განსაზღვრავს როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიე- რის ხასიათს. ფასადები აგურის მასალის სპეციფიკის შესაბამისად ეპოქისათვის სახასიათო შეისრული თაღებით და ჯვრებით არის შემკული.

ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, რომელიც არაგვის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა, მდებარეობს დუშეთის მუ-



ნიციაპალიტეტში, სამხედრო გზაზე, თბილი- სიდან 60 კმ-ის დაშორებით. კოშკებიანი გალავნით შემოზღუდულ ანსამბლში რამდე- ნიმე ნაგებობაა, მათ შორის ორი ეკლესია. მთავარი ტაძარი სამშენებლო წარწერის თანახმად 1689 წელს არის აგებული ბარ- ძიმ მსაჯულთუხუცესის თაოსნობით, ხოლო მაშენებელი იყო ქაიხოსრო ბაღსარაშვილი [ზაქარია, 1990: 226-240]. თლილი ქვით ნაგები ეს ეკლესია მეტ- ნაკლები ცვლილებებით შემორჩა. ტიპოლოგიურად იმეორებს წინა და თანადროული ხანის ამ ტიპის ძეგლების გეგმას. ანანურის ტა- ძარი განსაკუთრებულ ყურადღებას ფასადების მდიდრული მორთუ- ლობით იმსახურებს. ამ მხრივ გამოიჩინა სამხრეთი და დასავლეთი ფასადები. რთულ, მრავალსახოვან კომპოზიციებში გამოყენებულია

ადამიანისა და ცხოველების გამოსახულებები, ასევე მცენარეული მოტივები. თავისი შესრულების ოსტატობით და მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებით ანანური გვიანი შეუ საუკუნეების გამორჩეული ძეგლია.

გვიანი შეუ საუკუნეების ტაძრები, როგორიცაა მაგალითად, გრემი, ანანური, ახალი შუამთა, ბარაკონი, ლარგვისი ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრების მეოთხე ეტაპს განეკუთვნება. ეს ნაგებობები ვერ უტოლდება წინა პერიოდების ძეგლების არქიტექტურულ-მხატვრულ დონეს, თუმცა თითოეული მათგანი ეპოქის მხატვრული აზროვნებისა და შესაძლებლობების საინტერესო სურათს წარმოაჩენს.

ძეგლების მიმოხილვა ცხადყობს, რომ საქართველოში ჩახაზული ჯვრის ტიპი VII საუკუნიდან უწყვეტად არსებობს. ამ ეკლესიებს აგებენ, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში. გავრცელების ქონილოგიური და ტერიტორიული ფარგლები განაპირობებს ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობების არქიტექტურულ-მხატვრული იერსახის მრავალფეროვნებას, სტილისტურ ნაირგვარობას, თუმცა ტიპოლოგიური მახასიათებელი არსებითად უცვლელი რჩება. ამის მიზეზია ის, რომ ჩახაზული ჯვრის სტრუქტურა უკვე წრომის ტაძარშივე სრულყოფილად არის ჩამოყალიბებული. აქ გადაწყვეტილია ყველა ის პრობლემა, რაც გუმბათიანი არქიტექტურის ზოგიერთი ტიპის შემთხვევაში ეტაპობრივად ვადაილა და ქვეტიპების წარმოშობა განაპირობა. მაგალითად, ფართობის გაზრდის და პასტოფორიუმების მოწყობის საკითხის გადაწყვეტა ტეტრაკონქისა თუ ტრიკონქის აღრეულ ძეგლებში მათი სახეცვლის და არქიტექტურული კომპოზიციის გართულების მიზეზი გახდა. ეს საკითხები კი წრომში, ჩახაზული ჯვრის ტიპის ამ უაღრეს ძეგლში, მოგვარებული იყო. წრომში დასავლეთით იყო ასევე ნარტექსი და მეორე სართულზე ჰატრონიკე, რაც შემდგომი ხანის რიგ ძეგლებშიც გვხვდება. ამდენად არქიტექტურული სტრუქტურა არ საჭიროებდა ახალი ფორმების ძიებას და არსობრივ ცვლილებას. შესაბამისად მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ჩახაზული ჯვრის ტიპის თავდაპირველად ფორმირებული მახასიათებლები შენარჩუნდა, ხოლო ერთგვარი სახეცვლა არა გართულების, არამედ გამარტივების გზით განხორციელდა.

XI საუკუნეში, სამთავრო-სამთავისის ჯგუფის ძეგლებში დამკვიდრდა უფრო ლაკონური სტრუქტურა, სადაც გუმბათი ოთხის

ნაცვლად ორ საყრდენსა და აფსიდის შვერილებზეა დაფუძნებული. როგორც წესი გუმბათის წრეზე გადასვლა ამ ძეგლებში აფრების საშუალებით ხორციელდება. პარმენ ზაქარაია, რომელიც XI საუკუნიდან აგებულ ტაძრებს ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის სახელით მოიხსენიებს, არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ოთხ ეტაპს გამოჰყოფს. [ზაქარაია, 1975].

საგანგებო აღნიშვნის ღირსად ჩახაზული ჯვრის ტიპის ძეგლებს შორის სამშვილდისა და მოქვის ტაძრები, რომელებიც გართულებული კომპოზიციის მქონე ნიმუშებია და საქართველოში ამ ტიპის მრავალრიცხოვან ძეგლებს შორის ერთგვარ გამონაკლისად გვევლინება.

საქართველოში ჩახაზული ჯვრის ტიპის პირველივე ნიმუშის გამართული არქიტექტურული სტრუქტურა და მხატვრული გამოშესახველობა ამგვარი დახვეწილი გადაწყვეტის განმაპირობებელი გარკვეული არქიტექტურული ტრადიციის არსებობაზე მიუთითებს. გ. ჩუბინაშვილი წინაპირობას საქართველოს საერო ხუროთმოძღვრებაში, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის – გლეხური დარბაზის - ფორმებში ხედავს [ჩუბინაშვილი, 1969] და, წრომის ტაძარს ზოგადად ქრისტიანული ხუროთმოძღვრებაში ამ ტიპის ერთ-ერთ უადრეს ნიმუშად მიიჩნევს. ჩვენი აზრით საერო ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან ერთად, უთუოდ გასათვალისწინებელია, წინაქრისტიანული საქართველოს კულტურული კონტაქტების მნიშვნელობა და ამ გზით ინოვაციების შეთვისების უნარი. საფიქრებელია, რომ სასანურ ირანში გავრცელებული ოთხ საყრდენზე ტრომპებით ამოყვანილი გუმბათის კომპოზიცია, უთუოდ, ნაცნობი იყო ამ ქვეყანასთან მჭიდრო ურთიერთობების მქონე საქართველოს ხუროთმოძღვრებისათვის. საყურადღებოა, რომ გ. ყიფიანი [ყიფიანი, 2000], რომელიც საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფორმირებაზე წარმართული ტაძრების ზეგავლენაზე ამახვილებს ყურადღებას, ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გამოყოფს საქართველოში დადასტურებულ ცეცხლის ტაძრების ოთხსაყრდენიან კომპოზიციას (დედოფლის მინდორი, უფლისციხე).

როგორც ცნობილია, ბიზანტიაში ჩახაზული ჯვრის ტიპის პირველ ნიმუშად იმპერატორ ბასილ I-ის მიერ 880 წელს კონსტანტინეპოლეში აგებული “ნეას” ტაძარი ითვლება. ამ დროიდან ეს ტიპი ბიზანტიასა და საერთოდ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში წამყვან თემად იქცა. მანამდე, VII, VIII და IX საუკუნის ძეგლებში

(ნიკეას ტაძრი, წმ. ნიკოლოზი მირაში, წმ. სოფია თესალონიკაში, წმ. კლიმენტი ანგარაში და სხვ.) ეტაპობრივად მოხდა სტრუქტურის დახვეწა-გამარტივება, რის შედეგად საბოლოოდ კომპაქტური არქიტექტურული სახე შეიქმნა [ჯაბუა, 2001:309-326]. თუ გავით-გალისტინებთ, რომ წრომის ტაძრის თანადროულად VII საუკუნეში სომხეთშიც იგება ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობები (მაგ.: გაიანეს, ბაგავანის, მრენის ტაძრები), ქრისტიანულ სამყაროში ამ ფართოდ გავრცელებული არქიტექტურული ტიპის ჩამოყალიბების თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია, და კონკრეტულად საქართველო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ამ პროცესების ავანგარდ-ში მოიაზრება.

ამრიგად, ადგილობრივმა არქიტექტურულმა პოტენციალმა, საერო თუ საკულტო არქიტექტურის ტრადიციებმა და კულტურული კონტაქტების შედეგად შეძენილმა გამოცდილებამ წრომის ტაძრის კონსტრუქციულად თამამი სქემის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამან განაპირობა საქართველოში ადრე შუა საუკუნეების ხანაში ჩახაზული ჯვრის ტიპის ფორმირება და მისი წამყვანი როლი შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ყველა ეტაპზე.

ტრიკონქი


ტრიკონქი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ტიპია, რომლის გენეზისის შესახებ სამცნოერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული. მკვლევართა ნაწილი ტრიკონქის ფორმირებას რომის არქიტექტურას უკავშირებდა, ყურადღებას ამახვილებდა რა ადრიანეს ვილაში სამაფსიდან კომპოზიციასა და კალიქსტის კატაკომბის III საუკუნით დათარიღებულ ნაგებობაზე [რივოლა, 1918; 277-278]; მეორე მოსაზრებით აღმოსავლურ ხუროთმოძღვრებას ენიჭებოდა უპირატესობა [ბოკი, 1901; ვულფი, 1914]. კერძოდ, ადრექრისტიანული ეგვიპტის სოკაგის მახლობლად მდებარე თეთრი და წითელი მონასტრების რიგ ნაგებობებში საკურთხეველის სამყურა ფორმით გადაწყვეტას. ასევე აღმოსავლურ წარმომავლობას იზიარებდა ი. სტრიგოვსკი [სტრიგოვსკი, 1918], რომელიც ტრიკონქის სტრუქტურის ფორმირებას ირანის ან სომხეთის ხუროთმოძღვრებას უკავშირებდა. გ. ჩუბინაშვილი ამ არქიტექტურული ტიპის წარმოშობის ერთი კონკრეტული საწყისიდან მომდინარეობას არამართებულად მიიჩნევდა, ხოლო სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მის შექმნას ტეტრაკონქს უკავშირებდა [ჩუბინაშვილი. გ. 1936; 187-188]. გ. ჩუბინაშვილის აზრით ტეტრაკონქის სტრუქტურაში დასავლეთი მკლავის დაგრძელების და ცილინდრული კამარით გადახურვის შედეგად შეიქმნა ახალი კომპოზიცია, რომელმაც ტრიკონქის არქიტექტურული ტიპის ფორმირებას დაუდო საფუძველი.

ტრიკონქის არქიტექტურული ტიპის ძირითად მახასიათებელს სამაფსიდიანი კომპოზიცია წარმოადგენს. გუბბათქვეშა სივრცის გარშემო ჯვრულად განლაგებულია ოთხი მკლავი. ამათვან ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ მკლავებს აფსიდის ფორმა აქვს. ტრიკონქი ფართოდ არის გავრცელებული ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეწებში, განსაკუთრებით, საბერძნეთში. აღსანიშნავია, რომ ის ათონის მთის სამონასტრო ეკლესიების წამყვან ტიპად გვევლინება [ტ. სტეფანი, 1995]. ეს ტიპი გავრცელებულია მეზობელ სომხეთშიც (მაგ.: ალაზანი, თალინის დიდი და მცირე ტაძრები, შოხაგავანქი, კოტავანქი) [მაცაკანიანი... 1978].


საქართველოს ძეგლებში ტიპოლოგიური თვალსაზრისით სამი ქვეტიპი განიჩევა – 1. მარტივი 2. გართულებული 3. რთული ანუ საყრდენებიანი ქვეტიპი.

მარტივი ტიპი ტრიკონქების კომპოზიციას სამი აფსიდა და დასავლეთი სწორკუთხა მკლავი ქმნის. მოკლედ მიმოვინილოთ ამ ქვეტიპის ნიმუშები.


დორთქილისა მდებარეობს ისტორიულ პროვინცია კოლაში (თურქეთი) და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება [ბერიძე, 1981:147]. გუმბათქვეშა სივრცის სამ შესარქეს აფსიდებია, ხოლო დასავლეთი მკლავი წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ტრომპების საშუალებით ხორციელდება. ნაგებობის დასავლეთით სწორკუთხა სათავსია, რომელიც სამხრეთით თითქმის აფსიდის შევრილის დონეზე გრძელდება. ტაძარში ერთადერთი შესასვლელი გაჭრილია ამ სათავსში, რომელიც თავის მხრივ კარით დასავლეთ მკლავს უკავშირდება. ექსტერიერში აფსიდებს სამწამისაგა მოხაზულობა აქვს, ხოლო გუმბათის ყელი დაბალი პროპორციებით გამოირჩევა.




ორთული მდებარეობს ისტორიულ პროვინცია ოლთისში (თურქეთი). ეს მომცრო ზომის ძეგლია, რომლის თარიღი არ არის დაზუსტებული. ამასთან, ვ. ბერიძე ეჭვს გამოთქვამს ამ ნაგებობაში გუმბათის არსებობის შესახებ [ბერიძე, 1981, 162]. სახეზეა სამაფსიდიანი კომპოზიცია და დასავლეთი მოკლე მკლავი. ექსტერიერში საკურთხევლის აფსიდას ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს, ხოლო დანარჩენი მკლავები სწორკუთხა ფორმისაა. შესასვლელი დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელშია გაჭრილი.




ბაზილო-ყიშლა ასევე ოლთისში მდებარეობს და აგებულია არა უგვიანეს X საუკუნეში [ბერიძე, 1981, 138]. წარმოადგენს მარტივ ტრიკონქს, რომელსაც გარედან თავისუფალი ჯვრის მოხაზულობა გააჩნია. ამ ძეგლში დასავლეთი სწორკუთხა მკლავი საგრძნობლად სჭარბობს დანარჩენებს. შესასვლელი, ორთულის მსგავსად, მის სამხრეთ კედელშია გაჭრილი. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გადაწყვეტა ტრიკონქების გარდა ხშირად გვხვდება თავისუფალი და ნახევრადთავისუფალი ჯვრის ტიპის გარდამავალი ხანის ძეგლებში.



ურაველი ახალციხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და X სა-
უკუნის II ნახევრით თარიღდება [ბერიძე, 1981: 177]. ამ მომცრო
ზომის სამაფსიდიან ნაგებობას სპეციფიური აღგილ-

მდებარეობა გამოარჩევს. მისი ჩრდილოეთი მხარე
კლდეშია ჩაშენებული, ხოლო აღმოსავლეთ, სამხრეთ
და დასავლეთი მკლავებს გარედან სწორკუთხა მო-
ხაზულობა აქვს. დასავლეთი მკლავი წაგრძელებუ-
ლია და შესასვლელი აქაც სამხრეთ კედელშია გაჭ-
რილი.

ჯვარზენი დასავლეთ საქართველოში, მდინარე ენგურის ხეობაში
ამავე სახელწოდების სოფლის განაპირას არის აგებული და IX-X

საუკუნეებით თარიღდება [კაპანაძე, 1989, 66-67].



აქ სამი ნახევარწრიული აფსიდა ექსტრიერ-
შიც ამავე ფორმას იმეორებს, ხოლო დასავლეთი
მკლავი სწორკუთხაა. აღსანიშნავია, რომ მისი
ცილინდრული კაմარა სამ გამბრჯენ თაღზე იყო
დაყრდნობილი, რაც ძეგლის ცუდი დაცულობის
მიუხედად ნათლად დგინდება. ინტერიერში და-

სავლეთი ნავის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე ცენტრში ორ-
საფეხურიანი პილასტრი, ხოლო გვერდებზე მისი ნახევარი ფორ-
მაა გამოყენებული. ერთადერთი შესასვლელი ტაძარში დასავლეთი
მხრიდან არის გაჭრილი.

ამრიგად, საქართველოში მარტივი ტიპის ტრიკონქები იგება
VIII-X საუკუნეებში. უმეტესი ძეგლები თურქეთის ტერიტორიაზეა,
თითო ძეგლია სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში. ტრიკონქის
მარტივი ქვეტიპის ძეგლების კონფიგურაცია უმეტეს შემთხვევაში
თავისუფალი ჯვრის მსგავსი გადაწყვეტისაა ანუ ჯვრის ოთხივე
მკლავს გარედან სწორხაზოვანი მოხაზულობა გააჩნია. მხოლოდ
ჯვარზენში აქვს აფსიდებს ნახევარწრიული, ხოლო დორთქილი-
საში სამწახნაგა ფორმა. ქრისტოლოგიურად ამ ქვეტიპის ძეგლები
უადრესი ტრიკონქებია საქართველოში და გარდამავალ ხანას განე-
კუთვნება. ისინი მომცრო ზომის ნაგებობებია, რასაც კომპოზიციის
კონსტრუქციული თავისებურება განაპირობებს. გუმბათი დაფუძნე-
ბულია სამი აფსიდის და დასავლეთი მკლავის შესაყარზე შექმნილ
კვადრატზე. შესაბამისად, მისი გაფართოების და სივრცის გაზრდის
რესურსი ამ ქვეტიპის ფარგლებში შეზღუდულია. აღსანიშნავია, რომ


მარტივი ქვეტიპის ძეგლებში არც პასტოფორიუმების მოწყობის მცდელობა აღინიშნება, რაც გეგმარების სპეციფიკიდან გამომდინარე დიდ სირთულესთან არ არის დაკავშირებული. ტრიკონქის რიგ ძეგლებში ეს პრობლემა გადაწყდა, რამაც მეორე ე.წ. გართულებული ქვეტიპის ფორმირება განაპირობა.

ის მდებარეობს ტაოში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე თორთუმის ტბის მახლობლად. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით [ვ.ბერიძე, 1981, 147]. გეგმაში წარმოადგენს ტრიკონქს, რომელსაც პასტოფორიუმები გააჩნია. ისინი სწორკუთხა ფორმისაა აღმოსავლეთით აფსიდით და მცირე გასასვლელით უერთდება ჩრდილოეთ და სამხრეთ აფსიდებს. გუმბათი ტრიმპებზეა ამოყვანილი. გუმბათქვეშა კვადრატის და-სავლეთით ორი წყვილი მასიური პილასტრით სამ მონაკვეთად და-ყოფილი გრძელი მელიავია.



პასტოფორიუმების არსებობის გამო ნაგებობის აღმოსავლეთი ძირითადი ნაწილი ერთიან სწორკუთხა მასივს ქმნის დაბალი რვა-წახნაგა ყელის გუმბათით, რომელსაც დასავლეთი მკლავის მოცულობა ებმის. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადებზე, ასევე ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავის დასავლეთ მხარეს თითო ნახევარწრიული ფორმის ღრმა ნიშაა. მათ კედლის მასივის განტვირთვის და ფასადის დანაწევრება-გაფორმების ფუნქცია აქვს. ტაძარში ერთი შესასვლელია დასავლეთი მხრიდან.


თელოვანი ქართლში, მუხრანის ველზე, სოფელ ქსოვრელის მიწებზე მდებარეობს. თარიღდება VIII-IX საუკუნეებით [ციცნაძე, 1959, 73-89] გეგმაში წარმოადგენს სამაფ-სილიან კომპოზიციას, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი აფსიდები არა უშაალოდ გუმბათქვეშა სივრცეს, არამედ სწორკუთხა მკლავებს ებმის. ბემიანი საკურთხევლის აფსიდა დანარჩენ ორს ზომით აღემატება. მის გვერდებზე აფსიდალური დაბოლოების მქონე სათავსებია, რომლებიც საკურთხევლს უკავშირდება. დასავლეთით სწორკუთხა მკლავია სამი მხრით შესას-



ვლელებით. ინტერიერში აღმოსავლეთ-დასავლეთი ღერძის ერთიანი სივრცე დომინირებს, რომელსაც ჩრდილოეთი და სამხრეთი მხრიდან მკლავები უერთდება. ასეთი გადაწყვეტა გეგმარებითა და სივრცის გააზრებით სხვა ტრიკონქებისაგან საკმაოდ განსხვავებულია. შიდა სივრცეში ნაკლებად იგრძნობა სამაფსიდიანობა, რადგან გევრდითი აფსიდები ჯვრის სწორკუთხს მკლავების დაბოლოებად აღიქმება.

ტაძრის გარშემოწერილობა ნახევრადთავისუფალი ჯვრის კონფიგურაციას უახლოვდება. ნაგებობას აღმოსავლეთ მხარეს აფსიდის მცირე მრუდხა ხოვანი შეგრილი გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ესტერიერში გუმბათი შემკულია თაღედით, რომელიც უადრესია ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ასევე ყურადღებას იქცევს გუმბათის სარკმლების წრიული ფორმა, რაც იშვიათია ქართულ ძეგლებში (მაგ.; ბობისგირი, კინებოსი). ამდენად, თელოვანის ტაძარი გამორჩეული ძეგლია არქიტექტურული სტრუქტურის და ცალკეული ფორმების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ზეგანი ანუ ზაქი მდებარეობს ისტორიულ პროვინცია ჯავახეთში (დღეს თურქეთის ტერიტორიაზე) და X საუკუნის II ნახევ-




რით თარიღდება [ვ.ბერიძე, 1981, 138]. წარმოადგენს ტრიკონქს მცირე პასტოფორიუმებით. სამკეთლო პავდრატული გეგმისაა და ჩრდილოეთ აფსიდას უკავშირდება, ხოლო სამდიაკვნეს აფსიდალური ფორმა აქვს და სამხრეთ აფსიდას უერთდება. დასავლეთის გრძელი მკლავი რთულპროფილიანი პილასტრებით ორ თანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი. მის კედლებს თაღედი ამკობს. ტაძარს სამხრეთი და დასავლეთი მხრიდან ერთიანი გალერეა ჰქონდა, რომელიც აღმოსავლეთით აფსიდით ბოლოვდებოდა. ტაძრის კონფიგურაცია ნახევრადთავისუფალი ჯვრის მოხაზულობას უახლოვდება. საკურთხეველს ხუთწახნაგა ფორმა აქვს. გუმბათის ყელი თაღედით არის მორთული. მისი ოთხი სარკმლიდან ორს წრიული ფორმა აქვს. ტაძარი გამოირჩევა ორნამენტული და ფიგურალური რელიეფური შემკულობით.

როგორც ვხედავთ ე.წ. გართულებული ტრიკონქის ქვეტიპის ძეგლებში სტრუქტურის ცვლილება ორი მიმართულებით წარიმართა. აღმოსავლეთით მოეწყო პასტოფორიუმები, ხოლო დასავლეთით

მკლავის დაგრძელება და პილასტრებით დანაწევრება განხორციელდა(ისი, ზეგანი), რაც თავისთვის გარდამავალი ეპოქისათვის სახასიათო გადაწყვეტას წარმოადგენს. შედეგად მარტივმა სამაფსიდიანმა სტრუქტურამ გართულებული სახე მიიღო, თუმცა ეს ცვლილება არ აღმოჩნდა საქმარისი მასშტაბური არქიტექტურული ნაგებობის შესაქმნელად. ასეთი ამოცანის არსებობის შემთხვევაში ტრიკონქის ტიპში არსებითი კონსტრუქციული სიახლე უნდა განხორციელებულიყო და დაძლეულიყო გუმბათის აფსიდების შესაფარზე დაფუძნებით შექმნილი ნაგებობის ფართობის შეზღუდვის პრიბლება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში მასშტაბური საეკლესიო ნაგებობების აგებისათვის მომწიფებულ ისტორიულ-პოლიტიკურ ხანაში, X-XI საუკუნეებში [გ.ჩუბინაშვილი, 1970:262-278] სწორედ ტრიკონქის ტიპს მიმართეს, რამაც თვალნათლივ გამოვლინა ქართველი ხუროთმოძღვრების მიერ ამ არქიტექტურული ტიპში გრანდიოზული სივრცის შექმნის რესურსის დანახვის და მაღალ მხატვრულ დონეზე გააზრების უნარი. ამგვარად აიგო როული ანუ საყრდენებიანი ტრიკონქის ქვეტიპის ნიმუშები - ოშკი, ბაგრატი და ალავერდი.

ოშკი მდებარეობს ისტორიულ პროვინცია ტაოში (თურქეთი), თორთუმის ტბის მახლობლად და აგებულია X საუკუნის შემდეგში (50-60-იანი წწ.). [ვ.ჯობაძე.2006:112-164] შემორჩენილი წარწერის მიხედვით ტაძრის აღმშენებელია გრიგოლი. ქტიოზორებია ადარნასე კურაპალატი (გარდაც. 961წ.), მასი შვილები ერისთავთა ერისთავი ბაგრატი (გარდაც. 966წ.) და დავით მაგისტროსი, შემდგომში კურაპალატი (გარდაც. 1001წ.). წარწერაში ასევე მოცემულია ინფორმაცია ტაძრის აგებისას გაწეული შრომისა და ხარჯის შესახებ. ეს ცნობები უმნიშვნელოვანებია, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი ტიპის წარწერები იშვიათი გამონაკლისის სახით არის შემორჩენილი საქართველოში.




ოშკის ტაძარი გეგმაში წარმოადგენს როულ ტრიკონქს. სამივე აფსიდას ორივე მხარეს აქვს აფსიდალური დაბოლოების მქონე

სათავსი. გუმბათი ეყრდნობა ოთხ მასიურ საყრდენს. დასავლეთის მკლავი სწორკუთხაა. მის ჩრდილოეთ მხარეს გრძელი, აღმოსავლეთით აფსიდით დაბოლოებული სათავსია, ხოლო სამხრეთით ორმაგი ღია გალერეა. უშუალოდ დასავლეთი მკლავი პილასტრების საშუალებით ოთხ არათანაბარ მონაკვეთადაა დანაწევრებული. ტაძრის ინტერიერი აბსოლიტური ზომების სიღილით, ორნავ შეისრული თაღების, აზიდული პროპორციების წყალობით დიდებულ სივრცის ქმნის.

ტაძრის გეგმას ჯვრული გარშემოწერილობა გააჩნია, რაც სამი აფსიდის და დასავლეთი მკლავით შექმნილი ჯვრის კონფიგურაციას შეესატყვისება. გეგმაში კვადრატული მცირე კარიბჭე სამხრეთ აფსიდში გაჭრილი შესასვლელის წინ არის აღმართული. ტაძრის ამავე მხარეს ყურადღებას იპყრობს გალერეის ტეხილი სახურავით შექმნილი რიტმი. ტაძარი დაგვირგვინებულია ოცდაოთხწახნაგა გუმბათით, რომელსაც ამდენივე უხვად შემკული თაღი ამშვენეს. თაღნარში ერთის გამოტოვებით სარკმელებია გაჭრილი. ექსტერიერში სამივე ფასადზე აფსიდებსა და გვერდით სათავსებს შორის ორ-ორი ნიშაა მოთავსებული. ოშეკის ტაძარი მრავალფეროვანი ორნამენტული, მცენარეული და ცხოველური მოტივებით შედგენილი მორთულობით გამოიჩინა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მრავალრიცხოვნი ფიგურალური კომპოზიციები, ასევე პოლიქრომიის გამოყენების წესი. საყურადღებოა, რომ ფასადების მხატვრული გაფორმების მაორგანიზებელ ელემენტს წარმოადგენს თაღედი, რომელიც ოთხთა ეკლესის და პარხალის ფასადების შემამკობელ თაღებთან ერთად უადრესია საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ოშეკის ტაძრის სამ ფასადზე გამოყენებული ხუთი თაღისა და ორი ნიშით შედგენილი კომპოზიცია, შემდგომ ფართოდ გავრცელდა ამ ეპოქის ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

ბაგრატი მდებარეობს ქუთაისში. მიეკუთვნება X-XI საუკუნეების მიჯნას. ჩრდილოეთი სარკმლის წარწერის მიხედვით იატაკის დაგების თარიღი 1003 წელია [ცინცაძე, ბაგრატის ტაძარი, 1964]. მისი შენებლობა ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება. ტაძარი თურქებმა 1691 წელს ააფეთქეს. ამდენად, უცნობი დარჩა გუმბათის ზუსტი ფორმა და სიმაღლე. სამი აფსიდა, წესისამებრ, ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეს არის განლაგებული. ამათგან, ოშეკისაგან განსხვაბებით ორივე მხარეს სათავსები მხოლოდ აღმოსავლეთ აფსიდას გააჩნია. გუმბათი ოთხ თავისუფლად მდგარ მასიურ საყრდენს


ეფუძნებოდა. ტაძრის დასავლეთი ნაწილი საყრდენების საშუალებით სამ ნავად არის დაყოფილი. მათ დასავლეთით პატრონიკეა მოწყობილი, რომელიც ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში აღმართული სამსართულიანი კოშკი, უთუოდ, სამეფო ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. ტაძრის დასავლეთ მონაკვეთს გასდევდა ღია გალერები. ოდნავ მოგვანებით აიგო კარიბჭებიც, რომელთაგან მხოლოდ სამხრეთის შემორჩა. თავად ტაძრის ინტერიერი მიუხადვად დაზიანებისა, დიდებული სივრცის და საოცარი მასშტაბურობის შეგრძნებას ბადებს.



ტაძრის გეგმის გარშემოწერილობაში ოშეისაგან განსხვავებით ნაკლებად იგრძნობა ჯვრული გადაწყვეტა, თუმცა ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს აფსიდების განიერი სწორკუთხა შვერილი გეგმაში ჯვარს მაინც გამოკვეთს. ხუთი თაღითა და ორი ნიშით შედგენილი კომპოზიცია მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადზეა. აღსანიშნავია, რომ ოშეი გამოყენებული თაღნარი ბაგრატშიც ფასადების მორთვის მთავარი კომპოზიციური ელემენტია. უხვად არის გამოყენებული ასევე მდიდრული გეომეტრიული, მცენარეული და ცხოველური მოტივები. ტაძრის შიდა სივრცე და გარეგნულ იერი მონუმენტურობისა და დიდებულების განწყობას ქმნის. მასთან, უფრო მკაფიოდ იგრძნობა დინამიზმი და მრავალფეროვნება, რასაც ექსტერიერში დასავლეთი, კოშკიანი ფასადის ასიმეტრიულობა აძლიერებს. ფასადების განსხვავებული კომპოზიციური გადაწყვეტა, დეკორაციული მორთულობის ხასიათი ეპოქის დამახასიათებელ ცხოველხატულობას განაპირობებს.

ალავერდი კახეთში, ალაზნის ველზე, XI საუკუნის I მეოთხედშია [გ.ჩუბინაშვილი, 1959, 367-404] აგებული იმ ადგილას, სადაც ცამეტ ასურელ მამათვან ერთ-ერთის, იოსებ ალავერდელის, მიერ VI საუკუნეში აშენებული ეკლესია იდგა. ეს ტაძარი შუა საუკუნეების ეკლესიებს შორის ყველაზე მაღალია და 50 მეტრს აღემატება. მისი აზიდული პროპორციები ალაზნის ველის გაშლილი პანორამის ფონზე განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. გუმბათის ყელი აღდგენილია XV საუკუნეში. ძეგლზე გარკვეული სამუშაოები XVII

და XIX საუკუნეებშიც ჩატარდა. ალავერდის ტაძარი გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხედში ჩატერილ როთულ ტრიკონქს. ამიტომ სამი



გააჩნია. ზეაწეული პროპორციები, შეისრული მოხაზულობის თაღები, არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტის ხასიათი ინტერიერში დიდებულ და საოცრად შთაბეჭდავ სივრცეს ქმნის.

ალავერდის ექსტერიერი ოშკისა და ბაგრატისაგან განსხვავებით მოცულობითი ფორმების გადაწყვეტის მხრივ უფრო შეკრული და ნაკლებად დანაწევრებულია (კვრულის ნაცვლად სწორკუთხა კონფიდურაციისაა) და მორთულობის თვალსაზრისითაც სისადავით გამოირჩევა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტაძარს ადრე გარშემოსავლელი გააჩნდა, რაც მის სილუეტზე თუ მოცულობით გადაწყვეტაში დამატებით საფეხურს ქმნიდა. ფასადების მორთულობაში გამოყენებულია თაღედი. აღმოსავლეთით, აქაც ხუთი თაღი და ორი ნიშაა, თუმცა რელიეფური მორთულობა არ გვხვდება, რაც ისევე, როგორც არქიტექტურული ფორმების ვერტიკალური განვითარების ხაზგასმა, რეგიონალურ მახასიათებელს წარმოადგენს.

საქართველოს ტრიკონქების მესამე ქვეტიპის ნიმუშები გეგმარების, კონსტრუქციული პრობლემების გადაწყვეტის თუ არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირების თვალსაზრისით სრულიად ახალ ეტაპს ქმნის ამ ტიპის და, ზოგადად, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. უმთავრესი ცვლილება ფართობის გაზრდის ძირითადი დამაპრკოლებელი საკითხის, გუმბათის აფსიდების შესაყარზე დასმის წესს შეეხო. ხუროთმოძღვრებმა მიმართეს საქართველოში ჯერ კიდევ VII საუკუნეში წრომის ტაძარში გამოყენებულ გუმბათის

აფსიდიდან ორი, ჩრდილოეთი და სამხრეთი არასრული ნახევარწრის ფორმისაა. საკურთხევლის აფსიდის წინ მცირე ბემაა და ორივე მხარეს აფსიდიანი პასტოფორიუმებია განთავსებული. გუმბათი ეყრდნობა ოთხ მასიურ საყრდენს. ტაძრის დასავლეთი ნაწილი ორი საყრდენით სამ ნაწილად არის დანაწევრებული და მასიური პატრონიკე

ოთხ თავისუფალ საყრდენზე დაფუძნების ხერხს, რამაც მთლიანობაში არქიტექტურული სტრუქტურის ახალ პრინციპებზე აგების შესაძლებლობა შექმნა. უცლელი დარჩა სამი აფსიდის თემა, რაც ტრიკონქის ტიპის არსებითი მახასიათებელია, ხოლო სხვა არქიტექტურულ-მხატვრული საკითხები თითოეულ ძეგლში კონკრეტული დამკვეთ-აღმშენებლის თუ რეგიონალური ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესაბამისად განხორციელდა.

ოშკი ყველაზე საყურადღებო მაგალითია, რადგან ტრიკონქებში ოთხი გუმბათქვეშა საყრდენის გამოყენების პირველ ნიმუშს წარმოადგენს. მის გეგმაში მეტ-ნაკლებად თანაბარზომიერადაა გადაწყვეტილი სამიეკი აფსიდის სახე, რაც ნაგებობის კონფიგურაციაში მყაფიოდ გამოხატულ ჯვრულ ფორმას განაპირობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ დასავლეთი მკლავი დაუნაწევრებელია, რაც ოშკის მეორე ქვეტიპის ძეგლებთან მეტ მსგავსებაზე მიუთითებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთი ნავის გრძივ კედლებს მიღმა მოცულობითი ერთეულებია განთავსებული (გრძელი სათავესი ჩრდილოეთით, გალერეა სამხრეთით). ამდენად, ოშკი განხორციელდა ტრიკონქის კონსტრუქციული პრობლემატიკის იმგვარი გააზრება, რამაც არქიტექტურული სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტების დამუშავების შესაძლებლობა შექმნა, რაც წარმატებით იყო გამოყენებული ბაგრატსა და ალავერდში.

ბაგრატის ტაძარში ოთხ საყრდენს დაემატა დასავლეთ მკლავის საყრდენებიც, რამაც დასავლეთი ნაწილის სამნავიანობა განაპირობა. აღსანიშნავია, რომ მესამე ჯგუფის ტრიკონქების ეს ვარიანტი კიდევ უფრო დაშორდა მეორე ჯგუფისთვის დამახასიათებელ ნაგებობის ნაწილთა თანაფარდობის წესს, როგორც ინტერიერის, ასევე ნაგებობის კონფიგურაციის თვალსაზრისით. შიდა სივრცემ დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძის მიმართულებით მეტი მთლიანობა შეიძინა. ჩრდილოეთ და სამხერთ აფსიდებს ოშკისაგან განსხვავებით არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირებაში ნაკლები მნიშვნელობა დაეკისრა. ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამოიკვეთა აღავერდში, სადაც ტრიკონქი სწორკუთხედში მოექცა, რამაც გვერდითი აფსიდების არასრული ნახევარწრის ფორმით გადაწყვეტა განაპირობა. ამან რეგიონალური თავისებურებების შესაბამის სისადავესა და აზიდულ პროპორციებთან ერთად განსაზღვრა აღავერდის ტაძრის მხატვრული სახის ხასიათი.


ამრიგად, საქართველოში ტრიკონქის არქიტექტურულმა ტიპმა არსებითი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა, რის შედეგად შეიქმნა მაღალმხატვრული ღირებულების მქონე მონუმენტური ნიმუშები. ქართულმა ხუროთმოძღვრებამ შესძლო ტიპის არქიტექტურული შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა, რაც თავისუფლად მდგარი საყრდენების გამოყენების გზით განხორციელდა.

ქუპელჰალე ანუ გუმბათიანი დარბაზი

საქართველოში გავრცელებულია გუმბათიანი ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ტიპი, რომელსაც გუმბათიანი დარბაზი ანუ ქუპელჰალე ეწოდება. ტერმინი Kappelhalle პირველად ოზევ სტრიგოვსკიმ გამოიყენა შეუა საუკუნეების სომხეთის ხუროთმოძღვრების ერთი ჯგუფის ძეგლების მიმართ და ამ სახელწოდებაში კარგად ასახა ტიპის სტრუქტურის რაობა. კერძოდ, გუმბათით დაგვირგვინებული ერთიანი დარბაზული სიგრცე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტიპი სომხეთის ხუროთმოძღვრებაში წამყვანია. სომეხი სპეციალისტების მოსაზრებით ამ ტიპის უადრესი ნიმუშები (არუჭი, პტლი) VII საუკუნეს განეკუთვნება. მოძღვნონ საუკუნეებში არა ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი აიგო (მაგ.:ქეჩარისი, აპხაზი, გოშავანქი და სხვ.) და მათი მშენებლობა გვიან შეუა საუკუნეების პერიოდშიც გაგრძელდა (მაგ.:პორ-ვირაპი) [მნაცაკანიანი; 1978; არუტიუნიანი, 1985; ასრატიანი, 1985].

ქუპელჰალე ანუ გუმბათიანი დარბაზი წაგრძელებული სწორკუთხა გეგმარების ნაგებობაა აღმოსავლეთით უმეტესად სამნაწილიანი საკურთხევლით და ყელიანი გუმბათით, რომელიც არა თავისუფლად მდგარ საყრდენებს, არამედ გრძივი კედლის ოთხ შვერილს ან გრძივი კედლის და აფსიდის ორ-ორ შვერილს ეყრდნობა. საქართველოში ამ ტიპის ან სტრუქტურულად მასთან ახლოს მდგომი ოცამდე ძეგლია შესწავლილი (გენგიური, 2005). ამათგან მოკლედ განვიხილავთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე განსხვავებული ეპოქის რამდენიმე ნიმუშს.


ფარნაკის ეკლესია მდებარეობს თურქეთში, ისტორიულ ტაოში, ოლთისის წყლის აუზში მაღალ კლდეზე აშენებული ციხის ტერიტორიაზე. ძლიერ დაზიანებულია და მის შესახებ ინფორმაცია ექთაყაშვილთან (თაყაიშვილი, 1991:352-353] მოგვეპოვება. აგებული უნდა იყოს VIII-IX საუკუნეებში [გენგიური, 2005: 25-27]. საშენ მასალად გამოყნებულია უხეშად დამუშავებული ამ რეგიონისთვის სახასიათო მოწითალო ქვა.



გეგმაში სწორკუთხა ნაგებობაა. აღმოსავლეთი ნახევარწრიული აფსიდაა. გუმბათით ტრომპებზეა ამოფვანილი და ეფუძნება გრძივი კედლის ორ და აფსიდის შვერილებს. შვერილების წყვილით დარბაზი ორ ნაწილადაა დანაწევრებული. აღმოსავლეთი უფრო განიერია, ხოლო დასავლეთისა ვიწრო. აღსანიშნავია, რომ

გუმბათი ოთხწახნაგა იყო და ოთხი წრიული ფორმის სარკმელი გააჩნდა.


ვაჩნაძიანის ყველაწმინდა მდებარეობს კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაჩნაძიანიდან 7 კმ-ის დამორებით ტყეში არსებულ სამონასტრო კომპლექსში. თარიღდება VIII-IX საუკუნეების მიჯნით [ჩუბინაშვილი, 1959:287-320]. შემორჩენილია მეტ-ნაკვები ცვლილებებით. ნაგებია შერეული მასალით. გამოყენებულია რიყის ქვა და აგური, გარკვეული დეტალებისთვის შირიმი. ნაგებობის ძირითად ბირთვს წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული დარბაზი, რომლის ცენტრალური ნაწილი აფრებზე ამოყვნილი ოთხსარკმლიანი გუმბათით არის დაგვირგვინებული. ის ეფუძნება გრძივი კედლების ორ-ორ შვერილს, რომლებიც თავის მხრივ შიდა სივრცეს სამად ანაწევრებს. მათგან შეუ განიერი, ხოლო დასავლეთი და აღმოსავლეთი უფრო ვიწრო მონაკვეთებია. აღსანიშნავია, რომ დარბაზის კიდურა სწორგუთხა უბეებს კონქისებური გადახურვა აქვს.




აღმოსავლეთით საკურთხევლის ნალისებური აფსიდია. მის წინ არსებულ ბემაში კარებებია გაჭრილი, რომლებიც პასტოფორიუმებს უკავშირდება. ამ სათავსებს ტრიკონქის კონფიგურაცია და დასავლეთით სპეციალური სადგომები გააჩნია. ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთით აფსიდით დაბოლოვებული ნავებია. ისინი ერთმანეთს დასავლეთი ნავით უკავშირდება, რომლის ცენტრალური ნაწილი განივრდება და შესასვლელის წინ კვადრატულ სივრცეს ქმნის. ეს სამშრიცი გარშემოსავლელი ორ-სართულიანია. მეორე სართულის სათავსები ცენტრალურ სივრცეში დიდი ზომის ღიადებით იხსნება. ფასადები კახეთის ძეგლებისათვის სახასიათო სისადავით ხასიათდება. ექსტერიერში ნაგებობის იერსახეს სხვადასხვა მოცულობითი ფორმის (თორმეტწახნაგა გუმბათისა და კორპუსის, დასავლეთი ნავის და შესასვლელის წინ გამოკვეთილი ნაწილის, სწორი კედლის და სამწახნაგად შვერილი აფსიდების) ურთიერთშეთანხმება განაპირობებს.

აღმოსავლეთით საკურთხევლის ნალისებური აფსიდაა. მის წინ არსებულ ბემაში კარებებია გაჭრილი, რომლებიც პასტოფორიუმებს უკავშირდება. ამ სათავსებს ტრიკონქის კონფიგურაცია და დასავლეთით სპეციალური სადგომები გააჩნია. ცენტრალური დარბაზის ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს აღმოსავლეთით აფსიდით დაბოლოვებული ნავებია. ისინი ერთმანეთს დასავლეთი ნავით უკავშირდება, რომლის ცენტრალური ნაწილი განივრდება და შესასვლელის წინ კვადრატულ სივრცეს ქმნის. ეს სამშრიცი გარშემოსავლელი ორ-სართულიანია. მეორე სართულის სათავსები ცენტრალურ სივრცეში დიდი ზომის ღიადებით იხსნება. ფასადები კახეთის ძეგლებისათვის სახასიათო სისადავით ხასიათდება. ექსტერიერში ნაგებობის იერსახეს სხვადასხვა მოცულობითი ფორმის (თორმეტწახნაგა გუმბათისა და კორპუსის, დასავლეთი ნავის და შესასვლელის წინ გამოკვეთილი ნაწილის, სწორი კედლის და სამწახნაგად შვერილი აფსიდების) ურთიერთშეთანხმება განაპირობებს.

სოლომონ-ყალა მდებარეობს თურქეთში, ისტორიულ კოლა-ოლ-თისის მხარეში, ფარნაკის მახლობლად. ამჟამად მთლიანად დანგრეულია. მის შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება ექ.თა-ყაიშვილის [თაყაიშვილი, 1991:327] წყალობით. წმინდა დიმიტრის სახელობის ეს ეკლესია თარიღდება X საუკუნის დასაწყისით [გენგიური, 2005: 43-45]. ნაგები იყო თლილი ქვით. სწორკუთხა გეგმარების ნაგებობას აღმოსავლეთით ნახევარწ-რიული აფსიდა ჰქონდა, ოობლის კონქის ქვეშ პორიზონტალური სარტყელი მოუყვებოდა. აფრებზე ამოყვანილი გუმბათი ეფუძნებოდა აფსიდის და გრძივი კედლების შევრილებს. ორსაფეხურიანი შვერილები დარბაზს ორ არათანაბარ მონაკვეთად ანაწევრებდა - გუმბათ-ქვეშა კვალრატს მიახლოვებულ სივრცედ და დასავლეთის, 2,5-ჯერ ვიწრო მონაკვეთად. ტაძარში შესასვლელი იყო დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან. ექსტრემიტეტი დომინირებდა განიერი გუმბათი, ოო-მელიც რვა თაღით იყო შემკული. ფასადები სადა იყო. თაყაიშვილი მოიხსენიებს აღმოსავლეთი სარკმლის თავსართს.




ნაჯახოვო მდებარეობს სამეგრელოში, მარტვილის მუნიციპალიტეტში. აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და მხოლოდ გეგმა იკითხება. X საუკუნით არის დათარიღებული [ზაქარაია, კაპანაძე, 1991:54-260]. სწორკუთხა ნაგებობას აღმოსავლეთით დასავლეთ საქართველოსათვის სახასიათო შვერილი აფსიდა აქვს. ძირითადი დარბაზი ორსაფეხურიანი ერთი წყვილი შვერილითა დაყოფილი. აღმოსავლეთ, უფრო დიდ მონაკვეთიზე, გუმბათი იყო ამოყვანილი. ტაძარში სამი მხრით კარი იყო გაჭრილი. ჩრდილოეთით სწორკუთხა მინაშენი, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით კარიბჭეთა ნაშთებია დადასტურებული.



ნიქოზის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია მდებარეობს შიდა ქართლში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში, ცხინვალიდან ორიოდე კილომეტრში. მნიშვნელოვანი დაზიანებების გარეშე შემორჩა, თუმცა აღარ გააჩნია სამი შესასვლელის წინ არსებული პორტიკები. ნაგებია მორუხო, მოვარდისფრო და მოყვითალო ფერის თლილი ქვებით. ჩრდილოეთი შესასვლელის თავზე არსებული არის

ბული წარწერის თანახმად მიქელ ეპისკოპოზის თაოსნობით არის აგებული. თარიღდება X-ის დასასრულით [რჩეულიშვილი, 1994].



წაგრძელებული გეგმარების ნაგებობაა აღმოსავლეთით ნახევარწრიულად შვერილი აფსიდით. დარბაზი გრძივი კედლების ორი წყვილი მასთური შვერილით სამ ნაწილად არის დაფოფილი. ამათგან ცენტრალური განიერი მონაკვეთი აფრა-ტრომბებზე დაფუძნებული გუმბათით არის დაგვირგვინებული, ხოლო განაპირა


მონაკვეთების შვერილებს შორის უბეები თაღებით სრულდება. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთი მონაკვეთის უბეებს აფსიდები აქვს. მათში სარკმელებია გაჭრილი. ამგვარი გადაწყვეტა მათ განსაკურებულ დატვირთვას ანიჭებს, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაძარს პასტოფორმულები არ გააჩნია. ტაძრის ექსტერიერი სადაა. ყურადღებას იქცევს ოთხსარგებლიანი გუმბათი, რომელიც რეა თაღით არის შემკული. შეწყვილებულ გრეხილზედაპირიან პილასტრებს შორის ფილებზე გვხვდება ფიგურები ორანტის პოზაში, ასევე ცხოველთა გამოსახულებები. გრძივი ფასადების შუა მონაკვეთები სწორხაზოვნად არის შვერილი და მასში გაჭრილი შესასვლელები ნახევარკოლონებითა აქცენტირებული. ასეთივე ნახევარკოლონებით არის გაფორმებული დასავლეთი კარი.

თბილისის “ჯვრის მამა” მეცნ უბანში, ქვემო კალაში, ლესელიდის ქუჩაზე მდებარეობს. ჯვრის მამა - იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამდღვარს ნიშნავს, მას უკავშირდება და ეკლესიაც იერუსალიმის საპატირიარქოს დაქვემდებარებაში იყო. აგებულია XVI საუკუნეში. თბილისზე ირანელების შემოსევის დროს დაინგრა. 1825 წელს განახლდა და ორნაწილიანი კუპელპალეს სახე


მიიღო [ბერიძე, 1994:18-28]. ნაგებია აგურით. 1990-იანი წლების ბოლოს ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღსდგა ნაგებობის თავდაპირველი სიგრძე, თუმცა არქიტექტურული გადაწყვეტა სრულიად ახლებურად განხორციელდა. მეორე სართულზე მოეწყო პატრონიკე, რომელში შესასვლელი არის დასავლეთით არსებული სახლის აივნიდან.

ეკლესია წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. ახალი მინაშენის გარეშე ძველი ნაგებობა იყო აღმოსავლეთით სამნაწილიანი საკურთხევლის მქონე ორნაწილიანი სტრუქტურა, რომლის აღმოსავლეთი მონაკვეთი დასავლეთისას დაახლოებით ორჯერ სჭარბობდა. აფრებზე ამოყვანილი გუმბათი ეყრდნობა გრძივი კედლების და აფსიდის შვერილებს. გარედან, როგორც აგურით ნაგები ძეგლების უმეტესობა, სადაა. აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადს ამკობს სამ-სამი ჯვარი, რომლებიც კედლის წყობაში აგურის მწკრივის ჩაწევითაა გამოსახული. გაწონასწორებული პროპორციების კორპუსს კარგად ერწყმის გუმბათი, რომლის თორმეტ სარკმელს თაღედი ამკობს.

ღოუბნის „ორმოცნი“ მდებარეობს ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლიდან 3 კილომეტრის დაშორებით, ქოროლლის ციხის ძირში. განეკუთვნება XVI საუკუნეს [ბერიძე, 1994: 18-28]. ნაგებია აგურით. მეტ-ნაკლები ცვლილებებით მოაღწია. რამდენიმე წლის წინ სოფლის სახსრებით და ძალისხმევით გაარემონტეს. გეგმარებით მიაგავს თბილისის „ჯვრის მამას“. დარბაზი აქაც ორნაწილიანი სტრუქტურისაა და პასტოფორიუმებსაც სწორკუთხა ფორმა აქვს. თუმცა თბილისის ეკლესისგან განსხვავებით, აქ სამკვეთლო უკავშირდება კარით საკურთხეველს და არა საღიაკნე. ამას გარდა, ღოუბნში გუმბათის ეყლში მხოლოდ რვა სარკმლია გაჭრილი. ისინი აქაც თაღნარით არის შემკული. რაც შეეხება ფასადებს, ისინი სრულიად სადაა. გარედან ეკლესია სამხრეთ შხარეს მდგარ სწორკუთხა სამსართულიან მასიურ კოშკთან ერთად აღიქმება.



მანავის ღვთისმშობელის სახელობის ეკლესია მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთით, მთის ფერდზე. წარწერის მიხედვით, რომელიც დღეს აღარ არის შემორჩენილი, აგებულია დავით-გარეჯის მონასტრის არქიმანდრიდ ეფთომის მიერ 1794 წელს [ბერიძე, 1994:149-153]. მეტ-ნაკლები დაზიანებებით შემორჩა. შერეული მასალით არის ნაგები. გამოყნებულია რიყის ქვა, აგური და შირიმი. მომცრო ზომის სწორკუთხა გეგმარების ნაგებობაა. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით, რო-



—

მლის კედლებში ხუთი სხვადასხვა ფორმის და ზომის ნიშაა. დარბაზი ერთი წყვილი ორსაფეხურიანი შვერილით ორ ტოლ ნაწილად არის დაყოფილი. ეს მონაკვეთები სამხრეთ-ჩრდილოეთ ღერძზეა წაგრძელებული. ამდენად, გუმბათქვეშა კვადრატის შესაქმნელად თაღებია გადაყვანილი, რომლებზეც აურების მეშვეობით ვიწრო გუმბათია ამოყვანილი. შერული მასალით ნაგებ ფასადებს სხვადასხვა ზომის და ფორმის ჯვრები, რომები, დასავლეთით თაღი ამკობს. მაღალყელინი გუმბათის რვა წახნაგს ლილვები შემოსაზღვრავს, ხოლო სარკმელები თაღებშია მოცემული.

საქართველოში კუპელჰალეს ტიპის ნაგებობები შენდება აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, მხოლოდ ერთი, ნაჯახოვის ტაძარია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი. საგულისხმოა, რომ ძეგლების ნაწილი ისტორიულ ტაო-კლარკეთსა და ოლთისის მხარეში, დღევანდელი თურქთის ტერიტორიაზეა. ამ ტიპის ძეგლების მშენებლობა გარდამავალი ხანიდან იწყება. პირველი ქრონოლოგიური პერიოდი გრძელდება VIII-დან X საუკუნის ჩათვლით. შემდგომ კუპელჰალეს აგებენ XVI საუკუნესა და XVIII საუკუნეში, ანუ გვიანი შუა საუკუნეების ეპოქაში, რომელიც ძველი არქიტექტურული ტიპების ხელახალა გახსენების ხანაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში.

საქართველოში გუმბათიანი დარბაზის ტიპის ჩასახვა ძიებების ეპოქას ემთხვევა. საგულისხმოა, რომ კუპელჰალეს შესახებ მონოგრაფიის ავტორი ნ. გენგიური ამ ტიპის ფორმირების დასაბამს დვანის საკმაოდ მოკრძალებული მასშტაბის ნაგებობაში ხედავს [გენგიური, 2005]. მართლაც რიგი ნიშნები (გუმბათით გადასურული დარბაზი, ერთი წყვილი შვერილი) ამ ძეგლში სახეზეა, თუმცა ტიპის სრულფასოვანი ვარიანტი ჯვრ არ არის შემუშავებული. მაგალითად ინტერიერისა თუ ექსტერიერში კუპელჰალესგან სრულიად განსხვავებულია სახეს ქმნის აქ გამოყენებული უყელო გუმბათი და ცალკეულ ნაწილთა ურთიერთშეთანხმება.

საზოგადოდ, კუპელჰალეს ტიპი თავისუფლად მდგარი საყრდენებით დაუნაწევრებელი სივრცისა და გუმბათის შერწყმის პრიც ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიღვომა რიგ ძეგლებშიც აღინიშნება, რაც მათ კუპელჰალეს ტიპთან აახლოვებს. მაგალითად, XII-XIII სს-ის ყინწვისის ტაძარში ჩანს როგორც ჩახაზული ჯვრის ტიპის, ასევე კუპელჰალეს სახასიათო ნიშნები, რაც გუმბათქვეშა

საყრდენების კედელთან შერწყმის მცდელობაში ვღინდება. თავი-სებური გადაწყვეტა გამოარჩევს ასევე კლარჯეთის წყაროსთავის (VIII-IXსს), კლარჯეთის მამაწმინდას (XVს ან XVIს-ის დასწ.), გრემის თარსა-გალავანის (XVIIს), მელანის (XVIIIს), ხელოუპნის (1806წ.). ტაძრებს, რომელთა არქიტექტურული სტრუქტურა ენა-თესავება კუპელპალეს კომპოზიციას. რაც შეეხება საკუთრივ გუმბათიანი დარბაზის ტიპის ნიმუშებს, ზემოთ მოკლედ განხილული ძეგლების გარდა ამ არქიტექტურულ ტიპს განეკუთვნება გრემის წმინდა ნიკოლოზის (XVIIს.) ბოდორნას (1717წ.) კულბითის, მაჩხა-ნის, ქვაშვეთის XVIIIს-ის ეკლესიები.

საქართველოში კუპელპალეს ტიპის ნაგებობები განირჩევა იმით, თუ რას ეფუძნება გუმბათი და რამდენი შევრილია გრძივ კედლებში. ერთ ჯგუფში ერთიანდება სამ ნაწილიანი ძეგლები გრძივ კედლებში ორ-ორი შევრილით, რომლებზეც გუმბათია დაფუძნებული. როგორც წესი შუა, გუმბათით გადახურული ნაწილი, განიერია დანარჩენ ორზე. ეს სამნაწილიანი სტრუქტურა გახვდება ვაჩნაძიანის კულაწ-მინდაში, ნიქოზში, კულბითსა და ქვაშვეთში. მეორე ჯგუფს ქმნის ორნაწილიანი კუპელპალეები. ამ ნაგებობებში გრძივი დერძი დამოკლებულია. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის და გრძივი კედლების შვერილებს. ამ ტიპისაა ფარნაკის, სოლომონ-ყალას, ნაჯახოვოს, ჯვარის მამას, ღოუბნის, გრემის წმინდა ნიკოლოზის, ბოდორნას, კულბითის, მაჩხანის ეკლესიები.

გუმბათიანი დარბაზის ტიპის სახეობების განხილვის შემდგომ შეიძლება უკეთ გამოიკვეთოს ამ ტიპის არსებითი მახასიათებლები. საზოგადოდ, გუმბათიან ნაგებობაში გუმბათის ამოფვანის პრინციპი უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, კუპელპალეს ტიპის ტაძარში არ-სებით მახასიათებელს გუმბათის კედლის შევრილებზე დაყრდნობის წესი წარმოადგენს. შესაძლებელია შევრილების რაოდენობის ცვლილება (ორი წყვილი სამნაწილიან და ერთი წყვილი ორნაწილიან ვარიინტებში), მაგრამ მათი არსებობა აუცილებელი პირობაა. ეს მახასიათებელი განაპირობებს შიდა სივრცის ხასიათსა და მასათა განაწილების თავისებურებას. კედლის შევრილები წარმოადგენს როგორც გუმბათის კონსტრუქციულ საყრდენს, ასევე დარბაზის ერთიანი სივრცის დანაწევრების, გარკვეული რიტმისა და პროპორციული თანაფარდობის შექმნის უმთავრეს საშუალებას. ამასთან, თავად შვერილის ფორმა იძენს დამატებით მხატვრულ დატვირთვას. ამდენად,

მათ ინტერიერის გადაწყვეტაში აქვთ კონსტრუქციული, სივრცის მა-ორგანიზებელი და მხატვრულ-გამომსახველობითი ფუნქცია. ამ არ-ქიტექტურულ ტიპში სამნაწილიანი საკურთხევლის მოწყობა პრობ-ლებას არ წარმოადგენს, თუმცა რიგ შემთხვევაში ძეგლების მცირე ზომის გათვალისწინებით, პასტოფორიუმების მოწყობა არ ხდება (მაგ.:ჟარნაკი, სოლომონ-ყალა, ნაჯახოვო, ბოლორნა, მანავი, ქვაშვეთი).

როგორც აღვნიშვნეთ, კუპელპალეს ტიპი საქართველოში ფარ-თოდ არ არის გავრცელებული, მაშინ როდესაც მეზობელ სომხეთში ის წამყვნი თემას წარმოადგენს და არა ერთი მაღალმხატვრული ძეგლია აგებული. მიუხედავად ამისა ამ ორი ქვეყნის ძეგლების შედარებისას ვლინდება, რომ ქართული ნიმუშები მეტი მრავალ-გვარობითა და არქიტექტურული სტრუქტურისადმი თავისუფალი მიღეობით ხასიათდება. ასე მაგალითად, სომხეთისაგან განსხვავებით საქართველოში გვხვდება როგორც გეგმის სწორკუთხედში ჩაწერი-ლი, ასევე შევრილი აფსიდა (ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, ნაჯახოვო, ნიქოზი). გავრცელებულია ძეგლები პასტოფორიუმებით და მათ გა-რეშე. ამასთან გვხვდება თავისებური ფორმის გვერდითი სათავსები, როგორიცაა ვაჩნაძიანის ტრიკონქის ტიპის ორნაწილიანი პასტო-ფორიუმები. გამორჩეულია ასევე ნიქოზის აღმოსავლეთი ნაწილის უბეები აფსიდით, რომლებიც უთუოდ პასტოფორიების ფუნქციას ას-რულებდა. თავისებური, თაღებზე ამოყვანილი გუმბათი გვხვდება მა-ნავის ეკლესიაში. ამას გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, არის რი-გი ძეგლები, რომლებიც სტრუქტურულად ენათესავება კუპელპალეს ტიპს, თუმცა განსხვავებული ნიშნები გამოარჩევს. მათი არსებობა, ისევე როგორც დვანის ეკლესიაში, ამ ტიპის გარკვეული ნიშნების ფორმირება, ქართულ ხუროთმოძღვრებაში თავისუფალი შემოქმედე-ბითი პროცესის არსებობის დამადასტურებელ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, მთ უფრო, რომ ფორმირების პროცესი გარდამავალ ანუ ძიებების ხანას ემთხვევა. ამ თვალსაზრისით კი ყველაზე თვალსა-ჩინო ნიმუშს ვაჩნაძიანის ყველაწმინდას ტაძარი წარმოადგენს, რო-მელიც, უდაოდ, მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლია.

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა ტიპოლოგიური თვალსაზრისით არ თავსდება ერთი ტიპის ფარგლებში. მისი სტრუქტურა სხვადასხვა ტიპის (სამეცნიერო, გუმბათიანი დარბაზი, ტრიკონქი) სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა. ყურადსალებია, რომ არა სომხეთში, სადაც კუპელპალე წამყვანი ტიპია, არამედ საქართველოში გამოვლინდა

გუმბათიანი დარბაზის ტიპის პოტენციური შესაძლებლობა ორგანულად შეერწყას სხვა ტიპს. აქ, სამეკლესიიანი ბაზილიკის სამშობლოში, მოხდა ამ ტიპის კომპოზიციური სქემის ცენტრალური ნაწილის კუპელპალედ გააზრება. რის შედეგად შეიქმნა ვაჩნაძიანის ყველაწმინდის სრულიად ახალი, ორიგინალური და არქიტექტურულ-მხატვრული გამოშახველობით გამორჩეული არქიტექტურული სტრუქტურა.

ამრიგად, საქართველოში კუპელპალეს ორი ქვეტიპი, სამ და ორ ნაწილიანი გარიანტები შემუშავდა. ამას გარდა, გეხვდება ნაგებობების რიგი, რომლებიც გარკვეული ნიშნებით უახლოვდება ამ არქიტექტურული ტიპის სტრუქტურას. მხატვრული ღირებულებით და ტიპოლოგიური გადაწყვეტით გამორჩეულ ძეგლს კი წარმოადგენს ვაჩნაძიანის ყველაწმინდა.

მრავალაფსიდიანი ტაძრები


აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში აფსიდა საკურთხეველის დაკანონებულ ფორმად ადქრისტიანულ ხანაშივე იქცა. სწორკუთხა საკურთხეველი მხოლოდ ცალკეულ მეგლებში დასტურდება. ამ-დენად, აფსიდა საეკლესიო ნაგებობის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს. ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში შემუშავდა რამდენიმე აფსიდით შედგენილი არქიტექტურული კომპოზიციებიც, როგორიცაა ტრიკონქი და ტეტრაკონქი. გვხვდება ხუთი და მეტი აფსიდის გამოყენების მაგალითებიც. ამგვარი ტიპის ნაგებობებს მრავალაფსიდიანი ტაძრები ეწოდება და თავისი კომპოზიციური გადაწყვეტით საგრძნობლად განსხვავდება სხვა გუმბათიანი ნაგებობებისაგან. ამ არქიტექტურული ტიპის მეტ-ნაკლებად მსგავსი ნიმუშები სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში, საქართველოსა და სომხეთში გვხვდება. საქართველოში მრავალაფსიდიანი ტიპის რვა ძეგლია ცნობილი, რომლებიც XI და XII საუკუნეში სხვადასხვა რეგიონში აშენდა.

ოლთისი მდებარეობს თურქეთში, ისტორიულ პროვინცია ტაოში, მდინარე ოლთისის წყალის მარჯვენა ნაპირზე აგებული ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე. განეკუთვნება X საუკუნეს [თაყაიშვილი, 1938: 67-70; ბერიძე, 1981: 64-68, 189-190]. გეგმაში წარმოადგენს ცენტრულ, ექვსაფსიდიან ნაგებობას, სადაც ხუთი აფსიდა ტოლია, ხოლო საკურთხევლისა ზომით სჭარბობს დანარჩენებს. ამასთან, მათგან განსხვავდებოთ აქვს ბერა. შიდა სივრცე ერთიანია, გუმბათი ეყრდნობა აფსიდების ექვს შევრილის, რაც კონსტრუქციის მდგრადობას განაპირობებდა. შესასვლელია დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან.


ნაგებობის გარშემოწერილობა წახნაგოვანია, თითოეულ წახნაგს თაღოვანი ფორმა ამკობს. აფსიდებს შორის კედლის სისქეში ექვსერიერში მცირე სამკუთხა ნიშებია. საკურთხეველი სამწახნაგა შევრილს ქმნის.

გოგიუბა მდებარეობს თურქეთში, არტაანის პროვინციაში ისტორიულ ერუშეთში. დაზიანებული სახით მოაღწია. პერანგი მთლიანად შემორღვეული აქვს. აგებულია X საუკუნეში [თაყაიშვილი, 1938: 67-70; ბერიძე, 1981: 64-68, 189]. გეგმაში ცენტრული ექვსაფსიდი-


ანი ნაგებობაა, რომლის ყველა აფსიდა უბემოა და ტოლია. გარედან თორმეტწახნაგა ფორმაშია მოქცეული და ექვსი მცირე სამკუთხა ნიშა აქვს. როგორც შიდა სივრცე, ასევე ექსტერიერი პროპორციულობით და ფორმათა მთლიანობით ხასიათდება. შესასვლელი დასავლეთი და ჩრდილო-დასასვლეთი მხრიდან.



კიალლის-აღთი მდებარეობს თურქეთში, ისტორიულ პროვინცია ტაოში, ბანას ჩრდილო-აღმოსავლეთით. დანგრეულია. აგებულია X საუკუნეში [თაყაიშვილი, 1938: 67-70; ბერიძე, 1981: 64-68, 190-191]. გეგმაში მიაგავს ოლთისს, მხოლოდ ზომით სჭარბობს მას. აქაც აღმოსავლეთი აფსიდა ბემიანია და დანარჩენებზე დიდი ზომისაა. აღსანიშნავია აფსიდის ორივე მხარეს კედლის სისქეში მოწყობილი მინიატურული ნიშა-სათავსები. ექსტერიერში მრავალწახნაგა ფორმაში სამწახნაგა შვერილს ქმნის საკურთხეველი. კედლებში ოთხი მცირე სამკუთხა ნიშაა. შესასვლელი აქაც ორია, და-სასვლეთი და ჩრდილო-დასასვლეთი მხრიდან.





კუმურდო მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, აღმინისტრაციული ცენტრიდან 12 კილომეტრის დაშორებით, მაღალ პლატოზე. სამხრეთი შესასვლელის თავზე არსებული სამშენებლო წარწერის მიხედვით აგებულია 964 წელს აფხაზთა მეფე ლეონის მიერ [ჩუბინაშვილი, 1970: 236-261]. შემორჩენილია დაზიანებული სახით, გუმბათის გარეშე. ნაგებობას ჯვრული გარშემოწერილობა აქვს, რომელშიც ხუთი აფსიდაა ჩაწერილი. ამათგან ერთი საკურთხევლისაა, ხოლო ორ-ორი ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს არის განლაგებული. დასასვლელით სწორკუთხა მკლავია, რომელიც საყრდენების საშუალებით სამ ნავად იყოფა. გუმბათი ეყრდნობოდა ექვს მასიურ საყრდენს, რომელიც აფსიდის შვერილებსაა შერწყმული. საკურთხევლს ღრმა ბემა აქვს. მის ორივე მხარეს



ორი ძლიერ წაგრძელებული ფორმის აფსიდიანი პასტოფორიუმია. ტაბარში ორი შესასვლელია, დასავლეთი და სამხრეთი. ამ უკანას-კენელის წინ აფსიდიანი კვადრატული კარიბჭეა, ასეთივე ფორმის მცირე ნიშით ჩრდილოეთ კედელში. აღმოსავლეთ ფასადზე ორი სამკუთხა ნიშაა, ხოლო ჩრდილოეთით ერთი. ექსტერიერი გამოირჩება კედლის უზადო წყობით, ღამდების მდიდრული მორთულობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია აღმოსავლეთი ფასადის კომბოზიცია, მთავარი სარკმლის შემკულობა და მის თავზე არსებული ასომთავრული წარწერის შესრულების ხასიათი.

ბოჭორმა მდებარეობს კახეთში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, სიონის თემში, გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, მდინა-


რე ივრის მარცხენა ნაპირზე. დაზიანებული სახით მოაღწია. აგებულია X საუკუნის შუა ხანებში [ჩუბინაშვილი, 1959: 416-423]. წარმოადგენს ცენტ-რულ ეკვსაფსიდიან ნაგებობას. დანარჩენი ძეგლებისაგან განსხვავებით მის ყველა აფსიდას ბემა აქვს. აღმოსავლეთისას კი უფრო ღრმა ბემა გააჩნია, რის გამოც გარედან სამწახნაგა შვერილს ქმნის. ბემების არსებობა ინტერიერში აფსიდასა და გუმბათ-ქვეშა არეს შორის დამატებით სივრცით ერთეულს ქმნის, რაც შიდა სივრცეს მეტ მრავალფეროვნებას ანიჭებს. ექსტერიერში ბოჭორმას სხვა მრავალაფსიდიან ტაძრებთან შედარებით უფრო ღრმა და დიდი ზომის სამკუთხა ნიშები გააჩნია, რაც ფასადებს თავისებურ იქრს ანიჭებს. შესასვლელი სამია და-სავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან.



ნოჯიხევის ეკლესია მდებარეობს სამეგრელოში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში, მდინარე აბაშის მარცხენა მხარეს. ის არქოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, ამიტომ მხოლოდ გეგმის დადგენა არის შესაძლებელი. განეკუთვნება X-XI საუკუნეებს. [ზაქარაია, კაპანაძე, 1991: 241-254]. ნოჯიხევი გამორჩეულია საქართველოს ამ არქიტექტურული ტიპის სხვა ძეგლებისაგან, რადგან მათგან განსხვავებით


რვააფსიდიან ნაგებობას წარმოადგენს. ამ ცენტრულ კომპოზიციაში რადიალურად განლაგებული შვიდი აფსიდა უბემოა, ხოლო საკურთხევლის აფსიდა უფრო დიდი ზომისაა და ღრმა ბემა აქვს. გარედან ის ნახევარწრიულ შვერილს ქმნის. შესასვლელი სამია ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან.

კაცხის ტაძარი მდებარეობს იმერეთში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაცხში, მდინარე კაცხურას ხეობაში. არსებითი ცვლილებების გარეშე მოაღწია. აგებულია 989-1010/14 წლებში [ბერიძე, 1950: 53-94]. წარმოადგენს ცენტრულ ექვსაფსიდიან კომპოზიციას. გარედან ნაგებობა თექვსმეტწანაგიანია. ამათგან ხუთი წანაგი აქვს საკურთხევლის აფსიდის შვერილს. ის სხვა აფსიდებისგან განსხვავებით ბემიანია. კაცხის ტაძარს ამ ტიპის სხვა ძეგლებისაგან გამოარჩევს მცირე ნიშა-სათავსები, რომლებიც აფსიდებს შორის კედლის სისქეშია განთავსებული. საკურთხევლის ორივე მხარეს წრიული ფორმის მცირე ზომის სათავსია, რომლებიც გასასვლელებით გვერდით აფსიდებს უკავშირდება. სამკვეთლოს მეორე, საკურთხეველთან დამაკავშირებელი კარიც აქვს. ასევე წრიული ფორმისაა დასავლეთი აფსიდის სამხრეთ მხარეს არსებული ნიშა-სათავსი. თითო სწორკუთხა აფსიდის მქონე ნიშა-სათავსი კარიც უერთდება ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფსიდებს. ამრიგად სულ ხუთი მცირე სათავსია. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური გუმბათიკვეშა სივრციდან გუმბათის ყელზე გადასვლა ორი რიგი ტრომბების საშუალებით ხორციელდება, რაც ამ ეპოქის ძეგლებისათვის არ არის დამახასიათებელი. შესასვლელი სამია, ჩრდილო-დასავლეთი, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი აფსიდებში.



კაცხის ექვსტერიერის სახასიათო ნიშანს ქოლგისებური გადასურვა წარმოადგენს. გარშემოსავლელი, რომელიც ნაგებობის ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს არის აგებული ტაძრის აგებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდგომი ხანისაა. ტაძრის ფასადები გამოირჩევა დეკორაციული მორთულობის სიუხვით და შესრულების მხატვრული დონით.

ნიკორწმინდა მდებარეობს რაჭაში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში. გარკვეული დაზიანებით მოაღწია. აგებულია 1010-1014 წლებში



[ჩუბინაშვილი, 1970, 236-261]. ნაგებობას ჯვრული კონფიგურაცია აქვს, რომელშიც კუმურდოსაგან განსხვავებით რადიალურად განლაგებული ხუთი აფსიდაა., ხოლო დასავლეთის სეგმენტი სწორკუთხაა. აფსიდებს მევეორად გამოხატული ნალისებური ფორმა აქვს. ღრმა ბემა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდას გააჩნია. ნაგებობაში აფსიდანი, სწორკუთხა ფორმის ოთხი სათავსია. მათგან ორი, აღმოსავლეთით მდებარე, ჰასტოფორიუმებს წარმოადგენს. ტაძარში

შესასვლელი სამია - დასავლეთ მონაკვეთში, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფსიდებში. დასავლეთ და სამხრეთ მხარეს კარიბჭეებია. ტაძრის გარე მასები თავისებური პროპორციებით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით მასიური გუმბათის ნაგებობის შედარებით ვიწრო კორპუსთან ურთიერთიმიმართებაში ვლინდება. ამგვარ მიდგომას აძლიერებს სხვადასხვა ზომების დეკორატიული თაღებით ფასადების შემკობის ხერხი. მაღალ დონეზე შესრულებული მდიდარული ჩუქურთმის სიუხვე ნიკორწმინდის არქიტექტურ-მხატვრული გადაწყვეტის მთავარი სახასიათო ნიშანია. აღსანიშნავია რელიეფური კომპოზიციების - “ფერიცვალება”, “მეორედ მოსვლა”, “ჯვრის ამაღლება” – მხატვრული გამოშვანების და შესრულების ოსტატობა.

მრავალაფსიდიანი ტაძრების მონაცემების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ხუთი ძეგლი - ოლთისი, გოგოუბა, კიალლის-ალთი, კუმურდო, ბოჭორმა - X საუკუნეს, ნოვიხევი X-XI საუკუნეთა მიჯნას, კაცხი და ნიკორწმინდა XI საუკუნის დასაწყისის ხანას განეკუთვნება. ტერიტორიულად ისინი სხვადასხვა რეგიონში მდებარეობს. ოთხი ძეგლი სამხრეთ საქართველოშია – კუმურდო ჯავახეთში, ხოლო ოლთისი, გოგოუბა და კიალლის-ალთი დღეს თურქეთის ტერიტორიაზე. სამი ძეგლი დასავლეთ საქართველოშია: კაცხი იმერეთში, ნიკორწმინდა რაჭაში, ნოვიხევი სამეგრელოში. აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, ერთი ძეგლია – ბოჭორმა. მრავალაფსიდიანი ტაძრები და-

ცულობის მხრივ სხვადასხვა დონეზეა შემორჩენილი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნოჯიხევის მხოლოდ გეგმა იკითხება. დანარჩენი ძეგლები მეტ-ნაკლები დაზიანებით შემორჩა.

მრავალაფისიდიანი არქიტექტურული ტიპის მთავარ მახასიათებელს ნაგებობის სტრუქტურაში ხუთი ან მეტი აფსიდის გამოყენება წარმოადგენს. აფსიდები ვუმბათქეშა სივრცის მიმართ, ძირითადად, რადიალურადაა განლაგებული, რაც ნაგებობის ცენტრულობას განაპირობებს. საქართველოში ხუთ, ექვს და რვააფსიდიანი ძეგლები გვხვდება. ყველაზე გავრცელებულია ექვსაფსიდიანი კომპოზიცია (ოლთისი, გოგიუბა, კიაღლის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი). რვააფსიდიანია მხოლოდ ერთი ძეგლი – ნოჯიხევი. აღსანიშნავია, ტაოში მდებარეობს ასევე რვასევემნტიანი გეგმარების ტაძარი ტაოსკარი, რომელშიც რადიალურად განლაგებული შვიდი სეგმენტი სწორგუთხაა. მხოლოდ ერთ, საკურთხევლის ნაწილს აქვს აფსიდალური ფორმა. სავარაუდოდ ასეთივე რვასევემნტიანი გეგმარება ჰქონდა ძლარჯეთში მდებარე ტბეთის ტაძარს X საუკუნის 50-60-იან წლებში [ხოშტარია, 2005]. ხუთაფსიდიან ძეგლებს, ნიკორწმინდას და კუმურდოს, განსხვავებული გადაწყვეტა ახასიათებს. ნიკორწმინდაში რადიალურად განლაგებული ექვსი სეგმენტია, რომელთაგან ხუთი აფსიდით ბოლოვდება. კუმურდოში ხუთი აფსიდიდან ერთი აღმოსავლეთით, ორ-ორი ჩრდილოეთით და სამხრეთითა, ხოლო დასავლეთით სწორგუთხა მქლავია.

ნაგებობათა კონფიგურაციის მხრივ საქართველოს მრავალაფისიდიანი ტაძრები ორი სახისაა. პირველ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ცენტრული, მრავალწახნაგა ფორმის ნაგებობები – ექვსაფსიდიანი ოლთისი, გოგიუბა, კიაღლის-ალთი, ბოჭორმა, კაცხი და რვააფსიდიანი ნოჯიხევი. მეორე ჯგუფის ძეგლებია ხუთაფსიდიანი კუმურდო და ნიკორწმინდა, რომელთა გარშემოწერილობა ე.წ. თვეისუფალი ჯვრის ფორმას ქმნის. ამათგან კუმურდოში ჯვრული მოხაზულობა უფრო მკვეთრად არის გამოვლენილი.

პირველი ჯგუფის ძეგლებს ახასიათებს ნაგებობის კორპუსიდან შვერილი საკურთხევლის აფსიდა, რაც ბემის არსებობით არის განპირობებული. გამორნაკლისია გოგიუბას ტაძარი, სადაც ყველა აფსიდა, საკურთხევლის აფსიდის ჩათვლით, უბემოა. რაც შეეხება ბოჭორმას, აქ საკურთხევლის აფსიდის წინ ბემა ზომით სჭარბობს დანარჩენებს. ამდენად, დამატებითი სივრცის არსებობა ფასადზე შვერილის სახით

გამოიყოფა. ყველა სხვა ძეგლში საკურთხევლის გარდა დანარჩენი აფსიდები უბემოა.

პირველი ჯგუფის, ცენტრული გეგმარების, მრავალაფსიდიან ტაძრებში დგას კონსტრუქციული ხასიათის პრობლემა, რაც აფსიდებს შორის კედლის მასივის განტვირთვის საჭიროებას უკავშირდება. ეს საკითხი ამ ძეგლებში ორი გზით არის გადაწყვეტილი. უმეტეს შემთხვევაში (ოლთისი, გოგიუბა, კიაღლის-ალთი, ბოჭორმა, საკარაულოდ ნოვიზევი) ფასადებზე ნიშებია გამოყენებული, ხოლო კაცხის ტაძარში კედლის სისქეში მცირე სათავსებია მოწყობილი, რომელიც კარით აფსიდებს უკავშირდება. მდგვარად, კაცხში გადაწყვეტილია როგორც კედლის მასივის განტვირთვის, ასევე დამატებითი სათავსების შექმნის პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის მეორე ძეგლს, კიაღლის-ალთის, რომელსაც ფასადებზე ნიშები აქვს, საკურთხევლის ბემასთან ორი მცირე ზომის ნიშა-სათავსი გააჩნია. ნიშანდობლივია, რომ მრავალაფსიდიანი ტაძრების პირველი ჯგუფის ძეგლებში კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურების გამო, სათანადო ზომისა და ფორმის, სრულფასოვანი პასტოფორიუმის მოწყობის შესაძლებლობა შეზღუდულია. საფიქრებელია, რომ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მრავალაფსიდიანი ტაძრების არქიტექტურულმა ტიპმა ფართო გავრცელება არ ჰქოვა და მხოლოდ დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში იარსება.

რაც შეეხბა მეორე ჯგუფის ძეგლებს, კუმურდოსა და ნიკორწმინდას, აქ გეგმის ჯვრული კონფიგურაცია პასტიფორიუმების მოწყობის პრობლემას არ ქმნის. უფრო მეტიც, ნიკორწმინდაში აღმოსავლეთის გარდა სათავსები დასავლეთითაც არის განლაგებული. ამდენად, ამ ტაძარს გეგმაში სწორკუთხა, აღმოსავლეთით აფსიდის მქონე, ოთხი სათავსი გააჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე აფსიდით შექმნილი არქიტექტურული კომპოზიცია ჯერ კიდევ რომის იმპერიის არქიტექტურაში გვხვდება, რის თვალსაჩინო მაგალითს რომის ლიცინის ბაღებში IVს-ის დასაწყისში აგებული ნიმფეუმის, ეწ. მინერვა მედიკას ტაძარი [არქ. ისტ. II, 1973: 573-574], წარმოადგენს. ამ დიდი გუმბათიანი ნაგებობის (გუმბათის დიამეტრი - 25მ) გუმბათქეშა სივრცის მიმართ რადიალურად ათი აფსიდა იყო განლაგებული. ბეტონის გუმბათი პრიმიტიული აფრების საშუალებით ათკუთხა სარტყელს ეფუძნებოდა, რომელიც თავისმხრივ აფსიდებზე იყო დაყრდნობილი.

საყურადღებოა, რომ წინაქრისტიანული ხანის მრავალაფსიდიანი ცენტრული ნაგებობა დადასტურდა საქართველოშიც. 1996 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბაგინეთის ქვედა ტერასაზე ეწ. “ორსენაკიანი” ნაგებობის მახლობლად აღმოჩნდა დიდი ზომის წარმართული ტაძარი, რომელიც, სავარაუდოდ, II-III საუკუნეებით თარიღდება [ციციშვილი, 1997:9-13] და IV საუკუნის დასაწყისში განადგურდა [ნიკოლაიშვილი, 1996:23-25]. ოთხკუთხა გეგმის ნაგებობის შიგნით დაფიქსირდა რადიალურად განლაგებული ნახევარწრიული აფსიდები. მრავალაფსიდიანი დარბაზი დერეფნის მეშვეობით დასავლეთით არსებულ მინაშენს და მარანს უკავშირდებოდა. ალიზის კედლები ქვიშაქვის კარგად დამუშავებულ კვადრებზე იყო ამოყვანილი. ცენტრში იდგა ქვიშაქვის მოჩუქროთმებული ბაზა (დიამეტრიც – 1,27მ), რომელზეც ხის სევტი იყო აღმართული. ინტერიერში აღმოჩნდა, ასევე, ქანდაკების კვარცხლბეკი. ნაგებობა გადახურული იყო წითლად შედებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტით. არქეოლოგიური გათხრების დროს დაფიქსირდა ოთხი აფსიდა, მაგრამ ნაკლული ნაწილის რეკონსტრუქცია ექვსაფსიდიანი კომპოზიციის არსებობას ადასტურებს.

ამგვარად, მრავალაფსიდიანი არქიტექტურული სტრუქტურა წინაქრისტიანული ხანის ხუროთმოძღვრებაშიც იყო გამოყენებული, მაგრამ დასაბუთება ბაგინეთის ნაგებობის უშაუალო კავშირისა X-XI საუკუნის დასაწყისის მრავალაფსიდიან ტაძრებთან მნელია. თუმცა ხუროთმოძღვრული ტრადიციების და ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის ფორმირების თვალსაზრისით საქართველოში ამგვარი ნაგებობის არსებობის ფაქტი, უთუოდ, ყურადღებას იმსახურებს.

საინტერესოა, რომ ქართულ ძეგლებთან გარკვეულ სიახლოეს ამჟღავნებს სომხური ნიმუშები. მათაც გეგმარების ცენტრულობა, ექვს (მაგ.: მწყემსების და აბუგამრენცის ტაძარები ანისში) და რვა აფსიდიანი (მაგ.: ზორავარის, ანისის მაცხოვრის სახელობის) [მნაცაკანიანი; 1978] კომპოზიცია ახასიათებს. ამასთან აქც ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება ქოლგისებური გადახურვა, თუმცა ნაგებობების არქიტექტურულ-მხატვრული იერსახის გადაწყვეტა განსხვავებულია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ძეგლები მეტ მრავალფეროვნებას ამჟღავნებენ, რადგან აქ ცენტრულის გარდა შემუშავდა სრულიად განსხვავებული ხუთაფსიდიანი ვარიანტი კუმურდოსა და ნიკორწმინდის ტაძრებში.

საქართველოს გუმბათიან ხუროთმოძღვრებაში არქიტექტურული ტიპების სტრუქტურაში ამა თუ იმ ფორმით უმეტესად ჯვარია წარმოჩენილი. მრავალაფერიანი ტაძრის ტიპი ამ მხრივ განსხვავებული ჩანს. ვინაიდან საეკლესიო ნაგებობის ტიპები, უთუოდ, გარდავეული სიმბოლური კონცეფციით იგებოდა, შეიძლება გამოითქვას გარკვეული ვარაუდი მრავალაფერიანი სტრუქტურის სიმბოლური გააზრების შესახებ.

ეპოქა, როდესაც მრავალაფერიანი არქიტექტურული ტიპი გავრცელდა საქართველოში, ე.წ. ცხოველხატული სტილის ფორმირების ხანაა, რომელსაც გ. ჩუბინაშვილი ქართულ ბაროკოდ მოიხსენიებს [ჩუბინაშვილი, 1970: 236-237]. ამ პერიოდში არქიტექტურული ნაგებობის შიდა სივრცის თუ ფასადების გადაწყვეტა, მოელისა და ნაწილის ურთიერთშეთანხმება, მრავალფეროვნების, დინამიზმის და ცხოველხატული ეფექტის შექმნას ემსახურება. ეპოქის დამახასიათებელი მხატვრული ფორმისადმი ამგარი მიღობმა გამოვლენილია როგორც არქიტექტურაში, ასევე სახვითი ხელოვნებაში და, ცხადია, სახისმეტყველების საკითხების თავისებურ გააზრებას ეფუძნება. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ გუმბათიანი არქიტექტურის სტრუქტურის სიმბოლურ კონცეფციაში ახლებური მიღობმის გაჩენა, რომელიც, ბუნებრივია, არსობრივ ცვლილებას არ ითვალისწინებდა. მრავალაფერიანი ტიპის გეგმის საფუძვლად, ჩვენი ვარაუდით, გამოყენებულ იქნა ქრიზმა, რომელიც ქრისტეს სახელის, XPIΣΤΟΣ-ს, პირველი ორი ბერძნული ასოს ურთიერთშეთანხმებით არის შექმნილი. ქრიზმა მაცხოვრის ნიშან-სიმბოლოს წარმოადგენს და უფლის სწავლებისა და მოძღვრების სიმბოლოდ ქრისტიანულ სამყაროში ჯვარის დარად აღიმება. საქართველოში ქრიზმის გამოსახულება აღრეშუასაუკუნეების ხანიდან გვხვდება (მაგ.: ბიჭვინტის მოზაიკაზე [მაცულევიჩი, 1978, 100-168], ასევე ციხისძირში აღმოჩენილ ამფორაზე დაძლის სახით [ინაიშვილი, 1993:9.7]). საგულისხმოა, რომ საქართველოს მრავალაფერიანი ტაძრების ძეგლებში მხოლოდ ექვსი და რვა აფსიდადა გამოყენებული, ხოლო ხუთაფერიან ძეგლებში დასავლეთ მხარეს მეექვსე სეგმენტიც ფიგურირებს. ექვსი აფსიდის რადიალური განლაგება ან ხუთი აფსიდით და სწორკუთხა მკლავით შექმნილი კომპოზიცია ზუსტად მიესადაგება ქრიზმის ორი ასოს X და P ურთიერთშერწყმით შექმნილ ექვსეგმენტიან მონოგრამას, რომლის ზედა P-ს მხარე საკურთხევლის აფსიდას შეესატყვისე-

ბა. რაც შეეხება რვააფესიდიან კომპოზიციას (მსგავსი გადაწყვეტაა რვასეგმენტიან ტაოსკასმიც), აქ გამოყენებული უნდა იყოს ქრიზმისა და ჯვრის შეწიაღებული ვარიანტი, რომელიც ექვსსეგმენტიანი ქრიზმის პარალელურად ქრისტიანულ ხელოვნებაში ჯერ კიდევ ადრექრისტიანული ხანიდან გვხვდება. ამგვარად შეიქმნა ისეთი კომპოზიციის განხორციელების შესაძლებლობა, რომლის სტრუქტურა მრავალფეროვანი, დინამიური შიდა სივრცით ზედმიწევნით ეხმაიან-ებოდა ეპოქის მოთხოვნას. პირველი ჯგუფის მრავალაფესიდინი ტაძრების გეგმაში ქრიზმა წრეს მიახლოებებულ მრავალწახნაგა ფორმაშია მოცემული. წრეში ქრიზმა ქრისტიანული მოძღვრების ყოვლისმომცველობის და მარადიულობის იდეას გამოისახავს. მეორე ჯგუფის კუმურდოსა და ნიკორწმონდაში ქრიზმა ჯვრულ ფორმა-შია მოქცეული, რითაც ხაზგასმულია ქრისტეს ვნებისა და ძლევის იდეა. ამგვარად, ჯვარგუმბათიანი ტიპების მსგავსად მრავალაფესიდი-ანი არქიტექტურული ტიპის ნაგებობის გეგმაში ქრიზმის მეშვეობით სიმბოლურად გაცხადებულია ქრისტიანული მრწამსის ერთგულების და ხსნის იდეა.

აღსანიშნავია, რომ ამავე ეპოქაში, XI საუკუნის პირველ მეოთხედ-ში, შექმნილი ქართული ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი ძეგლის, ზარზმის ანუ ლაკლაკიძის ღმრთისმშობლის ხატის თეოლოგიური პროგრამის შესახებ ნ. ბურჭულაძის ფრიად საგუ-ლისხმო მოსაზრებით ხატის გვერდითა ველებზე სცენების განლაგე-ბის სქემა რვაპილოიან ქრიზმას ემთხვევა [ბურჭულაძე, 2003, 16-31]. რვა ქრისტიანული სახისმეტყველებით მერვე ანუ განკითხვის დღის სიმბოლოა. ე. ი. მსხვერპლის ხატი იმავდროულად ხსნის დღომის გა-მოსახულებად გვევლინება. მრავალაფესიდიან ტაძრებსა და ზარზმის ღმრთისმშობლის ხატზე, შესაბამისად საეკლესიო ნაგებობის აგებისა და ხატის შექმნისას, ქრიზმის შეფარული გამოისხვა ეპოქის ერთ-ერთ დამახსიათებელ ნიშნად აღიქმება. საგულისხმო უნდა იყოს იმის გათვალისწინებაც, რომ X-XI საუკუნეების მიჯნა, ქრისტესმო-ბიდან ათასი წელი, უთუოდ, ამ დროის გამორჩეულობის განცდას ბადებდა. ამდენად, უფლის მიერ ათასი წლის წინ კაცად მოვლენილი ქრისტეს მონოგრამა ეპოქის ამგვარ აღქმას ზედმიწევნით მიესა-დაგება.

ამრიგად, X-XI საუკუნის პირველი მეოთხედში, საქართველოს ხუროთმოძღვრების და ხელოვნების ისტორიაში სახისმეტყველე-

ბის და მხატვრული საკითხების თავისებური გააზრების ეპოქაში, რომელსაც მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტის თუ სიმბოლური ჩანაფიქრის ერთგვარი გართულების ტენდენცია ახასიათებს, ლოგიკურად გვესახება მრავალაფსიდიანი არქიტექტურული ტიპის გეგმისა და სივრცული გადაწყვეტის საფუძვლად ჯვარის ნაცვლად ქრიზმის გამოყენება. ამ შემთხვევაში მრავალაფსიდიანი ტაძრების სიმბოლური გააზრებას ისეთივე მკაფიო იდეური საფუძველი გააჩნია, როგორც ჯვარგუმბათოვანი სტრუქტურის ნაგებობებს.

დასკვნა

შეა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურაში მაქსიმალური სისრულით გამოვლინდა ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალი, რამაც არა ერთი გამორჩეული ტაძრის აგების და სხვადასხვა ტიპის გავრცელების შესაძლებლობა შექმნა. არქიტექტურულ ტიპთა ფორმირების პროცესი შეა საუკუნეების საქართველოში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გამორჩევა V საუკუნიდან XI საუკუნემდე ხანა. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ყველა ძირითადი არქიტექტურული ტიპი.

არქიტექტურული ტიპი	უადრესი ძეგლის თარიღი	აქტიური შშენებლობის ხანა	გვიანი ნიმუშები
სამნავიანი	V	V-X	XIII-XIV,XVI
სამეცნიერო	VI	VI-X	XIII-XIV
ორნავიანი	VI	VI-X	XIII
დარბაზული	IV	V-XVIII	
ტეტრაკონქი	V	V-VII	VIII-X
თავისუფალი ჯვრის	V-VI	V-XI	XV-XVIII
ჩახაზული ჯვრის	VII	VII-XVIII	
ტრიკონქი	VIII-IX	VIII-XI	
გუმბათიანი დარბაზი	VIII-IX	VIII-X	XV-XVIII
მრავალაფსიდიანი	X	X-XI	

მოცემული ცხრილი ნათლად წარმოაჩენს ტიპთა გავრცელების ქრონოლოგიურ სურათს. როგორც ვხედავთ, უგუმბათო არქიტექტურულმა ტიპებმა გავრცელება IV,V და VI საუკუნე-

ებში დაიწყო. V საუკუნეშივე იგება ტეტრაკონქის (მანგლისი) და თავისუფალი ჯვრის (ზეგანის წმ. მარინე) პირველი ნიმუშები. ადრეული შუა საუკუნეების ხანის ბოლო ეტაპზე, VII საუკუნის I ნახევარში ფორმირდება ჩახაზული ჯვრის ტიპი წრომის ტაძარში. შესაბამისად, ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ადრეული შუა საუკუნეების ეტაპზე უკვე არ-სებობს უგუმბათო ხუროთმოძღვრების ყველა და გუმბათიანი არქიტექტურის სამი ტიპი.

გარდამავალ ეპოქაში გავრცელებას იწყებს ტრიკონქი და გუმბათიანი დარბაზი. X საუკუნეში ფორმირდება ბოლო, მრავალაფსიდიანი ტიპი. საგულისხმოა, რომ გარდა ამ არქიტექტურული ტიპების ნიმუშებისა ქართულ ხუროთმოძღვრებაში მრავლადაა ძეგლები, რომლებსაც მხოლოდ ერთი კონკრეტული ტიპის ნიშნები არ ახსიათებს და ისინი ტიპოლოგიური თავისებურებით გამოირჩევა. ამრიგად, საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში არქიტექტურულ ტიპთა ფორმირების პროცესი XI საუკუნეში გრძელდება. შემდგომ საუკუნეებში არქიტექტურა არსებული ტიპოლოგიური რეპერტუარის ფარგლებში ვითარდება.

არქიტექტურული ტიპები თავისი არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ყველაზე დიდ-ხანს, ქრისტიანობის მიღების პერიოდიდან მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, აშენებენ დარბაზულ ეკლესიებს. VII საუკუნიდან ასევე უწყვეტად აგებენ ჩახაზული ჯვრის ტიპის ტაძრებს. ამდენად, დარბაზული უგუმბათო, ხოლო ჩახაზული ჯვრის ტიპი გუმბათიანი ხუროთმოძღვრების ყველაზე გავრცელებული ტიპებია. საქართველოში არსებული ტიპებიდან დროის ყველაზე მცირე მონაკვეთში, X საუკუნიდან XI საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში, იგება მრავალაფსიდიანი ტაძრები. დანარჩენი არქიტექტურული ტიპები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობს.

უგუმბათო არქიტექტურის ტიპები - სამნავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკები, ორნავიანი ეკლესიები მირითადად XI

საუკუნემდე იგება, შემდგომ საუკუნეებში მხოლოდ ცალკეული ნიმუშები გვხვდება.

გუმბათიანი ტიპებიდან თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლებს V-დან XI საუკუნემდე აგებენ, ხოლო მშენებლობის ხელახალი გააქტიურების პერიოდი გვიანი შუა საუკუნეებია. ტეტრაკონქების აქტიური მშენებლობის და მაღალმხატვრული ნიმუშების შექმნის ეპოქა ადრეული შუა საუკუნეებია, თუმცა ამ ტიპის ნაგებობებს აგებენ გარდამავალ ხანაშიც X საუკუნის ჩათვლით. ტრიკონქის ადრეული ნიმუშები გარდამავალ ხანას მიეკუთვნება, ხოლო მასშტაბურობით და არქიტექტურული ღირებულებით მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლები – ოშკი, ბაგრატი და ალავერდი X-XI საუკუნეებს განეკუთვნება. კუპელჰალე, რომელიც მეზობელ სომხეთთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, VIII-X საუკუნეებში ვრცელდება. ამ ტიპის ტაძრების მშენებლობის ახალი ეტაპი XV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე გრძელდება.

რაც შეეხება გავრცელების ტერიტორიულ ფარგლებს თითქმის ყველა ტიპი გვხვდება როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. თუმცა არის ცალკეული რეგიონები, რომლებშიც გარკვეული ტიპის ძეგლები უფრო ხშირად იგება. მაგალითად, კავკასიის მთიან კუთხეებში უმეტესად უგუმბათო ტიპის ეკლესიებს აშენებენ. სვანეთში მხოლოდ დარბაზული ტიპი გვხვდება. სამეკლესიანი ბაზილიკების დიდი ნაწილი შემორჩილია კახეთში, ხოლო ტრიკონქების - ტაო-კლარჯეთში. მრავალაფსიდიანი ტაძრები სამხრეთ და დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი ძეგლია. სამნავიანი ბაზილიკები და გუმბათიანი დარბაზის ტიპის ძეგლები დასავლეთზე უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

საზოგადოდ, საეკლესიო ნაგებობის მშენებლობა სპეციფიურ ხასიათს ატარებს და განსაკუთრებული ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსების არსებობას საჭირობს. ტაძრის აგება გარკვეულწილად საკრალური აქტია, რაც არქიტექ-

ტურქული ფორმების სიმბოლურ გააზრებაშიც ჰპოვებს ასახვას. ეკსები კესარიელი ჯერ კიდევ IV საუკუნეში ეკლესიის ასაგებად ქვათა შეგროვებას ქრისტიანთა სულების საუფლო სახლში შეკრებად აღიარებდა [ეკსები, 1858:514-524]. ქრისტიანული რელიგიის ხედვა საეკლესიო არქიტექტურის ტიპებშიც ჰპოვებდა ასახვას. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს მიღომა ჯვარგუმბათოვან ნაგებობებში აისახა, რომელთა გეგმის საფუძვლად ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლო ჯვარი გახდა. რიგ შემთხვევაში ჯვრის ფორმა ტაძრის გარშემოწერილობას ჰქონდა. ასეთია აფსიდით და სამი სწორკუთხა მკლავით შედგენილი თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლები, ასევე ტეტრაკონქის, ტრიკონქის თუ მრავალაფსიდიანის ზოგიერთი ნიმუში. შიდა სივრცეში ჯვარი გამოისახებოდა ტეტრაკონქებში ოთხი აფსიდის, ტრიკონქებში სამი აფსიდისა და დასავლეთი მკლავის, ჩახაზული ჯვრის ტიპში ოთხი მკლავის სახით.

რაც შეეხება გუმბათიანი არქიტექტურის კიდევ ერთ, მრავალაფსიდიან ტიპს, მისი გეგმა ჩვენი აზრით ქრიზმის საფუძველზეა შექმნილი. ამდენად აქ, ისევე როგორც ჯვარგუმბათოვან არქიტექტურულ ტიპებში, ქრისტიანობის იდეის ასახვა არქიტექტურული ფორმების მეშვეობით ხდება.

უგუმბათო არქიტექტურის ტიპები და გუმბათიანი დარბაზი ზემოთ ჩამოთვლილი ტიპებისაგან განსხვავებული კომპოზიციური წყობით ხასიათდება. მათი წაგრძელებული გეგმარება, უთუოდ, სიმბოლურად ხომალდად აღქმის იდეას უნდა ეფუძნებოდეს. ამაზე მიუთითებს უძველესი ქრისტიანული წერილობითი წყაროები, რომელთა მიხედვით საეკლესიო ნაგებობა ამქევენიური ცხოვრების ზღვაში მორწმუნეთა სულების სასუფეველში გადასაყვანად აგებული გემი-კიდობანია.

საეკლესიო ნაგებობის საკრალიზაციას მხოლოდ სტრუქტურის სიმბოლიკა არ განაპირობებს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანული რიტუალის ჩატარების და მორწმუნეთა შესაკრებელის ფუნქციას. შესაბამისად ქრისტიანული ეკლესიის ყველა ტიპის ნაგებობაში არის აღმოსავლეთით მდებარე

საკრალური ნაწილი – საკურთხეველი და დარბაზი მღოც-ველთათვის. ამას გარდა სასურველია კანონიქური ნაწილების – სამკვეთლოსა და სადიაკვნეს არსებობა. ყველა ამ ნაწილს თითოეულ არქიტექტურულ ტიპში განსხვავებული სივრცობრივ-კუმბოზიციური გადაწყვეტა და ზოგადი მახასიათებელი გამორჩევს, რაც არქიტექტურული სტრუქტურის თავისებურებას განაპირობებს.

ყველა არქიტექტურული ტიპი თავისი არსებობის განმავლობაში მეტ-ნაკლებ ცვლილებას განიცდის, ეს ეხება ძეგლების როგორც ტიპოლოგიურ, ასევე სტილისტურ გადაწყვეტას. სტილისტური სახეცვლა კონკრეტული ეპოქის შესაბამისად ხორციელდება. რაც შეეხება ტიპოლოგიურ ცვლილებას და ტიპის ფარგლებში ქვეჯგუფების ფორმირებას, ამ პროცესს თავად სტრუქტურის სპეციფიკა განსაზღვრავს. არის ტიპი, რომელიც ფართობის გაზრდის შესაძლებლობის და სამნაწილიანი საკურთხევლის საკითხი იმთავითვე გადაწყვეტილია. ასეთი ტიპი აღარ საჭიროებს სტრუქტურულ ცვლილებას და ფაქტობრივად ერთხელ ჩამოყალიბებული სახით არსებობს. ასეთია მაგალითად სამნავიანი ბაზილიკის და ჩახაზული ჯვრის ტიპი. მართალია ერთულ შემთხვევებში განსხვავებული კომპოზიციური გადაწყვეტა გვხვდება, მაგრამ ძეგლების აბსოლიტურ უმრავლესობაში არსობრივი ტიპოლოგიური ცვლილება არ აღინიშნება. ნაკლებად ჩანს ცვლილება კუპელჰალეს ტიპის ტაძრებშიც, რომელსაც ტიპოლოგიურად ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის პრობლემა არ გააჩნია. თუმცა აქაც შემუშავდა განვრცობილი და მეორე, ღარიშური ვარიანტი სამ და ორ ნაწილიანი სტრუქტურების სახით.

საქართველოს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში არის გუბათიანი ტიპები, რომელთა უადრეს, მარტივი ტიპის ნიმუშებს პასტოფორიუმები არ აქვს და მომცრო ზომისაა, რადგან გუმბათის ამოყვანის წესი და ნაგებობის კონსტრუქციული აგებულება არ იძლევა უფრო მასშტაბური კომპოზიციის შექმნის შესაძლებლობას. ამგვარია თავისუფალი ჯვრის ტიპის,

ტეტრაკონქის და ტრიკონქის მარტივი ქვეტიპის ადრეული ძეგლები. ასეთი მოცემულობა ტიპოლოგიური ცვლილების მოტივაციას წარმოშობს და ტიპის შესაძლებლობების გამოვლენის გზით ახალი გართულებული ვარიანტების შემუშავებას უწყობს ხელს. შედეგად ამ ტიპებს სტრუქტურული განვითარების დინამიკა ახასიათებს, რაც ქვეჯგუფების წარმოშობას განაპირობებს. ამრიგად, ჯვარგუმბათოვან ტიპებში სტრუქტურის მდგარობა მხოლოდ ჩახაზული ჯვრის ტიპს გამოარჩევს, ხოლო დანარჩენი სამი ტიპი ვარიანტების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამასთან სახეცვლის შედეგად ხერხდება ტეტრაკონქის და ტრიკონქის გრანდიოზულობით გამორჩეული ნიმუშების შემუშავება.

ადრეულ ხანაში ფორმირებული ტიპების გარდა პასტოფორიუმების მოწყობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი X-XI საუკუნის დასაწყისის მრავალფილიან ტაძრებში, რაც უჩვეულოდ გამოიყერება. საფიქრებელია, რომ ამ არქიტექტურული ტიპის გეგმის შემუშავებისას ქრიზმის გამოხატვის იდეა უფრო მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ ტიპის ფარგლებში მაინც მოხერხდა ამ პრობლემის გადაწყვეტა ხუთაფილიან კუმურდოსა და ნიკორწმინდაში.

სამნავიანი ბაზილიკისგან განსხვავებით უგუმბათო ნაგებობების სხვა ტიპები ტიპოლოგიური გადაწყვეტის ნაირგვარობით ხასიათდება. სამეკლესიანი ბაზილიკა ეტაპობრივად ოცლის სახეს. იქმნება კომპოზიციური გადაწყვეტის თუ ნაწილთა თანაფარდობის მხრივ სრულიად განსხვავებული სამნაწილიანი და გარშემოსავლელიანი ვარიანტები, გამოიყოფა ასევე შუალედური ვარიანტი. ქვეტიპების სიმრავლით გამოირჩევა დარბაზული ტიპი. მისი ახალი ვარიანტები მარტივი სტრუქტურის სამი მხრით სხვადასხვა ნაწილებით გართულების გზით იქმნება. რაც შეეხება ორნავიან ეკლესიებს, ასიმეტრიული გადაწყვეტით გამორჩეულ ამ ტიპს ორ და სამნაწილიანი ნაირსახეობა გააჩნია.

წინაქრისტიანული საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის განხილვისას საგანგებოდ აღინიშნა ნა-

გებობის ცენტრული გადაწყვეტის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის არსებობა. საგულისხმოა, რომ სივრცის ამგვარი გააზრების პრიორიტეტულობა შეიმჩნევა უმეტეს არქიტექტურულ ტიპთა სტრუქტურაში, რაც მათ ფორმირებაში ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების და კომპოზიციის აგების პრინციპების ზეგავლენას ადასტურებს.

ამრიგად, საქართველოში მდიდარი ადგილობრივი სამშენებლო გამოცდილების საფუძველზე ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნების თავისებურად გააზრების შედეგად გავრცელდა უგუმბათო და გუმბათიანი არქიტექტურის განსხვავებული ტიპები, რომელთაც კომპოზიციური გადაწყვეტის და ვარიანტების მრავალგვარობა ახასიათებს. ტიპოლოგიური მრავალფეროვნება ერთ-ერთი ის მახასიათებელია, რომელიც შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ადგილსა და მნიშვნელობას განაპირობებს ხუროთმოძღვრების ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ავერინცევი, 1989** - С. С. Аверинцев, Философия VII-XII вв., сбор. Культура Византии (вторая половина VII-XII вв.), Москва, 1989.
- ალექსანდრე კვიპრელი, 1957** - ალექსანდრე კვიპრელი, ქრონიკა, საკითხავი პოგნისათვის პატიოსანისა და ცხოველმყოფელისა ჯურისა აღწერილი ალექსანდრეს მიერ, თბ. 1957
- ალექსიძე, 1968** - ზ. ალექსიძე, ეპისტოლეთა წიგნი, თბილისი, 1968.
- ანდოღულაძე, 1969** - ბ. ანდოღულაძე, სპეთის “ზედა მაცხოვრის” ხუროთმოძღვრული ძეგლი, უკრ. ძეგლის მეცნიერება, 18, თბილისი, 1969, გვ.44-52.
- აրუტიუნანი, 1985** - В.М. Арутюнян, Каменная летопись армянского народа, Ереван, 1985.
- არქისტ. II, 1973** - Всеобщая история архитектуры, II, Москва, 1973
- ასრატიანი, 1985** - М. Асратьян, Очерк по истории армянской архитектуры, Москва, 1985.
- აფაქიძე, 1963** - ან. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963.
- ბადშტიუბნერი, 1984** - E. Badstübner, Zum Ursprung des dreischiffigen Presbyteriums an Klosterkirchen des benediktischen Reformmönchtums (Ein Vergleich mit den Dreikirchen-Basiliken in Georgien), Georgica, Jena-Tbilisi, 1984, Heft 7, s.77-81.
- ბერიძე, 1942** - ვ. ბერიძე, ეხვევის ტაძარი “დედა ღვთისა”, ქართული ხელოვნება, I, თბილისი, 1942, გვ. 41-48.
- ბერიძე, 1942** - ვ. ბერიძე, სავანე (XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), ქართული ხელოვნება, I, თბილისი, 1942, გვ. 72-132.
- ბერიძე, 1950** - ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნება, ტ.3, თბილისი 1950
- ბერიძე, 1955** - ვ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება XIII –XVI საუკუნეები, თბილისი, 1955, გვ.25-87
- ბერიძე, 1959** - ვ. ბერიძე. მაღალანთ ეკლესია. ქართული ხელოვნება, ტ.5, თბილისი, 1959, გვ.205-220

- ბერიძე, 1974** – ვ. ბერიძე, მველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974.
- ბერიძე, 1981** – В. Беридзе, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тбилиси, 1981
- ბერიძე, 1994** – ვ. ბერიძე XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესით ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1994.
- ბოხოჩაძე, 1977** – ა. ბოხოჩაძე, ნაქალაქარი ძალისა, ჟურ. ძეგლის მეცნიერობა, № 4, თბილისი, 1977
- ბურჭულაძე, 2003** - ბურჭულაძე ნ. იკონოლოგიური ხასიათის შენიშვნები შუა საუკუნეების ქართული საეკლესით ხელოვნების რამდენიმე ცნობილ ძეგლზე, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო მრომების კრებული, 5, თბილისი, 2003, გვ.16-31.
- ბრუნოვი, 1935** - Н. Брунов, Очерки по истории архитектуры, Москва-Ленинград, 1935.
- გაბაშვილი, 1985** – ც. გაბაშვილი, ზედა ვარძია, თბ., 1985.
- გაგოშვიძე, 1977** – ი. გაგოშვიძე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპლაციები, V, თბილისი, 1977, გვ.72-77.
- გაგოშვიძე, 1981** - Ю. Гагошидзе Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-Ів. до н.э. Дедоплис Миндори), сб. Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, Москва, 1981
- გაგოშვიძე, 1983** – Ю. Гагошидзе, Дохристианские храмы Грузии, Тбилиси, 1983.
- გამყრელიძე, 2002** – გ.გამყრელიძე, კოლხეთი—კულტურული—ისტორიული ნარკვევები, თბილისი, 2002
- გაფრინდაშვილი, ჩუბინაშვილი 6, 1969** – გ. გაფრინდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, დლევის წმ. გიორგის მონასტერი სოფ. ტაბაკინში. ჟურ. ძეგლის მეცნიერობა, № 18, თბილისი, 1969.
- გნევიური, 2005** – ნ. გნევიური, კუპელჰალე, თბილისი, 2005
- გერსამია, 1984** – თ. გერსამია, ძველი თბილისი (ფოტოალბომი). თბილისი, 1984
- გვერდწითელი, 1947** – რ. გვერდწითელი, ზედა თმოვეის ეკლესიის წარწერები, მუზეუმის მომბე, XIV-B, თბილისი, 1947.
- გვერდწითელი, 1966** – რ. გვერდწითელი, ანჩისხატის რესტავრაცია, ჟურ. ძეგლის მეცნიერობა, № 15, 1969.

- გვერდწითელი, 1969** – რ. გვერდწითელი, ბოლნისი (ანგარიში ძეგლის გახსნის სამუშაოების შესახებ), ქურ. ძეგლის მეგობარი, № 15, თბილისი, 1969.
- გვერდწითელი, 1983** – Р. Гвердцители, Некоторые характерные черты грузинских базилик V-VI вв в свете новых данных, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
- გვერდწითელი, 2001** – რ.გვერდწითელი, “წმ. მარიამის” ეკლესია თბილისში ანჩისხატი, თბ. 2001.
- გობეჯიშვილი, 1952** – გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1952, გვ. 154-155.
- გომელაური, 1982** – ი. გომელაური, მღვიმევი, თბილისი, 1982.
- გოუ, 1961** – M. Gough, The early Christians, New-York-Washington, 1961.
- დევისი, 1952** – I.G.Davies, The origin and development of early Christian church architecture, London, 1952, p 78-79
- დეკაუდრი, 1983** - G. Descoedres, Die Pastophorien in syro-byzantinischen Osten (Eine Untersuchung zu architektur- und liturgiegeschichtlichen Problemen) Otto Harrassowitz, Weisbaden, 1983
- დფალი, 1974** – მ.დფალი, მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბილისი, 1974
- დოლიძე, 1987** – ვ. დოლიძე, კაზრეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, IX, თბილისი, 1987, გვ. 26-56.
- ევსები, 1858** – Евсей Памфил, Церковная История, т.1, книга X, гл. 2, Санкт-Петербург, 1853.
- ელიზბარაშვილი, 1983** – И. Елизбарашвили, К вопросу об эволюции двухненфных церквей Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
- ელიზბარაშვილი, 1984** – ირ. ელიზბარაშვილი, ბზიანის წმ. გიორგოს ეკლესია, ქურ. ძეგლის მეგობარი, №67, თბილისი, 1984.
- ელიზბარაშვილი, 1986** – ირ. ელიზბარაშვილი, ქილდის ორნავიანი ეკლესია, ქურ. ძეგლის მეგობარი, № 1, თბილისი, 1986.
- ელიზბარაშვილი, 1993** – ირ. ელიზბარაშვილი, დანკალის ორნავიანი ეკლესია, ქურ. ძეგლის მეგობარი, № 1, თბილისი, 1993.
- ელიზბარაშვილი, 1994** – ირ. ელიზბარაშვილი, ქართული ორნავიანი ეკლესიები, სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 1994.

- ეფრემ ასური, 1955** - ეფრემ ასური, სინანულისათვის ჯვრსათა, „გამათა სწავლანი”, თბილისი, 1955.
- გაჩეიშვილი, 1997** – ნ. გაჩეიშვილი, ტონთოოს ეკლესია (ჯავახეთის დარბაზული ეკლესიების მხატვრულ-ისტორიული პრობლემები), საღისერტაციო მაცნე, თბილისი, 1997.
- ზაქარაია, 1956** – პ. ზაქარაია, ცაშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბილისი, 1956.
- ზაქარაია, 1965** – პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965, გვ. 86-127.
- ზაქარაია, 1968** – პ. ზაქარაია, გვიანი შუა საუკუნეების ორი არქიტექტურული ძეგლი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, თბილისი, 1968, გვ. 177-201.
- ზაქარაია, 1983** – პ. Закарая, Базилики западной Грузии, IV международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1983.
- ზაქარაია, 1987** – ნოქალაქევი, არქეოპოლისი, არქეოლოგიური გათხრები, 1978-1982, რედ. პ. ზაქარაია, თბილისი, 1987
- ზაქარაია, კაპანაძე, 1991** – პ. ზაქარაია. თ. კაპანაძე, ციხეგოვი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, არქიტექტურა, თბილისი, 1991,
- თაყაიშვილი, 1902** – Е. Такаишвили, Христианские памятники, экскурсия 1902г. МАК.Х11, Москва, 1902.
- თაყაიშვილი, 1924** – Е. Такаишвили, Альбом грузинской архитектуры, Тбилиси, 1924.
- თაყაიშვილი, 1938** – თაყაიშვილი ექ. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938
- თაყაიშვილი, 1960** – ექ. თაყაიშვილი, 1917წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
- თაყაიშვილი, 1991** – ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. დაბრუნება, 1. თბ. 1991
- იაკობსონი, 1950** – А.Л. Якобсон, Очерк истории зодчества Армении V-XVII вв., Москва-Ленинград, 1950.
- ინაიშვილი, 1993** – ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1993, ტაბ. XZ.
- კაპანაძე, 1987** – თ. კაპანაძე, ნოქალაქევის ბაზილიკები, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბილისი, 1987,

- კაპანაძე, 2002** – ხ.კაპანაძე, სარწმუნოებრივი და სოციალური ასპექტი სამეცნიერო ბაზილიკების სივრცის ორგაპიზაციაში, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, №3, თბილისი, 2002, გვ. 43-57
- კეპელიძე, 1961**– კ.კეპელიძე, Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდი ბველი ქართული ლიტ. ისტორიიდან, VII, თბ., 1961, გვ.14-54.
- კრაუთპაიმერი, 1965** – R. Krautheimer, Early Christian and Byzantine architecture, Harmondsworth, 1965.
- ლეუგა, 1979** – გ. ლეუგავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბილისი, 1979.
- ლექვინაძე, 1973** – В.Леквинадзе, Монументальные памятники западной Грузии I-II вв. Автореферат, Мос., 1973.
- ლორთქიფანიძე, 1976** – О. Лордкипаниძე, Р. Путуридзе, Г. Лежава... Полевые археологические исследования в 1974г. Итоги работ Ванской археологической экспедиции, Тбилиси, 1976.
- ლოუ, 1995** – A. Louth, Maxsimus the Confessor, 1995
- მათიაშვილი, 2005** – მათიაშვილი, გ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები, თბ.2005.
- მანგო, 1972** – C. Mango, The Art of the Byzantine Empire 312-1453, New-Jersy, 1972.
- მანგო, 1976** – C. Mango, Byzantine Architecture (History of world architecture), New-York, 1976.
- მაცულევიჩი, 1978** - Мацулевич Л. Мозаики Бичвинты – Великого Питиунта, დიდ პიტიუნტი, III, თბ. 1978, გვ. 100- 168.
- მეფისაშვილი, 1955** – რ. მეფისაშვილი, ერევოს 906 წლის ხეროთ-მოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 4, თბილისი, 1955, გვ. 101-136.
- მეფისაშვილი, 1963** – რ. მეფისაშვილი, გრ. ხანძთელის მოწაფეების სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, მოამბე, № 4, თბილისი, 1963, გვ.232-240.
- მეფისაშვილი, 1971** – რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი (X ს-ის სამეცნიერო ბაზილიკა), ქართული ხელოვნება, 7, თბილისი, 1971, გვ. 91-110.
- მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975** - Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида Картли, Тб. 1975

- მეფისაშვილი, 1977** – Р. Меписашвили, Основные особенности развития трёхцерковных базилик Грузии, II международный симпозиум по грузинскому искусству, Тбилиси, 1977.
- მეფისაშვილი, 1983** – რ. მეფისაშვილი, VIII-IX საუკუნეების სამეცნიერო ძალისა ბაზილიკა სოფ. ცხვარიჭამიაში, უკურ. ძეგლის მემკვიდრი, № 1, თბილისი, 1983, გვ. 5-13.
- მეფისაშვილი, ცინცაძე, 1975** - Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной провинции Грузии- шида- Картли, Тбилиси, 1975.
- მეფისაშვილი, თუმანიშვილი, 1989** – რ.მეფისაშვილი,დ.თუმანიშვილი, ბანას ტაძარი, თბილისი, 1989
- მიქელაძე, 1963** – თ. მიქელაძე, ბიჭვინთის ორაბსიდიანი ეკლესია, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, თბილისი, 1963, გვ. 125-131.
- მაცაკანიანი, ოგანესიანი, სანიანი, 1978** – С.Х. Мнацаканян, К.А. Оганесян, А.А. Саинян, Очерки по истории архитектуры древней и средневековой Армении, Ереван, 1978.
- მოქცევა ქართლისათ, 1964** - მოქცევათ ქართლისათ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I,(V- Xს), თბილისი, 1964
- ნიკოლაიშვილი, 1996** - ნიკოლაიშვილი, ვ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არმაზციხე-ბაგინეთზე, უკურ. ძეგლის მემკვიდრი, 4(95), თბილისი, 1996, გვ. 22-25
- პოკровський, 1880** – Н. Покровский, Происхождение древнехристианской базилики, Санкт-Петербург, 1880.
- როდლე, 1994** – L.Rodley, Byzantine art and architecture, Cambridge, 1994
- რჩეულიშვილი, 1942** – ლ.რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, ქართული ხელოვნება, I, თბილისი, 1942, გვ.31-40
- რჩეულიშვილი, 1948** – ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, II, თბილისი, 1948, გვ. 27-38.
- რჩეულიშვილი, 1963** – ლ. რჩეულიშვილი, თრიალეთის საერისთაოს X ს-ის ერთი ძეგლი, ქართული ხელოვნება, 6, თბილისი, 1963, გვ. 167-182.

- რჩეულიშვილი, 1971** – რატ ერისთავ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქი, ქართული ზელოვნება, ტ.7, თბილისი, 1971, გვ.111-130
- რჩეულიშვილი, 1978** – Л. Рчеулишвили, Некоторые аспекты грузинской архитектуры черноморского побережья, Средневековое искусство, Русь-Грузия, Москва, 1978, с.21-28.
- რჩეულიშვილი, 1888** - Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии, Тб.1988
- რჩეულიშვილი, 1994** - რჩეულიშვილი ლ. მთავარანგელოზთა ტაძარი ზემო ნიქოზში, ქართული ზელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბ. 1994:76-99
- სადრაძე, 2003** – ვ.სადრაძე და სხვ. გურიის არქეოლოგიური ექსპედიცია სუფსის ტერმინალის დეოდინგის ზონაში – 2000, მიღსადენის არქეოლოგია, II, თბ. 2003, გვ. 95-100
- სანიკიძე, 1975** – თ. სანიკიძე, გერგეტის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1975
- სანიკიძე, 1987** – თ. სანიკიძე, უფლისციხე, თბილისი, 1987.
- საყვარელიძე, 1972** – თ. საყვარელიძე, ვანის წმ. გიორგის ეკლესია, უერ. ძეგლის მეგობარი, № 28, თბილისი, 1972.
- საქართველოს არქეოლოგია, II, 1992** – საქართველოს არქეოლოგია, ტII, თბ. 1992
- სილაგაძე, 2001** – ნ. სილაგაძე, სამეცნიერო ბაზილიკის გვერდითი ეკლესიების ფუნქციური დატვირთვის საკითხისათვის, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, 2, თბილისი, 2001, გვ. 144-156.
- სილაგაძე, 2011** – ნ. სილაგაძე, ჯაყისმანის მონასტერი, თბ. 2011
- სტრიგოვსკი, 1918** – J. Strygowski, Die Baukunst der Armenier und Europa, Wien, 1918.
- ტოკარსკი, 1946** – Н.М. Токарский, Архитектура древней Армении, Ереван, 1946.
- ფერგუსონი, 1973** - Ferguson G. Sings and Simbols in the christian Art, London,Oxford, New York, 1973
- ფუნკი, 1905** – F.X. Funk. Didascalia et Constitutiones Apostolarum, I (Paderborn 1905), 159 ff.
- ქართლის ცხოვრება, 2008** – ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008
- ყაუხჩიშვილი, 1951** - თ. ყაუხჩიშვილი, ბერძული წარწერები სა-ქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 89-91.

- ყიფიანი, 1987** – გ. ყიფიანი, საქართველოს ანტიკური ხანის არქიტექტურა, კაბიტელები, თბილისი, 1987.
- ყიფიანი, 1990** – გ. ყიფიანი, უფლისციხის კლდოვანი ბაზილიკა (პრეპრინტი), თბილისი, 1990.
- ყიფიანი, 2000** – გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები. თბ. 2000
- შიდა ქართლი, I, 2002** - შიდა ქართლი, I, თბ. 2002
- შმერლინგი, 1948** – Р. Шмерлинг, Построика Моларет-ухуцеса царя Георгия Блиставельного в селе Даба, Борджомского района, Груз. Искусство, 11, 1948 с. 111-122.
- შმერლინგი, 1955** -, Древний Цвиметский храм близ сел. Хциси, Груз. Искусство, 4, 1955, 139-168.
- შმერლინგი, 1963** - Р.Шмерлинг, Церковь в селении Дарквети, ქართული ხელოვნება, 1963, გვ.183-196
- შმერლინგი, 1971** - Р.Шмерлинг, Купольный храм в Икви, ქართული ხელოვნება, ტ.7, თბ.1971, გვ. 163-192
- ჩუბინაშვილი, 1936** – გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936.
- ჩუბინაშვილი, 1940** – Г. Чубинашвили, Болниси, Известия ГАИМК-а, 9, Тбилиси, 1940.
- ჩუბინაშვილი, 1959** - Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959.
- ჩუბინაშვილი, 1967** - Г. Чубинашвили. Разыскания по армянской архитектуре. Т.1.Тб.1967
- ჩუბინაშვილი, 1969** - Г.Чубинашвили. Цроми. М.1969
- ჩუბინაშვილი, 1970:104-107** - Г. Чубинашвили, Церковь близ сел. Болнис-Капанакчи, Вопросы истории искусства, Тбилиси, 1970, с. 104-107.
- ჩუბინაშვილი, 1970: 51-80** - Г. Чубинашвили, Шиомгвимская лавра, Вопросы истории искусства, Тбилиси, 1970, с.51-80.
- ჩუბინაშვილი, 1970:173-177** - Г. Чубинашвили, К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII-IXвв, Вопросы истории искусства, Тбилиси, 1970, с.173-177.
- ჩუბინაშვილი, 1970:236- 37** - Чубинашвили Г. Кумурдо и Никорцимinda, Вопросы истории искусства, Тбилиси, 1970, с.236-261.

- ჩუბინაშვილი, 1970:279-289** - Г. Чубинашвили, Саорбисская церковь, Вопросы истории искусства, Тбилиси, 1970, с.279-289.
- ჩუბინაშვილი, 1990** - Г. Чубинашвили, К вопросу о начальных формах христианского храма, Из истории средневекового искусства Грузии, Москва, 1990, с. 129-135.
- ჩუბინაშვილი 6., 1969** – Самшвидсий Сион, Тбилиси, 1969
- ჩუბინაშვილი 6., 1972** - Н. Чубинашвили, Хандиси, Тбилиси, 1972.
- ჩუბინაშვილი 6., 1976** - Н. Чубинашвили, Церовани, Тбилиси, 1976.
- ჩუბინაშვილი 6., 1987** - Н. Чубинашвили, Гударехи, Груз. Искусство, 9, Тбилиси, 1987, с. 57-74.
- ჩუბინაშვილი 6., 1988** - Н. Чубинашвили, Шашианис Самеба, Тбилиси, 1988.
- ჩუბინაშვილი 6. შერლინგი, 1948** - Н. Чубинашвили, Р. Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети – Олтиси и Тетри-Цкаро, Груз. Искусство, 2, Тбилиси, 1948, с. 47-54.
- ცინცაძე, 1950** – ვ.ცინცაძე, იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, ქართული ხელოვნება, ტ.3, თბილისი, 1950, გვ.3-10
- ცინცაძე, 1959** – ვ. ცინცაძე, თელოვანი, ქართული ხელოვნება, 5, თბილისი, 1959.
- ცინცაძე, 1963** – ვ. ცინცაძე, ზემო კრიხის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 6, თბილისი, 1963, გვ. 57-106.
- ცინცაძე, 1969** – ვ. ცინცაძე, მეცნიერული დაცვის ზოგი საკითხი და შენიშვნები თაანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტთან დაკავშირებით, უკრ. ძეგლის მეცნიერობის კურსი, №18, თბილისი, 1969.
- ცინცაძე, 1987** - В. Цинцадзе, Свети-Цховели во Мцхете, Груз. Искусство, 9, Тбилиси, 1987, с. 15-25.
- ციციშვილი, 1977** – ირ. ციციშვილი, ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, დიდი პიტიუნტი, II, თბილისი, 1977, გვ.83-120.
- ციციშვილი, 1997** - ციციშვილი ირ. ბაგინეთზე განახლებული გათხრების შედეგები, უკრ. ძეგლის მეცნიერობის კურსი, №2, თბილისი, 1997
- ცქიტიშვილი, 2003** - ცქიტიშვილი, გ. ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი, თბილისი, 2003
- წერეთელი, 1990** – კ. წერეთელი, დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის ტიპოლოგიისა და დათარიღებისათვის, უკრ. ხელოვნება, №6, თბილისი, 1990, გვ. 52-68.

- Նալբանձիան, 1960** – О.Х. Халпахчъян, Конструкция и форма в армянской архитектуре IV-XIV вв., Архитектура и строительная техника, Москва, 1960.
- Նաթամզուլո, 1995** – թ. Նաթամզուլո, Տաճարական պահպան և վերականգնում Հայաստանում, Երևան, 1995, գլ. 6.
- Նախութամզուլո, 1965** – դ. Նախութամզուլո, Հայաստանում պահպան և վերականգնում, Երևան, 1965.
- Նախութամզուլո, 1989** – դ. Նախութամզուլո, Հայաստանում պահպան և վերականգնում, Երևան, 1989.
- Կոմիտամզուլո, 1988** – Կ. Խիմшиашвили, Зодчество Уплисцихе античного периода, Автoreферат, 1988.
- Կոմիտարօս, 1983** – դ. Կոմիտարօս, Բնութագիր մասնակիություն Արքայական պալատում, մայիս, №4, 1983, գլ. 141-157.
- Կոմիտարօս, 1985** – դ. Կոմիտարօս, Վանական պահպան և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №1, 1985, գլ. 70-82.
- Կոմիտարօս, 1986** – դ. Կոմիտարօս, Տաթևի վանական համալիրում և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №3, 1986, գլ. 135-155.
- Կոմիտարօս, 1987** – Դ. Խոշտարյան, Архитектурные памятники IX-X вв в Борджаомском ущелье, Автoreферат, Тбилиси, 1987.
- Կոմիտարօս, 1994** – դ. Կոմիտարօս, Վանական պահպան և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №1, 1994, գլ. 51-53.
- Կոմիտարօս, 2005** – դ. Կոմիտարօս, Վանական պահպան և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №1, 2005.
- Հածյա, 2001** – Ե. Հածյա, Տաճարական պահպան և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №1, 2001, գլ. 309-326.
- Հածյա, 2002** – Ե. Հածյա, Տաճարական պահպան և վերականգնում Տաթևի վանական համալիրում, մայիս, №1, 2002, գլ. 201-207.

- ჯაბუა, 2003** – ნ.ჯაბუა, ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურულ-სიმბოლური გაგების საკითხისათვის, თსუ წელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო შრომების კრებული, 5, თბილისი, 2003, გვ. 280-285.
- ჯაბუა, 2009** – ნ. ჯაბუა, სამნავიანი ბაზილიკის არქიტექტურული ტიპი საქართველოში, თბილისი, 2009
- ჯავახეთი, I, 2000** - ჯავახეთი, I, თბილისი, 2000
- ჯობაძე, 2006** – ვ.ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბილისი, 2006
- ჰამილტონი, 1956** – J. Arnott Hamilton, Byzantine Architecture and Decoration, London, 1956, p.55

Summary

Natela Jabua

Architectural types of Christian Church in Medieval Georgia

Various architectural types of ecclesiastical buildings took shape during the formation and development of the art of building. Each type is distinguished for defining attributes of architectural structure and has own area of territorial and chronological spreading. Georgia adopted Christianity in the IV century and became a part of Early Christian World. Therefore it had been involved in the processes at all stages of formation of the Christian art of building, creation and spreading of architectural types. It has contributed a lot to the typological diversity of Georgian ecclesiastical architecture. Beneficial geographic location allowed for communication with Christian centres while early integration into the East Christian World provided opportunity to simultaneously adopt novelties and new information.

This paper is aimed at manifesting beneficial factors for the origin and development of Christian architecture in Georgia, the issues related to the specificity of ecclesiastical architecture, as well as the reasons of spreading main types of domical and domeless architecture, their architectural and typological characteristics and modification forms. Data about certain monuments and their review in the context of architectural type transformation make it possible to study and understand typological specificities of Medieval Georgian religious architecture.

The process of architectural types' formation in Medieval Georgia was of variable intensity. The most distinguished is the period from V to XI century. It was the time of formation of all the basic architectural types. The spreading of domeless architectural types (three-nave and three-churched basilicas, two-nave church, hall-type church) started in IV, V and VI centuries. First samples of tetraconch (Manglisi) and free cross (Zegani St. Marine) were built in V century. The inscribed cross type was formed at the final stage of Early Middle Ages, in the I half of VII century in Tsromi church. Triconch and kuppelhalle starts spreading in the transitional period. The last type which was formed in

X century was a polyapses type. It is notable that along with the samples of these architectural types there are many monuments in Georgian architecture, which do not pose the features of just one specific type and are distinguished for their individual characteristics.

The architectural types vary from each other by the length of their existence. The hall-type churches had been constructed for the longest period of time from the adoption of Christianity through the Middle Ages. Starting from VII century the inscribed cross type churches had been persistently constructed as well. Therefore the hall-type is the most widespread type in domeless and the inscribed cross type - in the domic architecture. Out of the types existent in Georgia the poly apses churches had been constructed for the shortest period of time from X to the first two decades of XI century. The rest of the architectural types had existed for several centuries.

As to the territorial borders of spreading almost all architectural types can be observed as in East as in West Georgia. However there are separate regions, where definite types are being constructed more frequently. For example in the mountainous regions of the Caucasus they mainly built the domeless type churches. Only hall-type churches are observed in Svaneti. The major part of three-nave basilicas is preserved in Kakheti, while of triconchs – in Tao-Klarjeti. Three-nave basilicas and cupola hall type churches are more frequent in East Georgia rather than West Georgia.

The Christianity vision used to find its expression in the types of ecclesiastic architecture. Such approach is expressed in the cross-domed types in the most spectacular way the plans of which are based on the basic Christian symbol of the cross. These are free cross, tetraconch, triconch, inscribed cross types. As to the one more type of domed architecture such as poly apses type, we think that its plan was created on the basis of Chrism. Hence, like it is the case in the cross-domed architectural types, the idea of Christianity is expressed by means of architectural forms. The types of domeless architecture and cupola hall have different compositional order as compared with the above-mentioned types. Their oblong design seems to be definitely based on the idea of symbolic perception of a ship. It is evidenced by the ancient written Christian accounts according to which an ecclesi-

astical building is a ship (ark) built to lead the souls of the believers through the sea of life to the next world.

All the types more or less undergo changes within their existence. There are some types within the limits of which the opportunity of expanding the space is provided and the problem of three-part altar is resolved right from the start. Such type does not need structural change, virtually exists in the form once established and is represented by three-nave basilica and inscribed cross. Less visible are changes in cupola hall type churches, which do not typologically have the problem of resolving the above-mentioned problems. However there had been also developed expanded and more laconic versions in the shape of three and two-part structures.

Free cross, tetraconch and triconch early samples do not have pastophoriums and are of small size, because the rule of constructing the dome and architectonic structure of the building do not allow for more ambitious composition. Such givenness creates motivation for the typological change and supports the development of new, more complicated versions by way of revealing potentialities of the type. As a result of which the grandiose constructions are being built such as Bana, Oshki, Bagrati, Alaverdi.

Unlike the three-nave basilicas other types of the domeless structures are distinguished for diversity of typological resolution. The tree-nave basilica gradually changes its image. Absolutely different versions of compositional pattern or the parts correlation are created. The hall-type has many sub-types. Its new versions are created by way of complicating different parts of simple structure from three sides. As to the two-nave churches, this type is known for asymmetric resolution and has two-part and three-part varieties.

In summary different types of domical and domeless architecture were spread in Georgia based on rich local experience of construction and original perception of requirements of Christian Religion. They are characterized by diversity of compositional patterns and variants. Typological diversity is one of the features determining the place and importance of Medieval Georgian architecture in the history of the art of building.



www.mtignobari.ge

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №40